თარგმანი ეძღვნება ქართულ-გერმანულ
კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცებას

Wolf Weitbrecht

STERN DER MÜTTER

Georgisch
von Lasha-Giorgi Kutalia

Verlag „Gulani“
Tiflis 1992

ვოლფ ვაიტბრეხტი

უმამრო სასუფეველი

გერმანულიდან თარგმნა
ლაშა-გიორგი კუტალიამ

გამომცემლობა “გულანი”
თბილისი 1992

სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანი

თარგმანი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ, 16 წლის ასაკში

თარგმანის რეცენზენტი
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თამარ კუკავა

სპონსორი
ფირმა „ნაციონალი“
(პრეზიდენტი როლანდ კიტია)

© Greifenverlag zu Rudolstadt, 1980
© გამომცემლობა „გულანი“, 1992

სარჩევი

კარი პირველი მწყაზარი ბანოვნის გარდახვეწა
კარი მეორე საიდუმლო უსტარი
კარი მესამე უცხოცთომილელი დედამიწელი
კარი მეოთხე მეამბოხეთა განსჯა
კარი მეხუთე უჩინარი მასპინძელი
კარი მეექვსე ცისფერცთომილელი მოციქულები
კარი მეშვიდე დარბაზობა ხომალდზე
კარი მერვე საქალწულეთი
კარი მეცხრე სნეულ ტუსაღთა ქალაქი
კარი მეათე იდუმალი ჯვრისწერა
კარი მეთერთმეტე წარმატებული წამლობა
კარი მეთორმეტე გამარჯვების დიადემა

კარი პირველი

მწყაზარი ბანოვნის გარდახვეწა

მოძრავი ბილიკიდან მარდად გადმოალაჯა სალუქი აღნაგობის შუახნის კაცმა, ჩაუქად გაიკვლია გზა გამვლელებს შორის, რომლებიც ამ დარიან გაზაფხულის დღეს პასაჟის ვიტრინებს შემზეროდნენ და ქშენით, ბიჯზე მრჩობლი დანდალუკის გადალახვით ქარწბის მორჩილი კიბე ხაფად აათავა: ის დრეზდენის ადმინისტრაციის სადარბაზო ბჭეს მიდგა.

ხალვათ პალატში მხარმარცხნივ განეთავსებინათ მცირე კაფეტერია, მხარმარჯვნივ კი საცნობარო მანქანები. ადმინისტრაციისაკენ გაწვდენილი ტრაქტი ჯუფთი ქანქარა მინის კარით იყო შეკრული – ორივ მტკიცედ დაეგმანათ.

გულდამწუხვრილმა მამაკაცმა მიკროფონში ცალყბად მძაფრი ხმით ჩასძახა: „წესრიგის სამმართველო“ და ფიცხლავ წინისაკენ გაქანდა, მაგრამ ამაოდ: რხევადი კარები უკუ არ გასრიალებულა.

ნეტამც რად ახანებადა ავტომეკარე?

„წესრიგის სამმართველო“, გაიმეორა მამაკაცმა, ამჯერად უფრო საცნაურად და ვითარსი დარბაისლობით.

ამაზე მას ხმამაღლამეტყველი გულცივად შეეხმაურა: „გთხოვთ დამატებით მონაცემს. ბრძანეთ თქვენი თავგადასახადი.“

პაუზა. ჯერ უწინდებურად არ აციმციმებულა მწვანე შარავანდი. და მერე კვლავ მონოტონური ხმა: „არა წესრიგის – უსაფრთხოების სამმართველო. კომისარი ლუტოლსკი, ოთახი 317, გვერდის ნაგები, ისარგებლეთ მეორე სამგზავრო ლიფტითა და მეხუთე გასასვლელით.“

როგორც იყო! ნათურა ზურმუხტოვნად გაღადღადდა და კარიც მეყსეულად გაიღო. გულს მოფონებულმა მომსვლელმა ნიავქრული ლაჯით ტალანში შეაბიჯა, მსწრაფლალ მოიძია მეხუთე გასასვლელი და წამისყოფით აღმამზიდს მიაშურა. კაბინეტის ნომერი...? – 317, მოიგონა მან უმალ. მაშ, ის ახლად მოშენებულ აღნაგში ბრძანებულა.

განაპირა კუნჭული, გაიფიქრა მამაკაცმა, რაც ოდენ რამდენიმე სართულის ასვლამ მოუწია, და ფეხი გამოაჩქარა. საკვირველია, რომ ეს ნაგალა ნაგებობაც ლიფტით არის აღჭურვილი. ალბათ დროთაგან მოყრილთა პატივსაგებად, ისინი ხომ კიბე-კიბე ნიადაგ მილასლასებენ...

მის წინ გადაჭიმულ ვესტიბიულში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, არსაიდან ისმოდა მცირედი ხმიანობაც. მამაკაცი ბიუროთა ნომრებს მიაცქერდა: 324, 326, 328... მაგრამ ეს ხომ ლუწი რიცხვებია! აგერაც ირგვლივ: 313, 315, 317. ლითონის ციფრის ქვეშ ფირნიშიც: კომისარი ვოლდემარ ლუტოლსკი, უსაფრთხოების სამმართველო.

მომსვლელმა ძალუმად დააკაკუნა. ხმამაღლამეტყველი, რომელიც კარების თავზე იყო ჩატანებული, ოდნავაც არ გახმაურებულა. მან დაურიდლად სახელურს ხელი დააჭირა, მაგრამ ესეც უქმი გამოდგა. ამრეზილი უკვე საჩივრების წითელ ღილაკს ეძიებდა, როცა იჩქითად ფეხის ხმამ მოატანა. ბიჯები ახლოვდებოდა და დასასრულ კუთხიდან ტანასვეტილი ახალგაზრდა ქერა მამაკაცი გამოჩნდა მოდური ფრიალა შარვლითა და

საყელომოღეღილი პერანგით. მომლოდინის ხილვაზე მას ერთგვარი შეცბუნება დაეტყო. „ჩემთან ბრძანდებით?“ ჰკითხა მან ერთჟამიერ სკეპტიკური და ინტერესნარევი კილოთი.

„თქვენ ბრძანდებით კომისარი...?“ შეუბრუნა უცნობმა კითხვა. მის ხმას ძლიერი შფოთვა გზარავდა.

„ლუტოლსკი“, შეეშველა ქერათმიანი, „ვოლდემარ ლუტოლსკი. მაგრამ არა გამტიერებული, წვერულვაშშეღერებული კომისარი ყალიონით, როგორც ეს მეოცე საუკუნის ტელესერიალებშია.“ ამის წარმოთქმისას კომისარმა ნები ახლო გამღებ ფილას, რაზედაც კარი უხმაუროდ განზე გასრიალდა. მან მომსვლელს ხელის დამპატიჟებლური ჟესტით შემობრძანება სთხოვა.

უცხო მამაკაცს სახეზე მცირედი გაბუცების ელფერმა გადაურბინა. მას ჯერ არასოდეს ჰქონია რამე საერთო უსაფრთხოების სამმართველოსთან და „კომისარი“ მასში უცნაურ ასოციაციებს ჰბადებდა: აქტების გატისნული განჯინები, გიგანტური საწერი მაგიდა თვალისმომჭრელად მნათი ნათურითურთ, რომელიც ლირფად შეეძლოთ მიემართათ მომსვლელისაკენ, ფოლადის ნაირსახი არქაული რესორები... მაგრამ მსგავსიც არაფერი შეიმჩნეოდა კომისარ ლუტოლსკის კაბინეტში. ეს იყო მზიანი, ხიბლით აღსავსე ოთახი, ხედით მდინარესა და კორტოხებზე. შუბლა კედელში, საწერი მაგიდის მიღმა, ფერთმთოველი დაეტანებინათ. მცხინვარე ფერები ფაქიზად ეგრიხებოდნენ ერთიმეორეს გაცისკროვნებულ სივრცეში: ელვარე სიავი, შემდგომ მტრედისფერი, ნარინჯისფერი და კვლავ სოსანი – დამაამებელი თამაშობა დინებისა და ურთიერთსრიალისა. ლუტოლსკის ჩაეცინა, სტუმარს რომ გრძნეული ღაღანით გატაცება შეატყო.

ჯერეთ კი მამაკაცმა მას ანაზდად თვალი მოაპყრო და აღტყინებულმა განუცხადა: „თანამეცხედრე გამიქრა, უბრალოდ სადღაც გარდაიხვეწა. ყველაფერი, რაც მან დატოვა, ერთ საცინარ ავთრათსღა შეადგენს. უნდა შემეწიოთ, კომისარო! ხომ შეუძლებელია ოცდამეორე ასწლეულის დამლევს ფეხი ამოიკვეთო და უკვალოდ გაქრე!“

გაშეთებული კომისარი სამიდან ერთ-ერთ ელასტოსავარძელზე მოთავსდა და რამდენიმე მშფოთვარე ნაბიჯის შემდეგ ნიათგამოლეული მომსვლელიც მის თვალდათვალ ჩამოჯდა.

„თანამეცხედრე გადაგეკარგათ?“ ჰკითხა მას აქამდე გაჩქურებულმა ლუტოლსკიმ. უპირატესად ის იმსახ შემთხვევებს იძიებდა, როდესაც პირნი მუქარის შიშს განიცდიდნენ, ვინმე მძვინვარებისას იქადნებოდა – სულს გაგიფრთხობო... მაგრამ ასაკსრული მანდილოსნის კვალწმინდად გაკიდეგანება? ამგვარი რამის გამოსაძიებლად მას არავინ სწვევია. და თუ ნორჩები შინიდან იპარებოდნენ, ამაში ხომ ჩაუხვდომელი არაფერი იყო: მათ საამისოდ ურდავი საჩინო მიზეზი მოეპოვებოდათ...

„ყელი ხომ არ ჩაგველბო?“ იკითხა მან თავაზიანად. „ასერიგად საქმე უკეთ ამეტყველდება.“

„გმადლობთ“, უგუნებოდ მიუგო მომსვლელმა, „უპრიანია რამე სალბუნებელი...“

„ბალდრიოკოლა“, გადაწყვიტა ლუტოლსკიმ.

ხელის ოდნავი წავლებით კომისარმა თავისთან სერვო მოზიდა და ორი აპირთავებული ორთომელი გამოიღო, ერთი სტუმარს გაუწოდა და ორიოდ ყლაპის შემდეგ ჰკითხა: „ასე უცილობლად რად მიიჩნევთ, რომ თქვენი თანამეცხედრე გადახიზნულია? ეგების სადმე გაემგზავრა და სიჩქარეში გამორჩა, რომ ეს თქვენთვის ემცნო. მაგრამ ინდივიდუალური სახმობი...“

„შინ დარჩა – ის არც კი რეაგირებს“, პასუხი არ დაახანა უცნობმა, რაზეც მაგიდაზე კნინი ოვალი და მომცრო თაბახი დადო.

კომისარმა ციმციმ ჯერ მინიაპარატს მოავლო ხელი. ყოველგვარი მეცადინეობა მოწყობილობის ასამუშავებლად ფუჭად გასრულდა, ის უჯიათად დუმდა. იმედაყრილმა ლუტოლსკიმ საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია და წვნიკი წკირისებრი საგანი ამოიღო, რომელიც მოფრთხილებით აპარატს მიადო. „მოშლილობას პლუტონიუმის ბატარეაში ადგილი არ აქვს, ელექტროენერგიის მიწოდება უწყვეტია. ამისდა კვალად, ის განზრახ არის გათიშული.“

ხოლო შემდგომად ხელი უსტარისაკენ გაიწვდინა და მის შინაარსს ჩაუღრმავდა:

„უნდა დაგტოვო, ძვირფასო! მახლობელთ დიდი საფრთხე მოელით და მიხმობენ. იქნებ მოხერხდეს მოტანებული შავსვიანობის აღკვეთა. უნდა წავესარჩლო მათ! და ამიერიდან, ძალზეც რომ ვილტვოდე, ვერასოდეს გამოვბრუნდები. ხომ ვიცი – დაგამწუხრებს უჩემობა, მაგრამ დამივიწყე და ნუ იფიქრებ ჩვენი თანამყოფობის იმ მცირედ ჟამზეც...

ლო.“

ლუტოლსკიმ ტექსტი მრავალგზის ჩაათვალიერა. ეს არც მიაგავდა ხელდახელ შენათხზ სალამს, ნაწერს არ აკლდა წინასწარი მოზომვა.....ფიქრწაღებულმა კომისარმა თავი დუნედ დააქნია, „მის თვისტომთაგან ხომ არ შეგიტყვიათ, რა ასეთი განსაცდელია მომდგარი?“

„საქმეც სწორედ ეს გახლავთ“, შეეპასუხა მამაკაცი. „ლო ყოვლად უთვისტომოა! ის მიუსაფარი ბალღი ყოფილა და უდედმამოთა პანსიონში აღუზრდიათ. ვგონებ, მას სირანი ეწოდება.“

„უსავანო ობოლი ბალღი?!“ გეზად შესცქირა მას კომისარმა. ლუტოლსკი ამ ცნობამ ორკეცად განალიგა. „და თქვენ სად ბრძანდებოდით, როდის წააწყდით ბარათს და ინდივიდუალურ სახმობს? გთხოვთ გამოწვლილვით აღმიწეროთ.“

„ბატონი ბრძანდებით! მე მთელი ეს თვე ბერლინში ვიყავი წარვლენილი. დღეს დაფიონზე მოვბრუნდი და მყისვე ქირურგიულ კლინიკაში გავემართე: ვუწყოდი, რომ ჩემი აქ არყოფნისას ლო ფათერაკს გადაყრია. კონგრესის დღეს დედაჩემი დამიკავშირდა და მაუწყა – დიდად სამძიმო არაფერი მომხდარაო. მაგრამ მღელვარება მაინც შევიგრძენი. ჩამოსვლისთანავე კლინიკაში გავქანდი და იქ, ჩემდა გასაოცრად, მამცნეს, რომ ლო სამი დღის წინ შინ დაბრუნებულა. მას თავად გამოუთქვამს გაწერის სურვილი. მომითხრეს მისი ოპერირების შესახებაც, რაც დედაჩემს არც კი უხსენებია ჩემთან საუბრისას. და ჩემთვის ეს მიუხვდომელია, სრულიად მიუხვდომელი! თანაც მისი გარდახვეწა და ეს ომინოზური ავთრათი...“

„შემდგომ?“

„შემდგომ? ჯერთავად მე დედას გამოველაპარაკე. ლო რომ კლინიკიდან გამოწერილიყო, მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ლოლიტას კოლეგებსაც ამაზე არაფერი მოეხსენებოდათ. ხოლო ამას იქით გზიურ თქვენთან გამოვემართე, მეტი რა ჯანი იყო! ვსასოებ, რომ სწორედ ამრიგი საქმეებისთვის დაარსდა თქვენი სამმართველო.

ხომ მოიძიებთ მას კომისარო?“

ლუტოლსკიმ სათანაგრო მოქენეს თავი დაუკრა. მაგრამ ეს ჭკუადაფანტულობის გამჟღავნება უფრო იყო, ვიდრე მოაჯის დაამინება. „სად მოღვაწეობს თქვენი მეუღლე?“ ჩაეკითხა ის საქმიანად.

„უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის ბავშვთა კერაში. თავად კი მე... ღმერთო, რა ხანია ვსაუბრობთ, თავის წარდგენა კი არც გამხსენებია!“ ის სავარძლიდან ნახევრად წამოიზიდა და კომისარს თავი წარუდგინა: „ნება მიბოძეთ გაგეცნოთ. დოქტორი მაქს ფრიდლენდერი, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის დოცენტი, ბიოლოგიის კათედრაზე.“

„ჰერ დოქტორ ფრიდლენდერო, ამის ალო ისედაც დადგებოდა, ოქმზე ხელმოწერას რომ შეგთხოვდით“, ღიმილით მიუგო ლუტოლსკიმ.

„ხომ არ მიიჩნევთ, რომ ლოს რამე შეემთხვა, ვთქვათ, ეს უსტარი ძალმომრეობით იყოს ნაწერი ან...?“ ჩაუქარაგმა მაქს ფრიდლენდერმა. ის მავედრებლად მიაცეცდა კომისარს.

ლუტოლსკიმ ერთი პირობა ფრიდლენდერის ეჭვი გაიაზრიანა და დაბეჯითებით გაეპასუხა: „არა, მე ამას ვერასდიდებით ვირწმუნებ. თქვენ შანტაჟს ან გატაცებას გულისხმობთ, როგორც ეს გარდასულ დროებებში იყო? მაგრამ მსგავსი რამ ხომ უკვე რამდენიმე ათეული წელია არავის ჩაუდენია.“

„ეს ალბათ იმის ნაყოფია, მოცალეობისას რომ ამ თოთხმეტი დღის მანძილზე ნამეტნავად ვერთობოდი ისტორიული კინოსურათებით. თუმცაღა ასეთ მდგომარეობაში უგუნურებამაც რომ წამოგიაროს, არ უნდა გაოცდე.“

კომისარს გაეღიმა. „ჭეშმარიტად. აწ კი ოქმის შედგენის დრომაც მოაწია.“ ის ერთ-ერთ ღილაკს წამით მიეკარა, საკარნახო მანქანა უჩუმრად ამოცურდა და კომისარი თხრობას მოჰყვა. სამიოდ წუთში მან ძვირუხსენებლად ნაბეჭდი თაბახი ფრიდლენდერს გაუწვდინა: „გთხოვთ ჩაიკითხოთ და მარჯვენა ქვედა კუთხეში ხელი მოაწეროთ!“

მაქსმა ტექსტს საგულდაგულოდ გადაავლო თვალი და ბოლოში თავისი ავტოგრაფიც მიაწერა.

„და რა უნდა იღონოთ?“ შეურვებულად ჰკითხა მან კომისარს.

„თან თუ გაქვთ ფრაუ ლოს ფოტოსურათი?“

ბიოლოგმა უბეში ხელი მოიფათურა და ლუტოლსკის ლოლიტას ფოტო გადასცა. „გამოდგება?“

კომისარი ფოტოსურათს ჩააკვირდა. მეტად შთამბეჭდავი იყო ქალბატონის მცინავი პირისახის ნატიფი ნაკვთები. ის მოხიბლული უმზერდა გამომეტყველ ქუფრ თვალებს, რომლებიც მის მოგრძო ქერა თმას მიმზიდველად ეკონტრასტებოდნენ. ლუტოლსკიმ თავჩაკიდებულ მოპირდაპირეს უჩინრად აჭვრიტა და გულდასმით შეათვალიერა. ნეტამც რამ მონუსხა მასში ეს მოსხივცისკარე არსი? სჯიდა ის. მაქსს ხომ ძვირად თუ ვინმე შერაცხდა მზეჭაბუკად. მაგრამ წარმტაცი სიტურფის ლო ხომ მაინც ნებით მისთხოვდა მას... რამ ააგულიანა ის ველად გაჭრილიყო, რა იმალებოდა ამ ახირებული ნაბიჯის მიღმა? ბიოლოგი ხომ სულაც არ ჰგავდა თავგასულს და შემაწყენს. – მაშ, მასშტაბური ძიება და საშურად, სანამ კვალი გაციებულა!

მან ქალბატონის ხნოვანება გამოიკითხა და თან დასძინა: „კიდევ ერთი, ჰერ დოქტორ ფრიდლენდერო, რა ხანია, რაც გვირგვინი გაკურთხეს?“

„წელიწად-ნახევარი.“

„კეთილი“, გული იჯერა კომისარმა. „ჯერხანად ჩვენ სხვა არაფერი შეგვწევს, გარდა ბრძანების გაცემისა მისი ყოველგან მოძიების შესახებ. სურათი ერთობ უნდა წაგვადგეს, ეს უნატიფესი პირი უსათუოდ თვალში საცემია.

ინდივიდუალური სახმობის სიხშირეს ხომ ვერ გამანდობთ? ასე დაუბრკოლებლად შევძლებ თქვენთან დაკავშირებას.“

ფრიდლენდერი შეჭოჭმანდა. კომისარმაც შეატყო ორჭოფობა და დასძინა: „უსაფრთხოების სამმართველოს ინდივიდუალურ ტალღებზე გადაცემის წარმოებაც ხელეწიფება, თუ ამას საჯარო ინტერესები მოითხოვს.“

„რა თქმა უნდა“, დამყოლად მიუგო მაქსმა და თავისი სახმობის სიხშირეც წამზე მოახსენა. „იმედია, წარმატება არ დააყოვნებს.“

„მაგრამ ესოდენ გამალებით საქმე ვერ წარიმართება. თუ ხელი რამეს მიგვიწვდა, არ გამოგაპარებთ. სასურველია, ადგილობრივი სიხშირის რადიუსს არ გასცილდეთ. მაშ, ზურგი მოგვყუდეთ და ხათრიჯამად ბრძანდებოდეთ!“

მას შემდეგ რაც ლუტოლსკიმ ძებნის განკარგულება გასცა, რასაც მისი კოლეგები გულისყურით მოეკიდნენ, ის კვლავ თავის საწერ მაგიდას შემოუჯდა. მან ფურცელ-კალამი მოიმარჯვა და წერას შეუდგა.

ამგვარი იყო კომისრის ჩვევა: ის მომხდარს ცხოვლად წარმოისახავდა და თავიდათავის ჩასახვდომად მიმართავდა ამ დასაბამით ხერხს, ნაცვლად იმისა, რომ მასში აღმოცენებული აზრები ტელეპათიურ კომპიუტერს ეგროვებინა. სტრიქონი სტრიქონს მისდევდა, გვერდი დაუშრომელი წერით თითქმის გამოლეულიყო.

ერთის მხრივ: ფრიდლენდერმა ლოს გაუჩინარება მხოლოდ დღეს დილით დაადგინა. გარდახვეწა მას ამ ოთხ უკანასკნელ დღეში უნდა განეზრახა, რაკიღა დღეს პარასკევია და კლინიკიდან ორშაბათს გაეწერა.

მეორეს მხრივ: ლოს რომ ინდივიდუალური სახმობი არ წარუმძღვარებია, უტყუარად მოასწავებს მისი ჩანაფიქრის სიავეს. თვითმკვლელთა უმეტესობაც ხომ ამასვე სჩადის.

მესამეს მხრივ: ლოლიტას ცნობები ძლიერ წინაუკმოა. რას უწყოდა ფრიდლენდერი მის წარმომავლობაზე? იმასღა, რომ პანსიონ „სირანში“ ეულ ბალღად აღზრდილა, რის კვალობაზეც მას არავითარი თვისნი არ უნდა ჰყავდეს. მაგრამ ბარათში ხომ გარკვევით აღინიშნება: „მახლობელთ დიდი საფრთხე მოელით და მიხმობენ.“ მოქცევა რატომ არ ძალუძს?

ლუტოლსკიმ ფანქარი განზე გადადო და ნაწერი მრავალგზის გადაიკითხა. ბოლოში კი გამოყოფით მიაწერა: ამრიგად, ფრაუ ფრიდლენდერი თავის ოჯახურ ურთიერთობებსა და წარსულზე წელიწად-ნახევარი წარბშეუხრელად ცრუობდა. სავარაუდოა, რომ მისთვის თვისტომნი, რომლებზედაც მას თითქმის არაფერი გაუთქვამს, მაქსზე უფროსად სათაყვანონი და ძვირფასნი არიან. მაგრამ ჩაუხვდომელია მისი საქციელის უხიაგობა, რატომ არაფერი გაუმხილა ბიოლოგს?

კომისარმა ფოტოსურათი ხელთ იპყრო და უცხო თვალმაისას უკვე მერამდენედ ჯადოქმნილი დააცქერდა. ლო მას სახეში შეჰღიმოდა; მისი მშვენება მართლაც რომ სულწამტანი იყო. არა, მას გული უთხრობდა, რომ ის თვითმკვლელი ვერ იქნებოდა. მაგრამ კრიმინალისტებს ვინღა უწყალობა გრძნობებზე დაყრდნობის უფლება!.. რა ედო მის გადაკარგვას მიზეზად და სად უნდა მდებარებულიყო ის უდედმამოთა პანსიონი?

კომისარმა ბრძანა საჩქაროდ მოეძიათ საბავშვო სახლი, სასწავლებელი ან ნებისმიერი მხარე – დასახლებული თუ უშენ-უკაცრიელი, რომელიც სირანად იყო სახელდებული. შემდეგ გარესამყაროსაგან განაკიდებით კვლავ ფიქრთა ლაბირინთს შეუყვა. მას ერთბაშად ლოლიტას ქსენონში მიგვრა გაახსენდა. იქნებ რამე აკავშირებდა ამ ბედნავსობას მის გაუჩინარებასთან. ლუტოლსკი უსუნთქებლივ ვიდეოფონს მიიჭრა და პროფესორ ფრანცს უხმო.

ეკრანზე გამოჩენილ მედიკოსს სახეზე განცვიფრება აეხატა. უსაფრთხოების სამმართველოდან ის დღესდღეობით არავის გაუცდენია. მაგრამ პაციენტ ლო ფრიდლენდერის ხსენებაზე პროფესორი უეცრად ეხშზე მოვიდა.

„რამ განაპირობა თქვენი ინტერესი ამ, სამედიცინო თვალსაზრისით, გასაოცარი შემთხვევისადმი?“ ჩაეკითხა ის მოულოდნელად.

ეხლა კი კომისარზე მიდგა გაბუცების ჯერი. მისთვის მხოლოდ ლოს გადაკარგვა იყო საგულისხმო, მაგრამ რას გულისხმობდა ეს თმაშევერცხლილი ჯანაოზი?

„ვიდეოფონით ვერ განგიმარტავთ“, სიტყვა გადაუკრა მან. „მეახელით და ამის მეტყველ ყველა მასალას წარმოგიდგენთ.“

პროფესორმა კომისარი გულთბილად მიიღო. ეს იყო მოხდენილი, ორმოცდაათ წლამდე მოყრილი თხელთმიანი მამაკაცი. სათვალეები დიდრონად წარმოაჩენდა კეთილისმყოფელ ლაჟვარდოვან თვალებს, რაც მის ბაგეწვრილ სახეს ფრინველისებურ იერს სძენდა.

ლუტოლსკი მუდამ ერთგვარი შფოთვით იყო შეპყრობილი, ესოდენ სპეტაკად მოპირკეთებულ დერეფნებში რომ მიაბიჯებდა, სადაც კარები განზე სრიალით თვითიღებოდა და იატაკი სულ მთლად ახშობდა ფეხის ხმას... ჰაერში თითქოს ოზონი და სასაყდრო სიგრილე ტრიალებდა, ექიმები და მედდები თავიანთ ქარქარა სამოსელში მას მივიწყებული ორდენის წევრებად ესახებოდნენ.

მაგრამ პროფესორ ფრანცის სამყოფი უფრო ახლოს იყო ჩვეულ სიმყუდროვესთან. თვალს ვეება აკვარიუმი იზიდავდა, იდგა მოხერხებული სავარძელიც. წერწეტი მდივნის მიერ ნათავაზებ ყავას საუცხოო სურნელი ასდიოდა. ისვე და არა მანქანა ალიცლიცებდა უბრყვილო ფაიფურის ფინჯანს.

პროფესორს სწყუროდა იმის შეტყობა, თუ რამ განაზრახვინა ლუტოლსკის სადარბაზოდ მიბრძანება. იქნება მას გაეხსნა აზრი იმ საკვირველებისა, რომელმაც ის და კლინიკის მთელი პერსონალი ასე უსიტყველად გააოგნა. იქნებ ეს სამედიცინო ფენომენი მყისვე შეიცნობოდა; ხომ არ იყო ფრაუ ლო რომელიმე შორეული და უცნობი მცირერიცხოვანი ხალხის ნაშიერი, თუმც ამაზე ანამნეზში არაფრის მითითება არ შეეძლო – ან არ სურდა?

მოსვა თუ არა ყავა, პროფესორმა ავადმყოფობის ისტორია გამონახა და თხრობას მოჰყვა: „ფრაუ ფრიდლენდერი თერთმეტი დღის წინ სასწრაფო დახმარების მიერ იქნა ჩვენს კლინიკაში მოთავსებული. ის გზის უგულისყუროდ გადაკვეთისას ელექტრობუსმა აიტმასნა. შემსწრენი ამაში ცალსახად დაზარალებულს ადანაშაულებენ. მოგვიანებით თავადაც აღიარა, რომ ფიქრმორეული ყოფილა. იმხანად კი ტვინის შერყევისაგან გონმიხდილი იყო. მორიგე ექიმმა კანის უმნიშვნელო დაზიანებასაც ვერ მიაგნო, მაგრამ დადგენილ იქნა მასიური შინაგანი სისხლდენა. მიღებიდან რამოდენიმე წუთში ფრაუ ფრიდლენდერი გრძნობას მოვიდა. დაძგერებული ხიფათი ერთიანად წარხოცილიყო მის ცნობიერებაში – რეტროგრადული ამნეზია, ხომ გესმით?“

ლუტოლსკიმ მას უნებურად თავი დაუქნია.

„პალპირებისას მუცლის არის ქვემო ნაწილში მტეხიარება გამომზეურდა. შეინიშნა სასქესო ჰემორაგიაც. პულსი უფრო და უფრო უარესდებოდა. ამან ოპერირება განურინებელი შექმნა. დანა, უშუალო ინსპექცია და სისხლდენის ოპერაციული შეყენება დღესდღეობითაც უებრო მეთოდებია. მე პირადად ვთავკაცობდი ქირურგიულ ჩარევას და ვფიქრობ, ის ნაშუადღევი მუდამჟამს მეხსომება.“

პროფესორმა კვლავ მოსვა ყავა და კომისრისაკენ გადაიზნიქა, რომელიც მას გაფაციცებით უგდებდა ყურს: „მსგავსს მე არასოდეს მოვსწრებივარ“, ირწმუნებოდა ფრანცი. ის უკანვე გადაიხარა და ჭურჭელი წინ წაიდო. „ჩვეულებისამებრ ჩემს ბიომართულ მანიპულატორს ვეჯექი, საოპერაციო მაგიდაზე პაციენტის მარმარისებრ მკრთალი სხეული ესვენა, რომელიც ელექტრონარკოზში ღრმად და გულდინჯად სუნთქავდა. მე აპარატი გასაკვეთად გავმართე – სამანიპულატორო ხელთათმნიანი მარჯვენით გაკვეთის იმიტირება ვაწარმოე.

ბზინვარე ფხაც დაღმა დაეშვა და სნეულის უსპეტეს კანზე სიგრძივ გასხლტდა: არავითარი შედეგი! მცირეოდენი გაკვეთაც არ მოჰყოლია, კანი არც კი გაპირისფრებულა. გამოგიტყდებით, გავგულისდი, უკვე უნდა დამეჩივლა, რომ მანიპულატორი გაეუვარგისებინათ, მაგრამ უმალვე მომაგონდა, რომ ამას წინათ ის უძრახველად მუშაობდა. ხელმეორედ ვცადე, ვცადე მესამე ჯერაც, მაგრამ ისევე წარუმატებლად. სახტად დარჩენილი მთავარექიმი დამეკითხა, მოკლე ჩართვით ხომ არ არის გამოწვეული, შესაძლოა გაძლიერებულ იმპულსთა გენერატორშიო.

ეს ტექნიკოსთა საურავი გახლდათ და არა ჩემი. მეორე აპარატი, სამწუხაროდ, ჯერ არ იყო კვლავ სტერილური. მეც იძულებული შევიქმენი სამანიპულატორო თათმნიდან ხელი ამომეყო და წინაპრების იარაღთა კომპლექტი შემემზადებინა. ჩვენ ხელის დაბანვის მამაპაპისეულ რიტუალს დამორჩილებაც მოგვიხდა. ჩვენი სტუდენტებისათვის ამ ოდინდელ სადოსტაქრო ხელსაწყოთა ხილვა სულ სხვა რამ იყო! სტერილიზატორში ცხავთა მოთავსებისას კაუჭებისა და პინცეტების, ქირურგიული ნემსებისა და არტერიული კლემების წკარუნი უმეტესობისთვის გაუგონარ პროცედურას წარმოადგენდა.

ფრაუ ფრიდლენდერი ჯერაც ღრმად იყო ძილქუშში, როცა მის ოპერირებას მორიგად მივყავი ხელი. მე სკალპელი გასასხეპად გავმიზნე და... წინანდებურად ვერაფერს გავხდი. კანი ისე გლუვი, ისე უჯეროდ მესხლეტი იყო, რომ არც კი უცვლია სახე. განრისხებულმა სკალპელი ხელსაწყოთა უსტერილო გონდოლაში გადავტყორცნე. მეტადრე სტუდენტთა უსაზმნო-ცნობისმოყვარე გამომეტყველება მაცხარებდა.

„სკლეროდერმია?“ მეკითხებოდა მთავარექიმი.

“ვერ დაგეთანხმებით, მაშინ კანი ტყავისებრ ხისტი იქნებოდა... ლაზერულ სკალპელს ხომ არ მივმართოთ?“ ეხლაც თვალწინ მეხატება, ამის წარმოთქმისას რომ სალოკი თითი პაციენტის სხეულს მივადე, თითქოს ვიქადდი: მინდა შეღწევა და უნდა შევაღწიო კიდეც. და ასეც მოხდა: ლაზერის დანით ამას მარტივად გაერთვა თავი. მაგრამ სისხლი ცვარიც არ გადმოდენილა და როგორღაც შეუსაბამოდ, არაბუნებრივად მიმოიქცეოდა. მომეჩვენა, რომ ჰაერთან თანხლებაზე უგრძნეულად დედდებოდა, რაც სრულიად უჩვეულოა.

ოპერაციულმა ჩარევამ მარცხენა საკვერცხესთან მნიშვნელოვანი ჰემატომა გამოამჟღავნა. ქსოვილი აქაც უკიდურესად ლიპი გამოდგა, მაგრამ საკვერცხე და სისხლის ლეკერტი მაინც გავმიჯნეთ. სისხლდენის გამომწვევი ovarica sinistra არტერიის გასკდომა ყოფილა, რომელიც მსწრაფლ შევახვიეთ. ამასთან სასქესო ჰემორაგიაც უნდა დაგვეძლია. საშვილოსნოს ზემო ნაწილი ჭარბად ლბილი და მომეტებული ჩანდა, რამაც ტრავმატულ აბორტზე აღგვიძრა გუმანი და ეს ეჭვი, სავალალოდ, გამართლდა.

გამოფხეკის სახითაც დიდად სამძიმო საქმეს შევეყარეთ, მაგრამ საბოლოოდ ვერც ამან გადაგვძალა და ექსტირპირებულ საკვერცხესთან ერთად აბრაზიო-მასალაც ჰისტოლოგებს წარვუგზავნეთ...“

ლუტოლსკი პროფესორს მოუთმენლად ჩაეკითხა: „და ფრაუ ფრიდლენდერი, რა სთქვა მან თავის საიასაღო თავისებურებებზე?“

„არაფერი ხელშესახები. მისი კანის სისქე რომ უაღრესია, მისთვის ამაზე არაერთხელ მიუნიშნებიათ. ხოლო თუ მისი ნაამბობი ვირწმუნეთ, ერთგზისაც კი არ წაკაწრულა. მაგრამ ამაზე ფიქრი დღემდე არ მომსვლიაო. ფეხმძიმობამ ფრაუ ფრიდლენდერი განაცვიფრა, საწყალობელმა უსაზმნოდ იწყინა მისი შეწყვეტა, ეცადა დავერწმუნებინეთ, რომ ციკლი ურღვევი ჰქონდა და გუნებაქცევობასაც არ განიცდიდა. სამი დღის შემდეგ დაჟინებით მოგვთხოვა, კლინიკიდან გაგვეწერა. ამ სამ დღეში თუ როგორ დაესხა იარას კილი, ჩვენთვის ამჟამადაც გაურკვეველია. რახან ჭრილობა დანაწიბურდა, მისი დაყოვნების

საფუძველიც გამოგვეცალა და სხვა რა გზა იყო, უნდა გამეშვა. ჰისტოლოგიური ცენტრიდან ჯერაც არ გვქონდა გამოკვლევის შედეგები მიღებული და მანაც აღგვითქვა, უთუოდ გამოგეპასუხებით დამატებით კითხვებზეო.“

კომისარმა თავი ჩაღუნა და პირშენახული ფიქრს მიეცა.

პროფესორმა განაგრძო: „მას აქეთ, კომისარო, მომსწრენი გავხდით გაცილებით ბრუდამსხმელი მოვლენისა. ჰისტოლოგთაგან მიღებული ცნობების თანახმად, ფრაუ ლოს ქრომოსომთა ოდენობა ენორმული აღმოჩნდა – ორმოცდათექვსმეტი ნაცვლად ორმოცდაექვსისა. ზედაც სახეზე იყო ჩარევის შედეგად აღმონაფხვრი მარცხენა საკვერცხე და მასში ჩარჩენილი ორი კვერცხუჯრედი.“ ფრანცი მომლოდინედ დადუმდა.

ლუტოლსკი მოქურუხდა. შეფიქრიანებულს პირზე სრულიად აღხოცოდა ახალგაზრდული უჭირველობა. „ჩემთვის ეს საერთოდ მიუხვდომელია, რას ნიშნავს ყოველივე?“

„დიახ, თქვენ ხომ მედიკოსი არ ბრძანდებით“, მცირედი მედიდურობით გაუღიმა პროფესორმა. „ეს იმის ნიშანია, რომ ფრაუ ფრიდლენდერს არა მხოლოდ ქრომოსომთა ოდენობა აქვს ნორმიდან გადახრილი, არამედ მის სასქესო უჯრედებში რედუქციული გაყოფაც არ ხორციელდება. ამას თან სდევს კვერცხუჯრედთა ეს ექსტრემალურად მცირე რიცხვიც – როგორც წესი, ის ხომ მრავალათასს უნდა შეადგენდეს! და კვერცხუჯრედები რედუქციული გაყოფის გარეშე პართენოგენეზის დასტური იქნებოდა, ქალწულური თვითგანაყოფიერებისა. ეს წარმოუდგენელია. ერთი სიტყვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრაუ ფრიდლენდერი ჩვენთვის უცნობი მემკვიდრეობითი დაავადებით არის დასნებოვნებული ან – რასაც უფრო მისაღებად ვრაცხ – ის განეკუთვნება კაცობრიობის მიუკვლეველ განშტოებას, რომელიც ჰომო საპიენსის გვერდიგვერდ ვითარდებოდა. ეგების ის ამ სახეობის უკანასკნელი შთამომავალიც არის და სწორედ ამიტომ გამოზარდეს იმ სირანში ასეთი ურვა-ამაგით. ხომ მრავლად არიან ნაპოვნი უხვედრში მობინადრე ტომები, რომელთათვის ქვის ხანა ჯერ კიდევ არ გარდასულა. მოიგონეთ თუნდაც ამაზონი ან კალიმანტანი. უთუოდ უნდა გავესაუბროთ ფრაუ ლოს და დავკითხოთ მისი თვისტომნი; კაცობრიობის განვითარების თეორიას ეს სიახლე მნიშვნელოვნად გააღრმავებდა.“

ლუტოლსკიმ მას ქეშად გადმოხედა. „ხომ არ გადავამეტეთ?“ გამოედავა ის მოკრძალებით. „ის ქვის ხანის ადამიანები ხომ სულ სხვაგვარად გამოიყურებიან, ვიდრე ფრაუ ლო. არა, თქვენი პირველი შენიშვნა უცნობ მემკვიდრეობით დაავადებაზე უფრო სარწმუნო ჩანს. შესაძლოა ის ჰიროსიმას ან ნაგასაკის გვიანდელი მსხვერპლია. ჩვენთვის, მოგეხსენებათ, შეერთებული შტატების იმჟამინდელ სამხედრო წრეთა საიდუმლო არქივი დღესაც ხელმიუწვდომელია. თუ მივაგენით მას, უცილოდ აეხდება საფარველი უზღვავ მიჩუმათებულ სენს. რით არის ურიგო ეს მოსაზრება? სიმართლე გითხრათ, მე ამის არაფერი გამეგება, მაგრამ ხომ არსებობს მოულოდნელად გამოვლენადი ერთობლიობა მრავალი მცირე, ფარული ტრავმებისა, რომელიც გენეტიკურ ტვირთად იწოდება.“

პროფესორს სახეზე ღიმი აუთამაშდა. „აკი ბრძანეთ, ამის არაფერი გამეგებაო! ვერ ვიტყვი, რომ გამორიცხულია. მაგრამ მაშინ ფრაუ ფრიდლენდერი სხვა სნეულებებითაც იქნებოდა შეპყრობილი. და ეს, როგორც ჩანს, ასე არ გახლავთ. არა, მე კვლავაც მეორე მოსაზრებისკენ ვიხრები. თანაც რა ხანია ნათელვყავით, რომ ნეანდერტალერი ჩვენი წინაპრის მხარდამხარ ათასობით წელი მკვიდრობდა.“

„ნუთუ ყოვლად შეუძლებელია, რომ ქრომოსომების რაოდენობა გამონაკლის შემთხვევაში ორმოცდაექვსს აღემატოს?“ არ იშლიდა თავისას კომისარი.

„სულაც არა, მაგრამ უსასრულოდ მცირედ. ასე მაგალითად, დაუნ-სინდრომით – რაც მემკვიდრეობითი დაავადებაა – დასნეულებულთა ორგანიზმი ორმოცდაშვიდ ქრომოსომს ითვლის. ოცდამეერთე ქრომოსომი სამგზის მოიპოვება. ამიტომაც ეწოდება ამ დაავადებას ტრისომია ოცდაერთი. ამ ჭარბი ქრომოსომის მატარებელი მძიმე გონებრივ დეფექტს განიცდის. მაგრამ მათი რიცხვის ორმოცდაექვსიდან ორმოცდათექვსმეტამდე ზრდა – ეს გაუგონარი ანომალიაა.“

ლუტოლსკი დუმდა. შემდგომ იკითხა: „თქვენის აზრით, ეს ხომ ვერ იქნებოდა მისი გაუჩინარების მიზეზი? იქნებ ფრთხობდა, ვაითუ მეუღლემ ფსიქიკური მოშლილობა დამწამოსო ან იქნებ ფრთხილობდა, კვლევის ობიექტი არ გამხდარიყო.“

პროფესორს ნესტარად ხვდა კომისრის სიტყვები. გაოგნებული თავდაუნებურად წამოხტა. „ფრაუ ლო გადაიკარგა? დაუჯერებელია! გამოდის, მას მართლაც მეტი მოეხსენებოდა თავის თავსა და წარმომავლობაზე, ვიდრე ეს მაშინ გაგვიმხილა.“

„მეც სწორედ ამის გამოსარკვევად გეახელით, ჰერ პროფესორო. ეს საკვირველი ცნობა სისხამ დილას დოქტორ ფრიდლენდერმა მომაწვდინა. საკვირველი იმად, რომ ფრაუ ლოს გარდა მოკლე უსტარისა, სადაც იხსენიებს: მოყვასთ უნდა გამოვესარჩლო და სანიადაგოდ გეყრებიო, ინდივიდუალური სახმობიც შინ დაუტოვებია. გათიშული. გაგენდობით, რაც თქვენ ეხლა მიამბეთ, ძიებას სულაც არ ამარტივებს. დოქტორ ფრიდლენდერს ჯერ თუ გადაეცით გამოკვლევის შედეგები?“

„განვიზრახე, მაგრამ ვერც შინ და ვერც უმაღლეს სასწავლებელში დავუკავშირდი. დღეს უთენებლივ, სანამ გამოვცხადდებოდი, შეშფოთებული გვწვევია და უფროს მედდას გამოლაპარაკებია.“

„დღესვე უნდა ვამცნოთ. ეხლავე დავურეკავ, ამ დროისთვის შინ უნდა იყოს. მაგრამ უმჯობესია ამაში თქვენ თვითონვე გაარკვიოთ. კოლეგიალურად, ასე რომ ვთქვათ. იქნება ამ საუბარმა წინ წაგვწიოს.“

პროფესორმა ფრანცმა მომწონედ თავი ჩააქნია, როცა კომისარმა მაქს ფრიდლენდერი მისი სახელით კლინიკაში მოიწვია.

„უმალვე მაცნობეთ, თუ რაიმე ახალი თვალსაზრისი წამოიჭრა“, სთხოვა მან გამოსალმებისას. „მე ჩემი ურწმუნობის მიუხედავად, აღმოუჩენელი მცირე ტომის იდეას მაინც შევისწავლი. წინარეყოვლისა, იმ საწყევარ სირანს ვეძიებ. იქაურნი მაინც გაგვარკვევენ თავიანთი აღზრდილის წარსულში.“

ლუტოლსკიმ კვლავ სამმართველოს მიაშურა. შინ უკვე უწყოდნენ, რომ დღე ხანგრძლივი გამოდგებოდა. თავის ბიუროში ეკრანზე საინფორმაციო სამსახურის უფროსი გამოიხმო და საძიებო აქციის მსვლელობა მოჰკითხა.

„თავად იხილეთ“, უპასუხა მან და გადაერთო. ოთხ ეკრანზე ერთიმეორის მიმდევრობით შედეგები გამოისახა: მოსკოვი, რომი, ნიუ-იორკი, სიდნეი; არანაირი მითითება. ალიასკიდანაც იგივე. ჩრდილოეთის გზა, სამხრეთის პოლუსი, საჰარა – და კვლავ უნიშანკვალოდ. კოსმოსური სადგურებიდანაც უარყოფითი ცნობა. დარჩენილიყო მხოლოდ ეკვატორიალური ზონა, პანამა და ჰონოლულუ. მაგრამ ჯერჯერობით არც იქიდან მოღწეულა ნუგეშისმცემელი ნიშანი. ფრაუ ლოს თითქოს მიწამ უყო პირი.

მაქს ფრიდლენდერმა შვებულება ითხოვა, რათა ნებისმიერ წამს შესძლებოდა კომისრის ზარზე გაპასუხება. ზარზე, რომელიც მხოლოდ ამის მამცნობი უნდა ყოფილიყო: თქვენს მეუღლეს მივაკვლიეთ!

მან მშვიდად გამოძინება ვერ შესძლო, უსიამო ზმანებანი მას ერთთავად უკრთობდა ძილს. პროფესორ ფრანცთან საუბრის დაძლევა არც თუ იოლი იყო. როგორ?! როგორ ვერ შეატყო მან ლოს კანის ასე ძლიერ გამოკვეთილი უცნაურობა ან როგორღა ერწმუნა, რომ წარმომავლობით ის რომელიღაც გარეგან, შორეულ ტომს მიეკუთვნებოდა, რომელიც ადამიანათა მოდგმის დიდი შარაგზიდან გადახრით მოძრაობდა. თუმც ვერც სხვა რამის წარმოდგენა შეეძლო, ამ მხრივ ის პროფესორის ვარაუდს იზიარებდა. მაგრამ მის გაპარვას ეს არამც და არამც არ ჰფენდა ნათელს. ნუთუ ლოს ნდობა მისდამი ასეოდენ მცირე ყოფილა?

ის ვიდეოფონის გაწკრიალებამ შეატოკა. მისი წინათგრძნობით, ეკრანზე ლუტოლსკი უნდა გამოჩენილიყო. და ის არ შემცდარა.

„უკვე მიაგენით კვალს, მოიძიეთ?“ სულსწრაფად წარმოსთქვა მან, სანამ კომისარი სიტყვას დაძრავდა.

„სამწუხაროა, რომ იმედს გიცრუებთ, მაგრამ ძიება ჯერ არ დასრულებულა. თქვენ უკვე ბრძანდებოდით პროფესორ ფრანცთან? მაშ, ჩვენ ზოგი საკითხის გაშუქება მოგვიწევს. როდის შემეძლება გეახლოთ?“

მაქსს კოხები შეკვროდა. „ერთ საათში. მობრძანდით, დამკითხეთ, ეს ხომ თქვენი ვალია.“ ლუტოლსკი დიდხანს იმუშავებდა სამერმისო სტრატეგიას. უსაფრთხოების სამმართველოში წინასწარი მოლაპარაკებისას მან ყველა ხელთ არსებული ფაქტი წარადგინა. კოლეგების უმეტესობა, პროფესორის მსგავსად, მიიჩნევდა, რომ ამ ლოს ფენომენი განაკიდებული ტომის არსებობით აიხსნებოდა და მისი გაქრობის საფუძვლად ბიოლოგიურ თავისებურებათა გამოვლენას აცხადებდნენ. ეს ხომ თვით კომისარმაც ახსენა პროფესორ ფრანცთან საუბარში. ნიშანდობლივი იყო, რომ კოლეგებიც მსგავს დასკვნებამდე მივიდნენ. მაგრამ მაშინ გამოსათხოვარი ბარათი თვალთმაქცობაღა ყოფილა...

უსაფრთხოების რეგიონალურმა უფროსმა ნაშუადღევისთვის შეხვედრა ითხოვა. მიღებამდე ლუტოლსკი უთუოდ მაქს ფრიდლენდერთან უნდა გამგზავრებულიყო, უმთავრესად იმის გამო, რომ პროფესორ ფრანცისგან ბიოლოგი ამასობაში ოპერაციასა და ჰისტოლოგიურ თავისებურებებზე უკვე ინფორმირებული იყო. კომისრის გათვლით, ამ გარემოებებს მრავალი წვრილმანი უნდა აღედგინა მაქს ფრიდლენდერის მეხსიერებაში.

შესაძლო პართენოგენეზმა ვოლდემარ ლუტოლსკი ზეშთააგონა. თვითგანაყოფიერება თავს იჩენდა მუტირებულ მყვარებსა და სხვა წყალხმელეთა ცხოველებში, მწერებზე რომ არც ეფიქრა. ჯერ კიდევ 1957 წელს იმდროინდელ შეერთებულ შტატებში პართენოგენეზური შურთხებისა და ბოცვერების მოშენება წარმოებდა. მაგრამ ადამიანს ამის ნიშანწყალიც არასოდეს დასტყობია. ეს ისეთივე ფენომენი იყო, როგორც კანის ის უჩვეულო კონსისტენცია ან სისხლში დალეკერტების მაღალი ფაქტორი. ანტიჰემოფილია, აღნიშნა პროფესორმა ფრანცმა – და ეს უკვე ერთი შესაძლებლობა. მაგრამ ორმოცდათექვსმეტი ქრომოსომი იყო და რჩებოდა უმთავრეს გამოცანად.

როცა ლუტოლსკი სამსახურებრივი აერომობით გარეუბნისაკენ ადგა გზას, სადაც ბიოლოგიის დოცენტი საერთოჯახო სავანეში ბინადრობდა, მისი აზრები უწყვეტად ერთ წერტილს დაჰფარფატებდნენ: განაღა იმ მამაკაცმა ვერაფერი შეატყო თავის ლოს? ის ხომ

ბიოლოგი იყო. განა მას მართლაც არასოდეს გასჭრია კანი ან სხვაგვარად არასოდეს დაზიანებულა? მაქს ფრიდლენდერს ყოველივე ეს ქრონოლოგიურად უნდა მოეთხრო, მათი შეყრის ჟამი და ადგილი კი გამორჩევით. მისი პასპორტი – ამას კლინიკის კარტოთეკა მოწმობდა – ისეთ ალაგას გაეცათ, რომელზედაც ლუტოლსკის მცირედი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა: ავტოფანტასტაში. ნომრის მიხედვით ის მექსიკაში უნდა მდებარებულიყო. მას ამის შესახებაც ეწადა კითხვა...

მაქს ფრიდლენდერმა სტუმარს სახლში შემობრძანება სთხოვა.

„ალბათ წარმოგიდგენიათ“, გამოტყდა ის, „რომ პროფესორ ფრანცთან გუშინდელმა გასაუბრებამ კიდევ უფრო ამამღვრია. როგორც ბიოლოგს, ამის შესახებ კომპეტენტური აზრის გამოთქმა ძალმიძს და უნდა ვაღიარო, რომ იმზომ განლიგებული, როგორც გუშინ აღმოვჩნდი, არცერთხელ ვყოფილვარ. რეტგადასხმული ვუსმენდი პროფესორს. მაგრამ რით უნდა ერწყმოდეს მისი მონაყოლი ლოს გაქრობას? იქნებ მის სხეულებრივ თავისებურებათა აღმოჩენა და ნათესავების მიერ მისი საშველად ხმობა სხვა არაფერია, თუ არა უბრალო დამთხვევა. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს ახლობლები საერთოდ არ არსებობენ...“

ლუტოლსკი მას მოუსვენრად უსმენდა, შემდეგ ჰკითხა: „ხომ ვერ მეტყოდით, როგორღა გაიცანით თქვენი მეუღლე, როგორ მოეკიდეთ ოჯახს?“

მაქს ფრიდლენდერი თავის სავარძელში ოდნავ წინისაკენ გადაიხარა. თითები ერთმანეთს გადააჭდო და თხრობას შეუდგა: „ეს იყო ეხლა უკვე ორი წლის წინ. მე არქეოლოგების, ბოტანიკოსებისა და ეთნოლოგების ჯგუფთან ერთად მექსიკის რეგიონში ვიმყოფებოდი. ჩვენ აცტეკების მანამდე უცნობი ტაძრის კვალს ვადექით და ვიმედოვნებდით, რომ იქ მათ შთამომავლებსაც წავაწყდებოდით. ბანაკი ერთ მომცრო ბუდეში დავეცით, ტულადან – ყოფილი ტოლანიდან – ორმოცდაათ კილომეტრამდე ჩრდილოეთით, სადაც ქვეცალკოატლ-ეგუდური დგას. ადგილს ეწოდება...“

„ავტოფანტასტა“, წაეშველა ლუტოლსკი.

„დიახ. ამას თქვენ საავადმყოფოს კარტოთეკიდან შეიტყობდით. როგორი ჟღერადი სახელწოდებაცაა, ისეთივე უძველესი მხარეა. ტიპური ესპანური დაბა. მიდამოს კვარცხლბეკზე ღვთისმშობლის სადიდებლად ანაყრდენი უზარმაზარი ეკლესია, ბაროკოს უხვ გვიანდელ სტილში. კედლებში უცნაური მიამიტობით ჩაეშენებინათ წინანდელი აკანოს ქვებიც, რომლებზედაც ნიღბები, იაგუარის მეომრები და ათასგვარი სხვა სიმბოლო გამოისახებოდა.

გარდა ამ უშველებელი საყდრისა, იქ იყო პაწაწინა სასტუმრო – „Grand Palace“ –, მინერალური ბინული, ცარიელი მონასტერი, ყაფანი, სადაც მილეთი ყრმა დანავარდობდა და წარღვნამდელი ურიკები, ჩვენდა სასიკეთოდ, ტელეფონი და ყოველ მეთოთხმეტე დღეს ირგვლივ მოხეტიალე ავტობუსი ტურისტებით. მოკლედ, ავტოფანტასტა ადათისა და ზნე-ჩვეულების ცოცხალ მუზეუმად მოგვევლინა. დღეს ეს, დამეთანხმებით, გამაცბუნებელი რამ არის. სასაუბრო ენა იქ ესპანურია. ვგონებ, მხოლოდ ალკალდე, ბიურგერმაისტერი, მეტყველებდა ინტერლინგვაზე, თუმც არც ისე რიგიანად.

როდესაც ოთხთვიანი ველური ყოფის შემდეგ – ჰავის ‚კეთილგანწყობა‘ ხომ ცნობილია: სუსხიანი ღამეები, მცხუნვარე, მტვრიანი დღეები – ისევ ავტოფანტასტას დავუბრუნდით, ჯიპები სადგომზე მოვათავსეთ და კვლავ ადამიანური იერსახე მივიღეთ, მწუხრის ჟამს სასტუმროს სასადილო დარბაზში ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. მისი ელვარე სილამაზე

იმდენად მომნუსხველი იყო, რომ ყველას უკლისად სუნთქვა შეგვეკრა. საოცრად უსული, თვალტანადი, ქერათმიანი და ქუფრთვალება, სიავი ჯინსის შარვლითა და მოწითალო სპორტული პულოვერით, ასე შემოქევქევდა ის დარბაზში. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მამაკაცი ცნობისმოყვარედ შეჰფოფინებდა, თავი უშფოთველად ეჭირა. უსიტყვოდ ერთ-ერთ მაგიდასთან ჩამოჯდა და თავის მცირეოდენი დახრით სალამიც მოგვიძღვნა. ამას იქით მტკიცედ უგულებელგვყო.

ჩვენ უმალვე ალკალდეს ვეძგერეთ, დავეკითხეთ, ვინ იყო, აქ რას იქმდა და როდიდან... რაც ბიურგერმაისტერმა გვიამბო, მეტად უჩვეულო მოგვეჩვენა და მაინც თითქოს არც კი.

დონია ლოლიტა, როგორც მას ავტოფანტასტაში მიმართავდნენ, იქ ჩვენი გამგზავრებისთანავე ჩამოსულა. სასტუმროში პირველად შემოსულს წარმტაცი თეთრი ზედატანი და თეთრივე შარვალი ცმია. ვერაფერი წარმოუთქვამს ესპანურად, ვერც ინგლისურად და მერწმუნეთ, ინტერლინგვაზეც კი. მაგრამ ჟესტებით მიუთითებია, ოთახის დაქირავება და სადილად რამის მირთმევა მსურსო. ხოლო ჟეტონი, როგორც შემდგომში გარკვეულა, ერთიც არ ჰბადებია. როდესაც მან ნასადილევს ქისიდან ორი ოქრო, თითო ბერძნული კაკლის ოდენა, ამოიღო, შემცბარი ნოტარიო ამ ოქროებით Banca des Estados Unidades Mexicanas-ში გაქანდა და ისინი საზოგადოებრივ ჟეტონებზე გადაცვალაო. – ოქროს იქ ადრინდელი ყადარი ჯერაც არ დაუკარგავს, ყველაფერი სწორედ რომ საკმაოდ არქაულადაა.

უცნობი ლამაზმანი დარჩა. მოკლე ხანში ესპანურს დაეუფლა და ცოტაოდენ ინტერლინგვასაც, იქაურ შემოგარენს გაეცნო, ოთახში ტელევიზორი დაადგმევინა და ეტყობოდა, რომ ხანგრძლივად დაყოფას აპირებდა. „მისი აქ ყოფნით ყველა ერთობ მოხარულია' განაგრძობდა ალკალდე." იქნებ ის რომელიღაც ტურისტულ ჯგუფს მოსწყდა ან აბეზარი ქმარი გაწირა, რადგან ყოველ მეთოთხმეტე დღეს, როცა ჩვენთან მწირნი სტუმრობენ, ის უჩინარდება. ამიტომაც განმაცვიფრა დარბაზში მის დღევანდელმა გამოტყვრომამ.'

როგორც მოგახსენეთ, ავტოფანტასტა ქვეყნიერებისაგან განრთული, მივარდნილი დაბა იყო, დრო იქ თითქოს აღარც იძროდა. მაგრამ სჯობს მოკლედ მოვჭრათ. დონია ლოლიტა, ან ლო, როგორც თავად წარმოგვიდგა, მალე ჩვენც გაგვეცნო და გამოწვლილვით მოგვაყოლა ჩვენი სამუშაოების შესახებ. ყველანი ვეტრფოდით, უკლებლივ ყველანი. პირველსავე დანახვაზე გავმიჯნურდით. მაგრამ არჩევანი ჩემზე შეაჩერა. გამომგზავრებამდე რამოდენიმე დღით ადრე ავტოფანტასტას ალკალდემ გვაქორწინა. აქ გაოცებას არ მალავდნენ, მექსიკიდან მეუღლესთან ერთად რომ დავბრუნდი. მაგრამ ლო იმდენად ხალასია, რომ დედამ ის მყისვე გულში ჩაიკრა." მაქს ფრიდლენდერი გრძნობამორეული იგონებდა ყოველ წვრილმანს.

ლუტოლსკი გარინდულიყო. „მაშ, ასე გაიცანით ერთმანეთი. მაგრამ მანამ, როგორ მოხვდა თქვენი მეუღლე იმ, როგორც თქვენ ბრძანებთ, საწუთროს მომწყდარ დაბაში?"

„ჩემი მეუღლე, როგორც უკვე უწყით, მიუსაფარი ბავშვი იყო. ის სირანად წოდებული ბავშვთა კერის შესასვლელთან დაუსვამთ. იქვე აღუზრდიათ და განუსწავლიათ, რაზეც მას საუბრის გაბმა არ სურდა. სამწუხაროდ, ჯერაც ხომ ხდება მსგავსი რამ და ვინ განჭვრეტს, უთვისო ბალღს რა ქარი სად გადააქროლებს. – ყოველ შემთხვევაში, როდესაც ის უკვე სრულწლოვანი გამხდარა, მისთვის თალისა გადაუციათ, რომელიც, მათი თქმით, ჩვილობისას აღმოუჩინეს. იმ ქისაკში – ამას, ცოტა არ იყოს, სანაღლო იერი გადაკრავს – ექვსიოდე ოქრო ყოფილა და ამით ის სამყაროს დასაპყრობად გამოეშურა, ბავშვთა კერის კარდახშულობიდან ნამდვილ ცხოვრებაში უნდა შეჭრილიყო. – დიდ ქალაქში

დასადგურებას ის მორიდებია და ერთ რომელიღაც ტურისტულ ჯგუფთან ერთად ავტოფანტასტას სწვევია. სახელწოდებამ და ადგილმა ფრიად მიმიზიდა და იქ დარჩენა გადავწყვიტეო. ეს არის და ეს, მეტს მე ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ.“

ლუტოლსკი სკეპტიკურად დაფიქრდა. მეტად უცნაური ბავშვთა კერა უნდა ყოფილიყო, გოგოს ექვსიოდე ოქროთი და ენების უცოდინრად რომ ბედს ანდობდა. ის მხოლოდ იმ ანტიკვირებულ მექსიკურ დაბაში დაეუფლა ესპანურსა და ინტერლინგვას. მართლაც უცნაურია. ხომ არ შეთხზა ეს ამბავი ახალგაზრდა ქალმა მომავალი მეუღლისთვის? სიყვარული ბრმააო – ძველი ანდაზა – იქნებ მაქს ფრიდლენდერსაც შეეხებოდა? მაგრამ რად უნდა ეხიმანკლა ტრფიალით ისედაც ხელქმნილი მამაკაცისთვის, სად იყო აქ მოტივი?

კომისარი თავის მოპირდაპირის მომლოდინე მზერას გადაეყარა. „უკვე მთელი რიგი მითითებებისა აშკარად გაგვაჩნია. შუაამერიკულ რეგიონში მყისვე გავაცხოველებთ საძიებო ღონისძიებებს. იქნებ ამან ზოგ საჭირო გარემოებაზე აგვიხილოს თვალი.“

ლუტოლსკი ერთი ხანობა დადუმდა. შემდეგ მორიგი კითხვა დასვა: „მეუღლის წასვლის დღიდან რაიმე ნივთი ხომ არ მოგსაკლისებიათ? თან არაფერი გაუმძღვარებია? სამოსი, საზოგადოებრივი ჟეტონები, სამოგზაურო ატლასი ან მსგავსი რამ?“

მაქს ფრიდლენდერი წამოდგა და სერვოდან ფორთოხლის ყინულცივი წვენი გამოიღო. „თქვენც ხომ არ ინებებდით?“ ლუტოლსკიმ თავი დაუკრა.

„მე მხოლოდ ორ წვრილმანს ვერ ვამჩნევ, ორივე ჩემს მეუღლესვე ეკუთვნოდა: პატარა ძველებური საათი, რომელიც მუდამ მის ტუმბზე იდო. უჩვეულო ნივთი სამი ციფერბლატით. ის ვარსკვლავურ და მიწიერ დროს ასახავდა, მესამე ციფერბლატზე ზოდიაქოს სიმბოლოთა მსგავსი აბსტრაქტული ნიშნები აღიბეჭდებოდა. ვერსად ვხედავ ლოს საქორწილო მოსასხამსაც. ეს იყო ვერცხლისფრად მბზინავი აბრეშუმის საუცხოო ნაქსოვი, გარკვეული არაბუნებრივი სიგრილის მომგვრელი. მხოლოდ ეს საათი და მანტია, იტყოდა ხოლმე, რჩებაო ჩემს მოგონებებად სირანზე.....მისი საქორწილო მოსასხამიც ეს არის. ნახეთ!“ მაქს ფრიდლენდერმა საწერი მაგიდიდან ფოტოსურათი აიღო.

ლო ფრიდლენდერი მართლაც ლამაზი ქალი იყო, როგორც ის იმ სურათზე იდგა, ნეტარი ღიმილით, ქმართან მსუბუქად მკლავგაყრილი და თავ-ტანი იმ ჯადოსნური ქსოვილით მოსილი.

„ელფს მოგაგონებს“, წაილუღლუღა ოცნებას მიცემულმა მაქს ფრიდლენდერმა. “ცხადად კი მისი სიტურფე კიდევ უფრო, ბევრად უფრო შთამბეჭდავია, თითქმის ზღაპრულად, ავტოფანტასტელი ფოტოგრაფი არც თუ დიდი ხელოვანი გამოდგა.“

„ბედნიერი თუ იყავით? მხედველობაში მაქვს: სრულიად პირადულად? როგორი იყო თქვენი მეუღლე? აღწევდით კმაყოფილებას – მათ შორის როგორც მამაკაცი?“

ლუტოლსკის თანამოსაუბრე წამიერად ჩაფიქრდა. „დიახ, რასაკვირველია. თუმც, როგორ გითხრათ, სექსუალურად ის ძალზე თავშეკავებული იყო. მე მუდამ მეუფლებოდა იმის შეგრძნება, რომ ინტიმური ცხოვრება მისთვის მთავარი არ იყო. ასეთი რამ ხომ იგრძნობა. მაგრამ ერთთავად ირწმუნებოდა, უფრო ბედნიერი, ვიდრე შენთან ვარ, ვერ ვიქნებიო...“

„განაღა ის ცხოვრებისაგან ასე მოწყვეტით აღიზრდებოდა იმ სირანში? ან სულაც ფრიგიდული ხომ არ იყო?“

„არამც და არმაც. თავიდან ის შემაწყენ ცნობისმოყვარეობასაც ავლენდა. გამუდმებით მეკითხებოდა, რას განვიცდიდი, რა გრძნობით ვიყავი მოცული..., თავს თითქმის უხერხულად ვგრძნობდი. ამეკვიატა აზრი, რომ ჩემზე, როგორც მამაკაცზე, გამოკვლევას აწარმოებდა. თუ ამას იმ უცნაურ ბავშვთა კერაში განთვისებულ მყოფობას მივაწერთ, აქ თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით. მაგრამ სირანში დანაყოფ წლებზე მას დუმილი

სჩვევოდა. ჩემი ნამდვილი ცხოვრება, არაერთხელ უთქვამს, მხოლოდ შენთან ერთად დაიწყოო.“

„ეს იშვიათობა როდია.“

„და ერთი რამაც ღირსსაყოფია. როცა ერთად ვიყავით, მუდამ თვალხილული იყო, ყოველთვის ეს ცხადი, ფხიზელი მზერა, რაც მე უფრო მეხამუშებოდა, ვიდრე მაგულოვნებდა. მაგრამ სამყაროს მთელი საიდუმლოც ხომ განსხვავებაშია. მე ვეტრფი მას ისეთს, როგორიც არის. მის ამ განუსჯელობას ჯერაც ვერ ჩავმხვდარვარ.“ ის შეზრუნებულად გაცქნავდა.

ლუტოლსკიმ მას მხარზე ხელი დაადო. მამაკაცებში ეს ძველთაგან იყო დამაცხრომელი ჟესტი. „ვიცი, რომ დაგღალეთ, მაგრამ ნუ მიწყენთ!“

ლუტოლსკის შეფი, ცენტრალური ევროპის რეგიონალური სამმართველოს მესვეური, მთავარინსპექტორი იან ვან ააკერენი, საგანგებოდ ეწვია მას ბიუროში. ეს იყო ნიშანი მისი უსაზომო გატაცებისა. თანამშრომლებს ის ჩვეულებრივ თავისთან იხმობდა.

ტანმომცრო, თავის სისრულესთან შეუფერებლად დაუდეგარი მამაკაცი ბოლთას სცემდა ვოლდემარის საწერ მაგიდასთან. ფერთმთოველი მას ოდნავაც ვერ აყუდნებდა, რადგან შენიშვნებითა და წამოძახილებით ის წამდაუწუმ აწყვეტინებდა კომისარს თხრობას. ლუტოლსკის მიერ წარმოებული გამოძიების შედეგები მწირზე მწირი იყო. ყველაფერი კვლავაც განყენებული და ბურუსით მოცული რჩებოდა. არა თუ კვალის ნასახზე, მომხდარის ბოლომდე გაცნობიერებაზეც კი წრესგადასული ჩანდა ყოველგვარი სჯა. ვან ააკერენს ეს რომ ნიშანში არ ამოეღო, კომისარმა ქრომოსომთა სენსაციურად მაღალ ოდენობაზე, პათოლოგიურ დასკვნებსა და „სირანის“ მიუგნებლობაზე მით უფრო უმატა საუბარს.

მთავარინსპექტორი მაგიდას მიუჯდა და მასზე თავმოყრილ მოხსენებებს ჩაუღრმავდა. დამლევს, როცა ყველა მოხსენებას ამომწურავად გაეცნო და ზოგი რამ მოინიშნა, მან ხელმეორედ მოითხოვა სინგაპურიდან მიღებული სურათები. მათზე კალიმანტანში ამას წინათ აღმოჩენილი ქვის ხანისჟამინდელი ტომი აისახებოდა. ვოლდემარს ხელთ არა მხოლოდ ეს ფოტორადიოგრამები, არამედ მთელი სერია ეპყრო. „მე თითოეული სურათის პირი გადავაღებინე, რომელიც კი ამ ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე მსგავს ახლად აღმოჩენილ ტომებზე გამოქვეყნებულა.“

ვან ააკერენმა მას მოცადობა შეუქო და ფოტოების კონა ხარბად გამოსტაცა. ჩაათვალიერა თუ არა, კვლავ ლოს სურათს ჩააკვირდა და თავი უარმყოფლად გააქნია. „საცილო აქ არაფერი მაქვს, მათ ვერავინ მიიჩნევს ფრაუ ფრიდლენდერის თანატომელებად“, გადაჭრით განაცხადა მან და ხელახლა შეუდგა თავის ფოტოგრაფიულ მოგზაურობას. იმავდროულად ის ბოლოუჩინრად ნიღნიღებდა, უფრო თავისთვის, მაგრამ ლუტოლსკი საკმაოდ კარგად იცნობდა თავის უფროსს და ჩინებულად გრძნობდა, რომ მისი ფთქვენა უმთავრესად მისკენ იყო მიმართული.

„სახელდაუდებელი რამაა. ის შესარისხი ქრომოსომები და ის კანი და სისხლი რომ არა! რამდენად სერიოზულ ხალხთან გვაქვს საქმე იმ ჰისტოლოგიურ ინსტიტუტში, შეცდომა გამორიცხულია?“

„სრულიად. საუკეთესო ექსპერტები არიან. პროფესორი ფრანციც. არა, ამ კუთხით ჩვენ საქმეს ვერ მივუდგებით. მაგრამ იქნებ ეს მართლაც გენეტიკური სურათის მხოლოობითი ავადმყოფური სახეცვლაა?“

„დასაშვებია, მაგრამ ვინ იცის. ან ის მოსაზრება ადამიანის აქამდე აღმოუჩენელ განშტოებაზე. თითქოს სავსებით მისაღებად ჟღერს. მაგრამ განა მას დღემდე ვერ მისწვდებოდნენ? თუმც – კაცმა რომ თქვას, არც არის გამორიცხული, ჩვენ ვერ ვამჩნევდეთ და ასეთი ადამიანები მრავლად იყვნენ ჩვენს შორის, ათასობით და ასიათასობით.“

„შეუძლებელია ყველა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ფრაუ ფრიდლენდერს ჰგავს, გამოვაკვლევინოთ!“

„ცხადია, ეს ჩვენს ძალებს აღემატება. მაგრამ თუ ის, რაც იმ ავთრათში მოიხსენიება, სინამდვილეა, მაშინ იმ ადამიანებს შორის გარკვეული ერთობა უნდა არსებობდეს. ‚მახლობელნი’, მათი კლანი, ხომ ხვდებით?“

„მაგრამ სად? სადღა უნდა ვეძიოთ?“

ვან ააკერენი წამით გაიტვრინა. „და ის სირანი, რასმე მიაკვლიეთ?“

„არა, საერთოდ ვერაფერს! არც ერთი დასახლებული კუთხე, მთა თუ ზღვა, არც ერთი ციდა მიწისა არ დაგვრჩენია ყურადღების მიღმა, მით უმეტეს საბავშვო სახლი ან სულაც ქალთა პანსიონი. გეოგრაფიული კომპიუტერის ყველა ცნობა უარყოფითია. ვერც აღმზრდელობის მსოფლიო სამმართველომ გაგვიმართა ხელი.“

„იქნებ ქალბატონმა უბრალოდ იცრუა. მაგრამ რატომ? ჯერჯეობით ერთადერთ შეუსაბამობას იმაში ვავლენთ, რომ ის მეუღლეს უყვებოდა ეული ბალღი ვიყავიო. გამოსათხოვარი ბარათი ამას, სულ მცირე, საეჭვოს ქმნის. მაგრამ სად იმალება ამ წინაუკმობის დასაბამი, უსტარში თუ პირველ მტკიცებაში? და სირანი? ბარათში ის გაკვრითაც არ არის ნახსენები. იცით რა, ვოლდემარ? მე ვეცდები ვიდეოსაუბარი გავმართო იმ ბიურგერმაისტერთან, თქვენ რომ ახსენეთ ავტოფანტასტელი ალკალდეო. ის ხომ სწორედ იქ მოექცა პირველად ფრიდლენდერის მხედველობის არეში.“

მან ვიდეოფონოკავშირის განკარგულება გასცა და ორიოდ წუთში ეკრანზე მისი მექსიკელი კოლეგა გამოჩნდა. ავტოფანტასტაზე შეკითხვამ შემაცბუნებლად იმოქმედა. „იმ პაწაწინა მიძინებულ დაბაში ვიდეოფონიც კი არ არსებობს. ჩვენ Cuidad de México-ში მოგვიწევს ალკალდეს ჩამოყვანა, რადგან ტულადან დაკავშირება მოხერხდება თუ არა...“ მექსიკელმა მხრები შეიშმუშნა.

„როდისთვის ველოდო დაკავშირებას?“ სურდა ვან ააკერენს შეეტყო.

„არა უადრეს ორი, სამი საათისა.“

„ნუ გეფიქრებათ! მე მოვიცდი.“

მთავარინსპექტორი აცმუკებული მიმოაბიჯებდა. „ეს თავის მოთხრაა თითოეული ჩვენთაგანისთვის“, ჯავრობდა ის. „დღეს ხომ შეუძლებელია ადამიანი უბრალოდ გაქრეს, დაიკარგოს უგზოდ და უკვალოდ. მე კიდევ ერთხელ ავტეხ დიდ საძიებო განგაშს. ორბიტალური სადგურებისა და მანგისა და მარიხის ლაბორატორიების ჩათვლით. იქნებ რომელიმე სატრანსპორტო ხომალდის უჩინარი მგზავრია, ვინ იცის?“

ის სავარძელში ჩაეშვა და სამბრძანებლო მოწყობილობა თავისკენ მოზიდა. თითქმის მონოტონური ხმით გასცა მან თავისი ორდერი, ლუტოლსკი მის თვალდათვალ მდუმარედ იდგა.

„და ერთიც.“ იან ვან ააკერენი წამოდგა. „გთავაზობთ, ჩვენი სამმართველოს ექსპერტებმა საგანგებოდ გაჩხრიკონ დოქტორ ფრიდლენდერის ბინა. ჯერ ბინის ჩხრეკა ხომ არ განხორციელებულა?“

ლუტოლსკის სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. „მე ეს საჭიროდ არ ჩავთვალე.“

„სავსებით ჩემი აზრისა ბრძანდებით“, თავაზიანად მიუგო მთავარინსპექტორმა. „მაგრამ ეს მაინც არ აგვცდება. ამჯერად ნაკლებად ვეცადოთ იმის დადგენას, თუ რა არის გამქრალი.

ჩვენ უფრო დღიურებს, ფოტოებს, ძველ სამგზავრო ბილეთებს და სხვა მსგავს მონაცემებს ვსაჭიროებთ, ახალ საბრჯენს რომ წავეტანოთ. თქვენ იცით, რასაც ვგულისხმობ. ის სირანი და შემდეგ კიდევ ის მისტერიოზული ‚მახლობელნი', რატომ მაინცდამაინც თვისტომნი? ხომ სავსებით შესაძლებელია, მეგობრებზე ან ნაცნობებზე იყოს საუბარი. ყოველი უწყინარი წვრილმანი მნიშვნელოვანია."

Cuidad de México-სთან დაკავშირებამდე დროის შესამოკლებლად ლუტოლსკიმ თავის შეფს ზეზეურად წახემსება შესთავაზა. მთავარინსპექტორმა ვახშამი მოიწონა და ლუდიც ხამუში სმით გამოცალა. „თქვენი რადებერგერი დაუსადარია", შენიშნა მან, როცა უკვე გონგის ხმაც გაისმა. ეკრანზე კვლავ მექსიკელი კოლეგა იყო, მის გვერდით გრუზათმიანი მოდაბლო მამაკაცი იდგა, რომელსაც ბორგვისაგან ულვაში უკრთოდა და შუბლზე ღვითქი გადასდიოდა.

„ეს სენიორ ლოპესი გახლავთ, ავტოფანტასტას ალკალდე", წარადგინა ის მექსიკელმა კოლეგამ. „სენიორ ლოპესი გთხოვთ, გაკვეთილად ისაუბროთ, რადგან ინტერლინგვას თავისუფლად არ ფლობს." ამის წარმოთქმისას მას ბაგეზე ღიმი აუციმციმდა, თითქოს ამბობდა: ძვირფასო შუაევროპელო კოლეგავ, ამ მიყრუებული სოფლის ალკალდემ რა საგულისხმო ცნობა უნდა მოგაწოდოს.

„კოლეგავ ლოპეს, გარკვევით თუ გესმით ჩემი და მკაფიოდ თუ მხედავთ?" ჰკითხა ვან ააკერენმა შესავლის სახით.

ლოპესმა ცქვიტად დაუდასტურა და სიხარულით აღვსილს, ევროპელმა მთავარინსპექტორმა რომ კოლეგად მოიხსენია, თავლები გაუბრწყინდა.

„სენიორ ლოპეს, საქმე ეს გახლავთ: ჩვენთან ერთი მანდილოსანი გაუჩინარდა, თქვენ მას იცნობთ. დოქტორ მაქს ფრიდლენდერმა მოგვახსენა, რომ თქვენ, სენიორ ალკალდე, წელიწად-ნახევრის წინათ ის და მისი მეუღლე ლო აქორწინეთ. გაგონდებათ?"

ლოპესს ლაღად გაეღიმა. „ცხადია, რაღა თქმა უნდა!" წამოიძახა მან ცოცხლად. „ვის ძალუძს იმ ქალბატონის დავიწყება, დონია ლოლიტას აქ დღესაც ყველა იხსენებს."

„მესმის. შეგიძლიათ მითხრათ, როგორი შთაბეჭდილება დატოვა ავტოფანტასტაში დონია ლოლიტას პირველმა გამოჩენამ? მხარმოქცეულობა ხომ შესტყობია, იყო თუ არა სულიერად სრულიად გაწონასწორებული?"

ლოპესი ფიქრს მიეცა. „მახსოვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მომეჭრნენ და ცქაფვით მომახსენეს, სასტუმროში უცხო მანდილოსანი მობრძანდა, ვერც ესპანურად და ვერც ინგლისურად ვერ მეტყველებსო. ხელებით გვანიშნა, სადილის მირთმევა და ძილი მსურსო. მე სასტუმროში გავემართე. არა, დონია ლოლიტა კეთილშობილი სეფექალის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომელმაც, როგორც ჩვენ მოგვეჩვენა, ტურისტულ ჯგუფთან მოგზაურობის განგრძობა არ ინება და ჩვენთან ავტოფანტასტაში განაპირდა. ის ბევრს კისკისებდა და ლაპარაკობდა კიდეც, მაგრამ ჩვენთვის გამოუცნობ ენაზე. ჩვენის ვარაუდით, შესაძლოა უნგრული ან ფინური ყოფილიყო."

„უნგრულსა და ფინურს რით მიამსგავსეთ?"

„იმით, რომ ამ ქვეყნებიდან უწინ არავინ გვწვევია. ფრანგულს ის არ ჰგავდა, არც გერმანულსა და იტალიურს და არც სლავური ენა იყო. აქედან ჩვენი დასკვნაც. ამასთანავე, თმების სიქარვისფრე უფრო ფინეთზე მიგვანიშნებდა."

ამ დასკვნით გაოგნებულ მთავარინსპექტორს კრინტი გასწყვეტოდა. „და ის ოქროთი იხდიდა?" ჩაეკითხა ის შემდგომ.

ლოპესს ფერი გაუკრთა. „თქვენ ამას უწყით? მაგრამ ეს კანონით ნებადართულია, ჩვენთან საზოგადოერბივ ჟეტონებთან ერთად მექსიკური დოლარებიცაა მიმოქცევაში."

„დიახ, დიახ“, დაამშვიდა ის ვან ააკერენმა. „ექსპედიციის გამობრუნებამდე, რომლის რიგებში მაქს ფრიდლენდერიც იყო, რა ხნით ადრე გესტუმრათ ფრაუ ლო?“

„იმ დროისთვის რვა კვირამდე იქნებოდა გასული. ის ბევრს დადიოდა ხალხში, იწაფებოდა ესპანურში; მინდა იცოდეთ, ენას ძალიან სწრაფად ითვისებდა. ინტერლინგვას ის სატელევიზიო კურსის მეშვეობით სწავლობდა. და მისი მჩხრეკელობა გარემოუცველი ჩანდა, ყველაფრის შეცნობა სურდა, ჩვენი წარსულის, როგორ ვცხოვრობდით... წიგნებს ნოტარიოს ესესხებოდა, რომელმაც, მართალია, მითხრა...“ ლოპესს ენა დაება.

„რა გითხრათ ნოტარიომ?“

„ძნელად სარწმუნოა, მაგრამ როდესაც ფრაუ ლოლიტა დოქტორ ფრიდლენდერთან ერთად ევროპაში გაემგზავრა, ნოტარიიო ბარში ბაქებს შლიდა, ქერათმიან დონიას წერა-კითხვა მე შევასწავლე, ის სრულიად უცხო შრიფტით წერდაო. წაკითხული ლექციების საზღაურად მას ერთი ოქრო გაუღია და პირობა შეუკრავთ, რომ მისი უბირობა არსად გაითქმებოდა.“

„თუ ასეა, წიგნების მონათხოვრება უფრო საბაბიღა ყოფილა?“

„შესაძლოა. წერა-კითხვის უცოდინარი კი ის მაინც არ იქნებოდა. იქნებ ის ფინური იყო? ვერაფერს გეტყვით.“

„და როგორი ნირისა ჩანდა?“

„ოჰ, სენიორ, ის ხომ ღვთაება იყო! სულმუდამ მომღიმარი და დალხენილი იცქირებოდა, ყველას მიმართ სალმიანი, მეტადრე ბავშვებს შეაყვარა თავი. ზოგი მოხუცი ინდიო მას ისე ეთაყვანებოდა, როგორც წმინდანს.“

„დიდად ვართ თქენგან დავალებული, სენიორ ლოპეს. თქვენი შემწეობა ფასდაუდებელია. სხვათა შორის: ავტოფანტასტაში ან მის მისადევარში სირანის სახელწოდების რაიმე ადგილი ხომ არ არსებობს?“

ლოპესს ფიქრი მოერია. „სირანი? არა, მაგრამ ეს მე ადრეც სადღაც მსმენია. დიახ, უკვე მომაგონდა: დონია ლოლიტა გვიამბობდა, საბავშვო სახლ სირანში აღვიზარდეო.“

ვან ააკერენმა ამოიოხრა. შემდეგ კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება სენიორ ლოპესისა და კოლეგისადმი Cuidad de México-დან.

ეკრანის გასპეტებაზე ლუტოლსკიმ დაუფარავად დაამთქნარა. „დღეს ამას დავჯერდეთ, მოსხივცისკარე ფრაუ ლო კი ძილშიც დაგვეზმანება“, მიმართა მას მთავარინსპექტორმა.

ჩხრეკისთვის ვან ააკერენმა ლუტოლსკის რამდენიმე ექსპერტი გამოუყო.

მაქს ფრიდლენდერი მათ აღგზნებული შეუძღვა სახლში. თუმც კომისარმა ვიდეოთი ჩხრეკის მიზანი განუმარტა, მისთვის არგუმენტები ბუნდოვანი რჩებოდა.

როდესაც ლუტოლსკიმ ცალსახად განაცხადა, მთელს ზედეთზე სირანის სახელი არაფერს ადევსო, მან ურწმუნოდ თავი გააქნია. „არ მესმის, მართალია, მას ამაზე ხშირად არ უსაუბრია, მაგრამ სახელი სირანი მრავალგზის ახსენა. იქ ჩააბარა მან თავისი საგამოშვებო გამოცდები. როგორ უნდა მოვიდე გულისხმას? იქნებ საძიებო აქცია ვერ არის საჭირო დონეზე წარმართული.“ მაგრამ როდესაც შეიტყო, თუ რამდენ დაწესებულებას ერწმუნა სირანის მოძიება, თავი მჭვუნვარედ ჩაქინდრა.

ამასობაში მათ მთავარინსპექტორმაც შემოუსწრო. ვან ააკერენმა გადაწყვიტა, მაქს ფრიდლენდერისთვის თავად მიეხედა, რათა ლუტოლსკი და მისი ექსპერტები შეუფერხებლად შესდგომოდნენ თავიანთ საზრუნავს. მისთვის ჩვეული აღუშფოთველობა და საუბრის გულდინჯი მანერა ბიოლოგს ნდობას უნერგავდა. მან ისიც უკიდურესად მშვიდად აღიქვა, რომ მის მეუღლეს მანგზეც და არიაზეც ეძიებდნენ. მხოლოდ მისი ხმა

ოდნავ ანათრთოლი ჩანდა, როცა იკითხა: „ხომ არ არის ეს იმის მეტყველი, რომ ლოს პოვნა, საერთოდ, სათუო გახდა?“

„შესაძლებელია.“

„რას ნიშნავს შესაძლებელია?!“ ჯიქურ მიახალა მან. „ეს გაუსაძლისი მდგომარეობაა. იმ საზარელ ცნობასაც უკეთ გაუძლებდა ადამიანი, რომ თუმც იპოვეთ – მაგრამ გარდაცვლილი.“

„ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, მაგრამ კვალს ჯერ ვერ მივაგენით.“

მაქს ფრიდლენდერი თავისთვის სარკმელთან დადგა და უილაჯოდ მხრები ჩამოყარა.

იმის შემხედვარე მთავარინსპექტორს, თუ როგორ ებრძოდა ის საკუთარ გრძნობებს, გული აუკვნესდა. მალევე უჩუმრად წამოდგა და ლუტოლსკისთან გაემართა.

კომისარი და მისი დასი გულმოდგინედ ჩხრეკდნენ. მათ ყველაფერი გამოიკვლიეს, თითოეული კედელი, თითოეული კარადა, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი გამოინახა.

„ეხლა უცილობლად დოქტორ ფრიდლენდერს უნდა დაველაპარაკოთ, ზოგიერთი რამ უნდა აგვიხსნას. მხოლოდ მან იცის, რა არის მისი მეუღლის კუთვნილება ან შეინიშნება თუ არა ცვლილებები?“

„მცირე ხანს ნურაფერს დაეკითხებით, ძალზე მახვრალად გამოიყურება“, ხმადაბლა მიუგო ვან ააკერენმა.

ლუტოლსკის ფეხმარდად თანამშრომელი დაუმხარდამხარდა და ტელექსი გადასცა. „ეს წამია რაც ანატოლიის რეგიონალური სამმართველოდან მივიღეთ, სირანთან დაკავშირებით.“

კომისარმა ფიცხლავ გარეკანი გახსნა. ვან ააკერენმა უბიდან სათვალეები ამოიღო და ნაწერს მანაც გადააწვდინა თვალი: „ანკარა. დრეზდენის უსაფრთხოების სამმართველოს. სირანი გიუმიუზანეს ოლქში მდებარე მცირე მთიანი ადგილის სახელწოდებაა, შავი ზღვის სანაპიროდან ასამდე კილომეტრის მოშორებით. ას თოთხმეტი წლის წინ სირანი მიწისძვრამ გაავერანა და არახელსაყრელი მიმოსასვლელი პირობების გამო ხელახლა არ აღუდგენიათ. მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება სირანში არასოდეს არსებულა. გთხოვთ, დახანება შეგვინდოთ, მაგრამ პირისაგან მიწისა აღგვილი სირანი ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია პირველადი გამოკვლევებისას. იოლიომუდი, თურქეთის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი.“

„კვლავ მცდარი შეტყობინება!“ ვან ააკერენმა სათვალეები მოიხსნა. „საწად კვალს ეს, არა მგონია რომ წააგავდეს.“

ლუტოლსკიმ კვერი დაჰკრა და ისევ ექსპერტებს მიუბრუნდა. არსებითს ისინი უწინდებურად ვერაფერს აკვლევდნენ. „ყოველი ცდა უქმია, კომისარო“, დრტვინვით შესჩივლა მას ერთ-ერთმა. „მაგრამ სხვა რასმე წავაწყდით. ხერგულზე, რომელიც საცურაო აუზს გარს ეკვრის, ზედა ფოთლები ჩამხმარია. მხოლოდ რტოთა წვეტები. ჩვენ სინჯი ავიღეთ ლაბორატორიისთვის.“

„ჩინებულია, ფერნაქცევი ფოთლების წყვილი! ლაბორატორიაში ხომ აღტაცებულნი დარჩებიან ამ აღმოჩენით“, ლუტოლსკიმ ამოიხვნეშა და თავის შეფს მიუახლოვდა. „დოქტორს, ვფიქრობ, გული მოოხებული ექნება.“

იჩქითად ტალანიდან მცირედმა გახმაურებამ მოატანა, თითქოს საკეტს ვინმემ გასაღები მოარგოო. ამას მეყსეულად შემოსასვლელი კარის ჯახანი მოჰყვა. ვესტიბიულიდან ფეხის ხმა შემოისმა...

„იქნებ ლო თვითონვე დაბრუნდა!“ წამოიძახა ლუტოლსკიმ და შუაკარს ეკვეთა. ის ლაზათიანი ჭაღაროსანი მანდილოსნის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც მას ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით გაცეცებული ჩააცქერდა.

„ვინ ბრძანდებით? რას სჩადიხართ აქ ყველანი? ჩემი ვაჟი სადაა?“ პასუხს ითხოვდა ის გზააბნეული.

კომისარმა მომხდარს მყისვე აართვა ალღო. „თქვენ ფრაუ ფრიდლენდერი, დოქტორ ფრიდლენდერის დედა ბრძანდებით?“

„სხვა ვინღა ვიქნები? მაგრამ თქვენ...“

მაქს ფრიდლენდერს დედამისის აკაპასება მისწვდენოდა. ოთახიდან გამოვიდა და დედა გულზე მიიკონა. „ნუ ცხარობ! ეს უსაფრთხოების სამმართველოს თანამშრომლები არიან, შენ იცი. ლო ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი.“

ფრაუ ფრიდლენდერმა თავი შემსმენად დააქნია.

„ჩვენ აქ ერთხელაც მიმოვიხედეთ, ცხადია, თქვენი ვაჟის ნებართვით. ვეძიებთ ყველაფერს, რაც ფრაუ ლოს ეკუთვნის ან რის გადამალვაც მას სადმე შეეძლო.“

ამან დროული ქალბატონი დააფიქრა. „რამდენადაც ვიცი, აღარ ჩანს მხოლოდ მისი საქორწილო მოსასხამი და საათი. და რა ბედი ეწია იმ უცნაურ სამშვენისს, ის კვლავაც იქვე ძევს?“ ჰკითხა მან თავის შვილს.

„ვერ გეტყვი, კარგა ხანია თვალი არ მომიკრავს. ლოს ხომ მისი ტარება არ სჩვევოდა. არც კი მახსოვს, რა მიუგნებ ადგილას გადაინახა.“

„მე მახსოვს. ბაროკოს კარადაშია.“

„ბაროკოს კარადაში?“ გაოცდა ლუტოლსკი. „მაგრამ ის ჩვენ ხომ გავაშუქეთ. არანაირი ლითონის კვალი, არანაირი ფარული უჯრა.“

„მაგრამ ბაროკოს კარადში ფარული უჯრა, რასაკვირველია, არსებობს. თქვენ იმ რენდგენის სხივებით ვერც შესძლებდით ამის დადგენას. მთელს კარადაში ერთი რკინის სამსჭვალიც ვერ მოინახება. უკლისად ყველა ნაწილი მუხის წირწკიმლებითაა შერთული, უძველესი ქმნილება გახლავთ.“ მის სიტყვებში ნათლად იკვეთებოდა მოკრძალებული სიამაყე კარგი საოჯახო ნივთის გამო.

„ფარული უჯრა?“ სახტად დარჩენილიყო მაქს ფრიდლენდერიც. „ამის შესახებ ხომ მე არაფერი მსმენია.“

„ჭაბუკობისას შენ ის ნანახიც გაქვს, მაგრამ ამით მაშინ დიდად არ გატაცებულხარ. აბა, როგორ დაიხსომებდი, როცა სულ სხვა რამ გადარდებდა, ვიდრე ძველი უჯრები ძველ კარადებში. იმ ყუთზე მე ლოსაც მივუთითე და კარგად ვიცი, რომ გაუსაქმისებლად არ ტოვებდა.“

დედაბერი მუხის კარადისკენ გაეჩქარა და რის ვაინაჩრობით სამი ქვედა უჯრა გადმოსწია, პირველი მხოლოდ მეოთხედზე, მეორე ნახევრად, მესამე კი ისე ღრმად, რომ საცაა დაენარცხებაო, დაფეთდა ლუტოლსკი.

„ესეც ასე“, სული დააღო ფრაუ ფრიდლენდერმა. „გული ოდნავ მიმძიმს, თუმც ჩემს ასაკში ეს რა მოსატანია. ეხლა კი განვაგრძოთ.“

მან რელიეფური დაფა გააღო, დაბლა ჩამოსწია, შუა უჯრა ერთიანად გამოიღო, მარცხენა კედელს ხელი მიაჭირა და – ვიწრო საიდუმლო უჯრაც გამოცურდა. „უწინდელ ოსტატთა ნახელოვნებია, ულითონოდ, მხოლოდ ხის მექანიკაზე დაყრდნობით“, გაიორლესულა მან ნაკეთობის შემამკობლად.

ყველამ კისკასად წინ წაიწია. უჯრის ძირზე ყალამქარით შეფუთული ნივთი და თხელტანიანი დავთარი იდო. ლუტოლსკიმ პირველისკენ გაიწვდინა ხელი,

მოფრთხილებით აიღო და საფარველი შემოაცილა. შიგ ჭიაფერი ქვიდან ამოტვიფრული უნატიფესი ფარღული იდო. საუცხოოდ მოვარაყებული, ეგზოტიკური ხიბლით აღსავსე და იმის კვალად, თუ რა კუთხით ხვდებოდა შუქი, არეკლავდა ხან ფრინველებსა და თევზებს, ხან კი ყვავილებს.

„ჯვრისწერის დღეს ვუძღვენი ლოს“, გზნებით იგონებდა მაქს ფრიდლენდერი. „ძველი ინდიოების ნამუშევარი უნდა იყოს, ოლმეკთაჟამინდელი. თუმცაღა არასოდეს უტარებია, ყელზე თოშად ვგრძნობ და მაკავკავებსო, ამბობდა. მაგრამ ამაშიც ჩავიხედოთ, მიბოძეთ!“ მან რვეულს ხელი მოავლო და აჩქარებით გადაშალა. „დედა“, თქვა მან ცბუნებით, „იქნებ გამარკვიო. ესეც ლოს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ ეს რა უჩვეულო შრიფტია? ძველებური სტენოგრაფია ხომ არაა? შენ ხომ პროფესიულ სკოლაში სტენოს ასწავლიდი, გეცნობა?“

ყველას გულისყური თხელტანიანმა დავთარმა მიიპყრო. სტრიქონები თავისუფალი ხელწერით, თუმც თითოეული იქ მყოფისთვის უცხო შრიფტით მისდევდა ერთიმეორეს. ფრაუ ფრიდლენდერმა მას მეცადად თვალი შეავლო და მცირედი გაფიქრებისთანავე ხელები გაასავსავა. „ეს არავითარი სტენოგრაფია არ არის, ასეთი რამ ჯერ არასოდეს მინახავს.“

მთავარინსპექტორი დანაფიქრი ფურცლავდა. შემდეგ თითი წალოკა და ქვედა კუთხეში ასოების წაშლა სცადა. „თანამედროვე კალმით არის დაწერილი, უეჭველია, ძველებური მელანი ეს არ გახლავთ.“ ის უგრძნეულად გაცხოველდა. „აქ პირველი წინადადება ინტერლინგვაზეა დაწერილი, აგერ, მარცხენა ზედა ნაპირას: ლო ფრიდლენდერი, დრეზდენი, ელსტერნვეგის 11. – ეს ხომ თქვენი მისამართია!“ მან დავთარი მაქს ფრიდლენდერს გაუწოდა და სტრიქონებზე მიუთითა: „ეს თქვენი მეუღლის ხელწერაა?“

სწორედო, ცალსახად დაუდასტურეს მაქს ფრიდლენდერმა და დედამისმა.

„ჩვენ დავთარს დროებით თან წავიმძღვარებთ“, განუცხადა მათ მთავარინსპექტორმა და წამოიმართა. დონია ლოლიტა რომ უცხო შრიფტს მიმართავდა, განა ეს ავტოფანტასტელმა ალკალდემაც არ ახსენა? და ის მოკლე წანაწერი შეგირდულ მუყაითობაზე უფრო მეტყველებდა, ინტერლინგვას წერაში გაწაფული ხელი ეს არ იყო! ამის საპირისპიროდ უცხო ასოებს გაკრული ხელი აშკარად ეტყობოდა. იქნებ იდუმალ ზრახვათა გასაღებიც ამ ნაწერს ამოფარებულიყო?

მთავარინსპექტორი და მისი თანამშრომლები დედა-შვილს გამოეთხოვნენ, რომელთა სასოწარკვეთა ამ მონახულებით მცირედაც არ განელებულა.

იან ვან ააკერენს იმ ღამეს ხშირად ვერ ეძინა. ფრაუ ლო მას არც აქ ასვენებდა. ის თეთრად მორთული ძველებურ ქალაქში სადღაც მიიჩქაროდა, ნაზად, თითქოს უწონოდ. მთავარინსპექტორი კი ქლოშინით მიიწევდა მის კვალდაკვალ, პირში სასტვენმომარჯვებული, რომელიც ჯიუტად დუმდა. სცენარი მდოვრედ გარდაისახა. მერხზე ჩამომჯდარი, გაქვავებულიყო, რადგან მის ხელ-ფეხს მჭიდროდ შემოსწვდენოდა თეთრი ლაბადანი. ეს ხომ ლოს საქორწილო მოსასხამი იყო...

მთავარინსპექტორმა თვალები აახილა. დილის ოთხი საათი უკვე სრულდებოდა, მზის პირველი სხივები ჯომარდად შერკინებოდნენ ღამის უკუნს. უშით წამოიზიდა ის სარეცლიდან და გრილზამბარიან იატაკფენილზე ფეხშიშველი აწრიალდა. მას ეს სიამეს ჰგვრიდა, ეხმარებოდა აბნეული აზრების დალაგებაში.

შინაგანად ის კრულავდა კიდეც იმ უსაზმნო ზმანებას, მაგრამ უნდა ეღიარებინა, რომ მთელი ამ შემთხვევის ჩასახვდომად მხოლოდ სარისტა და ხელმიმყოფლობა საკმარისი არ იყო. იქნებ ის წარსულთანაც კი ყოფილიყო რაიმე კავშირში...

პატარა დავთარზე ფიქრს ის თავიდან ვერ იცილებდა. მისი შინაარსი დაშიფრული იყო. მაგრამ ვის უნდა ესარგებლა დღეს დაშიფრული შრიფტით? ერთმანეთთან მოქიშპე სადაზვერვო სამსახურები ხომ არაერთი ათეული წლის წინ გადაეგნენ. ვან ააკერენი ნიშანდობლივ იცნობდა თავისი პროფესიის წარსულს, ზორგესა და აბელის თავგადასავლებიც ყურმოკვრით როდი ჰქონდა განაგონი. ლოც მსტოვარი იყო? მაგრამ ვისიღა? ნუთუ ის მართლაც იმ სრულიად უცხო ტომშია დაბადებული, როგორც ამას ის პროფესორი ფრანცი ვარაუდობდა? რას ნიშნავდა ამბავი ორმოცდათექვსმეტი ქრომოსომის თაობაზე? მეცნიერებს ამან დიდი საგონებელი აუჩინა. ნუთუ ევოლუციის პროცესში ადამიანის ეს სახეობაც განვითარებულა, რომელიც დღეისთვის ამომწყდარია? ამომწყდარია? მაგრამ ფრაუ ლო ცოცხლობდა, ის სინამდვილე იყო, სამედიცინო გამოკვლევის შედეგები სულ რაღაც ათიოდე დღის წინ გაეცათ. ცოცხლობდა კი ის ჯერაც? იქნებ ის ელბის დინებამ მოაშთო და მისი ცხედარი თან წაიტაცა. მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდო ჩანდა. შესაძლოა უბრალოდ სადმე იმალებოდა, რაკიღა დღემდე უცნობ მემკვიდრეობით სნეულებაზე მისი მზრუნველობით შენახული საიდუმლო გამჟღავნდა.

მაგრამ რატომ? ოცდამეორე საუკუნეში სენს არავინ მიიჩნევდა საკდემლად. და რად არ ეწვია ის ფრაუ ლო უკვე დიდი ხნის წინათ სპეციალისტებს, თუნდაც კანის თავისებურებების გამო, რაც მისთვის უცილოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო? ქმარსაც კი არაფერი გაუთქვა! თავად კი მას ეს აღარც შეუმჩნევია. როგორც ამბობდა. ან იქნებ არც ის იყო უთვალღებო?

სულთქმით მთავარინსპექტორმა კვლავ დაძინება გადაწყვიტა. ჩაწოლამდე მოჭრით ჩაინიშნა: ფრაუ ლოს ჩანაწერი რადესკუს გადაეგზავნოს, მანამდე უსაფრთხოების მსოფლიო საბჭოსთან განხორციელდეს ვიდეოფონირება. სულ მალე მას ძილქუში დააწვა და სანამ მაღვიძარა მსუბუქად გონგს ჩამოჰკრავდა, ძილიც არ გაკრთომია.

მოხუცი ფრაუ ფრიდლენდერი თავისი ლამაზი რძლის გარშემო დატრიალებული მოვლენებით ბევრად უფრო დამფრთხალი იყო, ვიდრე ამას გარეგანად იმჩნევდა. თუმც ის მუდამ თვითმყოფობას არჩევდა და შვილის შეუღლების შემდეგ საკუთარ პატარა ბინაში ცხოვრობდა, ის ღამე მაინც სახლში ელსტერნვეგზე დაჰყო, ისე, რომ მაქსს ეს მისთვის არც კი უთხოვია. ეს თავისთავადობა ნებისმიერ სხვა თანადგომაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. და როცა დილით მაქსი გუდალი თვალებით საუზმეს მიუჯდა, მან უთხრა: „ყველაფერს აჯობებს, დროებით აქ დავრჩე.“

მისთვის ადვილი როდი იყო მექსიკიდან მობრუნებული ვაჟიშვილის გვერდით იმ უსული გარმიანელის ხილვა, როგორც ის ლოს თავისთვის უწოდებდა. ლოლიტამ იმთავითვე მოხიბლა ფრაუ ფრიდლენდერი თავისი გულსადაგობითა და უზაკველი ნიშატით. დედაბერს მისი ჰაეროვნება და სიკეკლუცეც არანაკლებ იზიდავდა. და მაინც, მასში რაღაც გამოუთქმელი, რაღაც უჩინარი განსხეულებულიყო. ერთხელ მან ის ხელიხელ საგოგმანები საათი აიღო და ყურადღებით თვალი დაჰკრა, რასაც ლო შეესწრო. მოქურუხებულმა გამჭოლად შემოსცქირა. „დედა, ხელს ნუ ახლებ!“ უსაყვედურა მას. „ხომ უნდა დასდო პატივი იმ ერთადერთს, რაც მე ამ სახლში მეკუთვნის!“ ასევე შეთდებოდა ის საქორწილო მანტიის ხსენებაზე, მასაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. არავისთვის

დაურთავს ნება, ახლოს დაეთვალიერებინა. მხოლოდ ერთი შეხება, იმის შესაგრძნობად, თუ რა საუცხოო აბრეშუმის ქსოვილი იყო, ამაზე მეტი – არა.

მაგრამ, და ეს იყო ფრაუ ფრიდლენდერისთვის უმთავრესი, მაქსი ლოსთან თავს სვეკეთილად გრძნობდა. მისდამიც მუდამ გულმხურვალე იყო. ლოს დაუზარლობა ნანდაურს ქმნიდა მას საბავშვო ბაღში, კოლეგებისა და მშობლებისთვის, ბავშვებს „დეიდა ლოს“ სადარი არავინ ეგულებოდათ.

და რომ ეხლა უცაბედად მალაყს გადავიდა! თითქოს ლოს მის ვაჟზედ გული აჰყროდა, ამაში ფრაუ ფრიდლენდერი სარწმუნოს ვერაფერს ხედავდა. ასეც რომ მომხდარიყო, მის უკვალოდ გახიზვნას ამით მაინც ვერ ახსნიდი. დარჩენილიყო უსტარი და საიდუმლო უჯრაში ნაპოვნი ავთრათი, გამქრალი საათი და სადედოფლო მოსასხამი. თუმც ეს ცოტა არ იყო, თანაც სამედიცინო გამოკვლევის უცნაური შედეგები, რომელთაც მან ვერაფერი გაუგო.

ერთი კი ფრაუ ფრიდლენდერს კარგად ესმოდა: მოხდა ენით უთქმელი რამ, ყველა ის კომისარი და მთავარინსპექტორი ვერანაირ ახსნას ვერ პოულობდა და მაქსის დაგუდლებულ თვალებში დღითიდღე მძაფრდებოდა ჭმუნვა და უსასოობა.

მას საკუთარი ხედვა უნდა ჩამოეყალიბებინა! საჭირო იყო ლოსთან დღენიადაგ ერთად მყოფთა გამოკითხვა. ასე გაუხვია მან მომდევნო დღესვე სადილისწინა ჟამს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის საბავშვო ბაღისკენ. იქ ის უცხო არ იყო, მაქსთან ერთად ხშირად სწვევია ლოს შინისაკენ გზის გამოსათავაზებლად.

გამგე, ფრაუ გრუნდლახი, მას შემდეგი სიტყვებით შეეგება: „არის რამე ახალი, ლოს უკვე მიაგენით?“

თავის გაქნევაზე გულგატეხილობა მეტადრე ბავშვებს დაეტყოთ. მათ ხმამაღლა დაიჩივლეს: „დეიდა ლო ისე მტკბარად მოგვითხრობდა.“ – „და ჩვენთან ერთად თამაშობდა: კოსმოსურ ფრენას, სულ მარტოდმარტო, ხომალდის გარეშე.“ – „მას ისე საამოდ შეეძლო ეგალობა.“

კოლეგებისთვისაც მისი უეცარი გარდახვეწა გამოცანას წარმოადგენდა. თვით ლოს წინა ბავთიც მათ გასაოცრად მოეჩვენათ. ფიქრმიცემული ლო აქ არასოდეს უხილავთ. მაგრამ ფრაუ ფრიდლენდერს ისეთს ვერაფერს მოახსენებდი, რაც მას უკვე არ სცოდნოდა.

ახალგაზრდა პრაქტიკანტი ჭირვეულობდა: „რადგან მეც გრძელი ღია ჩალისფერი თმები მაქვს, ბავშვები ლოს მონათხრობის განგრძობას მიჟინებენ. მაგრამ ყველა ამ ზღაპრის გაგრძელება ჩემთვის უცნობია. მან ისინი თავად გამოიგონა. ზღაპრების არც ერთ კონაში წამიკითხავს რამე ორ, ქარც და ზურმუხტისფერ, მზეზე ან პაწაწა მთვარე ტოპურზე, რომელიც რომელიღაც შორეული ცთომილის გარშემო ბრუნავს, სადაც ერთადერთი კონტინენტი და ღია მწვანე ფერის ზღვაა.“

„ის ქალთა საბრძანებელია“, დასძინა ერთმა წინამასწარა ბიჭუნამ.

„მაშ, მაშ, შენი ყოვლისმცოდნეობის ვის არ შეშურდება.“ ფრაუ ფრიდლენდერმა მას მოკლედ მონაკვეც ქერა თმაზე ხელი მოუცაცუნა. „მაგრამ თქვენი დეიდა ლო ეხლა სად არის, ეს არც შენ იცი.“

„უთუოდ დასასვენებლად გაემგზავრებოდა. ზაფხულობით მეც ვისვენებ, ბებიასთან.“

ფრაუ გრუნდლახს გაეღიმა. „ნეტამც ყველაფერი ისე მარტივად იყოს, ბავშვებს რომ წარმოუდგენიათ.“

„ვშიშობ, ლო ასე ხელაღებით არსად წავიდოდა. ჩემი ვაჟი ნამეტნავად განიცდის მის უშინობას“, ხვნეშით მიუგო ფრაუ ფრიდლენდერმა.

გამგემ თავი დაუკრა. „იმედი ვიქონიოთ, რომ მალე და უვნებლად გამოჩნდება.“

უკან ფრაუ ფრიდლენდერი ფიქრებში ჩაყურსული ბრუნდებოდა. მას აზრმა გაუელვა, რომ იმ შავბედით დღეს ლოც ასევე რაღაც ანაზდეულზე, რაღაც მიუწვდომელზე სჯით იქნებოდა გატაცებული. მაგრამ რაზე? არა, საბავშვო ბაღშიც ვერანაირი კვალი ვერ იქნა წარმოჩენილი. მხოლოდ იმ ახალგაზრდა პრაქტიკანტის შენიშვნა საკმაოდ უცნაური ჩანდა. თანაც ფრაუ ფრიდლენდერს ლოსთვის არასოდეს შეუტყვია კოსმოსური ფრენისადმი ლტოლვა. მაგრამ ბავშვებს ხომ ყოველთვის სიახლე სწადიათ, მისი რომ სულაც არაფერი ესმოდეთ. მაქსიც თავის დროზე ასეთივე იყო...

კარი მეორე
საიდუმლო უსტარი

პროფესორი იონ რადესკუ მსოფლიო აკადემიის ენათმეცნიერების განყოფილებას წინამძღვრობდა. დიდებით ის ოსტერის კუნძულის ცნობილ ფილებზე წანაწერის ამოშიფვრამ შემოსა, რითაც პლასტიკური ხელოვნების ვეება ქმნილებათა საიდუმლოებას საბოლოოდ განეფინა ნათელი. კუნძულზე ეს ნაკეთობა უზღვავად მოიპოვებოდა. თუმც მათი დაძლევა უამრავ ენათმცოდნეს ჰქონდა ნაცადი, გარდა იონ რადესკუსი ვერავინ გაართვა თავი ღვლარჭნილი გრავიურების საბოლოო სისტემატიზებულ თარგმნას, რომლებიც მოუთვლელ მუზეუმში მიმოფანტულ ხის დაფებზე აღიბეჭდებოდა.

ეს საძნელო ამოცანა მან ჯერ კიდევ უცადმა, გაუჩვეველმა მეცნიერმა საკვირველად მოკლე ყავლში გადაწყვიტა და ამასთან წარმატებას, უფროსად ყოვლისა, ენების შედარებითი კვლევით მიაღწია. უკვე ოცდათხუთმეტი წლისა ის მსოფლიო აკადემიის ენათმეცნიერების განყოფილების თავკაცად აღაზევეს.

ეს განყოფილება ბუქარესტის პერიფერიაში მდებარე წარმტაც ნაგებობათა კომპლექსში მოექციათ. რუმინეთის პირველსატახტო ქალაქი ევროპის რეგიონალური სამმართველოს ადგილსამყოფელი იყო.

დედამიწის მმართველობით სტრუქტურაში სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობა შესაგრძნობად დაკნინდა. თუ ვინ რომელი ერის წარმომადგენელი იყო, ამაზე მეტწილად მისი გვარიღა მიუთითებდა. ვიწრონაციონალური ჭვრეტა ძველთაგანვე აღმოიფხვრა, მაგრამ ეროვნულ ტრადიციებს ხალხურ შემოქმედებაში, მუსიკასა და ცეკვებში ამჟამადაც ამაგდრად იცავდნენ. ერთიან საკაცობრიო ენაზე დედამიწელთა უკვე მესამე თაობა მეტყველებდა, საზოგადო ჟეტონები საყოველთაო ხმარებაში იყო შემოღებული და მიმოსვლის თანამედროვე საშუალებანი შესაძლოს ჰქმნიდა დედამიწის ხუთიოდე საათში შემოფრენას. ევროპის სამმართველო უკვე არ იყო მომცველი რეგიონისა, რომელშიც საკუთარი მხედრობისა და ფარის მქონე ოცდაათზე მეტი სახელმწიფო თანაარსებობდა. რადესკუს ქვეშევრდომნი სხვადასხვა მხარის მკვიდრნი იყვნენ. აერთსულებდა მათ ენისადმი, როგორც ურთიერთობის უცვალებლად ფუძისეული საშუალებისადმი, განუზომელი სიყვარული. მათ იზიდავდა ყოველივე, რაც ენების წარმომავლობას, განვითარებასა თუ მერმისს შეეხებოდა.

რადესკუსთვის – წარმოსადეგი, მოხდენილი ჩაცმულობის შავთვალწარბა მამაკაცისთვის – უცაბედი გამოდგა უსაფრთხოების სამმართველოს საშური დავალება. ვრცელი დანართიც უჩვეულო შემცველობისა იყო. მაგრამ რით იმსახურებდა ეს ერთი-ორი კაბადონი, რომ მის შინაარსის გამორკვევას ენათმეცნიერების განყოფილებას ადებდნენ კისრად? ვიდეოასლის სახით გადმოგზავნილი მასალის ჩაკითხვაზე რადესკუში მკვლევრულმა ჟინმა იბობოქრა. ის სწრაფად ჩასწვდა, თუ რა იყო დამოკიდებული ამ ჩანაწერის ამოკითხვაზე.

ქალაქ დრეზდენში უჩინრად და თავის მეუღლესთან სიამტკბილობით ცხოვრობს თურმე ვინმე ახალგაზრდა მანდილოსანი, რომელსაც უეცრად უნახავი ბიოლოგიური თავისებურებები უმჟღავნდება. ამის შედეგად ის იდუმლად ქრება. ისე, რომ ინდივიდუალურ სახმობსაც შინ ტოვებს! მაგრამ რა მიზეზით და სად უნდა გადახიზნულიყო? შესძლებდნენ თუ არა რადესკუ და მისი კოლეგები ამის გამოცნობას?

მას უსათუოდ უნდა გამოეხმო დრეზდენელი თანამშრომელი, რომელიც საქმეს ყოველმხრივ იცნობდა და სპეციალისტთა გუნდსაც შესატყვისად დაარიგებდა.

კომისარი ლუტოლსკი ლინგვისტთა შესაწევრად ბუქარესტს სტრატოჯეტით გაემგზავრა, სფეროდისკისათვის ეს წასავალი მეტისმეტად მოკლე იყო. საათის სამ მეოთხედში საჰაერო ხომალდი ბანეასას აეროველზე დაეშვა, საიდანაც კომისარს მისი მომლოდინე რადესკუს ასისტენტი კვლევით ცენტრში გაუძღვა. იქვე მისთვის საბინადროც შეერჩიათ.

ლუტოლსკი პირველად ეწვია ბუქარესტს. ნათელი, ხალვათი ქალაქის თვალიერება ერთობ შთამბეჭდავი იქმნებოდა. საამო იყო ტბის ჭავლის ცქერა, რომლის კიდეზეც ფაქიზად ციაგობდა აკადემიის ცადაზიდული ნაგებობანი. საუცხოოდ მოჩანდა სათუთად ნაზარდ ყვავილთა მწკრივები, რომლებიც დამაცხრომელი ციალით ლივლივებდა. აერომობის მიმღებიდან ლუტოლსკის სმენას რუმინული ხალხური სიმღერები ატკბობდა.

“გთხოვთ ჩამობრძანდეთ”, შესთავაზა კომისარს თანმხლებმა. “წამსვე წაგგვრით პროფესორთან, მას თქვენს ლოდინში უკვე თვალებიც დააწყდებოდა.”

სალამი ცქაფად და სამხრეთისეული ტემპერამენტით იქნა მოხდილი. “ჩინებულია, რომ პირადად გვეახელით”, შემოეგება მას იონ რადესკუ. “მაგრამ თავდაპირველად ჩვენი გაცნობის ნიშნად ჭიქა ცუიკა შევსვათ, ძველი ჩვეულებისამებრ. უმაგალითო სასმიდია, ორიგინალური წესით არის გამონადუღი.”

ცუიკას ღვთაებრივად მტკბარი სურნელი ასდიოდა და ყელში ცეცხლად ჩაშურდულდა. ლუტოლსკი აჟრჟუნდა. “დამზარა, პროფესორო, მეტად ძალიანია.”

“სწორედ რომ! მაგრამ ამას პირის მისატანებელი მოუხდება. არაფერია, ზარმელზე ორკეცად ავინაზღაურებთ. ეხლა კი უნდა მომითხროთ, რა ბავთიც გეძგერათ. და არავითარი რიდობა, ვისაუბროთ როგორც ძველმა მეგობრებმა.”

ლუტოლსკი თხრობას მოჰყვა. რადესკუს სმენად გადაქცევამ კომისარი გააგულოვნა. დასასრულს, როცა მან ლოლიტას ფოტო წარმოადგინა, ზეგარდმო ხიბლით მონუსხულმა რადესკუმ ამოიოხრა. “თქვენ ამ თვალმაისა ქალბატონის სურათი მაინც გბადებიათ, მე კი ჯერ სრულიად უპოვარი ვარ! ჩვენ ამ დროისთვის იმასღა ვუწყით, რომ ფრაუ ლოს ჩანაწერი ალფაბეტური შრიფტითაა შესრულებული და არა მარცვლიანით. მაგრამ მასალაც ხომ მხოლოდ დღეს დილით მივიღეთ. თუმც თქვენი შემოერთება უკვე ყოველივეს უცდომლად დააშურებს.”

ლუტოლსკი პარასკევს შებინდებისას ეახლა ლინგვისტების ჯგუფს. კვირის ბოლო მოწეულიყო, მაგრამ ის მაინც ეზიარა ენათმეცნიერთა გამოკვლევას, რომელიც აქამომდის მართლაც მომქანცავი და არც თუ წარმატებული ჩანდა. თითოეული სიტყვა გააერთიორეს, მრავალგზის შეაწამეს და რადესკუმ ამსახად ანბანიც გამოფილტრა, რასაც გაბმით ნაწერი ოდნავაც არ აიოლებდა. მაგრამ ოცდაათი ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული ნიშანი უკვე გამოეყოთ. კომპიუტერმაც სიმბოლოთა სიხშირე მეყსეულად დაადგინა. მეტს კი სამუშაო დღის მიწურვამდე ვერას გახდნენ.

იონ რადესკუმ უქმე დღეების გამოყენებაც გადაწყვიტა და დრეზდენელი სტუმარი ექსპერტებთან ერთად ლაშქრობაზე მიიწვია. “ორი მცირე ჯეტი დავჯავშნე. ჩვენ ტულჩეაში გადავფრინდებით და იქიდან ოდინდელი ორჩხომლით დელტაში შევცურავთ. ეს უთუოდ უნდა მოგვიხდეს: სინათლე, ჰაერი, ცხუნება, წილაკვის წრიალი, კიბოობა, შემწუხრებულზე გულიანად წაღიღინებაც და იქნებ ჩვენს საზრუნავზეც გაბაასება. წინააღმდეგ ხომ არაფერი გეთქმით?”

შვიდივე თანამშრომელი პირის პირმიცემით მიემოწმა რადესკუს შეთავაზებას. მათ შორის იყო ლუტოლსკიც. დუნაის დელტაზე მას ბევრი რამ სმენია, ისიც, რომ იქ ვარხვი იცოდა.

“განა მხოლოდ ვარხვი! ლამიყლაპიებიც, ფლამინგოებიცა და სხვა ნაირგვარი მხვრეპავიც. თევზები კი რა მოსატანია! მეორე ასწლეულია, რაც დელტა ნაკრძალად გამოცხადდა. გარდა რამოდენიმე მებადურისა და გარემოს დაცვის მოსამსახურისა, მანდ არავის დაედგომება. ერთი დღით ჩვენ მათთანაც დავვანდებით. მათზე უკეთ ჩვენთან თევზის წვნიანს ვერავინ ამზადებს”, მრავლის აღმთქმელად ჩაასრულა პროფესორმა რადესკუმ.

ტულჩეა თანამედროვე აეროსადგურით იყო აღჭურვილი. მომცრო ქალაქს ჯერ არ გააჩნდა მოძრავი შარები, არც ცათამბჯენები ან ორსართულიანი გამზირები, მაგრამ ცხოვრების მაჯისცემა აქაც მოჩქარებული იყო. ნავსაყუდელთან მცირე ნავჭურჭელი ირწეოდა, გემბანის მოაჯირი ოქროსებრ ბრჭყვინავდა მზეზე და მოშურნედ მოწმენდილ თითბერს თვალდამვსები კრიალი გაჰქონდა. თეთრ-ყირმიზად შეფერილი საკვამური მძიმედ ფშვინავდა ორთქლის ხშირი ღრუბლების გამოდევნით.

“გემი, ნამდვილი გემი”, მოსწყდა ენიდან აღფრთოვანებულ კომისარს. “როგორც საყმაწვილო ილუსტრირებული წიგნიდან. და გარემოს დაცვა რომ ამას არ კრძალავს!”

“რამდენადაც ვიცი, ეს უკანასკნელი გემია დუნაიზე. მას თვალისჩინივით უფრთხილდებიან.” რუმინელ პროფესორს ოინბაზურად ჩაეღიმა, დანაპირებს რომ ასე პირნათლად ასრულებდა. “ნუღა ვაყოვნებთ, ავიდეთ ხომალდზე.”

როცა ყველაფერი განათავსეს, კატარღამ სამგზის დაიგუგუნა. თეთრქუდა ზღვაოსანმა, რომლის ქუდზეც ოქროს ღუზა ბრდღვიალებდა, რვალით გადაკრულ საჭევარს ხელი ჩაავლო და მეგოფონით ეკიპაჟს მიმართა: „მთელი ძალებით წინ!“ ხომალდი მძიმედ შემობრუნდა, კიჩოსთან დუნაის აქაფებული წყალი ზურმუხტოვნად აცქრიალდა და ცხვირი ტოტის შუაგულში შეიჭრა. უკან განაპობ ზვირთთა განიერი ბილიკი მოიბაწრებოდა.

საცურაოდ შემოსილი, იონ რადესკუ გემბანზე დაბრუნდა. „კვირა საღამომდე ეს ჩემი სამუშაო სამოსელია“, განუცხადა მან თანამყოლთ. “ბუღი უნდა ჩამოწვეს, მზის საპოხის

წაცხება არ გამოგვრჩეს, თორემ სიმხურვალის შეგრძნებამდე ძლიერ სიდამწვრეს ვერ გავუსხლტდებით.”

ხომალდი დელტას ტოტს ლელქაშებით გარემოცულ ტბამდე გაუყვა. ფრთოსანთა მრავალრიცხოვანი გუნდები უწყვეტლივ აწყდებოდნენ დუნაის ზედაპირს. ზღვის მერცხლები კი ჟღურტულით, ერთიმეორის დევნა-დარევით ხან კამარას კრავდნენ, ხანაც თავქვე ეშვებოდნენ და კვლავ აღმა მიილტვოდნენ.

ლუტოლსკი მოაჯირთან იდგა და ლანდშაფტით ტკბებოდა.

მას რადესკუ დაუგვერდიგვერდდა. „თავისუფალ სივრცეს ხომ ამჩნევთ, იქ, ცისკიდურთან, ხერთვისნი რომ ერთმანეთს ეკვრიან. მას ჩვენ პორტიცას, პაწაწა ალაყაფის კარს, ვუწოდებთ, იქ დელტა ღია ზღვას ერთვის, მანდვე გაედინება მარილიანი წყლის მდოვრე ნაკადიც.“

„თვალს ვერ მოსწყვეტ“, მიუგო სტუმარმა. „ყველაფერი საკვირველად ხელმიუყოფელია. ეს-ეს არის მესალიკეთა ლერწმის სარქვლიან სადგომებს მოვკარი თვალი, თითქოს ჩვენთან ბალტიისპირა დაბებს მივუყვებოდე. ის ვარხვთა ჭალაკი არ არის?“

პროფესორის დასტურის საბუთად კუნძულიდან მოდიდო ფრინველთა ბოინმა წამოიფრინა. ჯერ ისინი თოქმად და ულაზათოდ მიიწევდნენ პირაღმართ, მაგრამ შემდეგ შესაშური სილაღით მოუსვეს ფრთებს და ფარფაშით გადაუქროლეს მათ ქვეშ გადაშლილ შოლდოებს.

„თვით კუნძულის მონახულებას კრძალავენ“, ნანობდა იონ რადესკუ. „იქ მხოლოდ ორნიტოლოგები იმყოფებიან. მაგრამ ისიც ხომ შთამბეჭდავია, პელიკანების ნავარდს რომ ვუმზერთ.“

ოღონდაცო, გაეპასუხა ლუტოლსკი და შეზლონგზე გაიწურთხა, რომელიც მას თვით მოაჯირამდე მოეზიდა. „მცირედ მზეზე მინდა გავთბე. მერე წყალშიც გადავეშვები ან იქნებ ეს მხოლოდ იხტიოლოგებისთვისაა ხელშესავალი?“

რადესკუს გაეცინა, მაგრამ ურჩია კანჯო ეხმარა, ხომალდის კედელი საფრთხილოდ მაღალი არისო.

საღამოს ჟამს ქონდაქარმა სტუმრებს ტრაპეზი გაუშალა. პილპილით შეზავებულმა ვარიკამ და შეღაჟღაჟებულმა კიბოებმა კომისარს მადა აღუძრა, წყალუკრავმა თეთრმა არმუჯმაც ის ერთიანად აღიტაცა. ლუტოლსკი ტუჩების ცმაცუნით ექცეოდა ნათავაზებ სერს და განუხრელად აკმევდა რუმინელთა ეროვნულ კერძებს. ღრეობა სხვებსაც გაუტკბათ. შეზარხოშებულნი ხანიერ მუსაიფობდნენ და გალობდნენ, მაგრამ შემდგომ ერთმანეთის მიყოლებით დანათვერნი კაიუტებში მიმოიფანტნენ.

ამომავალი მთვარის შუქზე მხოლოდ პროფესორი და კომისარი შემორჩენოდნენ სანადიმო მაგიდას. ისინი თევზების ლაწალუწს უპყრობდნენ ყურს და უსიტყველნი მუქად გალაჟებულ ცარგვალს გასცქეროდნენ. თუ გადაზნექილი თავით მზერას ზეცისკენ აიშვერდი, ვარსკვლავეთი ისე ისახებოდა, თითქოს ეტლები მასში პლასტიკური თანისთანობით ყოფილიყო დაწალიკებული. ისინი ხმადაბლა ასაუბრდნენ და უკანასკნელი ბოთლის დაცლაზეც შეკრეს პირობა. ნაბიჯ-ნაბიჯ ერთობლივ სასჯელსაც მიდგნენ.

„იცით“, თვალი მოკიჟა ლუტოლსკიმ და ახტაშირათი გალიცლიცებული სამწდეური მანგს შეუპირა. „ენა – მას ხომ კაცხორციელი, ასე ვთქვათ, გაჩენისთანავე ეზიარება და ერთი წლისა უკვე იყენებს კიდეც ამ ხელსაწყოს. ექვსი-შვიდი წლის ასაკში კი ისე სრულყოფილად ფლობს, რომ სკოლაშიც განისწავლება. პირველ ლექსებს ხომ ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში სწავლობენ. ენა – ეს ურყევია, პიროვნების დადგომასთან განუყოფელ კავშირშია. და საერთოდ, ზეპირი გადმოცემა კაცობრიობის ნიადაგი თანამდევია. ხოლო დამწერლობა,

ნააზრევისა და წარმონათქმის ჩანიშვნა, ის ხომ მეტყველებასთან შედარებით თითქმის უხანოა. მე ჯერ არავისგან მსმენია, რომ ოცდაათი წლის ადამიანი მამულს გარიდებოდა და ენის გადავიწყება შესძლებოდა. დამწერლობას იქნებ ეს სულაც არ შეეხებოდეს...“

„რას გულისხმობთ?“

„კაცმა რომ თქვას, არც არაფერს. უბრალოდ, აზრმა გამიელვა. რატომ მივიჩნევთ, რომ ფრაუ ლოს ჩანაწერი უცნობ ენაზეა შესრულებული? ენას ის ჯერაც უნდა ფლობდეს, მაგრამ შრიფტს... იქნებ წერის მივიწყებას ფრთხილობდა?“

რადესკუს ჰაერში გამოეკიდა ბაგესთან მიწვდილი ხელი, რომელშიც აპირთავებული აზარფეშა ეპყრო. „თქვენის აზრით, მას ინტერლინგვაზე აქვს ნაწერი – მხოლოდ ჩვენთვის უცხო ასოებით?“

“ვინ იცის, ურიგო არ იქნებოდა გამოკვეკვლია.”

რადესკუ ზეზე აიჭრა და ლუტოლსკის მხრებში წასწვდა. „ხვდებით, რას ნიშნავს თქვენი ნათქვამი, ამან ხომ სულ სხვა გეზად შეიძლება წარმართოს ყველაფერი! დასაღონარი მხოლოდ ის არის, ტექსტი რომ თან არ გვაქვს. უმალ ჩავუჯდებოდი და თქვენი ჰიპოთეზაც გადამოწმდებოდა!“

„ნაწერი მე წამოვიმძღვარე“, დააყუდნა ის მოპირისპირემ. “უბრალოდ, წამსაც ვეღარ ვძლებ ამ ორიოდ თაბახის გარეშე, სულმუდამ უბით დავატარებ.” მან მერხზე გადანაფენი კურტაკისაკენ ხელი გაიწვდინა და ფოტოასლები ამოიღო.

რადესკუმ ძველებურ ნავთის კანდელს გაჩქარებით ცეცხლი წაუკიდა და თავისთან მოსწია.

“მე უკვე ისიც მოვიაზრე, საიდან შეიძლებოდა დაგვეწყო”, უთხრა მას ლუტოლსკიმ. “ჩვენ უდავოდ შემოგვეყრება სიტყვა სირანი, თანაც მრავლად. უნდა ვეძიოთ უხშირესად ნახსენები ექვსნიშნა სიტყვა და ხუთი ასოც ჩვენს ხელთაა.”

რადესკუმ კომისარს თვალები შეაჭყიტა. “თქვენი სარისტა მე ცოტაც და გადამრევს”.

ლუტოლსკი იცინოდა. “ნუთუ? გაშიფვრები მე ოდითგანვე მიტაცებდა, ეს ერთგვარი პაცლია.”

ისინი თავითავსმიჯრილნი შეუდგნენ ძიებას. ეს ძალზე მომღალავი და თან მხარის მომქცევიც გამოდგა. “ვერასოდეს ვიფიქრებდი, ასე ხშირად გამოყენებადი ამდენი ექვსნიშნა სიტყვა თუ მოინახებოდა”, ვიშვიშებდა კომისარი. “ორ წყალშუა ვართ დარჩენილი, მეტს კი ვერ წავიწევთ. უმჯობესია ეს თავსატეხი კომპიუტერს ერწმუნოს – რას იტყვით?”

რადესკუს ხმა ჩასწყვეტოდა. ის აქვე, ამ ძველი ბაზმაკის შუქზე უნდა მიგნებოდა ნაწერის დედააზრს. მომდევნო დღემდე ის ვერაფრით მოიცდიდა, შიშობდა, იქნებ კვლევითი ცენტრის უკიდეგანო პალატში ყოველივე კვლავ განშრევდეს და მოინისლოსო. მას ესმოდა, ეს იყო შთაგონების საათი, რომლის თვალსა და ხელს შუა დაკარგვა საბედისწერო გახდებოდა.

“მე დასაძინებლად მივემართები”, საბოლოოდ აჰყროდა ლუტოლსკის იმედი და თავისი ქუფთანი წამოეცვა. “ეს ხომ მხოლოდ მცირეოდენი იდეა იყო, მხოლოდ მოგონება ინსტიტუტში ჩემი გაშიფვრითი კურსისა. და ღვინოც იმდენი შევსვით. სხვიმის იყოს...”

“ელსტერნვეგი, 14 მაისი.

ჩემო გულისგულო!

როცა შენ ამას თვალს შეავლებ, უკვე შორიშორს ვიქნებით – მიწიერი წარმოდგენებისათვის მიუწვდომელ მანძილზე. მე ჩემს მშობლიურ ცთომილს, სირანს, ვუბრუნდები, რომელიც ორი მნათობის, აბასა და ეას, გარშემო მიმოიქცევა. თქვენებურად

მათ ტოლიმა ა და ბ ან ალფა კენტავრი ჰქვია. დედამიწასთან ჩემს ვარსკვლავებს ოთხნახევარი სინათლის წელი აშორებს.

მე არ ვარ მიწიერი არსება. მე სირანელი ადამიანი ვარ. თქვენს ეტლზე იმის გამოსარკვევად წარმომავლინეს, თუ რაზომ არის აქ ცოდნა განვითარებული და გამოიყენება თუ არა ის სირანის საკეთილდღეოდ.

ოდითგანვე ჩვენც დედამიწელების მსგავსად ვვითარდებოდით. მაგრამ რამდენიმე ასწლეულის წინ თავს მზარავი კოსმოსური კატაკლიზმა დაგვატყდა და მას აქეთ სირანზე მხოლოდ ქალები ვსახლობთ. ეს უმამრო ქვეყნიერებაა, დედათა საწუთრო. ჩვენი გამრავლების სახეს თქვენ ქალწულურ შობას ან პართენოგენეზს უწოდებთ, ჩვენ კი – ეას, მწვანე მზის, წყალობას.

ამას მე საკუთარი შრიფტით ვწერ, მაგრამ ინტერლინგვაზე, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან ეცდები ჩემს მოძიებას და ამ ჩანაწერსაც წააწყდები. სირანული დამწერლობა უნდა მოწმობდეს, რომ ხელთ დამთხვეულის ფუჭი მონაგონი არ გიპყრია.

შენთვის რომ სიმართლე, ჯერ კიდევ ავტოფანტასტაში ყოფნისას, გამემხილა, ხომ ვერაფრით დაიჯერებედი. ჩემდამი შენ მუდამ გულსადაგი და პირობიანი იყავი, არც მე ვპირშავობდი და ვქელავდი შენს გრძნობებს, ჩემი ტრფიალიც ხალასი იყო. მაგრამ დაუძლეველი სიუცხოვე და წარმოუთქმელობა მაინც რჩებოდა ჩვენს შორის, რასაც ჩვენ ყოველთვის თვალს ვარიდებდით. სირანისკენ მე გამოხმობისთანავე არ გამიწევია, ხანგრძლივ ვორჭოფობდი, მივყოლოდი თუ არა ნაბრძანებს. თუმც დედამიწას მე უბრალო ცნობისმოყვარედ ხომ არ ვწვევივარ, მსგავსად ზოგი ჩემი წინამორბედისა. დავალებაზე, რომლის აღსრულებაც ნატვირთი მქონდა, დიდად იყო დამოკიდებული სირანის მყობადის შეცვლა. ჩემი გზიანობისა და მახსოვრობის მნიშვნელობა ჩემთვის იმთავითვე ნათელი იყო.

დიახ, თვალებს ნუღა იფშვნეტ, ასეც არის: უწინ აქ არაერთი ჩემი თანაცთომილელია ნამყოფი, რამაც თქვენს მწერლობაშიც ჰპოვა ასახვა. უპირატესად ეს ექიათებად არის ნაკაზმი, მაგრამ რიგი შემთხვევებისა წყალწმინდად გადმოიცემა. ჩემი დები, ისევე როგორც მე, საფრენი ლაბადანებით მოიწევდნენ დედამიწისაკენ. თუ მათ ამ საკუხს გამოსძალავდნენ, ისინი უკან უკვე ვერანაირად მოიქცეოდნენ. – რომელნი სამშობლოს სევდამ გამოაბრუნა, რომელნი მშობლიურ მთიებს მომწყდარნი აქვე დავანდნენ. ჩვენ “გედქალები” ვართ თქვენი ზღაპრებიდან.

სირანელები ძველთაგანვე დავეუფლეთ მნათობთა გიგანტურ ძალებს. ფიზიკოსი არ ვარ და ბევრს ვერაფერს განგიმარტავ. იმასღა გაუწყებ, რომ გრავიტრონების არსებობა, ზოგი თქვენი სწავლულის ვარაუდისამებრ, სინამდვილეა. არსებობს ანტიგრავიტრონებიც. უზეგავლენოდ ისინი ავითარებენ ძალას, რომელიც მიზიდულობისაგან თავდაღწეულ სხეულს სინათლის სიჩქარეზე ბევრად უფრო სწრაფად ამოძრავებს. ნუ იფიქრებ, უნაზესი ნაქსით ამას ვერც ერთი სულიერი შესძლებსო. მე თავად ვარ ამის ურყევი საბუთი და ეს უნდა იკმარო. რადგან შენს წინაშე საჩვენებლად ფრენა მეკრძალებოდა. მე ხომ თქვენში ნამალევად და უჩინრად უნდა მეცხოვრა, სხვაგვარად როგორღა მევლო თვალი თქვენი ყოფისთვის? წინათ მსგავსნი, თუ არ ვცდები, მზირებად იწოდებოდნენ...

იქნებ მომავალში, როცა მიხვდები, რომ დედამიწას მართლაც გაცლილი ვარ, მერწმუნო. ჩვენ მედიცინაში ჰიპნოგრილძილის ხერხი განვავითარეთ, რომელიც ავტოგენური ვარჯიშით მიიღწევა. ასე, განელებულად, დედამიწელთაგან განსხვავებული კანით შემოგარსულნი მართვის აპარატს გაფრენის გეზს ვამცნობთ და დაბანგულნი ვიჭრებით სამყაროში – დედამიწისკენაც.

თუ თქვენ, ადამიანები, იმ დიდ კოსმოსურ გაფრენას განახორციელებთ, რომელზედაც დღეს უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, პროქსიმა კენტავრისკენ ნუ გაემართებით, ტოლიმანისკენ გამოეშურეთ, იფიქრეთ სირანზე, გზა მცირედღა გაგიგრძელდებათ! იქ თქვენ გაგიგებენ. დახმარებაც მოგიწევთ – იქნებ. და თუ ერთ მშვენიერ დღეს – არ ვიცი, დადგება თუ არა ის საერთოდ – დედამიწაზე თეთრად მოციალე ბირთვთა ღრუბელი ჩამოეშვა და ჩემი დები ადამიანების წინაშე დამუხლისთავდნენ, იფიქრე ჩემზე და ჩემს ბარათზეც...

უკეთუ შესძლო ამის დაძლევა, ჩემი ნაწერის პირი მსოფლიო აკადემიას გადაეცი. მბასრონ და მქირდონ, რამდენიც მოესურვებათ, მაგრამ იცოდე, ეს სულაც არ არის გონდამძიმების ნაყოფი. ჩემში შენ ვერასოდეს მიეცემი დავიწყებას. მე ხომ შენით გავიგენი გზა და შენითვე შევიცანი მიწიერი ტრფობის უებრობა. ვეჭვობ, რომ სირანზე ამ შენაძენს ჯეროვნად მოეკიდონ.

გკოცნი და გეკონები!

შენი ლო.”

რადესკუმ ფურცლები თითქმის პედანტურად გაკეცა შუაზე და დაბუჟებული ფეხებით კაიუტაში ჩახანხალდა. არაქათგამოცლილ, თვალებამოღამებულ პროფესორს დორს მიქადლებისთანავე მიერულა.

როცა მან დილის ცხრა საათისთვის ნამძინარევი თვალებით ამოჰყო თავი, დამხვდურნი ღინცილით შემოეგებნენ. „გუშინღამ ჩვენს მედროშეს მორიგი პაემანი ექნებოდა იმ თვალმცეცხლია უცნობთან. შეხეთ, რა მაშვრალია!“ ღიმილით შესძახეს მას.

რადესკუ, ჩვეულებრივ ელეგანტური და მორთულ-მოკაზმული, ნასრესი ქურთუკითა და საკინძჩახსნილი პერანგით მიუჯდა საუზმეს. შავი ყავის გადაკვრასა და აწეწილი თმის ხელმოსმაზე მან დინჯად წაილაპარაკა: „ფრაუ ფრიდლენდერი მე დიახაც გამომიტყვრა. ტექსტს, პირდაპირ რომ ვთქვათ, უკვე გამოვაბი თავი.“

ყველას ანაზდად პირზე სიცილი შეაკვდა, მსწრაფლ რადესკუს მოგარდნენ და ზედაზედ კითხვები დააყარეს. მან დამაყუდნებლად ხელი შემართა და მოჭრით განაცხადა: „ყველანი დაბრძანდით, წარმოგიდგენთ. მაგრამ, უმორჩილესი თხოვნაა, სიტყვას ნუ გამაწყვეტინებთ. ხოლო შემდგომ ამოწმეთ, როგორადაც გენებოთ, და თუ ერთადერთი – ხაზს ვუსვამ, ერთადერთი – უზუსტობაც კი აღმომიჩინეთ, მაშინვე პენსიაზე გავდივარ.“

„თქვენ ეს ისე მოგიხდებოდათ, პენსიონრად დაფიონიდან მწუხრამდე თევზაობა“, იხუმრა უფროსმა ასისტენტმა, მაგრამ რადესკუს საყვედურიან გამოხედვაზე ელდანაკრავი გაჩუმდა.

დაძაბულობამ საგრძნობლივ იმატა.

ჯერ ოდნავ ხმაწასულად, მაგრამ შემდგომ მწყობრად და შეუფერხებლად უკითხავდა მათ რადესკუ სირანელი ფერიის საარაკო წიგნს. ბოლოს ჩაახველა, ფურცლები წინ წაილაგა და დამსწრეთ წარბშეჭმუხვნით მიმართა: „ეს არის და ეს.“

მისი თანმხლებნი ჯერაც უსიტყვოდ ისხდნენ. თითოეული მოელოდა, თუ როდის დაასრულებდა ის კითხვას, როდის წარმოთქვამდა უკანასკნელ ყოვლისგამრკვევ ფრაზას.

რადესკუც მიხვდა მათი პირდაცულობის მიზეზს და შეშმუშვნით წარმოთქვა: „ნამდვილად, აქ მეტი არაფერი წერია.“

ლუტოლსკი წინ გადაიზნიქა. „და რაც ეხლა მოვისმინეთ, თქვენ მისანდოდ გესახებათ?“

„ამის დაჯერება ან არდაჯერება ჩემი საურავი არ გახლავთ. მე გავშიფრე ის, რაც გადმომეცით. აწ კი თავად უნდა არკვიოთ, არის თუ არა შესაძლებელი და სარწმუნო.“

„და ამ უსაზმნოების გამო თქვენ ღამეს ათევდით?“ შეჰკადრა მას მთავარმა ასისტენტმა.

რადესკუ არც კი ყასიდად გაჯავრდა. „უსაზმნოება? არამც და არამც! აზრად მაინც გაგევლოთ, როგორ მივბარბაცებდი სტრიქონიდან სტრიქონამდე, რარიგ საძნელო იყო მთელი ამ ალაფხულობისთვის თავის გართმევა, რის ყოფითა და ვაივაგლახით მოვიკვლევდი გზას ან როგორ ვუდასებდი ერთმანეთს სიტყვათა მნიშვნელობებს. არა, ეს არ იყო ამაოება...“

ამასობაში ლუტოლსკი ფურცლებს წასწვდა და ერთხელაც წაიკითხა. „თქვენ მართლაცდა გწამთ, რომ ყოველივე ეს ღირსსაცნობია?“

“იმის კვალობაზე, რაც მომიყევით?” კითხვითვე მიუგო რადესკუმ. “მე ვერ ვიტყვი, რომ ეს სულით ავადმყოფის მინაქარია. კვალწმინდა გაქრობა, საათი და ლაბადანი, უცნაური გამოტყვრომა ავტოფანტასტაში, სამედიცინო გამოკვლევის გაუგონარი შედეგები. განაღა ეს სამხილები არ არის?”

“არა”, წამოიძახა უფროსმა ასისტენტმა. “ეს რა ლაყაფია! როგორ იქნება უცხოეტლელი ქალი წელიწად-ნახევარი ცხოვრობდეს ჩვენს მამაკაცთან და მან კი ვერაფერი შენიშნოს? ეს ჩემს წარმოსახვის უნარს სცილდება.”

სხვებიც არ გამორიცხავდნენ, რომ მათ დარბაისელ წინამძღვარს ძალიანმა რუმინულმა შუმმა გზა-კვალი აუბნია. ამიტომაც რადესკუს მონაცემებითვე ტექსტის ხელმეორედ გაშიფვრას შეუდგნენ.

ლუტოლსკის თავი შორს ეჭირა. მას ინტერლინგვაზე გადმონათარგმნ სიტყვებზე უფრო ლინგვისტთა შეჭარხლებული სახეები კარნახობდნენ, რომ მომხდარში რადესკუ მართებულად გარკვეულიყო.

რამდენიმე საათში თაბახები კვლავ გაიკეცა და ყველამ ერთსულოვნად აღიარა: დაუხედაობა არსად გამჟღავნებულა. მაგრამ ხომ არ იყო ეს გაცრუება, პირიმთვარე უცნობის მანქანება, რომელიც წინა წლების გულგადასალევმა ერთფეროვნებამ აბეზარს მოიყვანა?

დრეზდენელი კომისარი მალევე დაუბრუნდა მისთვის ჩვეულ უშფოთველობას. მან რადესკუს სთხოვა, უკან მოქცევის მითითება გაეცა, რათა იმ დილითვე შესძლებოდა ვან ააკერენთან დაკავშირება. მისი რწმენით, ეს აღმოჩენა დიდად იყო ძიებისათვის მნიშვნელოვანი. ამასთან, ჯერ კიდევ უზღვავ ხერხს მიემართებოდა ლოს თოხუმის განსასაზღვრავად.

რადესკუ და ლუტოლსკი კვირასვე მზიურ გაფრინდნენ დრეზდენს.

მომდევნო დილით ვან ააკერენმა რადესკუსგან თარგმანი მიიღო და თავისი ზავთიანი, ყადავარიანი ხმით კითხვას დაეწაფა. უსაფრთხოების რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებში მდუმარება ჩამოვარდა. მაგრამ კითხვის დასრულებისთანავე ყველა აცქაფდა.

„რას ამჩნევთ აქ სასჯელს, ამის დამწერი ხომ ჭკუასთან მწყრალად არის, სხვარიგად ვერც იქნება“, იშის გებით დაასკვნა ერთ-ერთმა.

„ეს ჩვენს საცთუნებლად არის დანატოვარი, კვალს გვიბნევენ“, შეეცილა მეორე.

ვან ააკერენი გაცვრენილი განთვისებულიყო. მაშ, ინტუიციას ის არ შეუცდენია, გული მას აქამდეც უთქვამდა, რომ უსულიანი ლოლიტა აეშაგი უნდა ყოფილიყო, თუმც სხვა სახისა...

ხმაურიანმა ცილობამ ვან ააკერენი შეაკრთო. „წამით, ბატონებო, ასე რად გულძვირობთ? უკვე მიაგენით ფრაუ ფრიდლენდერს?“

ამან მოცილენი გამოაფხიზლა. უტყუარი მონაცემი კი ის იყო, რომ ფრაუ ლო, მიუხედავად საცთომილო მასშტაბის საძიებო აქციისა, გაუჩინარებული იყო და რჩებოდა.

„ის რომელიღაც სხვა ცივილიზაციას ეკუთვნის. დედამიწელი რომ ყოფილიყო, სადღა გაგვეპარებოდა”, სიტყვა ჩაურთო ლუტოლსკიმ. „ამას კიდევაც რომ ავარიდოთ თვალი, სამედიცინო ექსპერტიზაზე რა გვეთქმის? ჩემთვის ფრაუ ლოს გარმიანელობა სიმართლეს მისამნებული ვარაუდია.“

„და თქვენ ასე თვლით?“ ურწმუნობდა ვან ააკერენი. „სანამ დოქტორ ფრიდლენდერს გაშიფვრის შედეგებით თავზარს დავცემდეთ, მე პროფესორ ფრანცს ვესტუმრები. მსურს გამოვკითხო, ანატომიური გამოკვლევა შესაძლებელს ქმნის თუ არა მისი ინტელექტის არამიწიერებას.”

„თქვენი ნებაა! შემდეგ კი დოქტორ ფრიდლენდერს თავადვე მივხედავ”, შეესიტყვა მას კომისარი. “მაგრამ ეხლა სხვა რასმე მწადია თქვენი გულისყური მივაპყრო. როგორც მოვისმინეთ, ფრაუ ლო თავის ჩანაწერში გედქალებს მოიხსენიებს. ერთი ზღაპარი მახსოვს, რომელიც, ჩემის აზრით, საკმაოდ ესადაგება ფრაუ ფრიდლენდერის მონაცემებს.”

“ზღაპრის მტკიცებულებად გამოყენება, სიახლეც ამას ჰქვია”, უგულველყო მთავარინსპექტორმა.

“მერე და რა არის ამაში მიზანშეუწონელი?” საქმიანი კილოთი განაგრძო ლუტოლსკიმ. “დასკვნით გადაწყვეტილებამდე ამ მიმართულებასაც უნდა დავადგეთ.”

ამას საერთო კურკური მოჰყვა, რადესკუსაც დაეტყო გაცხოველება. “ის ზღაპარი”, მიუბრუნდა ის ლუტოლსკის, “ხომ ვერ მოგვითხრობთ?”

“კრებული თან მაქვს”, მცირედი კდემით გამოტყდა ლუტოლსკი. “მოცალეობისას ხშირად ვფურცლავ, ჩინებული განტვირთვაა...”

ვან ააკერენმა არ დააყოვნა. “თანახმა ვარ, ამჯერად ჩვენ უთუმცაოდ გვმართებს ზოგ სტერეოტიპულ შეხედულებაზე ხელის აღება”.

კომისარი ძველმოდური, თხელტანიანი წიგნიდან, სათაურით “გერმანული ზღაპრების კრებული შეღერებულ ყმაწვილთათვის, მომზადდა სრული საშუალო სკოლის პედაგოგის ჰაინრიხ მალერის მიერ”, დეკლამირებას შეუდგა.

მეწისქვილის წარმტაცი თანამეცხედრე

იყო და არა იყო რა, იყო ოდესღაც ერთი ტლუ მეწისქვილე, რომელსაც უსიერ ტევრში გასაოცრად შნოიანი წისქვილი ედგა, და მის უშველებელ თვალს უფსკერო ტბის წყალი აბრუნებდა. მეწისქვილე პირმშვენიერი, ბრგე და ტანჩასხმული ყრმა იყო, მაგრამ მუდამ გულშემოყრილი დაფარფატებდა. მას აქეთ, რაც დედ-მამა გარდაეცვალა, ბაიყუშივით მარტო ცხოვრობდა თავის ყრუჩუნა გადაღრძობილ შინაკაცთან ერთად. მას ოდითვე სწყუროდა დაცოლწულება, მაგრამ სოფლამდე მზგეფსის სავალი იყო და ვერც ერთი ლამაზმანი, რომელსაც კი თვალი დაადგა, ვერ ერიდებოდა სოფლის მზიანობასა და მხიარულებას. მათ ხომ მოხისში მხოლოდ ძირბნელი ტბა და უსასრულო განკერძოება ელოდათ.

ერთ ღამეს – წყვდიადს მონავანი მანგის შარავანდი ლახვრავდა – მეწისქვილეს მძიმე კაეშანი შემოაწვა, თავისი ოცნების მზექალზე გამუდმებული ფიქრი მას მოსვენებას უკარგავდა. უძილობით გატანჯულმა სარეცლიდან წამოიწია, სანათური გამოაღო და

მთვარის სხივზე აკიაფებულ ტბას გასცქირა. იჩქითად მას ტკბილსაამური ჟღერა და ღიღინი შემოესმა. ლიცლიცა წყლის კიდეზე ოთხი მოციგლიგე სილუეტი მოჩანდა. ელფები! – მკვირცხლად განსაჯა მან. თუ ელფს ან გედქალს ხირღას გამოღლეტდი, ის უკან ვერ გაბრუნდებოდა და იმასვე ეხიზნებოდა, ვინც ამ წამოსასხამს იყო დაუფლებული. ძველთაგანვე ამბობდნენ, მასთან შეუღლება მარადიული სვესვიანობის მომტანიაო.

ამის გააზრებაზე მეწისქვილე გარეთ გამოიჭრა და გუბურას მასწორ ტბას ფეხაკრეფით მიუახლოვდა. იქ ის ოთხ ერთმანეთზე უთვალადეს ქალწულს შეეხეჩა. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი შუშპარით წრეს უვლიდნენ და თან მძნობლად საგალობელს დასძახოდნენ.

მაგრამ სად იყო მათი მოლები?

ის დიდხანს ეძებდა, სანამ ძველი, რტოებით წყლისაკენ გადაზნექილი წნორის ქვეშ ოთხ თეთრად მოქათქათე შეკვრას გადააწყდა. აშრიალებულ ტირიფს ის ტრელად მიეპარა, მაგრამ უცაბედად წინწკარს ფეხი წამოჰკრა და მანაც ბედურვათად დაიჭრინა. ქალწულნი შედრკნენ, მოთქმა-გოდებით ტირიფისკენ გამოქანდნენ, მაგრამ მეწისქვილე მათზე ჩასპანდი გამოდგა. ის კისკასად ერთ-ერთ საკუხს წაეტანა და ლაღად თავსმაღლა ააფრიალა.

ანაზდეულად ტბა თითქოს მზემ გაასხივოსნა. ის სამი, რომელიც თავის ლაბადას წამწვდარიყო, თვალშეუსწრებლად გადაიკარგა. ხოლო მეოთხე – ჭაბუკს ის უტურფესად ეჩვენა – ათახთახებული იდგა მის წინ და ხელგამოწვდილი ცრემლნარევი ხმით ევედრებოდა: “ნუ მაქცევ, ჭაბუკო, მიმადლე ჩემი მანტია. დამიბრუნე, რომ დებს მივეწიო. დამიბრუნე! გემუდარები”. თაფლისთვალება პირიმზე ცხარედ იცრემლებოდა. ის იმდენად ლამაზი იყო, რომ გონდაფანტულმა მოყმემ აბრეშუმის სამოსი პერანგსა და ყელ-გულს შუა გაფაციცებით ჩაიჩარა და მას მკლავში ხელი ჩაავლო. “მოსასხამს ვერასოდეს გამომცინცლავ. მომყევ წისქვილში, ვიქორწინოთ და აქ, ამ ტბის პირას საუკუნო ქუდბედიანობა დაისადგურებს”.

იაჯავარი ქალი არ ახირებულა. რამდენიმე დღე ქვითქვითებდა და ცრემლად იღვრებოდა, მაგრამ მალე დარდიც გაუქარვდა და მეწისქვილეს სამი მზეთა მზეც შესძინა. სამივე პირწავარდნილი დედა იყო. დაფრთიანდნენ თუ არა, კუდბახალებად დასდევდნენ სულ ერთთავად. მეწისქვილის წარმტაცმა თანამეცხედრემ, რა სახელითაც იცნობდნენ მას სოფელში, დიაღაც აქცია ქმარი ყისმათიანად. გლეხკაცნი მხოლოდ მასთან მოეზიდებოდნენ თავიანთ ზანდურს. მაგრამ არა მხოლოდ საფქვავ-საღერღად: უფრო მეტად ისინი აქ მზისადარი გადამთიელისა და მისი სამი ასულის სამზერად მოეშურებოდნენ.

ქალი მასხრობით დაეკითხებოდა ხოლმე თავის ქმარს, სად მალავ ჩემს მოსასხამსო. ერთხელღა დამანახე, ერთხელღა მახლებინე ხელიო, იაჯებოდა გედქალი. მაგრამ მეწისქვილეს ამაზე ჩაეღიმებოდა და მუდამ ჟამს ერთსა და იმავეს მიუგებდა: დავდაგეო. კეკლუც ცოლს კი ესმოდა, რომ ის ცრუობდა, მის გოსპანს ხომ ცეცხლი ვერ წაეკიდებოდა.

თუმც მას ლაციც-ლამუნი არ მოჰკლებია, თვალი მაინც ელფების საბრძანებლისკენ ეჭირა. და გადაწყვიტა ორყაბაზობას დასდგომოდა.

როდესაც ბერაბერი მოჯალაბე აღესრულა, ის ერთმა ტანოვანმა, წარმოსადეგმა მეწისქვილე ვაჟმა შეცვალა. ცოლმაც შემთხვევით ისარგებლა და ქმარში ეჭვიანობის აღძვრა სცადა. ის ყველა ჩასაგემრიელებელ ნაწილს იმ ახოვან მეწისქვილე ვაჟს უთავაზებდა და უნაშუროდ კოკობზიკობდა. ერთხელაც ქმარს ყურში ჩაჰკურკურა, როცა დაქალდება, ჩვენი უფროსი ქალიშვილი ამ ჯეილს მივათხოვოთ ცოლადო.

მეწისქვილე გაცხარდა. ის დღითიდღე განიცდიდა, რომ წლები არც მას სწყალობდნენ. მისი ელფი კი უცვლელი რჩებოდა, უწინდებურად უსული და ტურფა. ამით

გააფთრებულმა მეწისქვილემ სახამროში ლაყუნსა და ღამ-ღამობით თანამესმურთა წისქვილში პატიჟს მოუსადაგა.

ერთხელ შუაღამისას, როცა ის სუფრისმტეებთან ერთად სმას განაგრძობდა და უკვე საკმაოდ შეზარხოშებულიც იყო, მისი ლამაზი ცოლი ქილიკით შემოიჭრა. "ის მოსხეპილი ყმა შენზე ბევრად მარჯვე და გამსჯელია. შენ ხომ არარაობა ხარ. მე და ჩემი ღართი რომ არა, ყველა ზურგს გაქცევდა, შე უბადრუკო!"

მეინახენი სმენად იქცნენ. "ღართი?"

გალექებული მეწისქვილე თავისას არ იშლიდა: "ის მიუგნებ ადგილასაა მიკუნჭული. შენ ნუღა ირჯები, ვერას გააწყობ!"

სახლიკაც ჰინცს სიცილი წასკდა. "ამას ვერ ვირწმუნებ. შენი ცოლი ხომ შენზე გამჭრიახია და თუ მოისურვა, მოსასხამიც ჩვენს წინ მაგიდაზე აღმოჩნდება."

"მაგიდაზე, აქ რა უნდა?"

"კმარა! ჩვენ სულაც არ გვჯერა შენი, ეს რა მოსასხამსა და უთავბოლობაზე გვენიღნიღები, შე მკვეხარავ!"

"ეხლავე ნახავთ!"

"სწორედ გვიჩვენე! თუ მას შენ მართლაც მოიტან და წინ გადაგვიშლი, შენს გარდა ხორბალს ხუთი წლის მანძილზე არავისთან მივზიდავთ."

ჰინცს სხვებმაც წაჰხედეს. ჯავრზე მოსული მეწისქვილე წამოდგა. ის გაჩქურებული წატორტმანდა კარისაკენ, ცოლს თითით დაემუქრა და ბარბაცით კიბეს აუყვა. თავანზე დაუსრულებელი ზათქის შემდეგ კვლავ ჩამოხანხალდა.

ყველა მომლოდინედ დადუმებულიყო. მან პერანგიდან ვერცხლად მოციაგე ქსოვილი ამოიღო და აღთქმისამებრ მაგიდაზე გაფინა. ამის მსგავსი გლეხებს არაფერი ეხილათ, სანამ ისინი საუცხოო სისალუქის თვალთვალით ერთობოდნენ, გედქალმა ნაქსოვს ხელი წაავლო და ნიავივით ტბისკენ გაქანდა.

"გამოუდექით, არ მიიმალოს!" წამოიხავლა მეწისქვილემ.

უმალ წამოჭრილნი მას ხაფად გაეკიდნენ, მაგრამ დანათვერნი ძლივს მიიზლაზნებოდნენ და გაკიდეგანებული ქალი მიუწვდომლად წინაურდებოდა.

მათ ტბის კიდეს მიატანეს. და რა წარმოუდგათ ისედაც გაშეთებულთ: მან თავს ზემოთ მანტიის ფარფარით ფეხი იშვირა და წყალში გადაერია.

"შეჩერდი, დაიხრჩობი, შენ ხომ ცურვა არ იცი!" გახმამყივარდა მეწისქვილე.

უეცრად ტბის შუაგულში თეთრად ელვარე ბირთვი ამოტივტივდა, წყალი უჯეროდ არაკრაკდა, ზვირთები აიქოჩრა და მარაგს მიბჯენილი სფერო გედქალთან ერთად თვალთაგან მიიფარა.

სამ ასულზე გადმოცემა სდუმს. მეწისქვილე კი იმ დღიდან ძლიერ დასნებოვნდა და თემის გაკითხვით საზრდოობდა. ხანგრძლივ მას არ უბოგინია, მოწეულ გაზაფხულამდე ღვთივ განისვენა. დღეს მისი საფქვავი მოშლილია, მხოლოდ ამვლელ-ჩამვლელი იცნობება, მთვარის მოვანებისას გუბურის პირას ზრუნი და ვაება გაისმისო. ამბობენ, ეს მეწისქვილის სული დაძრწის და თავის ელფს უკუუხმობსო. მაგრამ ამაოდ.

ზღაპრის ბოლოც ეს იყო, ლუტოლსკი ახველებდა, მთავარინსპექტორი გაურკვეველ ლუღლუღს შეეპყრო და რადესკუმ ხმამაღლა შენიშნა: "მაგრამ კოსმოსში უხომალდო მიმოფრენას ვერც ერთი ორგანიზმი ვერ გაუძლებდა."

“ვიცით კი ეს ასე დაბეჯითებით?” ეჭვი მიიტანა ლუტოლსკიმ. “მისი კანის უჩვეულობა ხომ სახეზეა. იქნებ ის ნამდვილად არიდებს მას კოსმოსურ ტეხურსა და გამოსხივებას. და ეგებ ის მოსასხამი – უცილოა, რომ გოსპანი, რომელზედაც დოქტორი ფრიდლენდერი გვესაუბრა, საფრენი ლაბადანია – წყალთან მიმართებაში ჩვენთვის სრულიად უცხო ფიზიკურ თავისებურებებს წარმოქმნიდეს და ამით ანტიგრავიტრონები წარმოიშობოდეს. არ გაგონდებათ ისარნების ირგვლივ ფოთლებზე აღმოჩენილი სასწაულებრივი ცვლილებანი? – მაგრამ თავდაპირველად გთავაზობთ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლიდან სტუდენტთა რაზმი გამოგვეყოს, რომელიც ამგვარ გადმოცემებს გამოწვლილვით შეისწავლის და ამის თაობაზე მოხსენებასაც შეადგენს.”

ვან ააკერენი ჯერ აცმუნდა, შემდეგ კომისრის პირისპირ შეჩერდა. “ეგრე იყოს! ჩვენ ამასაც უსაფრთხოების ცენტრალურ სამმართველოსა და დოქტორ ფრიდლენდერთან დაკავშირებამდე ვაწარმოებთ. მაგრამ ზეგ ჯუმლი მაგიდაზე მედოს!”

დილით მთავარინსპექტორი პროფესორ ფრანცს ეწვია. მას ერთადერთი კითხვა ჰქონდა მედიკოსისადმი: “შეიძლება თუ არა ფრაუ ლო მის ანატომიურ თავისებურებათა გამო არამიწიერი მოდგმის ქმნილება იყოს და არა ადამიანი?”

ფრანცს თვალები წამოეკარკლა და განცვიფრებული ვან ააკერენს მიაცეცდა. ყავა, როგორც ყოველთვის, სანაქებოდ მოდუღებული ხელუკარები რჩებოდა მტრედისფრად დეკორირებულ მაისენურ ფინჯანში.

“თქვენ ბრძანებთ, ლო ფრიდლენდერი ადამიანი არ არისო?”

“ოღონდაც!”

“მაგრამ ეს ხომ მტკნარი შეუსაბამობაა”, ღიმილით შეეკამათა პროფესორი, მოულოდნელობისაგან რომ სული მოითქვა. “მიქარვაა-მეთქი! ლო გახლავთ ახალგაზრდა ქალბატონი, მეტადაც სანდომიანი...”

“და მისი კანი და სისხლის დალეკერტება, მხოლოდ სამი კვერცხუჯრედი ნაცვლად რამდენიმე ათასისა და ორმოცდათექვსმეტი ქრომოსომი რედუქციული გაყოფის გარეშე?”

“დალახვროს ღმერთმა, ამაზე პასუხის გაცემა მარტივი როდია. ალბათ რომელიმე გარეგანი, ჯერ აღმოუჩენელი ტომი...”

“ნუ იტყვით, სად ფრაუ ლო და სად ქვის ხანის მაიმახი! მე მსურს თქვენი როგორც ღვაწლმოსილი მედიკოსის აზრი შევიტყო. დასაშვებად მიგაჩნიათ თუ არა ჩვენი ჰიპოთეზა?”

“მაგრამ როგორ, რა ფანდით აღმოჩნდებოდა ის აქ? ჩვენამდე ჯერ არც ერთი სხვა ვარსკვლავის სისტემებიდან არ მოღწეულა გონიერთა არსებობის რამე ნიშანი.”

“ამჯერად ეს სულაც არ უნდა გვაურვებდეს. მიიღება თუ არა ჩვენი ვარაუდი?” დაჟინებით გაუმეორა ვან ააკერენმა. ის გრძნობდა მოპირისპირის აჭოჭმანებას.

“რას გიქვიათ მიღება ან არმიღება? მე, გამოგიტყდებით, ლიტერატურაში საერთოდ არ გადავყრილვარ ასეთ ფენომენს. ეგება...” ფრანცმა თავი მიაქნ-მოაქნია. “დიახ, ჩვენს დედამიწაზე სადღეისოდ უცხოცთომილელების სტუმრობა რომ დაგვედგინა, მაშინ იოლად დამითანხმებდით. მაგრამ ასე, ეს ნამეტნავად სპეკულაციურად მეჩვენება, თითიდან გამოწოვილი ჰიპოთეზაა.”

“ქირურგიული ჩარევისთვის თავად რომ არ გეხელმძღვანელათ, არც მის შედეგებს აღიარებდით?”

“შესაძლოა. მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს თქვენი ნააზრევი მე სავსებით უარმეყოს, მხოლოდ ძნელად წარმოსადგენია.”

“და თქვენ კვლავაც იმ აზრისა ბრძანდებით, ფრაუ ლოს ფსიქიკურ მდგომარეობაზე რომ ლუტოლსკისთან საუბარში გამოგითქვამთ?”

“რა თქმა უნდა. მაშინ ეს მე ცხოვლად განვუცხადე თქვენს ღრმად პატივცემულ კოლეგას.”

მომსვლელმა თხელტანიანი საქაღალდიდან ფრაუ ლოს ჩანაწერები ამოიღო. “ჩაათვალიერეთ და ჩემი მიდეგაობის მიზეზსაც ადვილად ჩასწვდებით.”

კითხვისას პროფესორი გაფითრებული შუბლს ისრესდა, სათვალე გაისწორა, ტექსტი ხელმეორედაც გადაიკითხა და მძიმედ ამოივიშა. “წარმოუთქმელია”, წაიდუდუნა მან თავისთვის, “ყოვლად წარმოუთქმელი! მაგრამ სხვაგვარად ეს ვერც აიხსნებოდა. გამოდის...” ის ფეხზე აიჭრა და აზავთებული აბეცდა. “მაშინ ხომ პირველი ადამიანი ვარ, რომელმაც არამიწიერი არსის ოპერირება აწარმოა, არსისა, რომლის წარმომავლობასაც არაფერი აქვს საერთო ჩვენი მნათობის სისტემასთან. ეს ისტორიული ნიშანსვეტია მთელს საკაცობრიო მედიცინაში, საჩქაროდ უნდა...”

მან უკვე მოავლო ხელი ვიდეოფონს, მაგრამ მთავარინსპექტორმა ის თავაზიანად დააბრკოლა. “სიტყვაც არ დაგცდეთ, პროფესორო! უმკაცრესი დუმილი გვმართებს, ეს ჯერ თვით მეუღლესაც არ მოეხსენება. თქვენ მოთანაგის სახით მსოფლიო სამეცნიერო საბჭოში მოგიწევთ წარდგომა. პირიანად მოემზადეთ. მოადრება და მალიადობა საქმეს წაგვიხდენს. ორიოდე დღე უნდა შეისვენოთ, თავი რომ არავისთან გასცეთ. ვიცი, რაოდენ მძიმეა მეცნიერისთვის მსგავსი საიდუმლოს შენახვა, თუნდაც მცირეოდენი დროით.”

უსაფრთხოების სამმართველოში ვან ააკერენს უკვე მოელოდა ლუტოლსკი. მთავარინსპექტორის ხილვაზე მან პორტფელში ხელი ჩაყურსა და მომსხოდ შენაკონი ფურცლები მოიმარჯვა. “გუშინ სტუდენტთა შემწეობით ყველა ხელმისავალი თქმულება გამოვიკვლიე ელფებსა და გედქალებზე. შედეგი ასეთია: მხოლოდ გერმანულენოვანი მასალებიდან ას ორმოცდასამი ამონაკრეფი მოვიპოვეთ, რომლებშიც იმაზევეა ლაპარაკი, რაც მე უწინ გიამბეთ.”

მან დასტა გადაფურცლა და ერთ-ერთი ქაღალდი განრთო. „აგერ, განურჩევლად განვათვისე. *ნაარმევი ლაბადანი*: ‚ამის თვალსაჩინო დასტურია, რომ წელიწადში ერთხელ ისინი გედებად იქცევიან ან როგორც თვითონ ამბობენ, გედის სამოსს ისხამენ. ლედენის ქალიშვილები ხომ სხვა უსუართა მსგავსად შიშვლად არ იშობიან, ამ სოფელს ისინი ფშვიადი, ეთერის შესქელებულ შუქსხივთა სამოსელით ევლინებიან, რომელიც ზრდისდა მიხედვით იწელება. ის მყისვე ძლევს მიწიერ მიზიდულობას და სხეულს მსუბუქი ფრენით ზეცაში იტაცებს. თანაც მის მფლობელს გედად გარდასახავს, რომელიც მანამ არ იცვლის სახეს, სანამ ეს ტალავარი ტანთ ამოსია.‘

და შემდგომ იქვე: ‚ის ალერდზე განფენილ სამ საქალწულო მოსასხამს გადაეყარა, რომელიც დედაზარდლის ქსელზე უთხელესი და ახლადჩამოცვენილ ფარტენებზე უსპეტესი ჩანდა.‘”

უმალვე ლუტოლსკიმ მორიგი თაბახი შემართა: “ნორვეგიული ზღაპარი, *ქალწული ელზა ფონ ელფენბიული.* ესეც არანაკლებ საგულისხმოა: ‚უგრძნეულად მას შორიდან მონადენი გრგვინვა შემოესმა, მოშავბნელებულ ცაზე ძოწეულად მოღუილე სხივები გამოტყვრა. ნათება ახლოვდებოდა და თანდათან სამთავ-სამრიკა ვეშაპს დაემსგავსა. რაც უფრო ახლოს იყო ის, მით უფრო შმაგობდა აღვირახსნილი ქარაშოტი. აბობოქრებული ქარტეხილი უკვე

შალდაყზე ჩამოშურდულდა და თვითეულ ღეროს გაავებით თელავდა. ბებერ იფანსაც ასთამთამებოდა საზაროდ გახეიბრებული ტანი და საწყალობლად აფრთხიალებდა ილაჯგაცლილ შტოებს. ჰანზმა ტოტები დაბღუჯა, არმურს რომ თან არ წაეტაცა.

გრიგალი უეცრად ჩადგა; ცარგვალი კვლავ გაცისკროვნდა და ნაცვლად ცეცხლოვანი ურჩხულისა ჰანზმა სამი თეთრი გედი იხილა. მაგრამ როგორც კი ისინი დაბლა დაეშვნენ, აღმოჩნდა, რომ ეს სამი ზემიწიერად თვალადი ქალწული ყოფილა. მწყაზარნი იმ ხის მახლობლადვე ჩამოხმელეთდნენ, რომელსაც აცახცახებული ჰანზი ამოსაფრებოდა. მათ ზურგზე წამოზრდილიყო თეთრი მოდიდო ფრთები და ამბანგველი სინარნარით ფარფარებდნენ მათი არხლისებრ ჭიატა მოსასხამები. ქალწულთ იქვე მოიცილეს თავიანთი გერმის საკუხნი, ფრთებიც შეიკეცეს და სამივე მოლი იფნის ძირთან აციალდა. ისინი კი ბეკნა-ცმუკვით ტრამალისკენ გაიხვეწნენ და გალობით სამა წამოიწყეს.

ჰანზი განუმეორებელ სანახაობას ადევნებდა თვალყურს. ის ძლივსღა უძლებდა ზეგარდმო ასულთა სამოსელისა და მათ თავებზე კოპწიად მოყვანილ ოქროვარაყიან დიადემათა ცქერას.“

ლუტოლსკიმ ფურცელი პორტფელშივე ჩადო და დარწმუნებით განაცხადა: “ეს შემთხვევითობა არ არის. და რასაც ხვალ წარვადგენთ, ვფიქრობ, შთამბეჭდავი უნდა გამოდგეს.”

ვან ააკერენს პირზე ღიმი აუციმციმდა. “თქვენი თავგამოდება გასაგებიც არის. უცილობლად წაგვძახებენ, ეს ხომ შლეგის მინაკიბიაო. მაგრამ ჩვენის მხრიდან ამას ანატომიური გამოკვლევის შედეგები უნდა დავუპირისპიროთ და სწორედ ისიც, რომ მტკიცება სირანელ გედქალებზე ნამდვილად ეკილოკავება ზღაპარებისა და თქმულებების მთელ რიგს. გარდა ამისა, ფრაუ ფრიდლენდერის მოუძიებლობაც სახეზეა. თუ მისი კვალი ვერ მოინახა, და საქმესაც ეს პირი უჩანს, ერთიანად უნდა ვცნოთ, რომ ის უკანვე თავის ორწილა ვარსკვლვს დაუბრუნდა – ღმერთო მაღალო, ზენაარი მოყურიადე ჩვენს დროებაში! ეს ხომ ჩვენთვის ცნობილ ყოველგვარ გამსჯელობასთან შეუწამებელია. ნუთუ მართლაა შესაძლებელი იმ უთხელესი ლაბადით კოსმოსური წკვარამის შემოფრენა? იქნებ ხვალ ამას უკეთ ჩავხვდეთ, თქვენი მეოხენი ამ ამონაკრეფთაგან ჯეროვან რეზიუმეს თუ შეკონავენ.

მაგრამ ხომ არ არის ყოველივე სულ სხვარიგად შეწყობილი, ხომ არ უწყოდა ფრაუ ლომ ბევრად მეტი საკუთარ თავსა და თავის მემკვიდრეობით დაავადებაზე, ვიდრე ამას პროფესორი ფრანცი გვისახავს? ამის გამო მან შესაძლოა სულაც სიცოცხლე მოისწრაფა, ისე ფარსაგად, რომ ჩვენ ვერაფერს მივგნებოდით. ესეც ვერსიაა.

გამოიძინეთ, ლუტოლსკი! ხვალ კვლავაც ცნობისმოყვარე დღეა.”

დრეზდენის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის რექტორმა ხმა განიწმინდა და გულამბარიდან დინჯად მოქანდული სათვალე ამოიღო. ლუტოლსკის შინაგანი ბორგვისაგან ფერი მიხდოდა. მთავარინსპექტორიც დაძაბულად წინ წახრილიყო. მათთან ერთად უსაფრთხოების სამმართველოს სხდომათა დარბაზში პროფესორ ფრანცსა და სტუდენტური დასის წევრებსაც მოეყარათ თავი.

“რასაც ეხლა გამცნობთ, მეტად უჩვეულოა”, მიმართა რექტორმა არც თუ დიდძალ საზოგადოებას, “თავიდან ამ დასკვნაში უთავგზურობა ვიგულე და მითითებული წყაროები პირადად შევიტანე ჩვენს კომპიუტერში. პროგრამაც და ალგორითმებიც თავადვე გადავამოწმე. მაგრამ შედეგი, მიუხედავად თავდადებული ცდებისა, იგივე დარჩა.” ის მცირე ხნით დაყურსდა და საქაღალდე გადახსნა. “ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ხელთ

არსებული მასალა მიმოვიხილეთ, რომელიც ას ორმოცდაოთხი ზღაპრისა და თქმულებისაგან შედგებოდა, მათ შორის იყო ამბავი მეწისქვილის წარმტაც თანამეცხედრეზეც. ამასთანავე, შემდეგი თანმთხვევა გამოიკვეთა: იქ ნახსენებ სულიერთ მოეპოვებოდათ ან თეთრი წამოსასხამი ან იმავე ფერის გედსამოსი. ეს უკანასკნელი მეტწილად ვალკირიებთან დაკავშირებულ ლეგენდებს ახლავს თან.

მეორეც: გარმიანელთა პირველი გამოჩენისას მუდამ გამოიყოფა წყალი, იქნება ეს გუბურა, ტბა თუ მდინარე. ორმოცდათექვსმეტ ზღაპარში გედები ლივლივით მოიწევენ და ნაზად ეშვებიან წყლის ზედაპირზე. მეყისყოფით სალეკზე ცისიერად უსული ქალწულნი ტყვრებიან, ძნობენ და როკავენ. მეორე კრებულში მათ მხოლოდ გაქრობის წინ უვლინდებათ საელფო მოსასხამები. ოთხმოცდაჩვიდმეტ ამონარიდში კი ცამეტორი მოიხსენიება.

მესამეც: ას ორგზის გედსამოსსა თუ მანტიას მოკლებული ქალწული იმასვე შეეკედლა, ვინც ეს საფრენი ტალავარი მიიტაცა. მორიგ ორმოცდაორ ნარკვევში ასახულია მარტოოდენ მოფუნდრუკე ლამაზმანთა მოდარაჯება და – უეცარ დაფეთებაზე – ცქვიტი გაფრენა გედად ან ბურუსის ღრუბლად. შეგახსენებთ აგრეთვე ჩაიკოვსკის ბალეტს *გედების ტბა.*

მეოთხეც: იმ ას ორ შემთხვევას, რომელშიაც მათი ვარსკვლავეთში აჭრა აღიკვეთა, ჩვენ უფრო ვრცლად გავეცანით. მათგან სამოცდათვრამეტში ელფი დასასრულს მაინც დაუსხლტდა მომტაცებელს. ან ოინი უყო მას, რათა წამოსასხამი მოეხელთა – ეს ოცდაცხრაჯერ მოხდა –, ანაც ძალისძალად განევლტო, ელფური წარმომავლობა რომ გაუმჟღავნდა; უკანასკნელ შემთხვევას ორმოცდაცხრაჯერ ჰქონდა ადგილი. აქედან სახეზეა მითითება: ელფის წარმოშობის აღმოჩენას განურინებლად მოსდევს მისი გადახიზვნა, იმისდა მიუხედავად, თუ რაოდენაა გულსავსე მიწიერი ყოფით ამ იდუმალების მზიდველი.

მეხუთეც: ყველა ას ორმოცდაოთხ შემთხვევაში ხაზი გაესმის უცხო ქმნილებათა დამათრობელ სიტურფეს. სამოცდათერთმეტგზის გაკვეთილად შენიშნავენ ქარცი თმისა და თალხი თვალების სულისწამღებ შეფერებას. თვალდათვალ გამოიყოფა მათი გონმოქნილობა და სათნო ნიშატიც. ოცდათორმეტ გადმოცემაში კი წულებსაც შობენ, უმეტესად ორიდან სამამდე და მიწყივ ასულებს; ძეზე ზღაპრები სდუმან.

ეს შედეგები ჩვენ იმთავითვე შევადარეთ თქვენგან მიღებულ მონაცემებს. უეჭველია, რომ ყოველივე ფრაუ ლოსა და მისი გარდახვეწის შესახებ მოწმდება. ამიტომაც ყველა ეს ზღაპარი და თქმულება ნამდვილ დაკვირვებებს უნდა ეყრდნობოდეს, თანაც სავარაუდოა, რომ ერთსა და იმავე შემთხვევას მრავალი გადმოცემა ასახავს.

მეორეს მხრივ, ფრაუ ფრიდლენდერი მტკიცედ უნდა განვაკუთვნოთ ელფების და გედქალების რიგს, რაკიღა წვრილმანთა თანხვედრა ზედმიწევნითია. ჩემდათავად იმასაც დავძენ, რომ სამიდმოებოს ეს დასკვნა არაფერს შეიცავს: ფრაუ ლო უცხოცთომილელია.”

ლუტოლსკი გაბადრულიყო. დარბაზის აზავთებამდე მთავარინსპექტორი წამოდგა და მადლობა შესწირა ამაგდარ რექტორსა და მის სტუდენტ-ფილოლოგებს.

“ამას თქვენ უფრო თქვენსავე თანამოსაგრეს, კომისარ ლუტოლსკის უნდა უმადლოდეთ”, მიუგო მას რექტორმა, “მისი უარშიობა რომ არა...”

“მთლად ასეც არ გახლავთ საქმე”, ქათინაურს იგერიებდა ლუტოლსკი, “ბოლომდე დარწმუნებული როდი ვარ. ეს შედეგი მე ისევე მანცვიფრებს, როგორც თითოეულ თქვენთაგანს. ძნელად თუ წარმოიდგენ ესოდენ ნაზი ქსოვილით მზის სისტემიდან მზის სისტემამდე გადანიავებას, ანაბიოზში ან ატომთა შადასებრ ნულოვან სივრცეში.”

მთავარინსპექტორი იღიმოდა. “ამას ჩვენ ვერც წავბაძავთ და ვერც ვერასოდეს გადავამოწმებთ, მიუხედავად იმისა, რომ პროფესორმა რადესკუმ ფრაუ ლოს უცნაური ბარათი ამოიკითხა.”

ვან ააკერენი და ლუტოლსკი გასვლას აყოვნებდნენ; ჩამრგვალებული მთავარინსპექტორი მღელვარედ ხვნეშდა. “დროა, უსაფრთხოების საბჭოს მოხსენება წარვუდგინო, დღეს დილით დამიკავშირდნენ. ჩანს, მსოფლიო აკადემიასაც ეს ძალზე რჯის.”

“მაგრამ დოქტორი ფრიდლენდერი?”

“მას, როგორც დავთქვით, თავადვე მონახავთ. იქნებ უპრიანიც იყოს, მხოლოდ ეხლა რომ ვარკვევთ მომხდარში. ჟამით-ჟამად მე ეჭვი შემდიოდა, იყო კი გამართლებული, მას რომ ფრაუ ლოს მიგვრას მთელი ამ დროის მანძილზე ასე გულდაჯერებით აღვუთქვამდით. მე ხვალვე რიჟრაჟზე მსოფლიო სამმართველოში უნდა გავფრინდე. და თქვენ დოქტორ ფრიდლენდერს ეწვევით!”

კარი მესამე
უცხოცთომილელი დედამიწელი

მაქს ფრიდლენდერი გულისყურით კითხულობდა. მის პირისპირ იჯდა შესწრებული დედაც, ხელზე თავდაყრდნობილი. ისიც ასლს ჩაღრმავებოდა.

ლუტოლსკი ფორიაქს მოეცვა. ნეტავ როგორ იმოქმედებდა ეს დედა-შვილზე, მათზე, ვინც სხვებზე ხანიერ იცნობდნენ ლოს და მჭიდროდ მახლობლობდნენ მას?

მაქს ფრიდლენდერმა თვალი აიშვირა. “და ეს მე ლოს ნაწერად უნდა მივიჩნიო? პროფესორმა ფრანცმა ანატომიურ გამოკვლევას რომ გამაცნო, ჩემთვის ისიც მომაშთობელი იყო. მაგრამ მე ბიოლოგი გახლავართ და შემიძლია გარწმუნოთ, რომ იმ საკვირველებას გვერდი ნამდვილად ვერ აექცეოდა. რატომაც ვერ უნდა განტოტებულიყო ჰომო საპიენსი ორად? ამის გააზრება მე მცირედაც არ მიმძიმს. მაგრამ ეს, რაც აქ ჩავათვალიერე, რა საცთურმა უნდა ჩამაგონოს? არა, ჩემო ბატონო, ეს უკვე უსაზმნოებაა!” და მას უეცრად სიცილი წასკდა, დიდხანს იხარხარა, თავაწყვეტით და ძლიერ ხმიანად. როცა შესაზარ ღინცილს ბოლო დაუდგა, მან თავს დაუხმო და კვლავ მოიტეხინა. “მე ხომ არამიწიერ არსებასთან მიცხოვრია! შევტრფოდი ვის – უცხოეტლელს, ფსევდოადამიანს? არა, ამას სრულიად გამოვრიცხავ. შესაძლოა ლოს მართლაც აწუხებდა ნერვული მოქმედების ფარული მოშლილობა...”

“თავს ნუ გადიხარ, მაქს!” გაფოთდა ფრაუ ფრიდლენდერი. „ხომ არ გგონია, თითქოს ეს ბატონები სეირს ესწრაფვოდნენ? ნაწერი რომ გულდასმით ჩაგეკითხა, თავადაც მიხვდებოდი, რომ ლოს შენი რეაქცია ზუსტად განუჭვრეტია. შენ ის გიცნობდა, შესანიშნავად გიცნობდა. და ასე ხელაღებით რატომღა შეთხზავდა ამ წერილს. როდესაც ლო მექსიკიდან ჩამოიყვანე, იმ უხვედრი ავტოფანტასტიდან, მე ის მართლაც წარმომიდგა ზემიწიერ მოვლენად. რაც მაშინ ეგზოტიკის ხიბლად ვიგულისხმე, იქნებ სინამდვილეში მთელი ამ უჩვეულობის შეგრძნება იყო...“

„დედა," შეაწყვეტინა მას მაქს ფრიდლენდერმა, „რა გემართება? ეს მე უბრალოდ არა მწამს."

„შენ ეს არც გინდა იწამო. ჩემთვის კი ამით ბევრ რასმე მოეფინა ნათელი."

„საკუთრივ რას?" მყისვე ჩაერთო ლუტოლსკი.

"ერთხელ ამ ჩანაწერის გამონახვის შემდეგ მე საბავშვო ბაღს ჩამოვუარე და გამგეს, ბავშვებსა და ლოს კოლეგებს გავესაუბრე. სწორედ მაშინ ერთმა ანცმა ბიჭუნამ მიამბო, დეიდა ლო ისეთ საამო ზღაპრებს გვიყვებოდა, სამყაროში უხომალდო ქარქარზეცო. ბედშავ პრაქტიკანტს, ლოს რომ ჩაენაცვლა, უსასრულოდ უნდა განეგრძო თხრობა თვალად ქალებზე, ზურმუხტისა- და ქარვისფერ მთიებზე, როგორც ეს დეიდა ლოს სჩვევოდა."

მაქს ფრიდლენდერმა თავი ურჩად გააქნია.

"მაგრამ ის, რომ ლო ნეანდერტალერის პირდაპირი შთამომავალია, შენთვის ხომ ერთი ხელის მოსმითაა მისაღები! აგებ ის სულაც yeti-მდედრი ყოფილიყო?" შმაგობდა დედაბერი. "და რა იყო, თქვენ რომ ლოს დებზე ახსენეთ?" მიუბრუნდა ის კომისარს.

ლუტოლსკიმ ნიშანდობლივ მოახსენა ფრიდლენდერებს თქმულებათა შესწავლის შედეგები, სტატისტიკაც წარმოადგინა. „არა", დაასკვნა მან, "ჩვენის აზრით, და ასეთივეა უკვე პროფესორ ფრანცის ხედვაც, ლო უთუოდ უცხოცთომილელია."

მაქს ფრიდლენდერმა სახე ხელებში ჩაფლო. ის გარკვევით უღირღიტებდა თავს ავტოფანტასტაში ჯიპიდან გამომავალს, მწყურვალ-მწიკვლიანად გამომავალს. მას ცხადად აგონდებოდა სასტუმროში აგერ უკვე რამდენი კვირის გამოშვებით მიღებული შხაპი და სასიამო მოსულდგმულება. იხსენებდა, როგორ დინჯად და გულხალვათად მიუყვებოდა კიბეს დაღმა დარბაზში. ის თითქოს გვერდიდან უჭვრეტდა თავს პირგაპობილსა და იმ სულისწამღები სახისადმი მიცეცებულს. ნათელი იყო, რომ მაქსი მანამდე განუცდელ, სრულებით უცხო გრძნობას გაეთანგა. პირიმზე სენიორ ლოპესის თანხლებით განაპირა მაგიდისკენ გაემართა: დონია ლოლიტა! მაქსში ნაპერწკალმა გაიელვა. მან მყისვე გააცნობიერა, რომ მხოლოდ ლაზათით აღტყინება, მხოლოდ ქალის მონატრება და ეროტიკული თრთოლა ეს არ იყო. ეს ჰგავდა წინათგრძნობას აქ ისეთ რამესთან შეფეთებისა, რასაც მისი წარმოდგენა ვერ იტევდა. არსებამ, რომლის ხმა მას ჯერ არც კი სმენია, სამუდამოდ დაიმონა ის თავის მცირეოდენი დაკვრით. უმარტივესად და ყოველგვარ საზრიანობასთან შეუსატყვისად... მოგვიანებით მას კოლეგებმა გაუმხილეს, რომ ისინიც იმავეს განიცდიდნენ.

ლოლიტა მადლცხებული, ინტერლინგვაზე გაუმართავად მოსაუბრე უცხოელი აღმოჩნდა – იქნებ ფინელი, როგორც ამას სენიორ ლოპესი ვარაუდობდა. მთელი მისი არსებიდან მოუარშიებლად გადმოქუხდა მხურვალე ცნობისმოყვარეობა, მას იპყრობდა ყველა და ყველაფერი. ხოლო რა წამსაც შეიტყო, რომ მაქსი ბიოლოგი იყო, გვერდიდან თითქმის არ მოსცილებია. მოინადირა კი მან ლოლიტას გული თუ ის მხოლოდღა შეარჩიეს? დღეს უკვე პასუხი თავისდათავად იკვეთებოდა. ის რომ ფიზიკოსი ყოფილიყო, ლო მას ალბათ უგულველყოფდა.

მაგრამ რატომ სწორედ ბიოლოგი? ეს უთუოდ მის წარმოშობას უკავშირდებოდა. მან იცოდა, რომ მისი შვილები პართენოგენეზის ნაყოფი იქნებოდნენ. იქნებ მისი დავალება მიწიერ ბიოლოგიურ გამოკვლევათა თვალმდეგობას შეადგენდა. მაგრამ რატომ, რა მიზნით, ამაში მაქსი ვერ გარკვეულიყო. რით აიხსნებოდა ის მითითება კატასტროფასა და შემდგომ ვარსკვლავ ეას მიერ შებრალებაზე? ხომ არ ჰპოვებდა აქ დასაბამს სირანის ქალწულური,

უმამრო ყოფა? “დედათა ვარსკვლავი”? იქნებ აქედანვე წარმოსდგა მისი გუმანიც, რომ ლო იკვლევდა მას როგორც მამაკაცს.

ფიქრმიცემული ბიოლოგი შეკრთა. უბედითად მას ყველა თავისი მოსაზრება ლოს გარმიანელობით გაემსჭვალა... მან მძიმედ ამოიოხრა. “ჭეშმარიტებას ბრძანებთ, კომისარო და შენც, დედა. უბრალოდ, უზომოდ მტკივნეულია აღიქვა ის, რასაც გონება და გამოცდილება მთელის გამეტებით წინ ეღობება.”

მაქს ფრიდლენდერი რამოდენიმე წუთით გარინდულიყო. მას დედა მიუახლოვდა. “შესაძლოა ლო კვლავაც დაბრუნდეს დედამიწაზე”, ანუგეშებდა ის შვილს, “არა დღეს, არა წლეულს ან გაისად, მაგრამ მაინც ახლო მომავალში. ის ხომ თვითონაც მიგვანიშნებს ამაზე. თუ ისინი მრავალრიცხოვნად გვესტუმრნენ, ლოც მოინახება მათ შორის.”

“დიახ, თუ! თანაც როდის? და სად მდებარეობს საერთოდ ის ტოლიმან ა და ბ? ან რა მოგვეხსენება ალფა კენტავრის შესახებ?“

კომისარი დამინდდა. თუ მაქს ფრიდლენდერი ლოს დუალისტური მნათობის მდებარეობას ესოდენ შეეპყრო, ეს უკვე მოასწავებდა მის მოგონიერებას.

“ტოლიმან ა და ბ”, თარგმნა იწყო ლუტოლსკიმ, “კენტავრუსის თანავარსკვლავედს განეკუთვნება სამხრეთის ცაზე, რომელიც ჩვენთვის აქედან უსაჩინოა. ტოლიმანი უშუალოდ სამხრეთის ჯვართან კიაფობს და მის მახლობლადვეა პროქსიმა კენტავრიც, ჩვენგან უახლოეს მანძილზე მდებარე უძრავი მთიები. ტოლიმანს სხვაგვარად ალფა კენტავრს უწოდებენ. ეტლი ტოლიმან ა იმავე სპექტრალური კლასის მნათობია, რომლისაც ჩვენი ვარსკვლავი. ტოლიმან ბ ჩვენი მზის მოასაკეა, მაგრამ უფრო მკვეთრად ციალებს.”

“და დღემდე ალფა კენტავრით რატომ არავინ დაინტერესებულა?” იკითხა მოხუცმა ქალბატონმა.

“საქმე ის არის, რომ ორბეზეკიან საპლანეტო სისტემებს მეტად რთული გრავიტაციული ურთიერთობანი ახასიათებს. ასტროფიზიკოსებმა ჩვენ ამომწურავად გაგვიშუქეს ეს საკითხი. მაგრამ სირანი თვალნათლივ მოწმობს, რომ მათაც შეიძლება ეკოსფეროში მწყობრივ მიმოქცევადი ცთომილნი გააჩნდეს. ტოლიმანთან მიმართებაში ამას ხელს უნდა აძლევდეს ორთავე მზის მნიშვნელოვანი მსგავსება; უპირატესად ხომ ორფა სისტემები ღაჟღაჟა გოლიათისა და მის გარშემო მბრუნავი თეთრი კორჩიოტისაგან შედგება.”

“მესმის”, მიუგო მაქს ფრიდლენდერმა.

“ეხლა კი ჩვენს საზრუნავსაც მინდა შევეხო”, განაგრძო ლუტოლსკიმ. “უსაფრთხოების სამმართველოში სასურველად მივიჩნიეთ ამ ნაწერის გამოქვეყნება და საამისოდ თქვენი დასტურია საჭირო. ნუ იფიქრებთ, თქვენს გრძნობებს პატივს არ ვცემდეთ, მაგრამ მეცნიერება თავისას მოითხოვს...”

“ამის გამოუქვეყნებლობა არც ეგების”, შეაწყვეტინა მას დედა ფრიდლენდერმა. “განა არა, მაქს, შენც ხომ ამ აზრისა ხარ?”

ვაჟი დაეთანხმა. “ასე იქნებ სხვა სირანელთა არსებობაც გამოვლინდეს დედამიწაზე”, დასძინა მან მცირედი სასოებით.

ლუტოლსკი შეთრთოლდა. მართლაც მოსალოდნელი იყო უსაფრთხოების სამმართველოსთან მრავალთმრავალი მანდილოსნის მოჯარება. მამაკაცთაგანაც მრავლად მოზავთდებოდნენ, ვინც ჩათვლიდა, რომ გარეგან ქმნილებას მეუღლეობდა.

კომისარი წამოზეზევდა. “უღრმეს მადლობას გწირავთ”, დავალებულად მოახსენა მან ფრიდლენდერებს. “ჩვენ კვლავაც ვეცდებით, რომ საგულისხმო არაფერი გამოგაპაროთ. ამჯერად კი ეს შემთხვევა უსაფრთხოების მსოფლიო სამმართველოსა და მსოფლიო აკადემიას წარედგინება. ხოლო გადაწყვეტილების მიღებამდე ისევ და ისევ მკაცრი

პირშენახულობა გვმართებს. საზოგადოებას მხოლოდ მეცნიერულად დამუშავებული, უტყუარი ცნობა უნდა მიეწოდოს. ვგონებ, თქვენი განწყობაც ასეთივეა.”

სტრატოდისკი ოცი კილომეტრის სიმაღლეზე თითქმის უჩუმრად მიიწევდა სამხრეთისკენ. სტიუარდესა გაკვირვებული ჩანდა. ყველა მგზავრი კინწმოწყვეტილი გაწოლილიყო თავის საკარცხულზე და თვლემდა: ლუსკუმი ღამისა და ნამეტნავი სიმაღლის გამო ძირს ვერაფერს მიაგნებდი. მხოლოდ ბოლოდან მესამე რიგში უწინდებურად ენთო საკითხავი ლიფლიფა. იქ მჯდომი, შუახანს მიტანებული სათვალიანი მამაკაცი, ბერლინიდან ნაირობის მიემგზავრებოდა. ზარმელი მან იუარა, მხოლოდ შანარი აიღო.

ბორტმეგზური ფეხაკრეფით სალონის ბოლოსკენ გაემართა. იქნებ შუქის გამორთვა დაავიწყდა? მაგრამ არა! ის კვლავ გაცვრენილი იჯდა და თავდავიწყებით კითხულობდა. ჟურნალის სათაურის მიხედვით საქმე ასტრონომიას შეეხებოდა.

კითხვას შეყოლილ მამაკაცს უცაბედობისაგან გული გადაუქანდა, როცა მას ნაზად წაჰკურკურეს: “რამეს ხომ არ ინებებთ, იქნებ წვენი მოგართვათ? ათიოდე წუთში ვეშვებით და კვალად ვერაფერს გითავაზებთ.”

მან თავდაკარგულად თვალები შემართა. “წვენს ხომ არ ინებებდით?” გაუმეორეს მას, რაზედაც ჰაშა ჰკრა და მადლობის მიძღვნით კითხვა განაგრძო.

შეცბუნებული ქალი უკანვე გაბრუნდა. ახირებული ვინმეა, ფიქრობდა ის. ტიპური მეცნიერი! მთელი ზედეთიც რომ გაუდაბურებულიყო, წარბსაც არ შეიხრიდა უსაზმნო იდეებით გატაცებული. მას ერთი საცინარი ამბავი მოაგონდა რომელიღაც საჭოჭმანებ მათემატიკოსზე. ჯვრისწერიდან მეექვსე კვირას მან ცოლს უეცრად “თქვენობითა” და “ძვირფასო ფროილაინით” დაუწყო მიმართვა, რადგან გვირგვინის კურთხევა ერთიანად გადაყროდა მეხსიერებიდან. ის უჭირველად განაპირებული მამაკაციც ალბათ მორიგი აღმოჩენის პოტინში იყო. გარემოს მომწყდარი, მარტოოდენ თავის აზრთა საუფლოში მყოფი, ის გულითად სიბრალულს აღუძრავდა სიცოცხლით აღსავსე ბორტგამყოლს.

ნაზმა გონგმა და ნაბიჯ-ნაბიჯ მომდინარე შუქმა ფიქრმორეულ ქალს ზაფრა სცა. სტრატოდისკი ეშვებოდა! მგზავრები მცონარედ გაიზმორნენ, სავარძლები აშოლტეს, ერთ-ერთმა ხმამაღლა იკითხა: “როდის დავფრინდებით?” სალონებში ჩვეული ცოდვილობა შეიქნა. მხოლოდ ის ერთი კვლავაც უძრავად იჯდა და კითხულობდა. დაფრენის თადარიგი რომ დაეჭირა, ბორტგამყოლს ხელმეორედ მოუხდა მისი გამოცოცხლება.

უკვე შეცისკრებულიყო, როდესაც მაქს ფრიდლენდერი სამგზავრო ყუთით ხელში მოძრავ ქეჯზე იდგა და აეროველის გასასვლელისკენ მისლიკინებდა. სხვა ყოველი მოხიბლული მიხედ-მოხედავდა საჰაერო მიმოსვლის ამ იშვიათ მებოძირს. ერთიერთმანეთზე გაემწკრივებინათ აუარებელი სტრატოდისკი, მცირე ჯეტი თუ შვეულმფრენი. მანქანები უჩქამოდ მიგორავდნენ სასტარტო რამპებისკენ, მყვირალა ნარინჯად მოსანდალოზებული აერობუსები უწყვეტლივ ქროდნენ წინ და უკან. საწვავით დატვირთული მსხვილცისტერნიანი მობილები მსვენთა მსგავსად მიიზლაზნებოდნენ ცისფერი შუქის გამობნედვით. აეროველის ოთხივე ფრთესთან რადიომეტრულ მოწყობილობათა გარსები კი სინათლის კასკადებად ჰფანტავდნენ ბრუნვისას უკუნაფენ სხივებს.

მაგრამ მაქს ფრიდლენდერი თვალს აღარ ასმევდა წყალს. მან ფეხმარდად გაჩერებას მიაშურა, ტაქს-აერომობს უხმო და მძღოლს მიმართა: “კილიმანჯარო-ობსერვატორიის სამმართველომდე, გეთაყვა!”

სამმართველოს ადგილსამყოფელი გარეუბნის ერთ სანაქებოდ მოვლილ პარკში მდებარეობდა, რომელიც მარჯნისფრად აყვავილებულ კენაფთა ეწერით იყო მოკაზმული. მაქს ფრიდლენდერის შესახებ უკვე მოეხსენებინათ. ის გულმხურვალედ მიიღო ჯერეულმა აბულელე მუგანგომ. აფრიკელი მცირედაც არ იმჩნევდა იმ საერთო განცვიფრებას, რომელსაც ევროპელი სწავლულის დარბაზობა მასსა და მის თანამოსამსახურეებში იწვევდა – გადამთიელის მიზანი თორმეტ-მეტრიანი-ტელესკოპიდან ალფა კენტავრის თვალიერება იყო. მათ ისიც აოცებდათ, რომ ეს არზა უსაფრთხოების მსოფლიო საბჭოდან იგზავნებოდა. ამიტომაც აბულელე მუგანგო არაფერს დაეკითხა სტუმარს, რომელიც კი დაჰყვა მას ზეზეურად წახემსებაზე, მაგრამ პურობისას სიტყვაც არ გამოუგია. დილეტანტი ასტროლოგი იქნება, მისნობდა მისი ხელმძღვანელი. მან ისღა იცოდა, რომ მაქს ფრიდლენდერი ბიოლოგი იყო.

უსიტყველ სტუმარს თანდათან მუსაიფიც მოეგუნება. აფრიკაში პირველად ვიმყოფებიო, გამოტყდა ის და ამან აფრიკელი ასტრონომი პირდაპირ კილიმანჯაროზე გასაფრენად ააგულიანა, ნაცვლად იმისა, რომ მწუხრამდე ნაირობიში დარჩენილიყვნენ. “ტელესკოპით ოც საათამდე ვერ ისარგებლებთ”, განმარტა აფრიკელმა ასტრონომმა, “წელიწადის ამ დროს ეს ყველაზე ხელსაყრელი ჟამია ალფა კენტავრის საჭვრეტად.”

მაქს ფრიდლენდერს საწინააღმდეგო არაფერი გააჩნდა, მას სიამესაც ჰგვრიდა თანმყოლის კეთილგანწყობა. ახალი შთაბეჭდილებანი დროებით ვარამსაც განმიქარვებსო, ბჭობდა ის თავისთვის. ნეტავ რას შეიგრძნობდა ლოს ტყუპ მნათობთა საკუთარი თვალით ხილვაზე? მეუღლის გაქრობიდან მან საგრძნობლივ მოუხშირა ისარნების წოპწოპა სალტეებს შორის ხეტიალს და ვარსკვლავთ სუფევაში სხივად წერტილთა ჭვირობას. მისდა სასიკეთოდ, გაგებით მოეკიდნენ მის სურვილს ენახა ტოლიმან ა და ბ. საამისოდ მას კილიმანჯაროს დიდი ტელესკოპი ურჩიეს.

მაქს ფრიდლენდერი გულმარიხიანად გრძნობდა თავს მოხერხებულ, დაუძრახავად კლიმატიზებულ აერომობში. მეტროპოლის დაუდეგრობისაგან თავის დახსნამ ის თვალდათვალ მიაყუდრა. სულ მცირე ხანში უკვე გალაღებული უცქერდა თითქოს მინანქრიან შარაგზებს, ბანანების თვალწარმტაც წარაფებსა და ვრცელ ყორუღებს, რომლებზედაც თეთრი რქოსანი ოთხფეხი ლოხად გაშოლტილიყო საგრილობელში, შუადღის ხორშაკს გარიდებული.

შარა აფლატდა. ცისკიდურზე აფრიკის უმაღლესი კინკრიხოც წარმოჩნდა და ერთ-ერთი უდიდესი უკაფის მასწორ მიმავალთ თვალწინ დამატკბობელი თამაშა გარდაშლოდათ. მუგანგო ჩინებულად იცნობდა ამ ნაკრძალს და დიდად ეწადა სტუმარიც ეზიარებინა უამრავი მომხიბლავი სანახაობისათვის. ბიოლოგი გრძნებით შეკრული აყოლებდა თვალს ფრთოსანთა შესაშური სანთიანობით ნაგებ საბუდრებს, გოლიათურ, მრავალხმიანი რიტერბურგერის ნაქცევთმაგვარ თერმიტის ნაშენებს. გნუთა დიდძალი ნახირი ტუსტუსით მიექანებოდა მაღლა ანატოტ ატეხილ შამბში. მდინარის კიდეზე მათ სპილოებსაც მოჰკრეს თვალი. ეს უვაებო ქმნილებანი სასეიროდ ასხურებდნენ ერთმანეთს მზეზე ანელთბილებულ წყალს.

თითქმის ნახტომისებრ სხვაფერდებოდა მცენარეულობა. ყვავილოსან შალდაყებსა და წიწვოვანთ მაქს ფრიდლენდერისთვის მშობლიური იერი დაჰკრავდა. უკვე კაფიეტად იკვეთებოდა აფრიკის უდიდეს მთაზე მოსნატული ნიადაგი ლეღმაც. როცა აერომობმა მთას თხემამდე გარსშემორტყმულ ბურუსის კედელს გააღწია, თვალს განუმეორებელი სახედი

გარდაეხსნა: ცის სიავ ფონზე დაუვიწყრად ბრდღვიალებდა თანამედროვე ობსერვატორიის გუმბათი, მხარმარჯვნივ თეთრად გაჰქონდა ქათქათი ახლად მოარხლილ ტრამალს, რომლის ჩამოღმაც ნება-ნება მიტაატებდნენ ღრმად დანაფიქრი ღრუბლები. მზე გადაწვერილიყო და დაისის ტეხურიც დაეჭირა. მაქს ფრიდლენდერს ქუფთანის წამოცმა შესთავაზეს. მცირედ ხანში აერომობიც ჩამოხმელეთდა.

მისალმება თბილი და ცნობისმოყვარეობას მოკლებული იყო. მომსვლელთ აქ ყოველ ცისმარე დღე იღებდნენ, კილიმანჯაროზე შთაბეჭდილებებით მდიდარი დღის შემდგომ ასტროფიზიკური ლაბორატორიის მომნახულებლებს რა გამოლევდა. მაგრამ ვარსკვლავების სამზერად ძვირად თუ დაყოვნებულა ვინმე. პროფესორი ნ'გუბა, ობსერვატორიის თავკაცი, სტუმარს სერობისთანავე წაუძღვა თორმეტ-მეტრიან-ტელესკოპთან. ორივე ნახევარბირთვის გარსი უკვე განეკიდებინათ. მიუხედავად შეკინძული ტოლომისა, მაქს ფრიდლენდერს ღამის ნეფხვა მაინც დაუფლებოდა. "საცაა გათბობის რადიატორებიც უნდა ამოქმედდეს", ამშვიდებდა პროფესორი ძვალ-რბილში სუსხდავლილ ევროპელს. "თორემ სულ მთლად დავზრებით. მერე და რაა, ცენტრალური აფრიკის შუაგულში რომ ბრძანდებით!"

ალფა კენტავრსა და ლოს მარჩბივ მთიებზე მოკლე დისკურსმა მაქს ფრიდლენდერს მცირედი რამ შესძინა ახალი. თუმც ის ლოს სირანზე განუწყვეტლივ ფიქრობდა, ამჯერად არაფერი უკითხავს დუალისტური ვარსკვლავის შესაძლო პლანეტების შესახებ. გზად გამართვამდე მან მთავარინსპექტორს სრული ენადაცულობა აღუთქვა; რადგან მსოფლიო აკადემიიდან ჯერაც არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

უჩუმრად ბზრიალებდა მის წინ პარაბოლური სარკე, ღია გუმბათის ქვეშ ჩამოწოლილ სიმკრთალეს თვალისთან აციმციმებული ციცქნა ნათურაღა ებმოდა. პროფესორმა თავისი სტუმარი ტელესკოპს მიუსვა და უთარგმანა: "ზუსტად ცენტრში მხედველობის არისა თქვენთვის სასურველი მნათობია მოქცეული. პაწაწა, ყვითელი წერტილი ტოლიმან ა არის, მის მახლობლად წენგოსფერი და ძლიერ მოციაგე, მასთან შედარებით მცირეოდენ მომსხო კი ტოლიმან ბ და ზედა მარჯვენა პირას რომ მკვეთრი ნათებაა, პროქსიმა კენტავრი ციაგობს."

ოკულარში ჩაცქერამ მაქს ფრიდლენდერს თავქაფი ჩამოუდინა. გამოსახულების მკაფიოობა რის ყოფით მოაწესრიგა აცახცახებული თითებით და დუალისტურმა მნათობმაც თითქოს ჯანღიდან ამოყვინთაო. აბა და ეა – ქარვისფერი, გულდინჯად მოკიაფე წინწკალი აბა და ეას ძალუმი ზურმუხტოვანი ღადღადი.

მყოვარ უჭვრეტდა მაქს ფრიდლენდერი იქ გარეთ მიუწვდომელ შორეთში მოციალე ორ ბეწვა მნათობს, ტოლიმან ა-სა და ბ-ს, მაგრამ ნუთუ მართლაც მიუწვდომელს?.. სად უნდა მდებარებულიყო სირანი?

ის ამაგდრად ელტვოდა კოსმოსური წკვარამის გაწალდვას, რომელიც ურჯუკ ვეშაპად ეკვროდა ორთავე მნათს. მას თვალები აუმტეხიარდა, მაგრამ ხელშესახებს ვერაფერს არკვევდა. წინ კუნაპეტივით შავი სივრცეღა ესვენა, ბნელოდა მთელს სამყაროში, მხოლოდ უსუსური სხივება მეტყველებდა, რომ თვალწინ მილიონობით ვარსკვლავი იყო მიმოფანტული.

როდესაც მაქს ფრიდლენდერი იმედაყრილი წამოიზიდა და მიუხედავად გამკავკავებელი აყინვებისა, შუბლიდან ოფლი მოიწურა, უკვე ორმოც წუთზე მეტი გალეულიყო, რაც ის ტოლიმან ა-სა და ბ-ს მისჩერებოდა. მისთვის არ ყოფილა მოულოდნელი, რომ ცთომილს ასეთ მანძილზე უდიდესი ტელესკოპიც ვერ აქცევდა ხილვადად. აქამდე პლანეტების არსებობას მხოლოდ იმისდა კვალად ადგენდნენ, თუ რარიგი იყო ვარსკვლავის ელვარების

რყევადობა, როგორც ამას ბარნარდის ისრის ვარსკვლავის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. და მაინც – ის მნიშვნელოვნად დაყოინდა: ორმზიანი სისტემის ხილვამ სიცხადის ელფერი შემატა მის სასოებას. მას ეღიმებოდა კიდეც, ალფა კენტავრზე რომ ბევრად მეტს უწყოდა, ვიდრე მისი აქაური მოძღვარნი...

მაშინ როცა მაქს ფრიდლენდერი აბასა და ეას ღირღიტით იყო გართული, მსოფლიო აკადემიის რვაკუთხა გოდოლში, მაღლა ოცდამეთვრამეტე სართულზე, სადაც დედამიწის სამეცნიერო საბჭოს რეზიდენცია აღეტყორცნათ, ჯერაც მოუსვენრობდნენ. იქ მსხდომთ ნაკლებად სარჯავდათ აერობუსებისა და მჩქარობლური ქუჩების რაზრაზი, ვერც შუქთა კასკადის ანარეკლები ატანდა განიერ სანათურებს.

ორივე მამაკაცი, რომელიც დასაღამოხანებულზე მოსკოვს აკადემიის ქედიდან გადმოსცქეროდა, იჭვნეულობას გაეძაგრა. მათზე იყო დამოკიდებული ლო ფრიდლენდერის დოკუმენტაციაზე გადამწყვეტი სიტყვა.

ტანმორჩილი, მხნე და ოდნავ ქეფსუტი ქერათმიანი პროფესორი ლასცლო მოლნარი აღგზნებული წამოიჭრა და ფიქრიანი ბაც მწვანე ჯეჯიმზე ალაჯუნდა. სნატი რომ სრულად ახშობდა ფეხის ხმას, ეს მით უფრო ამძაფრებდა მისი ხუსხუსის შფოთიანობას. არც ქუფრი მაგიარული ულვაში და არც მრგვლად შემონაკვეცი თმა მიუთითებდა მის წარმოშობაზე, მხოლოდ გვარსახელით თუ შეიცნობოდა მის წინაპართა მკვიდრობის მხარე.

ლასცლო მოლნარი ელასტოსაკარცხულთან შეჩერდა, რომელშიაც შავტუხა გათქვირებული ბირჰა სინგჰი მუხლზე ხელებშემოვლებული იჯდა და ჭმუნვით ჰკითხა: “რა ვიღონოთ, ხვალ ხომ სხდომაა? მსოფლიო სამმართველოდან უკვე მოგვკითხეს, როდისღა ვამცნოთ საზოგადოებრიობასო. ჩემს მოხსენებას ხომ იცნობ, მაგრამ მე ისევ ვორჭოფობ და არც კი ვიცი, ფრაუ ლოს გარეგანობა როგორ ვირწმუნო. უბრალოდ ვერ ვითავისებ. მაგრამ განა სხვაფრივაც მტკნარ უთავგზურობას არ ვაწყდებით: ორმოცდათექვსმეტ-ქრომოსომიას რა ახსნა უნდა მოეძებნოს? იქნებ ვბეხრეკდები და დროის მონაბერს ფეხს ვერ ვუწყობ...”

“რადესკუსა და ფრანცს კი საორჭოფო თითქმის არაფერი აქვთ, არც ზღაპრების ანალიზია მოწყვლადი, დრეზდენში რომ აწარმოეს”, შეეცილა ბირჰა სინგჰი და მუხლსაც დაეხსნა. “აგერ ეს”, ხელი დაადო მან ერთ-ერთ საქაღალდეს, “ეს ხომ ყოვლისმეტყველია.”

„იმავეს ამტკიცებენ რადესკუც და ფრანციც, თუმც მედიკოსი ღრმად როდია დარწმუნებული“, გაეპასუხა მოლნარი. „მაგრამ შედეგებზე იფიქრე! ლუტოლსკი მართალია, უთუოდ! ამის გამოქვეყნება რა ნაყოფსაც გამოიღებს, ხომ ისედაც თვალსაჩინოა. ჩვენ გულზე დაჭდევა გვმართებს იმისა, რომ სახეზე მხოლოდ ვარაუდია და არა გადამოწმებული გარემოებები. განა არ დაიშვებოდა, რომ...“

„გიჯობს ის მითხრა, ესოდენი ფრთხილობა როდიდან დაგჩემდა?“ კბილქვეშ მოიტანა ის კოლეგამ.

“ფრთხილობა?” შეფიქრიანდა მოლნარი. “მე რომ სირთულეების წინაშე არასოდეს დავჩოლფოთებულვარ, შენ ეს კარგად იცი. მაგრამ ერთგვარ შფოთვას მაინც განვიცდი. მე ის მეორე მოსაზრება კაცობრიობის დღემდე მიუგნებ გაშტოებაზე გაცილებით უფრო სიმპათიურად მესახება. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ კვლევის არასიმპათიური შედეგებიც ხშირია და ცოფების ყრა რას გვარგებს. უსიამო წვრილმანებსაც ვინ მოსთვლის, თუნდაც ის სირანული დამწერლობა მოვიგონოთ. რატომ უნდა ეფიქრა იმ ლოს, რომ ნაწერს ეს სარწმუნოებას შემატებდა?”

ბირჰა სინგჰი კვლავ სავარძელში ჩაეშვა, რაზედაც დორმა უმაწყალოდ სტვენისებრ გაიხმაურა.

“ამ კრულ შუვილს რომ ვერსად ვექცევი!” ანჩხლობდა ის. “ნუთუ უშუალოდ უნდა ისმინონ კიდეც, რომ მძიმეწონიანი ვარ, უამისოდაც ხომ მატყვია, რომ ქერქი ვერ მიტევს. მაგრამ მოდი, შენს კითხვას მივუბრუნდეთ: ფრაუ ფრიდლენდერი, ყველას მოწმობით, კეთილგონიერი, შესმენილი ქალი ყოფილა. ჯერ კიდევ მექსიკის იმ ნახევრად უსავანო პროვინციაში, როგორც ამას ალკალდე ლოპესი იუწყება, მას უბირად არავინ რაცხდა. უცხო შრიფტი გარკვევით მოიხსენიება. მართალია, შლეგნიც ზოგჯერ თხზავენ სათავისთავო ანბანს, მაგრამ ფრაუ ლოზე მსგავსიც ვერაფერი ითქმის. ის ხომ საკმაოდ იყო დაყათრული ნაირსახი საქმიანობით: ერთი რომ, საბავშვო ბაღში მოღვაწეობდა, სადაც დიდი პატივითა და წყალობით სარგებლობდა, რაც დაუშვრომლად ვერ იქნება. თანაც ქმარსაც აძლევდა მხარს და ისიც მოსაგონარია, რომ სირანზე წასამძღვარებლად მრავალთ უმრავლესი ცნობა უნდა ეკრიბა. ამდენად, ისეთი შემოქმედებისათვის, როგორსაც სათავისო დამწერლობის შექმნა წარმოადგენს, ის, სხვა რომ არაფერი, დროს ვერ გამონახავდა.”

“მომსყიდველი ლოგიკაა!” ჩაიღიმა მოლნარმა. “მაგრამ დაარწმუნებ კი ამით სამეცნიერო საბჭოსაც? უპირველესად იქ იმაზე შემოგვედავებიან, თუ რაოდენ დაიშვება ორმზიან სისტემაში პლანეტების ძრაობა. ჩვენ ხომ წლების მანძილზე ჯადოქმნილებივით უძრავ მონომნათობებსღა ვიკვლევდით. და რას ვღებულობთ: თურმე ჩვენს გვერდზევეა გამოკიდული ეკოსფეროს შემცველი საპლანეტო სისტემა, უთვალადეს სულიერთათვის გასაცხოვრისებული ცთომილი, რომელნიც ჰიპნოგრილძილში ყალამქრის მოსასხამებით მიზიდულობას ძლევენ და ჩვენში ყოფნასაც ეგუებიან, ისე მარიფათიანად, რომ ამ წუთისთვისაც შესაძლოა უჩუმრად დაიარებოდნენ. სწორედ ეს არის, რაც მე მაფრთხობს. იქნება საქმეს წრესგადასული რაციონალურობით ვუდგებოდეთ? ან იქნებ მისი საარაკობა გვივსებდეს თვალს, იმიტომ რომ ჩვენი გარემო ტექნიკით ჭარბად გვასაზრდოებს?”

“რა მეთქმის”, დანაფიქრად მიუგო ბირჰა სინგჰმა.

მოლნარმა მხრები შეიშმუშნა. “ალფა კენტავრზე, რასაკვირველია, ყველა ხელმისაწვდომი მასალა შევაგროვე. აგერაც უკანასკნელი ფოტოსურათი, მანგის ობსერვატორიიდან.” ის მაგიდაზე ტაბულატორის ღილაკს მიეკარა.

შუქი თანდათან შემკრთალდა და მოპირისპირე კედელი ფერად სურათად გაივსო: ორი მცირე ღადროვანი ბირთვი, ერთი ოქროს- და ერთიც ოდნავ მომსხო წენგოსფერი, იმზომ პლასტიკურად განელაგებინათ სივრცეში, თითქოს ხელითაც წაეტანებიო. აბა და ეა. მაგრამ არც ამით ცხადიყოფოდა, სად და რა მანძილზე უნდა ეგულვათ სირანი, ცთომილი, რომლის გარშემოც ამდენი ფიქრი ბრუნავდა.

სწავლულნი ერთხანს დადუმდნენ და ფიქრმორეულნი ფოტოს მიაცეცდნენ. შემდეგ ბირჰა სინგჰმა სულთქმით პროექცია გამორთო და შუქი კედლებზე კვლავ ამოდინდა. „შენი ტექსტი უზადოა, ამას მეც ვიზიარებ“, უთხრა მან მოლნარს დასასრულს.

მსოფლიო აკადემიის ბჭობამ უჩვეულოდ დიდხანს გასტანა. ჩართული იყო ყველა ორმოცდაათი ეკრანი, სხდომას არავინ აკლდა, ზოგმა შვებულებაც კი შეწყვიტა საამისოდ.

მაგრამ პიროვნულად ვრცელ წრიულ დარბაზში, გარდა მოლნარისა და ბირჰა სინგჰისა, მხოლოდ ლუტოლსკი, ვან ააკერენი, პროფესორი ფრანცი და რადესკუ იმყოფებოდნენ. შიგ მყოფთ ყოველი მხრიდან აკადემიის წევრთა პლასტიკურად გამონაშვერი სახეები გადმოსცქეროდნენ. უკვე კარგა ხანი იყო, რაც მსგავსი ყრილობები ხანგრძლივი

მგზავრობების გვერდის ავლით ტარდებოდა. შეყრას მხოლოდ წლის გენერალური კრება ითვალისწინებდა. თავიდათავი მიზანი ამ შეკრებილობისა მეგობრული კავშირების აღორძინება ან დამყარება და შეხვედრის ხალისი იყო. სადაგი სხდომები კი მუდამ პლასტვიდეოს გამოყენებით იმართებოდა, ორმაგი მიზეზის გამო: გარდა იმისა, რომ დრო და სავატობა არ ინამქრებოდა, აკადემიის წევრებს სხდომაზე დასწრება ლაბორატორიებიდანვე შეეძლოთ, სადაც ყველა მონაცემი ხელთ ეპყრობოდათ და თანამშრომლებსაც დაეკითხებოდნენ.

ლუტოლსკისთვის ძლიერ შთამბეჭდავი აღმოჩნდა სახელებით გაძახილზე დიდროვან ეკრანთა აელვარება და ირგვლივ პლანეტის სახელმორჭმულ მეცნიერთა ბაწარაღებით გამწკრივება. იქვე იყო მაქსიმ გლოასტერის მასიური სახეც, რომელმაც ანნიჰილაციური ამძრავის შექმნით დიდად იდიდება. მეზობლადვე გამოისახა თანამედროვე გენეტიკის პიონრის, თითქმის ოთხმოცდაათი წლის გუდმანის ღმეჭმოსილი ასკეტური პირიც. ასე მისდევდნენ ერთიმეორეს დედამიწელი დევგმირნი. სულ რამოდენიმე წუთში ლუტოლსკის უკვე ეჩვენებოდა, თითქოს სჯა-ბაასს ცოცხალი სახე მიეღო. შუქსხივთა სიმკრთალე კი ერთიორად ამძაფრებდა ამ წარმოდგენას.

ყველას თანამოსაგრეებთან ერთად ზედმიწევნით განეხილა მონაცემები, რომლებიც თითოეულს დროულად მიეწოდა. ანატომიური კვლევის შედეგები ძვირად არავის უხსენებია, პროფესორ ფრანცსა და ჰისტოლოგებს განსაკუთრებული მადლიც მიუწყეს, ერთი შეხედვით, მიუღებელი დასკვნის თვალუხვავი გაშუქებისათვის. მაგრამ ამ დასკვნის მიმართება ფრაუ ლოს ბარათსა და თქმულებების ანალიზთან საცილო შეიქმნა. გუდმანის აზრით, ცალკეულ შემთხვევაში არც დედამიწაზე გამოირიცხებოდა ქალწულური თვითჩასახვა, თუნდაც ქრომოსომთა მაღალი ოდენობის ნიადაგზე. მან ამფიბიები და ხვლიკები ახსენა. მაგრამ ხაზგასმით დასძინა, რომ ფრაუ ლოს მიწიერ წარმოშობას ის არ გამორიცხავდა მხოლოდ როგორც გენეტიკოსი და სხვა მითითებების უგულველყოფა ამით არც კი განუზრახავს.

გუდმანს გაფითრებული უსმენდა რადესკუ. თუმც აკადემიის სხვა წევრთა პასუხებმა ნათელყო, რომ გაშიფვრის უცდომლობა მას ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ხოლო იყო თუ არა ეს ქვებუდანი ქალის დავაქრობა ან მართლაც უცხო ცივილიზაციის დამწერლობის ნიშნები, ამაზე ყველა სწავლული დუმდა. ერიდებოდნენ სპეკულაციებს.

„განა მუდამჟამს ასე არ იყო“, გაალმასდა გლოასტერი. “ყოველთვის, როგორც კი აღმოჩენა ეგზომ მდგრად საკავს დაეყრდნობოდა, უეცრად ბურმოცული უგერგილობა უნდა აგვდევნებოდა. მაქს პლანკსა და აინშტაინსაც იგივე არ მოსდიოდათ? და ეს პირვანდელი მერყეობა სავსებით თავისდათავი რამ არის. თავდაპირველად მეც ვერ გამეაზრებინა, გერმასებრ მჩატე ნართში ერთი ვარსკვლავის სისტემიდან მეორეში რომ გადაინიავქრებოდა. ამას ხომ სულდგმულ სხეულზე ჩვენს ამჟამინდელ წარმოდგენას ვერასგზით მიუსადაგებდი. მაგრამ შემდეგ გარემოებას ყურს ნუ წავუგდებთ: დღესაც ჩვენი თვალთახედვა ყოფიერების შესახებ მხოლოდ ჩვენივე ყოფით შემოიფარგლება. ჩვენ არ ვიცნობთ მყოფობის სხვა სახეს. მე კი მწამს, რომ იმ გოსპნით გრავიტაცია დიაღაც იძლევა. ფოთოლთა შესწავლამ, რომელთაც უსათუოდ მოიცავდა ძალთა ველების არე, მე და ყველა ჩემს თანამდგომს თავზარი დაგვცა. როცა ისინი ვაკუუმში მოქცევის შემდგომ სუსტი გამასხივებით დავასხივეთ, დაუჯერებელ რასმე მივაგენით. თავადაც შეგიძლიათ ფირზე

იხილოთ”, რაზედაც მას მოლნარმა თავი დაუკრა და მისი მონიტორიდან შუქის ინტენსიური ჭევლი გადმოდინდა, სხდომათა დარბაზის სტერეოკედელზე აფსკი ჩაირთო.

გამოისახა ლიტონი ჰაერამონატუმბი სინჯარა, რომლის ძროზეც ლუტოლსკის დასის მიერ მონაგარი სამი ფოთოლი ეწყო. მათ ნაწიბურებს მცირედი სიყვითლე გადაჰკრავდა. სინჯარა წამზე გამასხივებით იქნა დასხივებული, რა დროსაც საზომი მოწყობილობა მხოლოდ 0,6 რადზე მიანიშნებდა. და აგერაც აღთქმული საკვირველება – სამივე ფოთოლი უმალ მოსწყდა მინის ფსკერს და ჭურჭლის სარქველს მიეკოსა. გამოსხივება გააორკეცეს. 1,3 რადისას სინჯარა ისე დაიმსხვრა, თითქოს უჩინარი ყისტი წაუთავაზესო. ფოთლებმა ყანთაქილასებრ იფეთქეს და თვალშეუსწრები მალიადობით ლაბორატორიის ჭერს ეკვეთნენ, საიდანაც ნამზღვლევი გრგვინვით მოეკირწყლა მთელს აპარატურას.

“საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა”, განაგრძო გლოასტერმა, როცა შუქი პალატის კედლებზე კვლავ აღმა მიტბორავდა. “გაიფიქრებდი, სანაღმო მუხტმა იქუხაო. და ეს მხოლოდ 1,3 რადითა და სამიოდე ფოთლით! საცდელ ობიექტებს ანტიმიზიდულობის უნარი თანდათან გამოეცალა. მაგრამ ჩემთვის აშკარაა, რომ ფრაუ ლოს წამოსასხამი – ალბათ ვარაუდისამებრ წყალთან კავშირში – ჭეშმარიტად წარმოქმნის ანტიგრავიტაციულ აფეთქებას ანუ იწვევს გრავიტაციის კოლაფსს. და რომ ფრაუ ლო ამ ჩვენთვის დაუჯერებელი აჩქარების დაძლევაში დარწმუნებული არ ყოფილიყო, ასეთ განსაცდელს ძნელად თუ აიჩენდა.

ამიტომაც, რასაც ის გრავიტრონებსა და ანტიგრავიტრონებზე წერს, ფაქტებს უნდა ესატყვისებოდეს. მე მზად ვარ მოსასხამიანი გაფრენის ზესინათლებრივი სიჩქარეც სარწმუნოდ მივიჩნიო. წარმოუდგენელი რამ ჩვენთვის, მაგრამ ყველანი ხომ თავად დააკვირდით, რა ნიშიც ჰყვეს ჩემს ლაბორატორიაში იმ ურისხველმა ფოთლებმა.

ჩვენ ის უნდა გავითავისოთ, რომ სინათლის სიჩქარის აღმატებისას ანტიგრავიტრონთა მოქმედების არეში მასა შესაძლოა უარყოფითი იქმნებოდეს. ასე ლაბადანი, ტახიონთა დაბალ სიჩქარემდე დაყვანილი, რომელიც თეორიულად სინათლის სიჩქარეს ემთხვევა, შედარებით დონედ იფრენდა და მიმოსვლის მარჯვე საშუალებადაც გამოდგებოდა.”

ლუტოლსკის თითქოს თავბრუ დასხმოდა, მოლნარმაც თვალები დაიფშვნიტა. ამ სიტყვებითა და წარმოდგენილი აფსკით გლოასტერი გულოვნად ცდილობდა შემეცნების მანამდე შეურყეველი სამნის გარღვევას, სამნისა, რომელიც, როგორც ჩანდა, სირანელთათვის უკვე შორეული წარსულიდან მოყოლებული არ არსებობდა...

ვითარების ნიშანდობლიობა არავის გამოპარვია, ამას აკადემიკოსთა მშფოთვარე სახეები გარკვევით მოწმობდნენ.

“გლოასტერის მასალა იმდენად ახალი და საგულისხმოა”, განაცხადა მოლნარმა, „რომ ის აკადემიის დამოუკიდებელ სხდომას მოითხოვს. კოლეგავ გლოასტერ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი მონაცემები დაუყოვნებლივ დაგვიგზავნოთ, დაყუდნებულად რომ კიდევ ერთხელ შევძლოთ მათი გადასინჯვა.”

გლოასტერმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. ხანმოკლე კამათის შემდგომ არსებითზეც შეთანხმდნენ: დრეზდენში წარმოებულ სამედიცინო გამოკვლევათა შედეგები, უსაფრთხოების სამმართველოს მოხსენება და ლო ფრიდლენდერის ჩანაწერები, ეხლა უკვე “სირანულ უსტარად” წოდებული, ზომიერ ბიულეტენად უნდა შედგენილიყო და აკადემიის პრესკონფერენციაზე მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გაეცნოთ. პრესკონფერენციის მოწყობა პროფესორ მოლნარს ერწმუნა.

ლუტოლსკის გული უმართლოდ როდი შემოკვნესოდა: “ლო ფრიდლენდერის საქმის” გახმიანებისთანავე ჩვეულებრივ მყუდრო უსაფრთხოების სამმართველოსთან დრეზდენში მილეთი ხალხი შეიყარა. ეს ნამდვილი შტურმი იყო. არაორაზროვანი განცხადება, რომ სამეცნიერო საბჭოს და მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს ხელეწიფებოდა რეპორტიორებთან გასაუბრება, უქმი გამოდგა. თვითრჯულა ჟურნალისტებს ამის მოსმენაც კი არ სურდათ და კომისარს წამიერ დაფერდებასაც არ აცლიდნენ. მაგრამ, თავის მხრივ, არც ლუტოლსკი ანებივრებდა მათ ახალი ცნობებით, ის უწყვეტლივ უკვე გათქმულ-გამხელილსა და კაცადისთვის ცნობილს იმეორებდა.

სული ვერც მაქს ფრიდლენდერს დაეღო. მასთან გამოუნელებლივ გაისმოდა ვიდეოფონის წკარუნი. მოხუცი ფრაუ ფრიდლენდერიც კი გახდა ჟურნალისტური ნამარდობის უმწეო მსხვერპლი. ვინმე უცადი კორესპონდენტი დაჟინებით სთხოვდა მას სერიული წერილების ავტორობასაც, სათაურით: “მე გედქალის დედამთილი ვიყავი.” ფრიდლენდერებს საჩქაროდ ვიდეოფონის ახალი, გასაიდუმლოებული ნომერი გამოუყვეს.

“ეს უკვე პირის ყოფაა გარდასული დროებებისკენ”, ავგულობდა მთავარინსპექტორი. “ხალხს იმ ჩვენი ფრაუ ლოს გარდა არაფერი ახსოვს და აღონებს.“

დედამიწის უსაჩინოეს ქალთა ჟურნალს ლოს პორტრეტი თავფურცელზე მოექცია და ყოველ მანდილოსანს, რომელიც მასთან რაიმე მსგავსებით გამოირჩევოდა, მოკლე ავტობიოგრაფიის გამოგზავნას სთხოვდა ფოტოების დართვით. შეძლებისდაგვარად დედისა და დიდედის სურათებიც თან უნდა დაერთოთ. ლუტოლსკიმ გმინვით შუბლზე ხელი იკრა. ეს სოლიდური ჟურნალი, არც მეტი, არც ნაკლები, ლოს თანაცთომილელთა მისაკვლევად იღწვოდა. გრძნობამორევით მიუთითებდნენ „გალაქტიკის სქესობრივ სოლიდარობაზე“ და ლოს ბარათიდან დიდის ყოფით მოჰყავდათ ამონარიდი, სადაც ის წერდა, რომ ორ ასწლეულზე მეტია, რაც დედამიწას სირანიდან არავინ სწვევია. და წინადადება: „ზოგნი უკანვე მოიქცნენ, ზოგმა კი თქვენთან დაიდო ბინა“, რაღა თქმა უნდა, ჭიაფერი მთავრული ასოებით იყო ნაბეჭდი!

საქმე სწორედ ამ დედამიწაზე დახიზნულთ შეეხებოდათ. თუ დაახლოებით ორსაუკუნენახევრის წინათ მათი ოდენობა ათიოდე დით შემოიფარგლებოდა და ყოველი, პროფესორ ფრანცის მტკიცებით, ორიდან სამამდე ასულს შობდა, ასწლეულის ოთხ თაობად განრიგებაზე უკვე არაერთ ათას სირანელს უნდა ებინადრა შვიდ მილიარდ დედამიწელს შორის.

„სავარაუდოდ“, განივრცობოდა მოწინავე წერილში, „უმეტესობამ არც არაფერს უწყის თავის სირანულ წარმოშობაზე და ამის გამოვლენამ შესაძლოა დრამატულად შეცვალოს მათი პირადი ცხოვრება. მაგრამ, მათდა სასიკეთოდ, რა ხანია წარსულს ჩაბარდა ის ეპოქები, როცა მსგავს შემთხვევებში მემკვიდრეობითი მაეგობა ან სულაც დინასტიური ცილობა გაჩაღდებოდა. თუ რომელიმე უჩვეულოდ გულწამტანი თანამოქალაქის საიდუმლოს საფარველი აეხადა, გაგარევებით მას ვერავინ დაემუქრება.“

მიუხედავად ამ გულადი დასკვნისა, ინფორმაციის მსოფლიო სამმართველო მეყსეულად ჩაება მომხდარში და საიდუმლო ცნობათა უჟამური გავრცელებისთვის მკაცრ ზომებსაც მიმართა. თუმცაღა რას გახდებოდი, ნაბეჭდი ნაბეჭდადვე დარჩა.

ვან ააკერენის ბიუროში გამოკითხვის პირველადი შედეგების განსახილველად მოეყარათ თავი. მთავარინსპექტორთან ლუტოლსკი, პროფესორი ფრანცი, მაქს ფრიდლენდერი და იონ რადესკუ იმყოფებოდნენ, ასევე ქალთა ჟურნალის მთავარი

რედაქტორი, ანგაჟირებული შუახნის ქალი, რომელსაც ვერ განესაჯა, თუ რით იყო მისი ჟურნალისტური გარღვევა მცდარი. თავყრილობაზე ინფორმაციის მსოფლიო სამმართველოს წარმომადგენლებიც და ანთროპოლოგიის ექსპერტებიც მრავლად მიეწვიათ.

მაქს ფრიდლენდერი თვალებს ისრესდა. მისთვის ეს ერთდროულად საზაროც და სასიხარულოც იყო. ყველა სურათზე, რომელიც მას მთავარმა რედაქტორმა გადაუშალა, თვალნათლივ აისახებოდა ლო: ლო ნაკეცებიანი პირისახით, ოთხმოც წლამდე; ლო როგორც თინეიჯერი, ლო სამ ცუგრუმელა ლოსთან ერთად, რომლებიც ოთხი, ექვსი და შვიდი წლისანი იყვნენ, ლო ნისლა ტაიჭზე, ლო სამურანახშირო ესტაკადის აფთიონთან...

ეს განსაცვიფრებელი იყო: რედაქციამ ორასამდე ფოტოსურათი და ერთისამად მეტი წერილი მიიღო, თუმც ყველა თანმთხვევი შინაარსისა როდი. რა უფლებით ამსხვრევთ სხვის ოჯახურ ბედნიერებას, გულძვირობდა ერთ-ერთი მკითხველი. მის ქმარს, აქამდე ყველაზე ალერსიან მამას, ეხლა უკვე ისე დაუწყია თავისი პაწაწინა ასულის მოპყრობა როგორც სხვისი შვილისა. „თქვე პართენოგენეზურებო!“ ძაგვით შეურქვამს მათთვის და სასოწარკვეთილს კვლავ სმისთვის მიუყვია ხელი...

„ხომ ხედავთ“, შენიშნა ინფორმაციის სამმართველოს წარმომადგენელმა, რომელმაც განგებ შეარჩია ეს წერილი, „სწორედ ამის თავიდან აცილებას ველტვოდით. გალაქტიკელ დებზე თქვენმა უაზრო ენამასწრობამ კი საპირისპირო მოგვამკევინა! ეხლა ყოველივეს გამოსწორებაში თანადგომაც კეთილინებეთ! იქნებ ასე მაინც გამოიმართლოთ თავი.“

ხანიერ იბაასეს, სანამ პროფესორ ფრანცს ერთი ღირსსაყოფი იდეა გაუელვებდა. „მახსოვს, ამას წინათ წიგნს გავეცანი ოლიმპიური ასპარეზობების შესახებ. უწინ, როცა მძლეოსანთა სქესის მკაცრ განსაზღვრაზე ურავდნენ, მეტად საზრიანი აღმოჩენა შობილა: თითოეულს შეჯიბრების წინ თმის ღერს აცლიდნენ.“

„თმის ღერს?“ გაოცდა ვან ააკერენი.

„დიახ, თავის ბალნის ლიტონ ღერს. და ფლუორესეცენციის მეთოდით მარტივადაც დგინდებოდა, მალმზარდი თმის ძირის უჯრედები შეიცავდა თუ არა Y-ქრომოსომს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცს მოეპოვება. იქნებ ამისთვის ამჯერადაც მიგვემართა. ქრომოსომთა რიცხვის დასადგენად ეს ყველაზე სწრაფი და საიმედო ხერხია.“

წინადადება ურიგო არ იყო. ასე უმალვე უნდა მოხერხებულიყო აურაცხელი ეჭვნეულისა და ენოვნის დაოკება, საკმარისი იქნებოდა თმის ღერის სამედიცინო აკადემიაში გაგზავნა.

„მაგრამ ნამდვილ სირანელებს როგორ მოვეკიდოთ?“ განაგრძობდა ვან ააკერენი.

“ნამდვილ სირანელებს?” გაიმეორა მაქს ფრიდლენდერმა. “ცხადია, ისინი უნდა არსებობდნენ. თუმც თაობებიდან დედამიწაზე ცხოვრობენ, მაგრამ შერჩებოდათ კი მათ ორასი წლის შემდგომაც თავიანთი ზეციერობის შეგრძნება?”

“ეს საკითხი მსოფლიო აკადემიას მივანდოთ”, განაცხადა მთავარინსპექტორმა. “იქ ისედაც მოელიან დღევანდელი სჯა-ბაასის შესახებ მოხსენებას.”

მსოფლიო აკადემიის დადგენილებით დრეზდენში სირანული წარმომავლობის შემსწავლელი ცენტრი დაფუძნდა. გასაოცარი იყო ის ნაირფეროვნება, რომლითაც ქალთა ჟურნალში შემოსული წერილების ავტორები რეაგირებდნენ, როცა მათ ამ დაწესებულებაში მობრძანება სთხოვეს.

ერთნი ამას პირად უფლებათა ხელყოფად აღიქვამდნენ და ცენტრის დაუყოვნებლივ დახურვას მოითხოვდნენ. სხვანი კი თვლიდნენ, მორიგი ხიმანკლობააო. ისეთიც არაერთი გამოჩნდა, ვინც მიუხედავად თმის ტესტის უარყოფითობისა, ჯიუტად იბრალებდა სირანელობას.

თუმცაღა ას ორმოცდათექვსმეტგზის ტესტირების შედეგი დადებითი აღმოჩნდა და კლინიკურ გასინჯვაზე ყველა ქალი მზადყოფნას გამოთქვამდა.

მეცნიერები მოცადად იკვლევდნენ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მემკვიდრეობით თვისებათა მომდინარეობას. თოთხმეტჯერ ეს შორეულ წინაპართაგან იღებდა სათავეს.

გულისყურიც ამ ოჯახებს მიეპყროთ.

მაშინ როცა უმეტეს მათგანზე გენეალოგიური ცნობები მეოცე საუკუნის დამდეგს არ გასცილებია, რჩებოდა სამი ოჯახი, რომელიც მართლაც მეჩვიდმეტე საუკუნემდე აღწევდა, რეფორმაციის ოდნავ გამოღმაც კი, როგორც ამას ძველი საეკლესიო წიგნები და საგვარეულო ნუსხები მოწმობდნენ.

მათ შორის აღმოჩნდა ერთი მეწისქვილის ქულფათი, წყლის წისქვილითა და მიმდებარე წყალსატევით, საწისქვილო ხანდაგითა და ყველა სხვა დანამატით, რაზედაც ფოლადის ფირფიტაზე ამოტვიფრული ფერადი გრაფიკა მიანიშნებდა, დღემდე შემორჩენილი ამ ხალხის, გვარად მიულერები, საოჯახო მფლობელობაში. მრავალჟამიერ ფურცლებზე ფლან იოჰან გეორგ მიულერზე იყო საუბარი. მას ყმაწვილკაცობაშივე უთხოვია ცოლად თვალადი უცხოტომელი ქალი, რომელიც მამა ტექსტორს ცხრამეტი წლის ასაკში უშუალოდ ჯვრისწერამდე მოუნათლავს, ლუთერიანული წესის მიხედვით. ბარბარამ, ეს იყო მისი ნათლობის სახელი, სამი ქალიშვილი შემატა მიულერების გასაგისს. ასე იტყობინებოდა საგვარეულო ნუსხა. შემდგომ ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. მიულერმა მეორედ იქორწინა, ამჯერად კატარინა ვაისგერბერზე და ორი ვაჟის მამაც გახდა, ყველა ქალიშვილი ჩინებულად გაათხოვა.

მიულერების გენეალოგიურ ხეზე თუმც უკლისად აღიბეჭდებოდა ოჯახის თითოეული განატოტი, მაგრამ მის კვალობაზე დღემდე სირანულ გენს მხოლოდ ერთადერთი ასულის მხრიდან მოეღწია. სხვებთან კი ნახსენები ქორწინების ნაცვლად კითხვის ნიშანი კოპწიაობდა.

იმ ლამაზი ქალის ამჟამინდელ შთამომავალს ორი დაც ჰყავდა, რომლებიც მთელს საგვარეულო ცნობარს სრულ შეუსაბამობად რაცხდნენ და თავიანთ არაადამისშვილობაზე ფიქრსაც კი უკნიახობდნენ. მაგრამ ორთავე ხომ სამი ქალიშვილის დედა იყო და აღარც ერთი ვაჟისა. გარდა ამისა, ფრაუ მიულერის, მისი დების, ქალიშვილებისა და დისსშვილების ფოტოები, დეიდების, ბერდედებისა და მათი დედების პორტრეტები – ერთ-ერთი წინაპრის საუცხოოდ შემონახული დაგეროტიპიც კი იყო წარმოდგენილი – ყოველგვარ ეჭვს ჰფანტავდნენ: ეს სირანელები იყვნენ, რაც მეწისქვილის ცოლს შეეხებოდა, ვრცელდებოდა მის შთამომავლებზეც...

მაგრამ ფსიქოლოგთა მოლოდინი არ გამართლდა. ვერც მეცხრამეტე საუკუნიდან მოღწეულმა დღიურმა და სხვა გრძელჟამიანმა ჩანაწერებმა, ვერც გამოკითხვებმა და ფსიქოლოგიურმა ტესტებმა ამხილეს გამორჩეული ცნობიერების ნიშანწყალი. მითი "სირანულ მენტალიტეტზე" დაიმსხვრა. ყველას თავი დედამიწის შვილად მიაჩნდა და ასევე ცხოვრობდნენ, რითაც მოძღვრება აღზრდაზე როგორც "სოციალურ მემკვიდრეობითობაზე" სანიმუშოდ დაადასტურეს.

ლო ფრიდლენდერის მაგალითი თვალნალივ მოწმობდა, რომ სირანელები და ადამიანები ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც ძლიერ ჰგავდნენ ერთმანეთს – სხვარიგად ის ვერც

განვლიდა ხანმოკლე, მაგრამ სიამტკბილურ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას და მიწიერ ყოფაში ესოდენ ფიცხლავ ვერ გაეჩვევოდა.

ბირჰა სინგჰსა და ლასცლო მოლნარს, რომელნიც კოსმოსური სივრცის კვლევით კომისიაში მსოფლიო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს წარმოადგენდნენ, ვან ააკერენი სასაუბროდ მიეწვიათ.

მთავარინსპექტორმა მიულერების ფოტოებს მდუმარედ შეავლო თვალი და დანაფიქრად გვერდზე გადადო. "აქ ყოველივე თვალსაჩინოა," ალაპარაკდა ის, "მაგრამ ფრაუ ლოს მსტოვრული მისიის გამორკვევაში ეს ვერად წაგვადგება. ჩვენ ჯერაც არ ვიცით, მყოფობის რა სახე სუფევს სირანზე და როგორ ვითარდება მათი ცალმხრივი – მე ვიტყოდი: მონოსქესობრივი ურთიერთობანი."

მოლნარმა მას ღიმილით ბირჰა სინგჰზე მიანიშნა. "დაეკითხეთ, ეხლა რით არის ჩვენი კომისია დაკავებული. გლოასტერმა "ლო-ვარაუდის" პრაქტიკული გადამოწმება იარზა."

"რას ბრძანებთ!" გაცეცდა ვან ააკერენი.

"ბერიკაცი მოითხოვს, რომ ხომალდი ნაცვლად პროქსიმა კენტავრისა ალფა კენტავრზე წარიგზავნოს და სირანზე დაეშვას, რასაც ფრაუ ლო გულის ლევით მოელის ჩვენგან. სასტარტოდ ის ვადამდე უნდა მომზადდეს და გამოწვრთნილი ეკიპაჟითაც აღიჭურვოს."

"მისასალმებელია," მიუგო ვან ააკარენმა. "მაგრამ მე რა მაკავშირებს ყველაფერ ამასთან, რად მომიხმეთ?"

"იმად, რომ კომისარი ლუტოლსკი გვჭირდება. და ლუტოლსკისთან ერთად მაქს ფრიდლენდერიც, პროფესორი ფრანციც, იონ რადესკუც..."

"დახეთ, ქარი საით ქრის!" თვალი აეხილა ვან ააკერენს. "ფრიდლენდერი – მესმის. ბიოლოგი ისედაც აუცილებელია, თანაც მას საექსპედიციო გამოცდილებაც აქვს, კოსმოსური გამობრძმედილობისაგან რომც შორს იყოს. უსაფრთხოების ექსპერტი – ვერც ამაში გამოგედავებით. მედიკოსი კი რა მოსატანია. ლინგვისტი? რატომაც არა! მხოლოდ კომენდანტსა და უფროს ასტრონომზეა საქმე მიმდგარი. მე თუ მკითხავთ," ჩაიცინა მან, "სწორედ ამათგან უნდა შემდგარიყო 'სირანელთა ეკიპაჟი'".

კარი მეოთხე
მეამბოხეთა განსჯა

ლო თვალდამწუხვილი ესვენა, მას ერთიანად წარტაცოდა საკუთარი სხეულის შეგრძნება, ის ჯერაც სიქაგაცლილი, გამკვდარებული თბე იყო, რომლის ძროდანაც ეხლაღა დაიძვრნენ ცხოველმყოფელი ღადონი. და მან იგრძნო, რომ იქ, უშუქარ მორევში რაღაც ბგერდა, რაღაც ჩქროლავდა. ის კვლავ ზიარებოდა თავის მეს.

საიდანღაც გამომტყვარმა სხივმა ლოს თვალები აუმტეხიარა. ეს ყირმიზად მცხინვარე შუქსხივთა თალი იყო, რომელიც ლოხი ფუნდრუკით რვიანად გარდაისახა და ჟალად შეფეროვნდა. მერე კი აღმა ანაცური ხელახლა სალტედ გარდაიქმნა და უჩინო ნაკემსებად დაიქსაქსა.

ლომ თვალების გაჭყეტა სცადა. სხივთა თალასაც წაეტანა, მაგრამ ის უგრძნეულად გაბევრდა და ულევ ნაწეწად დაუშრომელი მჭევლისებური სლიკინი მორთო. უზრუნველად

მონავარდეთა ხროს გიზგიზა, მავი მარცვლები და ლეგა წინწკლებიც შეემატა, რომელთა თავლაღი ციგურაობა დაუსავალი ჩანდა.

კიდურები უწინდებურად გახევებული რჩებოდა, მაგრამ გრძნობებმა მას ანაზდად ჩააგონეს, რომ თავად ლოლიტა და ქუთუთოებს მიღმა ციგლიგი კი ნათება იყო. მას უნდა გაეხილა თვალები!

ლომ ერთხელაც მოიკრიბა ძალ-ღონე და ეხლა უკვე მცირედ აღეხსნა მარჯვენა თვალსაფარი. მაგრამ ცისკროვანი სხივები ისე ეკვეთნენ, თითქოს უმრუმესი ღამიდან გადმოღვარესო. თვალის უნებლიეთ მიჭუტვაზე მან კვლავაც სცადა მისი ახელა და ამ მოღადღადე სისაზარლესთან შებმა, რომლითაც თვითეული ბოჭკო მისი მოძაბუნებული სხეულისა სულ ერთიანად იმსჭვალებოდა.

ლომ გააპო ქუთუთოები. სარკმლიდან შემონადენი ბინდის სიგრემე მას მზის ამაზრზენ ცხუნებად ეჩვენა. ხელებს ავიფარებო, განიზრახა, მაგრამ ვეღარც კი შეინძრა. უსუნთქებლივ გონებაში დამაცხრომლად შეატანა ოდესღაც ახლო, მაამებელმა სურნელებამ. ეს ხომ მშობლიური არომატი იყო! “შინ ვარ, სირანზე!” გაერკვა ლო. ამ აღმოჩენით საამოდ გასავათებულს კვლავ ძილი ერეოდა.

ნეკა თითი ძალისძალობით მცირედ შეირხა. რა განცხრომაა, შენს თავს შენვე გამგებლობდე და ჭკუა გერჩოდეს. მაგრამ ჯერთავად მინაბვა და მოჯანიერება!

ეს არ იყო არც ხელოვნური ძილი და არც ის ღრმა უგრძნობლობა, რომლიდანაც ლოლიტა წეღან გამოღინღილდა. ეს ჯერ კიდევ უფრო უდგარ, მიმქრალებულ გრძნობას და ქვეცნობიერ სიჩქურეს წააგავდა, ვიდრე გაკვეთილ აზრსა თუ ცხად წარმოდგენას. მაგრამ როდესაც ლოს თვალები მიებნიდა, სუნთქვაზე დადინჯება და უშფოთველობა დაეტყო. მაჯა თუმც მომეტებული მყოვრიადობით, მაგრამ წყობიერად აძგერებულიყო. ლო თვლემდა და ძილქუშთან ერთად ღაწვებში ჩვეულად მიმოქცევადი სისხლის სიბადახშეც დაბრუნებოდა.

მორიგი გამოფხიზლებისას ის მტკნარად გაიზმორა. ჯერ ვერ განესაჯა, სად და რაზედ გაწოლილიყო, ირგვლივ ყოველივე წყვდიადს შთაენთქა. როცა მარცხნივ ჩამრთველისაკენ გაწვდილი ხელი სიცარიელეში გამოეკიდა, ლო შიშნეულად ზეწამოქროლდა. მოვუნახივართ, გაივლო აზრად, სხვაგვარად ამ საძილე სასთაულზე რაღა გამაწვენდაო?

ნაზად აპრიალდა სოსანი სხივი. ლომ წამოზიდვა დააპირა, რაზეც უცხო ხელმა წამზე სათუთად, მაგრამ მიძალებით კვლავ წააწვინა.

“მე ესდორი ვარ,” შემოესმა მას ზურგიდან. ის გრძნობდა, რომ ეს ჯანღიანი ხმა სოსანი ლაპლაპის სათავედანვე ატანდა. “წამომართვას ნუღა ესწრაფვი,” ჩაესმა მას ერთხელაც, “ნუ ღელავ და სცადე, ძილით გული იჯერო!”

ლოს თვალებზე კვლავ გადაეკრა ლიბრი და თვალისჩინი წაერთვა. მას აღარც შეუგნია, რომ იმ იდუმალ ხმას სირანულად გაესიტყვა.

ლოს ვიღაც თვალჩაციებით დასცქეროდა. მას შეეგრძნო ეს და თვალზე გადაკრულ ბისტს შეეჭიდა. როცა კვლავ ეწია თვალთახედვა, უკვე მზესაც ამოებზინა.

ლომ მორკალულ ოთახს თვალი შემოავლო, მეყსეულად ერთი უბანიც გამჭვირვალდა, საიდანაც ცისფერ-მწვანე ელფერის ხნარცვში მკაფიოდ იკვეთებოდა წერწეტი შიმელების

სირა. მშობლიური, სირანული ხეები! ლოს მზერას უეცრად მასზე დამყურე სახე შემოეყარა – დიდროვანი, მისასებრ მრეში თვალები მოუცილებლივ უცქერდნენ მას მცირედი სიმკაცრითა და გამომცდელობით. ღმეჭით გარშემოკრული ბაგენი ცხადს ქმნიდა: ეს არ იყო თანამოასაკე დის პირისახე.

“ესდორი ხარ?” როგორღაც მოსწყდა ლოს ენიდან. მაგრამ ის უფრო გრძნობდა ამას, ვიდრე უწყოდა: მე რომ უწინაც მოვსულიერდი, ესდორს ხომ გამოველაპარაკე.

უცნობმა თავის დაკვრით წამოიწია და ლო დაარიგა: “წამოდექ, ცხოველმყოფელი შხაპი მიიღე და წახემსებისთანავე გაგესაუბრები.”

ლო გახლავართო, უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ესდორის ცნევაში განაჟონმა მბრძანებლურობამ ის დაადუმა. ლო გამგონად წამოიზიდა და ერთ-ორი შეუწყობელი ნაბიჯი გადადგა. მის წინ კედლის ბჭედ გასხეპაზე კი მაცხოველებელ სხივებს ქვეშ ამოჰყო თავი.

ლო ნებიერად იდგა, თავდავიწყებული, ბურით გარემომდგარი, რომელიც ყოველი მხრიდან მოედინებოდა მისი სხეულისკენ. ის დაქიმითებით ისრუტავდა მოგარებულ სიგრილესა და მასთან ერთად განმწმენდ სიფაფუკესაც. ჯერეთ წყალიც ჩამოკამკამდა. ლო ეხლა მის დუბელა ნაკადს მიეშვირა, ღრეკითა და კუნტვა-გრეხვით.

განცხრომით აღიღინებულს იჩქითად მეხსიერებაც აღუდგა, რამაც წამიერად შეაჭოჭმანა. ლო დადუმებული დაგულისხმდა: ის იქით, ცისფერ ცთომილზე იმის მოსათვალიერებლად წარიგზავნა, თუ რა გაარღვევდა სირანზე ფესვგამდგარ ერთფეროვნებას. დანაკისრის შესატყვისად მან დედამიწაზე ხანგრძლივ იცხოვრა, იქვე ჯვარი დაიწერა და ისიც შეურყევლად ირწმუნა, რომ ქალისა და მამაკაცის თანამყოფობაში არაფერი იყო საძრახისი.

დედამიწაზე უწინდელ გაფრენაზეც შემორჩენოდათ მოგონებანი, იმ უპოვარ დებზე, რომელთაც გაღწევა მოეხალისათ... მათ არავინ თანაედგა მწედ და ქომაგად, ლო კი დასმა წარავლინა. მაგრამ რა გარდახდა მის თანამებრძოლთ?

ლო წარსულში გადადროვდა – ავტომიმღების საგანგაშო გაეჟვანება თავის ტუმბაზე, დანთქმი ნიშანი: საჩქაროდ გამობრუნდი, ხიფათი შეგვემთხვა!

მაქსთან შეუღლებიდან მას არასოდეს მოსვლია აზრად, რომ მაძღარი ნარინჯი შუქი ოდესმე გაისხივოსნებდა და უკუსახმობი ტონის გაწკარუნება მას ძილს გაუკრთობდა... ლო, გაუვალი წინააღმდეგობით შეპყრობილი, ხანიერ ვერ მოსულიყო გულისხმას. მას მეტად უმძიმდა ამ ბაკმული, სალხინო სამყაროდან გახვეწა, მაქსისა და უკვე ძვირფასი სამკვიდრებლის მიტოვება: ამ ზარდამცემი ცნობის მიღებიდან მეორესავე დღეს ფიქრმორეულმა თვალი ვერ შეასწრო ერთ უჩუმრად მოსრიალე მობილს...

კლინიკიდან გაწერილს ბორგვნილობამ უმატა. მაგრამ მიმღების კვლავ გახმაურებასა და ბოლოუჩინარ ციალზე ლოს სულმა წასძლია. მას უხმობდნენ, მისი სწამდათ და შველას სთხოვდნენ!

ისეოდენ ძალუმი და დაუოკებელი გამოდგა ამ შევრდომით დანაბადი თანაწარუხდომლობის გრძნობა, რომ მაქსს ორიოდე სტრიქონითღა გამოეთხოვა. ხოლო შემდგომ მანტიასა და მემიზნე მოწყობილობას წავლებულმა წყლისკენ, ოდას მისამხარი ისარნებისკენ გაეშურა.

ლოს თავზარი ეცა. ის გაერკვა, რომ სირანზე დაფრენა სულ სხვა სახისა იყო, ვიდრე დედამიწაზე იმ ორი წლის წინათ. იმხანად ის მფარველი ჰიპნოზური ძილიდან დედამიწის ატმოსფეროს ზემო შრეებში შესხლტომისას გამოფხიზლდა, რის შემდგომაც ღრუბლებზე დაეშვა, სიოს მიენდო და მასთან ჩაწმახვნით იქროლა ერთხანს. მერე კვლავ ამაღლდა და ისევ ნეკრტენად დადაბლდა. ის უსიტყველად ლაღობდა, როცა უნაზესი ნაქსის მიღმა

დედამიწის აბალახებული ზედეთი ეშლებოდა. ლო მძვინვარებდა, მისი გრძნობა ნიტასებრ იყო დაძაგრული. ის გულმოდგინედ ეძიებდა საბინადროს, მაგრამ არა იმ შფოთიერ მიდამოებში, სადაც ცათამბჯენი ცათამბჯენს ეკოსებოდა, სადაც მქროლარე სხეულნი დაუდგრომლად დაძრწოდნენ და ლაჟვარდ ზღვაზე უშველებელი ნავჭურჭლები დატივტივებდა. ძველისძველი კონტინენტი, ევროპად წოდებული, მისთვის ვერაფერი კარიბჭე იყო ადამიანთა სამფლობელოსი. ამ ორომტრიალიდან მოშორებით, დედამიწის სხვა ნაკუწზე მოიძია მან ნაკლებ დავანებული კუთხე, რომელშიც ის შორეთელ დონია ლოლიტად წარუდგათ.

იმჟამად ხომ მისი გონების ამთვისებლური უნარი ოდნავაც არ შემცირებულა. და ამჯერად რა იყო ეს მგვემელი გამოფხიზლება, რად ვერ იქნა სირანზე გამოფრენაც ისევე საამო და ნავარდიანი? იქნებ მის მოსასხამს ჰიპნოზური სხივები ახალეს და ხელში მოიგდეს. ასე მას გრძნობამიყრილს აღმოაჩენდნენ დამზრალ ხელებში მიმმართველი ხელსაწყოთი.

ეს კი მხოლოდ ასერიგად თუ აიხსნებოდა: ლოს მოელოდნენ!.. ის ჩამოახმელეთეს არა დასის საიდუმლო ბანაკში, არამედ აქ, ამ სიმყუდროვით მოცულ მხარეში, სადაც მაღალი საბჭოს ძალაუფლება ვრცელდებოდა. მაგრამ გამობრუნების ფირმანი? ჩანს, ეს მხოლოდ უხამსი რინი ყოფილა, ბრძანება წარუგზავნია მაღალ საბჭოს და არა დასს. ან იქნებ ეს მაინც მეგობრები იყვნენ გასაპყრებამდე. ნუთუ საქმე ასე დაეცარათ, ნუთუ ყველაფერი ასე უქმად დასრულდა?

ლო ჯომარდად განეწყო. მე ჯერ არაფერს გავთქვამ, - არჩია მან, - შევეცდები შევიტყო, რა იცის ესდორმა და რის გამოკითხვა სურს ჩემგან. უკეთუ გაჭირდეს, განვაცხადებ, რომ თქმულებებმა მაცთუნეს და იმ გადმოცემების განცდა მომეხასიათა. ყოველივეს თავს ვიდებ, არავის დავასმენ!

უეცრად ლო მსუსხავ, წანწკარა ღვარს გაუხტა, მოგონიერებულმა გვერდზე ხელი გაიწვდინა და მომწვანო ღილაკს ახლო.

ლოს ფორთხვისაგან გაპირისფრებულ სხეულს სინელთბილე შემოსწვდა. თვალის დალურსვაზე ის მძაფრად ელვარე ნაჭრევს წააწყდა, საბუთს იმისას, რომ დედამიწის მონახულება ეჭვმიუტანელი სიცხადე იყო. არც ერთ სირანელს მჩნევია მსგავსი ნაწიბური.

ესდორმა ლოს სამოსი უბოძა: ჩაშვებული შარვალი და კაზაკურა – როგორც ამას დედამიწაზე იტყოდნენ -, ორივ ბაც ცისფრად შეფერილი. ფერი – იყო კი ის მნიშვნელოვანი? ცისფერი ხომ პანსიონატელთ ემოსათ. ხომ არ მოასწავებდა ეს მის ტუსაღობას. იქნებ ის ესდორი ებგური ან სულაც მსაჯული იყო.

ლომ თვინიერად გამოაბიჯა. ტრაპეზთან არხეინად წამომჯდარ, სპეტად მოკაზმულ ესდორს საყელოსა და ყურთმაჯებზე ოქროს მაქმანები უბრჭყვინავდა. მის წინ მეწამული შარბათით გავსილი ორი დოსტაქანი და ცილოვანი წყალმცენარეებისგან დამზადებული ლბილი კუბურები ეწყო, რომელთა პიკანტურობა მიწიერ ლაბასას ემსგავსებოდა. ტრაპეზს არც სირანული ხორბლეულისგან გამომცხვარი ლოლუები აკლდა. ეს ძვირადღირებული სიამოვნება იყო, რადგან თავთუხის ოდენობა წლიდან წლამდე მცირდებოდა...

ლოს სტომაქს უკვე გასჭირვებოდა მშობლიური კერძის შეწყნარება. რა ფასი უნდა დასდებოდა ეხლა ერთ ფინჯან ქაფქაფა ყავასა და სერვოდან გამოღებულ ნაფიცხარა პურს, ნაღებითა და გოლეულით!

ორნივ უსიტყვოდ ილუკმებოდნენ, როგორც კი ისაუზმეს, ესდორმა ერთ-ერთი ღილაკთაგანის მიკარებით ყომრალად მორთული სირანელი შემოიხმო, რომელმაც სუფრას აუმატა და ორთავეს ჩაროზად თითო ორთომელი ავშარაჯი უთავაზა.

ესდორი თავისას წასწვდა და აღაპყრო. ღიმმოსულს თაფლოვან თვალთა წრედ ნაკეცები განეძირა. “შენი მობრუნებისა იყოს, ლო, დაე, იცოდე, რომ შენში სირანული სისხლი ჩქეფს, არა ცისფერცთომილური...”

ლო სასმისს წაეტანა, მაგრამ არც კი მოუსვამს.

ესდორი მას ქურუხად მიაცეცდა.

“სირანსა და დედამიწას მე სწორად განვეკუთვნები. განგებამ მათ შორის ხიდად ყოფნა მარგუნა და ამით მე თავს ბედნიერად ვრაცხ,” ურიდად შეეცილა ლო.

ესდორი გაწყრა. “შენ თავადვე ხომ არ აპირებ თავის მოყივნებას? დაიხსომე: მაღალმა საბჭომ მეამბოხეთა ნაწილი უკვე შეიპყრო. მათ ისეთ საიდუმლოთა რიგს წამოუწყეს ფუტკნა, რომელნიც მხოლოდ უზენაესთათვის იყო ხელმისავალი. თქვენი რაზმი ისე გაკადნიერდა, რომ არც მსტოვრის გასტუმრებას დარიდებია იმ ჩვენებრი ქმინელებებით დასახლებულ ცისფერ ცთომილზე. და ეს მსტოვარი შენ ხარ, ლო.”

“სწორედ,” მშვიდად მიუგო მან, “მე წარმავლინეს აეშაგად და წამითაც არ დავხანებულვარ, უკან რომ მიხმეს. მაშინათვე გამოვქანდი, იმის ანგარიშმიუცემლად, რომ ჩემი ფეხის ამოკვეთა იქ მრავალ რასმე გაქელავდა და გაატიალებდა.”

“გაატიალებდა? ნუთუ გაანდე მათ შენი ვინაობა? განა იწამეს? სთქვი!”

ლომ მას თვალი თვალში გაუყარა. “მე მხოლოდ მაშინ ამოვიდგამ ენას, თუ ჩემი აქ ყოფნის თავსა და ბოლოში გამარკვევთ. თუ სირანზე ჩემი მოქცევა დასელებმა განკარგეს, არაფერს მიგიჩქმალავთ იმაზე, რაც ჩვენს ვარაუდს, უფრო ზუსტად, შიშს ადასტურებს. მაგრამ თუ მაღალმა საბჭომ – ყოველგვარი საღი აზრის საწინააღმდეგოდ – ამის ყურადღება არ ინება, თუ დასი უკვე განკითხულია, ვერაფერს დამაცდევინებთ.”

ესდორი წამოდგა და მაგიდას მძიმედ წრე დაუარა. “როგორც იტყვი,” დანაფიქრად გამოეპასუხა ლოს. “ჯგუფმა შენ თავ მოთანაგედ მოგიხსენია. მათი რწმუნებით, მზირის გამობრუნება თქვენი განზრახვის მართებულობას უტყუარქმნიდა. დრო ჩვენ საკმაოდ გაგვაჩნია, მაღალ საბჭოს დღესდღეისობით არავინ განუსჯია. შენს თანამზრახველთა მიმართ გარკვეულ ზომებს მაინც მიმართეს. ერთმანეთისაგან გაშორიშორებულნი, ისინი ერთიმეორეზე ვერ ზეიმოქმედებდნენ. და ეს ასევე დარჩება. შენც განკითხვამდე მათთან შეხვედრის იმედი ნუ გექნება.”

აქ ყველაფერი შენს ხელთ არის, წიგნებიც და საწერი მოწყობილობაც. შენ ვრცელი მოხსენების მომზადება მოგიწევს. და არა მხოლოდ იმ დედამიწაზე მსხემობის შესახებ, იმასაც გარკვევით განავრცობ, თუ რამ შეგაგულიანა ამ ფუჭი და დამაქცევარი გზის გასადგომად...”

“შენ უკვე გამოგაქვს ჩემთვის განაჩენი,” სიტყვა მოუჭრა ლომ დაბალი, მაგრამ გავლენიანი ხმით.

ესდორს სახე აენთო. “შენ კარგად მოგეხსენება, რა ვალიც გაქვს მოსახდელი. შენზევეა დამოკიდებული, რა ჟამს წარსდგებით სამსჯავროზე,” დაასრულა მან და ლოს დაემშვიდობა.

მას უამრავი რამ ესაკლისებოდა სირანზე მეორედ მოვლენის ამ საწყის ხანებში. ჯერს ის მალე შეეთვისა, მაგრამ ყოველდღიურობიდან ისეთ შესაქცევ ნივთთა ამოდინგვას, როგორიც მისთვის სერვო თუ თვითჩამწერი იყო, ჯერაც ვერ შეგუებოდა. სირანზე მსგავსიც არაფერი მოიპოვებოდა.

ლო ნააზრევის წერას შეუდგა. მაგრამ პირველსავე გადაკითხვაზე ნაწერი ფარატინად მოისროლა. რაოდენ იცნობდა ის სირანს, რა გზა განვლეს წინაპრებმა?

დრეზდენში ლო არაერთგზის გართულა ამაზე ფიქრით. დედამიწელები საფუძვლიანად გასცნობოდნენ თავიანთ წარსულს და საკაცობრიო წინსწრაფვის დედაბოძსაც მიგნებოდნენ. სისხლის ნთხევითა და შემმუსვრელი ომებით მოუხდათ მათ ბრმა ფატალიზმის გაცამტვერება და თავიანთი ყოფიერების იმსახად განწესრიგება, რომ შესაძლო შეექმნათ ობიექტურ კანონთა ყოვლისმპყრობლური ამოქმედება. ლო ძირისძირამდე ვერ ჩამწვდარიყო მათი წარსულის დედაარსს. ტექნიკური განვითარება და ბიოლოგიური მეცნიერება მისთვის უკეთ მისახვდომი იყო. ამ ცნებათა გადმოტანა სირანულზე ბევრად მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე იმისა, რაც დედამიწაზე "ისტორიად" იწოდებოდა.

ლომ ნაცვლად დანაკისრის შესრულებისა გარდასულ ასწლეულებზე სახელმძღვანელოთა დაკვეთა და სირანის წარსულში ჩაცქერა გადაწყვიტა. ესდორსაც ამაზე თვალი არ ასცდენია, მაგრამ უსიტყველობა არჩია. ლო იმედოვნებდა, რომ ოფიციალურ გადმოცემათა ახლებურად შეფასება მრავალ სიმრუდეს მოჰფენდა ნათელს. მაღალი საბჭო ამაში უთუოდ უმჯობესად იქნებოდა გარკვეული. ეს ხომ ასე უნდა ყოფილიყო! სხვაგვარად რამოდენიმე დის ეს მოკრძალებული წამოწყება ნაბათის საცემი არ შეიქმნებოდა. ჩანს, მათ იმის შესწავლას მიჰყვეს ხელი, რაც შეუსწავლელი უნდა დარჩენილიყო. მაგრამ რა განაპირობებდა ამას: ღწვა სირანელთა უსაფრთხო თანაცხოვრებისათვის თუ მხოლოდ მეწინავეობისა და უფლობისათვის?

თანაცხოვრება სირანზე. ლოს გულისყურიც სწორედ ამას მიეპყრო. მან სირანული და მიწიერი გამოცდილებების შედარება მოიწადინა. ჩინებული გამოდგა, რომ მოხსენების შედგენას მან წინ მეხსიერების ჯეროვანი წაფვა წარუმძღვარა. ეს ეხლა ლოს გზად და ხიდად უნდა გასდებოდა.

სირანს, დედამიწაზე მომცროს, ერთადერთი კონტინენტი გააჩნდა ეკვატორთან. პოლუსები, როგორც დედამიწაზე, აქაც გაკოპიჭებული იყო. მაგრამ ჰავას მაინც მოჭარბებული სიმძაფრე და მაღალი ცვალებადობა გამოარჩევდა, სირანის საკუთარი მოძრაობა ხომ დედამიწისას საგრძნობლად აღემატებოდა. ეს დუალისტურ მთიებთა, აბასა და ეას, მიზიდულობით იყო გამოწვეული, რომელნიც სირანის საორბიტო ელიფსის ფოკუსში ექცეოდნენ. დედამიწის ორბიტის უმჯობესი წყობიერების მიუხედავად, აქ ორმზიანობა წინსვლის უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. არასამეურნეო გარემო და ეას განსხივების სიმწვავით წარმოქმნილი მაღალი მუტაციური მაჩვენებელი ძლიერ აშურებდა ცოცხალ არსებათა ადაპტაციას.

საზოგადოება და თანაარსებობა კი? აქაც მსგავსება, მაგრამ სხვაობაც. ის, რასაც დედამიწელები ქალსა და მამაკაცს შორის შრომის განაწილებად ასახელებდნენ, სირანელებსაც გამოევლოთ. მაგრამ საწარმოო ძალთა სრულქმნა აქ უფრო სწრაფად წარიმართებოდა. მონათმფლობელობის საფეხურმაც შედარებით ხანმოკლე ისტორიულ მონაკვეთად ჩაიქროლა. სირანელბმა ცისფერპლანეტელებს ელექტრული ძრავების აღმოჩენაშიც გაუსწრეს. კლასობრივი ბრძოლა ოდესღაც სირანზეც არსებულა, მაგრამ მცირედი სიცხარისა. და ამ წარჩინებას სირანული კონტინენტის მხოლოობითობაც დიდად ახმარდა ხელს. სირანელთა და დედამიწელთათვის ერთი დიდმნიშვნელოვანი რამ საერთო იყო: გონიერ სულდგმულთა ევოლუცია თანაბრად ემყარებოდა მათ ღწვასა და ჯაფას.

ეს ყოველივე წინარეკატასტროფულ ხანას შეეხებოდა. ამჟამინდელ სირანზე ბუნების ძალები გამუდმებით იყო მოსაგერიებელი, ყველა სასიცოცხლო დანადგარი მიწისქვეშეთებში იყო განლაგებული, მათ შორის ენერგეტიკული ცენტრებიც. მაგრამ უკვე

იქიდანვე მოკიდებული სირანელები თანამედროვე დედამიწელთათვის ჯერაც მიუგნები სამნის გამოღმა ვითარდებოდნენ. გრავიტაციის დაპყრობა და უმცირეს ბურთულებში ენერგიათა მოქცევა იქ მხოლოდ სიჩქარე იყო. სირანზე კი ამ მიღწევაზე თითოეულს მიუწვდებოდა ხელი.

კატასტროფამაც მოაწია... ეს მოვლენა ლოსა და ლოსმაგვართ არასოდეს გამოუწვლილავთ. ლო უფრო და უფრო ატყობდა თავს ამ საზაროობაზე დანაფიქრობას და გრძნობდა, რომ მისი რაობის ჩახვდომას ის გვერდს ვერ აუვლიდა.

ის კვლავ არქივს ჩაეძია, ზოგი რამ გამოჰყო და მიწიერი გამოცდილებები ჩამოაცნობარა. შეჯერების შედეგად კი გასაოცარი სიახლე გამჟღავნდა.

სირანზე ეს ნიშანსვეტი **მწვანე ელდის მეყად** იწოდებოდა. და საკვირველი ჩანდა, რომ იმ დროიდან კოსმოსურ დაცხრომაზე ყველა მონათხრობისათვის წყალწმინდა თანხვედრა იყო ნიშნეული. რვა ასწლეულის შემდგომაც პირველწყარომ თითქმის უცვლელად მოაღწია.

ეს განსაცვიფრებელი იგივეობა უცდომლად წინასწარ იქნებოდა განზრახული, სინამდვილე რომ შეერყვნათ. ყოველგან ასახავდნენ მხოლოდ მოვლენებს და არა მათ მიმოხილვას, რომლის ფარგლებშიც მრავლის გარდახორციელება, მრავალი სიახლის აღმოცენება მოხერხდებოდა.

ოფიციალურ ტექსტში **მწვანე ელდის მეყი** ამგვარად გადმოიცემოდა:

“ვარსკვლავეთის მკლევართა ერთმა ნაწილმა სირანის გეზის გარდასახვა მოისურვა. ბუნებრივი თანაბგეროვნების ჩამხშობნი ცისიერ სხეულთა მაერთი ძალების გარღვევასა და მთიებთა შორის მანძილის შემცირებას ცდილობდნენ, სირანის ორბიტას რომ მათთვის საწადი სიმყარე შესძენოდა. ამით თითქოს ჰავის ცვალებადობა უფრორე გასაძლისად გარდაიქცეოდა და სირანელებიც სამარადისოდ იდღესასწაულებდნენ.

გულზვავი ოინბაზები! ნაცვლად იმისა, რომ ბუნების ნაბოძვარს დასჯერებოდნენ და ზენაარ წესთა ნიადაგობა ესმინათ, სამყაროს ჰარმონიულობა ბევურვათად შემწიკვლეს!

რაზომი აღვინიზებაა თავი აღიზევო ზესთა განაწესის შემოქმედად და გარდამსახველად! ‘ჩვენ არ შევუდრკებით ჩვენი ნასიბის სახეირო კუთხით შემობრუნებას. დღეის იქით არ იქნება გაზავება იმ ფეთსა და ურვასთან, რომელიც სირანის ორი მზის გარშემო მიმოქცევას თან სდევდა!’ ბრძანებდნენ ისინი.

და ასეც მოხდა. გოროზმა სწავლულებმა დასასრულ შესძლეს მაღალი საბჭოს უმეტესობა მიემხროთ და სირანელთა ძალისხმევას სულ ერთიანად ამ მიზნისაკენ უბრუნეს პირი. გადაწყდა, რა წამსაც აბა ეას ამოესაფრებოდა და სამნივ თავიანთ ორბიტაზე სიგრძივ ჩამწკრივდებოდნენ, ეასთვის ცენტრალური მთაგრეხილის უმაღლესი თხემიდან მძლავრი სხივი ეძგერებინათ. დღეც ზედმიწევნით გამოთვალეს, სასურველი კონსტელაცია რომ არ გამორჩენოდათ და თავიანთი ბიწიერი გულისთქმის ასრულება არ დაყოვნებულიყო.

იმ დღემაც მოატანა. კაცადს ენიაზებოდა განცდა იმისა, თუ რარიგ წარმოქმნიდა სირანის გრავიტაციის ჟამეული გაქარწყლება აბას მიერ ეას მიზიდვას, რარიგ განწრისეულდებოდა აბასა და ეას გარშემო ორბიტალური სარტყელი. ის კი არავის ეფიქრებოდა, რომ აბას ბოლომდე შეეძლო ეას გადმოძვრა და თავისთან შერწყმა. და მაშინ ცოდო-ბრალის დატრიალებას რა ძალა განარიდებდა?

ძალური დანადგარი ჩაირთო, ეა ნიშანში მოექცა და პირველადმა აწყვამ მისი მიმდინარეობის სასურველობა ცხადჰყო. ის დონედ აბასკენ მიიზლაზნებოდა. მაგრამ

ანაზდეულად ეამ ფერი იცვალა და ზურმუხტოვანი გაელვარებით შიშის ზარი დასცა სირანელებს. აიჭრა ქარი, ოკეანე მძვინვარედ აიქოჩრა და ყველა დაოთხილი მიწისქვეშა დასაყუდრებისკენ გაქანდა.

რამოდენიმე დღეში გაირკვა: თავაქალებს საკადრისად მიეზღოთ თავიანთი საჯაყი ქცევისა და ქვენა გრძნობების გამო! ეა დამკოდველად დასცხრომოდა თავს ყოველ მამაკაცს, ნახევრამდე მათგანი მეორე დღესვე აღესრულა და არა მხოლოდ მათ განუტევეს სული, უზღვავი მამრი ცხოველიც არ იქნა ლმობის ღირსქმნილი – რომელნი გადაეგნენ, რომელნი გარდასხვასახდნენ.

მცირე ხანში მამაკაცთა და ჭაბუკთა ნახევარიც მოჩოლფოთდა და ხუთიოდე წლის უკან სირანი დედებს შემორჩათ, რომელნიც ყოველსავე რთულსა და მარტივში თანაგვარად უბირნი იყვნენ. აქამომდე ხომ მათი საურავი ყრმათა აღზრდა და კერის დაცვა-შენახვაღა იყო.

მაგრამ უმწეოდ ისინი არ დარჩენილან. ეამ ამ უნაშურობისაგან განზე მდგარ სირანელ დებს თვითგანაყოფიერების უნარი უბოძა! და ეს უკვე სირანელთა ხსნაც იყო, სირანი ამიერითგან დედათა კუთვნილებად იქცა.

არელია გახდა პირველი, ვისაც მაღალმა საბჭომ გლანდურობა, წინამძღვრობა არწმუნა. მან სირანელი დები ორად დაჰყო: პირველთ სანოვაგისა და ტანსაცმლის, სითბოსა და ელექტროგანათების უზრუნველყოფა მიანდო, დანარჩენთ – ნორჩების მეურვეობა და მათი განსწავლა. ის განაგებდა და გამგებლობდა, რაც წინათ მხოლოდ მამაკაცებს ხელეწიფებოდათ.

ასე წარმოიშვა სირანზე სვებედნიერი სამყარო, სამფლობელო თანასწორი ხმიერებისა და შედასებისა, რომელსაც ეა მწყალობლობს.”

ამის ჩაკითხვისას ლოს შეეგნო, მაქსთან ხანმოკლე მეუღლეობისას რა ძლიერ გარდაქმნილიყო. მას უკვე გაეგებოდა, რომ წანაკითხის უმთავრეს მიზანს მატრიარქატის კერპად ქცევა შეადგენდა.

ლომ მოზომვით ჩაინიშნა: “სირანის სამიმოქცევო პირობათა ანტიგრავიტრონებით სრულყოფის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მზეთა დაახლოვებამ სანუკვარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ისედაც მჩქეფარე ეა, რომლისგანაც წარმოსდგებოდა მუტაციური ნორმის სიჭარბე, უეცრად გამძვინვარდა და მომაკვდინებელი სხივები ანთხია. შედეგები საოხარი გამოდგა: სირანელი მამრნი ამოწყდნენ, იქნებ დამატებითი, სქესის განმსაზღვრელი ქრომოსომის ანაც იმუნური სისტემის უსუსურობის გამო. ოფიციალური წყაროების შესაბამისად, სიკვდილიანობის პირველი ტალღა უშუალოდ ეას იავარმქმნელ გამოსხივებას მოჰყვა, უკანასკნელი კი თეთრსისხლიანობას. კვერცხუჯრედებში ელვისებურმა მუტაციურმა ცვლილებამ სავსებით წარხოცა მათი გენკოდიდან რედუქციული გაყოფაც და სირანელებში ფეხი მოიკიდა უსქესო გამრავლებამ ყველა თანმხლები გენეტიკური გადახრით. იმიერიდან ყველანი გატყუპისცალდნენ! ცვლილება, რომელიც მწვანე ელდის მეყიდან სამარადჟამოდ გაიბრჯნა, ცალგნითღა გადაეცემოდა შთამომავლობას, ის გაკორძდა და ყოველგვარი განვითარებაც მოიკვეთა.

მას უკან კი დატრიალდა ის, რამაც დასელები ლოს დედამიწაზე წარსავლენად ააგულიანა. ის მხოლოდ ეხლა იტყობდა ვაჟთა განახლებული შობადობის შესახებ საფრთხილო ცნობის

მნიშვნელობას. ძენი ამ ორმოცდაათი ორბიტალური წლის განმავლობაში თითებზე ჩამოითვლებოდნენ, მაგრამ უკანასკნელ ჟამს მათი ოდენობა ხუთასს აღემატა. და ამცნო ეს დასს ფლორიმ, გლანდურას უახლოესმა რწმუნებულმა, რითაც მკაცრად დაცული სახელმწიფო საიდუმლოება გაითქვა. მაღალი საბჭო ფრთხობდა, რომ ამის საჯაროდ გამოცხადება საზოგადოებრივ უშფოთველობას შეარყევდა.

ძენი! იქნებ ოდესმე განაყოფიერებისუნარიანნი, მიუხედავად სრული მცვედნობისა. ამ ორიოდე ათასიდან ბევრად ბევრი უკურნებლად მიკნავდებოდა და წუთისოფელსაც მოსწყდებოდა. საარსებოდ მოუმწიფარნი პირნასობასაც ავლენდნენ. ამრიგად სახავდა ფლორი, რომელიც ვაჟთა კლინიკის შემოვლისთანავე ტოლებთან გაეშურა, ეს საზაროება რომ გაენდო.

მაგრამ საზარელი იყო არა თვით ვაჟთა გაჩენა. ლოს იმის გამოვლენა აძრწუნებდა, რომ მაღალი საბჭო მრავალმეტყველ რასმე ჩქმალავდა და უკვე შორეული წარსულიდან მოკიდებული.

დასი, ეს იყო ყველა პროფესიის სირანელთა მცირერიცხოვანი რაზმი, რომელთაც ერთიანი სწრაფვა აერთსულებდათ: მათ უფრო მეტის მოწევა მოსწადინებოდათ, ვიდრე უწინდელი ნაჭირმაგევის უცვლელი გადმოღება იყო, მეტადრე სულიერ ფასეულობათა მხრივ. ჯგუფი ეას შეწყალებას აარარავებდა და ამით ბუნებრივ მოვლენათა მიუწვდომლად რაცხვასაც გმობდა. **მწვანე ელდის მეყიდან** გაჩაღებულ ზნეობით სწავლებას ის უდიერობად და ვითომითობად განიხილავდა.

მაგრამ, ფლორის შენიშვნისამებრ, მისი მითითებანი მაღალ საბჭოში მართოდენ დუმილსა და უსმინობას ეყრებოდა. დანი მედეგ ბიჯს საჭიროებდნენ, გულისმომწყვლელი გარდატეხის წინაშე რომ ქედი არ მოეხარათ. და რად უნდა გარდაესახათ ის, რაც ნაცადი და იმავდროულად სათნოც და ესთეტიკურიც იყო? ამიტომაც საზოგადო სტრუქტურის ზედამდეგმა ფლორის მკაცრად წასძახა. მაგრამ ზავთმა მისი მცდელობა ყირაზე დააყენა, ფლორი თანამოაზრეთა ძიებას მოჰყვა და უმალაც აიჩინა ისინი, ლოც მათ რიგს განეკუთვნა.

მამრ სირანლეთა მკვდრეთით აღდგენა! დედამიწაზე ლოს სამზირო მისიაც ხომ ამანვე წარმოშვა. დასელებს სურდათ შეეტყოთ, თუ რარიგ წარმართავდნენ დედამიწელები სიცოცხლის მეცნიერებას. ძალუძდათ თუ არა მათ სირანელთა გამოსარჩლება ბისქესობრიობის აღორძინებაში?

ვითარსი და ნაყალბევი იყო წარმოდგენა ეას მიერ ბრალეულთათვის საზღაურის მიწყვისა და სირანელ დედათა შებრალების შესახებ. და ამის გამო მაღალი საბჭო ერიდებოდა მომხდარის საქვეყნოდ გამოტანას, სანამ სამოქმედო გეგმა დაუსახავი იყო. ამან გამოიწვია ლოს მიმდებთა დაკავება და ამიტომაც განათვისეს თავადაც, ამანვე ააწკრიალა უხანოდ მობრუნების ზარიც, რომლის მიზანი ლოსთვის ჯერაც ჩაუხვდომელი იყო.

ლო უკვე გარკვეულიყო, როგორ მისდგომოდა მოხსენებას. ის დაუსრულებელ წერას მიეცა. მუდამდღე მასთან ესდორი შემოჰყოფდა თავს, ნაწერს თვალს გადაავლებდა და თან გაჰქონდა. მისი პირის თანაზომიერი ნაკვთებიდან ვერაფერი ამოიცნობოდა. ლომ აღარც უწყოდა, მისი გამოლეული თაბახები აღწევდა თუ არა მაღალ საბჭომდე. მაგრამ ის მაინც მოშურნედ განაგრძობდა მიწიერ შთაბეჭდილებათა გადმოცემას და ხსნას ეძიებდა, რის საწინდრადაც წარსულის მეცნიერული კვლევა წარმოედგინა.

ერთ ღამეს ლო შინაზე ფიქრმა წაიღო. მაგრამ სადღა იყო მისი სამკვიდრებელი? ის იგონებდა დედამიწას, მაქსს... როგორ…შემცბარად წარმოთქვამდა ის თავის სახელს იმ ბდღვრიან, მცხუნვარე ავტოფანტასტაში.

“მაქსი?” გაბაძვით იკითხა ლომ და შემდეგ სხარტად გაიმეორა: “‘მაქსი’. კეთილხმოვანი სახელია, მჟღერი და გულში ჩამყოლი.” ის გაფრთხილდა: ხომ არ მქირდავსო, გაიფიქრებდა. მაგრამ მისი აბუება ლოს აზრადაც არ მოსვლია, უფრო მეტიც, მას დაბეჯითებით განეზრახა იმ მაქსთან ერთ გზაზე დგომა, გზაზე, რომელიც უკანასკნელ სირანელ ქალს რვა საუკუნის წინ განუვლია.

ცხადია, მამაკაცთა გადაგების შედეგად სქესობრივი ურთიერთობანი თვით ქალწულთა შორის დამკვიდრდა. სატრფიალო გამოცდილებას, რომელიც **მწვანე ელდის მეყამდე** თუმც მოიპოვებოდა, მაგრამ კნინად, ეხლა უეცრად ორ სქესს შორის გაქარებული მიჯნურობის მოსაყდრეობა ერგო. ეს დიათა საბრძანებელი “ოჯახებად” განიყოფოდა და ლოსაც გააჩნდა ოჯახური ჭირნახულობა, რომელსაც ის შვებისა და სვიანობის მომნიჭებლად აღიქვამდა. მაგრამ მხოლოდ დედამიწაზე შეიგრძნო ლომ აშიკობის უსახო სიმხურვალე, მხოლოდ იქ შეიცნო მან თავი მდედრ არსად. სირანულ ტრფობას ის უკვე ვერასდიდებით იკმევდა. იმ მაქს ფრიდლენდერში ლოს მხოლოდ მისი ბიოლოგობა როდი იზიდავდა, მაქსი ეწადა მას როგორც მამაკაცი. ლოს მასთან სწყურდა განეცადა, რაოდენ ერთგვაროვანი და სიბრალულის აღმძვრელი იყო კატასტროფის მერმინდელობა.

ტრფობა სირანზე ძლიერ ვნებიანი არასოდეს ყოფილა. ცისფერცთომილელთათვის ის ბევრად მნიშვნელოვანი იყო, რასაც ლო ავტოფანტასტაშივე ჩასწვდა. დედამიწელ ქალებს, თავიანთ სირანელ დათაგან გამორჩევით, სქესობრივი შერწყმა არა მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში ექეიფიანებოდათ. ყველაფერი ეს ლოს ენუგბარებოდა და ფორიაქს ჰგვრიდა. ის მაქსი, ტანასვეტილი, შეუბედავი და იშვიათად სალუქიანი მამაკაცი უწყვეტლივ ასხივებდა უჩვეულო რასმე, რაც ლოს სულით ხორცამდე ნუსხავდა. და მან წამსვე სცნო ეს ნანდაური თავის გამძღოლად.

მაგრამ სირანიდან მიღებულ გაწვევას ის მიჰყვა. ნუთუ მაქსის უნიათობა იმოდენი გამოდგა, რომ ლოს შეჩერებას შეუძლოს ჰქმნიდა? განა მისთვის შერწყმის განცდა მხოლოდ ცდა იყო და არა შეუცნობელ ნატვრათა ასრულება? იქნებ მის მოსვლამდე მოცდა უმჯობესიც იყო. მაგრამ შეისმენდა კი ის ლოს აღსარებას? და იცნობდა კი მას ლო ისეოდენ, რომ ამის განჭვრეტა შესძლებოდა?

ზოგიერთხელ მას გარკვევით წარმოესახებოდა, ის უცდომელი არსებანი თუ რა მეცადად იღწვოდნენ მის გამოსავლენად. ისინი ალკალდესა და ავტოფანტასტელ კაბალეროებსაც უთუმცაოდ ააწრიალებდნენ – იმ ზუსტ და უძრახველად გამართულ ცთომილზე ხომ არავის დახაფვრა ეგებოდა კვალწმინდად!

ის ხშირად ამადლიდა კიდეც თავს, ასე ბრმად და გულღრძოდ რომ მოსწყდა დედამიწელებს, მათ, ვინც იმთავითვე ლაციცითა და დაყვავებით მოეპყრნენ მას.

ლო მაქსთან გატარებულ ღამეებს იგონებდა. ეს იყო ჟამი უსაზომო ნეტარებისა. მაგრამ რა იყო ეს? მხოლოდ სათაყვანო ხორციელის გრძნობებსა და ფიქრებში შეჭრა, მხოლოდ მის ბაგეთა და მკლავთა შეგრძნება? არა, უცილობლად უფრო მეტი!

ლო მორბედთა გამდლობამაც არანაკლებ მოალხინა. რა წმინდის გულით ფაცაფუცობდა ის ბავშვთა კერაში! ანაც რა მეშურნედ გასცქეროდა დედამიწელ დედებსა და მუცელქმნილ ქალებს. ფრთაგაშლილი მოზარდნი, საბავშვო ეტლით მოსეირნე დედ-მამა, ლოსთვის ეს გაუგონარი წარმოდგენები იყო. დედაშვილობა სირანზე დედაშვილის ყოველკვირეული

შეხვედრით შემოიიფარგლებოდა. ბავშვებზე ურვა და მათი განსწავლა საამისოდ ნაწაფ დებს ეკისრებოდათ.

როცა მან მაქსს თავის მონაგონ პანსიონზე მოუთხრო, მაქსი მოქურუშდა და თანალმობით შეესიტყვა: “მშობლიური ალერსისა და მისაყვარლების გარეშე დაფრთიანებულხარ! მესმის, რომ ბავშვთა სახლში აზიზად გზრდიდნენ, მაგრამ დედა, შინაობა – ეს ხომ სრულიად სხვა რამ არის.”

მშობლის ალერსი! სწორედ ეს იყო, რაც მაქსისა და დედამისის ურთიერთობაში გამოიყოფოდა. და რა სალმიანად მიიღო ის, გარმიანელი, იმ დედაბერმა! დიაღაც ამაში განსხეულებულიყო ძირეული სხვაობის საბუდარი. სირანზე მხოლოდ უსულგულობა და უთანაგრძნობობა უფლობდა. იქ კი, იმ აბიბინებულ დედამიწაზე ქუხდნენ და გრგვინავდნენ გრძნობები, თუმც უსათნონიც, ჟამით-ჟამად უნიადაგო შმაგობაც, მაგრამ მასთან ერთად მიამიტი სიხარულიც საუცხოოდ მომზადებული კერძის ან მცირედი, უმნიშვნელო საჩუქრის გამო. და ასე იქმნებოდა დედამიწა ეგდენ ჭრომახი და სასეირო.

ლოს შეეგნო, რომ გრძნობათა გასალებული სამყარო გარდასახვას საჭიროებდა. ამის წინამძღვარი კი ვაჟების დახსნა და ადამიანთა შეწევნით სახენაცვალი შთამომავლობის წარმოქმნა იყო. მაგრამ მოახერხებდა კი ის მაღალი საბჭოს წინაშე დედამიწელად წარდგომას? რა სიტყვებს შეარჩევდა მაქსი მის ადგილას? ლომ თავი ცისფერცთომილელად წარმოისახა: “თქვენ, სირანელებს, **მწვანე ელდის მეყი** უმძიმეს ტვირთად დაგაწვათ და წაფორხილების რიდით უკვე არსებულის გუშაგობას მოჰყევით, ნაცვლად იმისა, რომ ასე უგულისხმოდ მიმწყდარ სისადავეს წატანებოდით და მისი აღივება გემეცადინათ...”

მაღალ საბჭოს იგივე უნდა მოესმინა ლოსგანაც. მაგრამ ჯერ ეს ცდას მოითხოვდა. ლოს ჩანაწერებზე, რომლებიც მას ჩაემთავრებინა და ესდორს უკანასკნელ თაბახამდე თან წაელეკა, ყველა სიტყვაძვირობდა.

დღენი გაჰქროდნენ. ლოს გავლის საღერღელი აშლოდა და დასაღამოხანებულზე ფიქრიანი შუაგს გაუყვა. ნიავი მის თავზე მაამებლად აშრიალებდა სირანულ ფოთლეულს, მას რომ უცაბედად წკრიალა ტონი ჩაესმა. ეს კოხშინშხალს მოასწავებდა.

ლო რუხად მოსილ დებთან ერთად მიწისქვეშეთს შეეხიზნა. მაგრამ ის არც აქ შეუნიშნავს ვისმე, ლო აქაც განაკიდებული რჩებოდა. მას ესდორიღა წაადგა ზედ, მაგრამ მოწეულ ქარტეხილზე მოახსენა მხოლოდ. არავითარი თავაზი, არავითარი მოკითხვა!

ლო სხივთორღანს მიდგა. მის გარემომცველ თაღოვან სიბრტყეზე ის ნატიფად გამოსახავდა მტრედისფრად მოთინათინე ჯილავებს, მცხინვარე ფერებს, ეტებსა და სხივთა კასკადებს. და აქაც უნებლიედ დედამიწური ნაყშები იძახვებოდა. ლო ამას თავადაც გრძნობდა და დებსაც ატყობდა კურკურზე, რომლებიც ამ მღერის სამზერად ტრელად მისდგომოდნენ მას ზურგიდან.

ძნობის სმენა ლოს მოეშალა. სირანზე მხოლოდ ეას საგალობელი და სხვა საკრალური კომპოზიციები ბგერდა. წინარეკატასტროფული ჰანგების ძიებაში ის ამაოდ გაისარჯა. მაგრამ იმჟამინდელი სირანი მუსიკის გარეშე ვერ იქნებოდა, ამას ისტორიის სახელმძღვანელოებიც მოწმობდნენ. ხოლო დღეს კალმოსნობაც იმასვე განიცდიდა. აქაც ყოველთვის გადიდმნიშვნელოვნება! მოუთვლელად ადგენდნენ ჩანაწერებს ალგას კუბურების ან მხალეულისაგან სალათის მომზადებაზე. უზღვავი იყო მასალა ქარაშოტისა და მომეტებული გამოსხივებისას მოქცევის წესზე, პლანერებსა და საფრენ მოსასხამებზე. სირანელების, მათი აღმაფრენისა და მათი საწუხარის ამსახველი სიტყვაკაზმული მწერლობა კი თითქოს არც როდის არსებულა.

უსასოობის ჟამს ლოს ეს განმხოლოება უსასრულო ეჩვენებოდა. მას განუწყვეტლივ ამჭვუნვარებდა მაქსისა და დედამიწელთათვის ზურგის შექცევა. ძილგამკრთალი ის ხშირად წამოჭრილა საწოლიდან და მახვრალად სარკმელს მიმდგარა. ერთი რამ უტყუარი ჩანდა: **მწვანე ელდის მეყიდან** ჰავის ცვალებადობა შემცირდა. საგრძნობლად იკლო დამარბეველმა არმურებმა და ეას გამოსხივებაც განელდა, გასადაგდა ზესკნელზე მთიებთა უშფოთველი და მკვეთრი კიაფი. მაგრამ რის ყოფით!

ლოს ამცივნებდა ამაზე ფიქრი. მას განვლილი წლები ხელუყრელ და უღირალ წამთა ბოდუქად ეხატებოდა. ერთბაშად ის აღსრულების ფეთსაც აეტანა, თუმც სულხორცის გაყრა სირანზე არავის აფრთხობდა. სირანელთათვის ღვთივ განსვენება ყოფიერების თანამდევი ბუნებრივობა იყო. ნეშტს აქ იმ განწყობით კრძალავდნენ, რომ მშობლიურ ნიადაგს მიბარებული ის ნაწილაკდებოდა და კვლავ დიდ წრებრუნვას ერწყმოდა. საშიში ამაში არაფერი იყო, მაგრამ ლოს ეს მაინც ელდას სცემდა. მას აძრწუნებდა სირანული აწმყოს გარდაუსახველად მიცვლა...

როდის დაკითხავდა მას მაღალი საბჭო, მასა და მის თანამზრახველებს? ლოს ამ მოლოდინით გული გადალეოდა. ის იგვემებოდა ცხადად თუ ზმანებად, მაგრამ სალბუნებელი მოსკოტილეულის მიღებას თვითრჯულად უარყოფდა. ხოლო როცა მას ესდორი ეახლა და ხვალზევით სამსჯავრო სხდომააო, აუწყა, ლოს ვადა უეცრად ეცოტავა. მრავალი დღის ნაამაგევს უსრულობა დაეტყო...

განკითხვის წინაღამით მან, როგორც იქნა, ინება დამაამებელი სასმელი და უკვე ცისკარზე ძილით გულმოჯერებული მაცხოველებელი შხაპისკენ გაეჩქარა. მაღალ საბჭოს ის ერთიანად ჭურვილი უნდა წარსდგომოდა, სულითაც და სხეულითაც. ლო იცნობდა თავის მიზანს და მას არასგზით შეელეოდა!

ესდორის თანხლებით ის სირანის პირველსატახტო ქალაქს, სირანგლადურს, ჩავიდა. დილეგიან ლოს პირველად გაეღწია, მაგრამ ფიქრმორეული ის აღარც აღიქვამდა მშობლიურ მიწა-წყალს. თვალშეუდგამი, აჯეჯილებული ხოდაბუნები და ამწვანებული ტრამალები, სპეტად გადაბურული საწარმონი და კორტოხთან მდებარე ქალაქი ცისფრად მნათი ნაგებობებით, რომელთა რვაკუთხა აღნაგობა ფუტკრის გეჯებისას ემგვანებოდა – იყო სურათი, რომელიც ლოს ყრმობიდანვე ეცნაურებოდა და მამულად ეგულებოდა. აქ, მიუხედავად დამაქცევარი დელგმებისა თუ ღვარცოფებისა, სირანული ნთქრევისა თუ დამღუპველი ბუქებისა, დასადგურებულიყო იშვიათი სიამე და თანაზომიერება.

უდარობა სირანელებს ოდითგანვე უღერებდა მუშტს და ისინც ცთომილის წიაღს ეკედლებოდნენ. ზედეთზე ვრცლად გაწვდენილი მადესებრი აღნაგები მხოლოდ უბანი, მხოლოდ "საზაფხულო აგარაკები" იყო სირანული ქალაქისა, რომლის უმეტესი ნაწილი ქვესკნელში აიგებოდა. აქ მათ ერთიორად მოეპოვებოდათ სამრეწველო და ენერგეტიკული კვანძებიც.

სხვაგავარი იყო სამყარო, რომელშიც ლო მზირად შეიპარა. ის ერთთავად ფიქრობდა ცისფერცთომილური მრავალწახნაგობის თვალუწვდენლობაზე, დედამიწელებსა და მათ ქალაქებზე, მათ ხშირად საკვირველ და მიუხვდომელ საქციელზე. ცისფერპლანეტელები მუდამ დაუდეგრად ეძიებდნენ ახალსა და ამოუცნობს...

რენდას, მაღალი საბჭოს გლანდურას, თავის მხცით მოსილ, მოგრძო თმაზე წვნიკი მეწამული ბაფთა გამოეყულფა. მისი დანაკეცებული სახე ქველი გამომეტყველებისა იყო.

შუა ხანს რენდა კარგა ხნის წინათ გასცილებოდა, მის უწინდელ ჯავარიანობას მოკლებულ, მაგრამ კვლავაც შვებისა და სიდარბაისლის მფრქვევ თვალებს ოთხმოცამდე საპლანეტო მიმოქცევა ეხილათ. გლანდურა, როგორც მაღალი საბჭოს მედროშე, უხუცესობის მბჭობლობასა და გამსჯელობას განასახიერებდა. ის წამლობითი ხელოვნების მხცოვანი მოძღვარი იყო, რომელიც ხანდაზმულური უქეიფობისა და ბოდოშალობის გადაძლევას ელტვოდა. მაგრამ ის თვითონაც ჭვრეტდა, რომ ალო მისი აღრევისა სირანული ბიცობისა და ვარსკვლავების ბდღვირის დაუშრომლად მოძრავ ნაწილაკებთან მოწეულიყო.

რენდას მხარმარცხნივ ეჯდა კალო, ჟიჟოვნად ელვარე შესამოსელით. მისი ოდნავ ნასერი თმა ჯერაც ოქროსფრად კრთოდა. მარდი იყო მისი მზერა, ცხოველი – პირი. ის გულიანად იმოსებოდა ბალახისფრად, ეს ხომ მისი პასუხისმგებლობის სიმბოლოც იყო: კალო სირანელთათვის ყველა საჭირველი ნივთის წარმოებას განკარგავდა.

რენდას მხარმარჯვნივ ადგილი ტანდუს ეკავა. ის მკაცრად ნათარგი ქარცი სამოსელით იყო მოსილი და მის სალუქნაკვთოვან, მაგრამ ვნებათუქონელ სახეზე ვერანაირი განცდა მიიკვლევოდა. ტანდუ შესაშურად იშნობდა ძალაუფლებას, მის აღალმასებრ იერში სირანის მარადისმყოფი ერთსახოვნება განხორციელებულიყო. ის ხუთ მილიონამდე სირანელი დის უსაფრთხო და შეხმატკბილებულ თანამყოფობას თვალმდეგობდა.

ლო მომცრო, უჯრედისეულ თვალში განემხოლოებინათ, მაგრამ მცირედ ხანს. ორიოდ საათში ის ესდორმა თან წაიყვანა და სხდომათა დიდ დარბაზში მიმავალ დებს მიადევნა. საუბარი იკრძალებოდა.

ლომ დასელებს თავის მცირედი დაკვრით სალამი მიუძღვნა. მაგრამ წამსვე ათახთახდა, თითოეული მათგანი მისებრ პანსიონელთა ბაც ზღვისფერ სამოსს ატარებდა და ყოველს თანმხლები უძღვოდა. ლოს მათი მოქცევაც ძლიერ აცბუნებდა. პასუხად მას ფლორიღა მიესალმა ცქაფად, სხვანი კი სალამს ან არც უხდიდნენ ანაც თვალების ცეცებით. საჩინო იყო, რომ მაღალ საბჭოს ისინი მოეშთო. მაგრამ ნუთუ ასე იოლი ყოფილა სირანელის ძალისმიერი მომხრობა?

ლომ განუცდელი სიცხოვლით გაითავისა, რომ წელიწადნახევრიანმა მწირობამ დედამიწაზე ის სხვად გარდასახა. ლო ყოვლად შეცვლილიყო. და მან იცოდა, რაც იყო ყოფა, ის მიაგნებდა მის **მწვანე ელდის მეყამდელ** გვარობას.

სანამ დარბაზში შეაღწევდნენ, მაღალი საბჭოს სხვა ათი წევრიც თავის სავარძელზე განთავსებულიყო.

ცამეტი დამსწრე! ლოს გაეღიმა. დედამიწაზე ეს ბედნავსობის რიცხვი იყო. რაოდენ ხშირად აუგდია მას მაქსი მასხარად, როცა ის მეცამეტე საფეხურს გადააბოტებდა ან ფეხის დასხლტომის ალაგს სამგზის ახლიდა ფურთხს. ლოსთვის შესაქცევარი იყო, რომ დედამიწელებს ჯერ კიდევ არ მოეშალათ მსგავსი ადათების ხათრობა, ეს უკვე მხოლოდ სეირი იყო.

და ლოს ამის მოგონებამ გასაოცარი გულმარდობა შესძინა.

მის თვალისთვალ მაგიდას ფლორი და მისი თანმყოლი მისხდომოდნენ. მათ მიღმა აბასა და ეას ანასახი ციაგობდა, რომელზედაც ყველა ცთომილიც გაემწკრივებინათ. სხდომათა მზიური პალატი ისევე, როგორც სირანზე, შეუმკობელი და მოურთავ-მოუკაზმავი იყო. მარჯვნიდან ნარნარად მოედინებოდა მახლობელი წალკოტის ციალი.

რენდას წამოწევაზე ყველა უმალ წამოიმართა. აჟღერდა სირანის კატასტროფამდე კომპონირებული ჰიმნი, რომელიც მათ ფეხზე დგომით უნდა მოესმინათ. გარდა ამ მუსიკალური ნაწარმოებისა, სირანელებს სხვა არც ერთი მოეძიებოდათ. ის თითქმის ერთადერთი იყო, რასაც იმ დროებიდან მოეტანა. იმჟამინდელობისა და აწინდელობის მაერთი, ისღა თუ განაცდევინებდა მათ დანაკარგის სიდიადეს.

სხდომის გახსნისთანავე რენდამ სიტყვა ტანდუს გადასცა.

საზოგადოებრივი წესრიგის თავქალმა მქისედ წამოიწყო: "მაღალო საბჭოვ! ჩვენს წინაშე მყოფთ ბრალი ედებათ სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაში. მათ ჩვენი კეთილსაიმედო წესისა და რიგის ხელყოფა, მისი შეცვლაც კი განიზრახეს! ბრალეულნი არც ერთ-ერთი მეამბოხის ცისფერ ცთომილზე წარვლენას დარიდებიან. და ეს მაშინ, როდესაც თვალსაჩინო მიზეზთა გამო ორასი წელია, რაც მსგავსი გაფრენები აღიკვეთა.

ჩვენ, ვინც სირანული თანაბგეროვნების სათვალგებოდ ვართ მოწოდებულნი, მსჯავრი უნდა დავდოთ ამ გზააბნეულთ. მათ ხომ უმეტნაკლებოდ მაღალი საბჭოს დამხობა და სირანელთა ყოფის ძალადობრივი გარდაქმნა მოიწადინეს. და რას გვპირდებოდნენ ამის წილ? ბისქესობრიობის აღორძინებისათვის სარჯვას! ეას შეწყალებას კი ყური წაუგდეს, მიივიწყეს, რომ თვითგამრავლების უნარი სწორედ მის საყუათო სხივებმა მოგვგვარეს."

ამან დამსწრეთა რიგები ერთობ ააზავთა, მაგრამ შეძახილი მას ვერავინ შეჰკადრა. მხოლოდ ფლორი წამოქროლდა. "დაბრძანდით!" გააზომიერა ის რენდამ. "თქვენც მოგისმენთ. ჯერ კი ტანუდს ვუპყროთ ყური!"

"გაირკვა," განაგრძო მარმარსახიანმა, "რომ ფლორიმ, სასიქადულო დასტაქარმა და უწინ მისი უმაღლესობის, ჩვენი გლანდურას მეოხემ, განზრახ გაანდო შფოთიერთ ეს საიდუმლო, რომელიც თვით ყველა მაღალსაბჭოელსაც არ მოეხსენებოდა..."

ტანდუმ ბევრი განაცვიფრა. ერთ-ერთი ჯავრიანადაც ფეხზე აიჭრა. ეს სორანდა იყო, ხნოვანებით სხვებზე უმცროსი. "ეს რა ასეთი საიდუმლოა, მაღალ საბჭოსაც რომ ვერ გაენდობა?" გულხენეშად იკითხა მან. "და რა განაჩენის საწერად მოგვიყრია თავი, როცა თავიდათავი გაუმჟღავნებელია. მე გადაჭრით მოვითხოვ ამ იდუმალების გამხელას, წინააღმდეგ შემთხვევაში – თითოეული განსასჯელის გათავისუფლებას. ეს პირველად არ ხდება, როცა ტანდუ ასე უგლიმად და უპირისწყლოდ გვექცევა..."

დამსწრეთ ქოთქოთი შეუდგათ. დადუმებული ტანდუს მაგივრობა გლანდურამ გასწია. "კეთილი!" გაეპასუხა ის სორანდას. "სახელმწიფო საიდუმლოება გახლავთ ის, რომ უკვე ნახევარი ასწლეულია, რაც ძენი სირანზე კვლავ აღმოცენდნენ. მეტწილად ეს უსუსური და საწყალობელი არსებები არიან. მაგრამ, ვაგლახად, მათი შობადობა განუხრელად იზრდება. სადღეისოდ სირანელ მამაკაცთა ოდენობა მათთვის განკუთვნილ ოთხივე კლინიკაში ორ ათასს შეადგენს. ჩვენ მათ ამაგდრად ვსარჩლობთ და ვშემატკივრობთ, მაგრამ საზოგადოებას ეს ვერ ემცნობოდა. შიშატანილი დები ხომ ეჭვს მიიტანდნენ ეას შეწყალებაზე და წყობის ერთადერთი საყრდენიც გამოგვეცლებოდა. ფლორიმ ამის გახმიანებით ფრიად გადაამეტა ძალაუფლებას. ლოს თავგასულობაც არანაკლებ საკდემელია. როგორც ნათელვყავით, ლომ ფარულად თავს იდვა ცისფერი ცთომილის სტუმრობა, რის დასტურსაც ის მაღალი საბჭოსგან ვერა სახსრით მიიღებდა. მისი მოხსენება ხომ ყველას დაგეგზავნათ. მაგრამ ძირეული ეს არის: რას ესწრაფვოდნენ დასელები, რა ამოძრავებდათ მათ და რით იყვნენ გულნაკლულნი?"

"ძირეული ჩემთვის ისღაა", კვლავ გაასპიტდა სორანდა, "რომ მაღალ საბჭოში მის წევრთა ტოლუფლებიანობა იქელება. საზარელია, სირანს უკვე ათობით წელი ვაჟები ევლინებოდნენ და ჩვენ, მაღალ საბჭოში მსხდომნი, ამას ეხლაღა ვიტყობდეთ! განაღა

ესოდენ მხდალნი და ჯაბანნი ვართ, განაღა ჩვენ ეს ვერ განგვებჭობოდა? და რომ ფლორი, ჯანაოზი და გლანდურას დღეგრძელი მწე, ქსენონში ხილულით განლიგებული ყოველივეს დებს მოუთხრობდეს – ეს ნამარდობა და პირშავობაა?"

"დიაღაც!" აუხირდა ტანდუ. "ეს შეუნდობელი უპირობა და გამცემლობაა. სორანდას ნაბრძანები კი შეუფერებელია პარლამენტარის ღირსებასთან და ვერც ბუნებითობას ესატყვისება. ფლორი, გვიამბე, რასაც ელტვოდით!"

ფლორი წამოდგა. "ეს არაერთგზის მოგახსენეთ: მე მეწადა, რომ მათ, ვისაც ჩამოვარდნილი ცალსახოვნება ვერ შეეწყნარებინა, როგორც ჯერს არს, გამოეძიათ **მწვანე ელდის მეყამდელობა** და ჩვენი აწმყოს წყაროც შეესწავლათ. ძეთა შობის განახლება ხომ ახალი ქორონიკონის დასაბამია, ეას მაწყინარი გამოსხივება ცხრება. ეს ოცდაორივე და", ფლორიმ ვრცელი ჟესტი შემოავლო თანამდგომთ, "ღრმად განსწავლული და გამოწვრთნილი სირანელია. მაგრამ ამ სწავლულობასა და გამოცდილებას ისინი ნაკლებ სჯერდებიან, მათში ოდიდან მძლავრობს ჩვენი სინამდვილის გაუმჯობესების სურვილი. მაგრამ ჭკუით ეს მიუწვდომელი ჩანდა და მას ვერც ბუნებრივ წესს მიუსადაგებდი. თანაც მაღალი საბჭოსაგან შემწეობას არავინ სასოებდა. და დადგინდა, ცისფერცთომილელთათვის თხოვნით მიგვემართა. ჩვენ ამას მოხსენებაშიც შევნიშნავთ. მაგრამ როდესაც ტანდუს მოდარაჯება აღმოვაჩინეთ, მე მაშინვე გამოვიხმე ლო: ვიმედოვნებდი, რომ ტანდუ ამას კეთილი ნების გამოვლენად შერაცხდა და საქმიან გაბაასებაზეც დაგვყვებოდა. მაგრამ მან ჩვენი დაპატიმრება ბრძანა.

ჩვენ სხვას არაფერს მოვითხოვთ, გარდა სირანული მსოფლშეგრძნების ბუნებრივად გარდაყოფისა. სირანზე უნდა აღორძინდეს წინაპრული ურთიერთობები. წინარეკატასტროფული ჟამი ძირისძირამდე სხვაგვარი იყო. ან", გახმამყივარდა ფლორი, "რომელი ჩვენთაგანი შექმნიდა თუნდაც წეღან ანაჟღერ საგალობელს? და რომელს არ განაცდევინებს ის მორჭმულობის ერთგვარად გამოუთქმელ, დამატკბობლად თავისებურ გრძნობას? ვგონებ, ამას იქით უამრავ საიდუმლოს მოეფინება ნათელი, რომელიც ჯერ ყველასათვის შეუცნობელია, იქნებ თვით გლანდურასთვისაც კი..."

ფლორის მისი მეთვალყურე უკმეხად მიემძლავრა დასაბრძანებლად. სხვათა აზრიც გამოითქვა. მეუფეობა არც ერთს ჩაგვითქვამს გულშიო, საგანგებოდ გამოჰყოფდნენ დასელები. ლოს წარვლენა ცისფერ ცთომილზე თუმც არად აგდებდა სირანულ ზნეს, მაგრამ ისევ და ისევ სირანელთა კეთილდღეობისკენ იყო მიმართულიო, განმარტავდნენ ისინი.

სხვაგვარად მოეკიდნენ ლოს მოხსენებას. აქ თავი იჩინა დროული თაობის წარსულოლოგმა ულინამ, რომელიც ლოს ჩანაწერებს ჭკუადაფანტულობის ნაყოფად სახავდა.

"წინა დროის მონაცემთა მიხედვით, ცისფერ ცთომილზე გამოუნელებლივ ღვივის დაუსაბამო შფოთი და ოდიგარი", შენიშნა ულინამ. "მერწმუნეთ, დედამიწის ატმოსფერო სირანელებს მხარს უქცევს და გზა-კვალს უბნევს: მათი მოხსენებები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თითქოს სხვადასხვა ცთომილს აღწერდნენ. მაგრამ თვით დაგულოვნება დედამიწაზე მსხემობისა უკვე არის უთავგზურობა.

გადავავლოთ თვალი ვინმე ლინდას სამი ასწლეულის წინანდელ უწყებას. 'მაღალგანვითარებული ტექნიკა ცისფერცთომილელთათვის ჯერ უცხოა,' მოიხსენიებს ის. 'მათ მხოლოდ ეხლა დაიწყეს მობილის წარმოება, რომელშიც ცეცხლით ანაორთქლი წყალი გორგოლაჭის საბრუნებლად გამოიყენება'. მაგრამ ეს ხომ წმინდა წყლის შეუსაბამობაა! ოდნავ მოგვიანებით კი მორიგი დის ჩანაწერებში შემდეგ უცნაურობას ვაწყდებით: 'მათ

ყოველგან ცისკარივით ელვარე ნათურები აქვთ დაკიდული და ენერგია ლითონის ცადაზიდული ელექტროზონარებით გაჰყავთ'. იმავე ნაწერში ამგვარ შეუწონლობასაც ვეყრებით: 'აქ სამასამდე ბგერით ენაზე მეტყველებენ და მრავალი მილიონი ცისფერპლანეტელი უბირია. ავადობა და სიყმილი მუდამ დღის წესრიგშია'. ხოლო დედამიწის ორასი მიმოქცევის წინათ მოწვდენილმა ცნობამ ბოლო მოუღო ცისფერ ცთომილზე გაფრენებს. ეს, როგორც უწყით, იყო ილა, რომელიც წერდა: 'ორ გულმზარავ ჯარიანობას აუარებელი დედამიწელი ემსხვერპლა'. სამოცი მილიონი! ეს ხომ თორმეტგზის აღემატება სირანზე მობინადრეთა რიცხვს. და სწორედ ამდენი დაედო მტლედ იმ 'მსოფლიო ომებად' წოდებულ გეენას. ერთ-ერთი ლაშქრობის დასავალზე კი უმცირესი ნაწილაკების ძალთა აშვებით წამზე გაავერანეს ორი ქალაქი. თუ არა ველური უმოწყალობა – სხვა რა უნდა ეწოდოს მთელ ამ უმიზნობას. არა, ცისფერი ცთომილიდან ჩვენ არაჟამს შეგვძლებია სარფიანი რამის გადმოღება და არც არაჟამს შეგვეძლება!

და რას წარმოგვიდგენს ლო?! ცისფერპლანეტელები უკვე სწვევიან თავიანთ მანგს, მახლობელ ცთომილთა ნაწილზე დავანებულან და სამყაროშიც გაჭრილან. მათ თურმე მოეპოვებათ ერთიანი ენა, გამოირჩევიან მოცადობითა და ურისხველობით. უშრეტია თვითეულის სწრაფვა პიროვნული სრულყოფილებისაკენ...

და ეს იგივე დედამიწაა, მხოლოდ ორასი წლის აქეთ? ამას მართოდენ გლახგულ დასელთა წარმოსახვითი უნარი თუ გასწვდება. მხოლოდ მათვე თუ სწამთ, რომ დედამიწელები ხელს აღგვიპყრობენ სნეულ ვაჟთა მოჯანიერებასა და აწმყოს გარდაქმნაში, რომელსაც თითქოს ზნეობრივად წავუხდენივართ! ან რა უწესივროდ ლაყაფობს ის იმ გენებზე, მათ გავლენიანობასა თუ სოციალურ მემკვიდრეობაზე! ნუთუ გაუგებარია, რომ ცისფერცთომილელებთან ურთიერთობა დედამიწის მიერ სირანის სრული დაპყრობით შეიძლება დასრულდეს?

მაგრამ ლოს ეს მიეტევება. ის ყალბი გრძნობების მსხვერპლია".

მაღალმა საბჭომ – რვა ხმით ხუთის წინააღმდეგ ფლორის დასის ქმედება დანაშაულებრივად აღიარა და შეთქმულებს ხუთი წლით აღუკვეთა თავისუფლება. მათ კვლავაც შეეძლოთ თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობის განგრძობა, მხოლოდ ერთ-ერთი პანსიონის მყუდროებასა და სიმარტოვეში, რომელშიც მათ ერთად განაკერძოებდნენ. ლოს კი მედიკოსთა საგულდაგულო ამაგი დაუწესდა, დედამიწაზე განცდილისაგან რომ განეკურნათ.

განაჩენის გამოცხადებისას მან რენდას ფაციცით თვალებში შესცქირა. მათში აშკარა იყო გულნაკლულობა. მაგრამ ტანდუს ვერაფერს შეატყობდი. სორანდამ გულდაჯერებით განაცხადა, რომ სამედიცინო გამოკვლევა ამას ხელმეორედ განსახილველს შექმნიდა.

ეს უცილოდ იყო ტანდუს წარჩინება, მაგრამ არა ხელმიუყოფელი. მაღალ საბჭოში ხომ მსგავსი მნიშვნელობის გადაწყვეტილება მუდამ ერთხმად მიიღებოდა.

ვაზირობა დახურული იყო. სხდომის ყველა მონაწილეს უმკაცრესი პირშენახულობა დაევალა.

და გასხლტდა ხელიდან ეგზომ საწადი გარდატეხის მარჯვე შესაძლებლობა. იმედგაცრუებულ ლოს ერთი უხიაკი კითხვა აკვიატებოდა: გამოდგა კი მისი მოხსენება ისე უსაგნო და შეუსაბამო, რომ იმ ულინას უმწეო საბუთებმა მაღალი საბჭოს უმეტესობა გააორგულა? მაგრამ ამაზე პასუხს მას ვერავინ გასცემდა.

კარი მეხუთე
უჩინარი მასპინძელი

ისინი მართვის თვალში იდგნენ და ჩაწერწეტებით უმზერდნენ მათ წინ განფენილ გამოსახულებას, რომელზედაც ტოლიმან ა-სა და ბ-ს, აბასა და ეას, ყვითელ-მწვანე კამკამი აღიბეჭდებოდა. დედამიწიდან ორივე შეუიარაღებული თვალით ერთიან ეტლად, ალფა კენტავრად მოჩანდა.

აბა და ეა გვერდიგვერდ განლაგებულიყვნენ. ბაკმის აზომვებმა ცხადყო, რომ ორთავე გამოჰყოფდა კორპუსკულარულ დინებებს, ქარებსა და პლაზმურ ჩირაღდნებს, იმ გეზით, სადაც სირანი უნდა მდებარებულიყო.

მყივარ ოქროსფერს თქორავდა აბა. სპექტრალური ანალიზის კვალობაზე ის იმავე რიგისა იყო, რაც ჩვენი მთიები. თუმც მომცრო მოცულობისა. და ეაც, შემმუსვრელ სხივთა მფრქვეველი! მისი მნესტრავი კიაფი შესაგრძნობად ჩრდილავდა აბას ნათებას. ისიც ჩვენივე მზის სახისა იყო, მაგრამ გასაოცრად ბრკიალებდა.

აირი კუოლაინენი, როგორც ხომალდის მთავარი ასტრონომი, ეხლა სხვებზე უფრო მოუსვენრობდა. ეკიპაჟის თავი ალექს ნოვიკოვი გვერდზე დაუდგა თანამეცხედრეს, როცა ის საბორტო ტელესკოპით აბასა და ეას გარემომცველ სივრცეს უჭვრეტდა. თვალთახედვის არეში ჯერ არც ერთი სხეული მოქცეულა, რამაც ყველას მეტად უამური ეჭვი მოჰგვარა. ნუთუ ორმზიანი სისტემები მართლაც უცთომილო იყო და ვერასოდეს გასაცხოვრისდებოდა?..

ჯონ მორისიც იქვე, ურთულეს მოწყობილობებს მიმჯდარი, თავისთვის ცოდვილობდა. მას ეკისრებოდა ყოველგვარი გრავიტაციული გათვლა-გაზომვა, რომლის შედეგები **გლოასტერის** სისტემაში შეღწევამდე უნდა გარკვეულიყო. დედამიწელთა კოსმოსურ ხომალდს მაქსიმ გლოასტერის სახელი ეწოდა, ანნიჰილაციური ამძრავის გამომგონებლისა, რომელმაც იმხანად “ანტიგრავიტაციულ ფოთლებზე” აწარმოა ცდა. ის გამომგზავრებამდე მცირე ხნით ადრე აღესრულა.

ჯერეული მორისი უკვე მერვე საათი ცდილობდა ამძრავთა ჩახშობას, სანამ სხვები ანაბიოზიდან გამოერკვევოდნენ. ყველასათვის ექვსთვიანი სათვალმდეგო ვადა იყო დადგენილი. მაგრამ ამჯერად ძილს არავინ აძლევდა თავს, სამ-ოთხ დღეში სირანზე დაფრენას იმედოვნებდნენ.

პროფესორი ფრანცი შვიდკაციანი შემადგენლობის ჯანმრთელობაზე სრულ კმაყოფილებას გამოთქვამდა. მას ისღა ადარდებდა, თუ რარიგ მოიხდიდნენ ანაბიოზს მაქსი და ერთადერთი მანდილოსანი ხომალდზე, აირი კუოლაინენი. ეხლა, როცა პირველად გამოფრენიდან ყველანი ერთად შეიკრიბნენ, უტყუარი შეიქმნა ამგვარი მონაცვლეობის ვარგისობა. ღრმა და ხანგრძლივი ძილით დიდად იზოგებოდა ილაჯი და დანახარჯ ძალთა აღდგენაც მარტივდებოდა.

საქმე შეეხებოდა სირანს, მაგრამ იმავდროულად ლოსაც. შვიდიდან ოთხი დედამიწელისთვის ის მეტნაკლებად ახლო იყო: პროფესორმა ფრანცმა ლოს დასტაქრობა გაუწია და მისი სხეულის სწორუპოვრობა გამოამზეურა. მაქს ფრიდლენდერი წელიწადნახევარი ქმრობდა მას, ისე, რომ მისი ზეციურობა ფიქრადაც არ მოსვლია. ვოლდემარ ლუტოლსკიმ კი მის მოსაძიებლად მთელი დედამიწა გადაფუტკნა და ბოლოს

ზღაპრების შესწავლით მიხვდა, რომ დედამიწაზე არაერთი ლო მდგარა ბანაკად. ხოლო იონ რადესკუმ მის დამწერლობას გამოაბა თავი, რის წყალობითაც მოიპოვეს მიახლოებითი წარმოდგენა ცივილიზაციაზე, რომელიც სულსწრაფად მოელოდა **გლოასტერის** გამოცხადებას.

მოელოდნენ კი მათ სინამდვილეში? ლუტოლსკისთვის ეს მცირედაც არ იყო სათუმცაო. მაგრამ დამხვდურთა პურადობასა და უშურველობას ვერც ის იწინასწარმეტყველებდა. ლო თავის უსტარში ნართაულად მიუთითებდა ერთგვარ ცილობასა და ყალიდაზე.

“ლოანელთა” გარდა, როგორც მოლნარმა იმ ოთხს ოხუნჯობით უწოდა, ეკიპაჟის დანარჩენ წევრებსაც სმენოდათ უსულ გარმიანელზე, მაგრამ არა უმეტესად დედამიწის სხვა მილიონობით მკვიდრისა. მათ კოსმოსური ფრენების გაწაფულ ექსპერტებად აღიარებდნენ. აირი და ალექსი საიუპიტერო ექსპედიციის მონაწილენი იყვნენ, რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა, რომ იუპიტერის არც ერთი ატმოსფერული შრე ორგანულ არსებობას არ მოიცავდა. ჯონ მორისი წლობით აწარმოებდა უახლესი კოსმოსური ხომალდების საცდელ გაფრენებს, მათ შორის კოსმოსურ სივრცეშიც. ის პლუტონის ორბიტამდეც მრავალგზის აჭრილა და ნავიგატორული განათლების მქონეც იყო.

დედამიწაზე და დედამიწის მახლობელ სივრცეში მრავალთვიანი წაფვისას შვიდივე გამუდმებით თათბირობდა სირანსა და მატრიარქატზე, განსაკუთრებით პრობლემური პართენოგენეზი აღმოჩნდა, რომლის მიმოხილვისას მაქსის ბიოლოგობით და პროფესორ ფრანცის მედიკოსობით ბევრს ვერაფერს გამხდარან.

როდესაც მაქსმა განაცხადა, ბუგრებიც ასე მრავლდებიანო და ამითვე აიხსნება უნალექო და ალხიან ზაფხულში მათი მრავალათასობით გამოსვლაო, ლუტოლსკი აიმრიზა: “როგორ, მაქს, როგორ შეგიძლია შენი ლო ბუგრებსა და ბუხუნძულებს შეადარო!”

ამას გარდა, ამ მწერთა გაუნაყოფიერებლად გამონაჩეკ მდედრთა ქრომოსომების რიცხვი ორად განიწილებოდა და ლოსაც ამის მსგავსად მხოლოდ ოცდარვა ქრომოსომი უნდა ჰბადებოდა. მაგრამ ხომ არ შეადგენდა მათი პირველადი ოდენობა ას თორმეტს? დედამიწელთა წარმოდგენაში ეს მიუწვდომლად მაღალი რიცხვი იყო. თავსატეხი თავსატეხის მიყოლებით...

მიუხედავად მსგავსი სჯა-ბაასის სიხშირისა, ყველას როდი ჰქონდა ერთი პირი სირანულ ყოფასა და თვით სირანის არსებობაზეც კი. ლოანელთაგან მხოლოდ ორს, მაქსსა და იონ რადესკუს ერწმუნა, რომ სირანი თავის დედებთან და ცხადია, ლოსთან ერთად უსათუოდ მიიკვლევოდა. ამას არც ვოლდემარ ლუტოლსკი გამორიცხავდა, მაგრამ კომისრული ზედმიწევნითობის გამო ყოველივეს გამორკვევამდე დუმილი არჩია. ფრანცი ორჭოფობდა; სხვათაგვარად მასაც ხიბლავდა გედქალთა მონახულების იმედი, მაგრამ უცნობი მემკვიდრეობითი სნეულება, 56-ქრომოსომია, მას ჯერაც ვერ უარეყო.

ჯონ მორისიც იჭვნეულად იყო განწყობილი: ჯერ ვნახოთ, შემდეგ განვსაჯოთ! გადამწყვეტ სიტყვას აირიც და ნოვიკოვიც ერიდებოდნენ, მაგრამ ნაცვლად პროქსიმა კენტავრისა ალფა კენტავრზე გამგზავრებას ორნივ იმთავითვე მიესალმნენ. ორმზიანი სისტემის შესწავლას ალექსი თავშესაქცევ ამოცანად მიიჩნევდა.

რადესკუ და ფრიდლენდერი უქმად ცდილობდნენ მის სირანულ სამყაროში გარკვევას. ნოვიკოვს არაფერი სწამდა იმ მზისადარი ფრაუ ფრიდლენდერის ზემიწიერი წარმომავლობისა. მაგრამ ორმზიან სისტემაში ჩვეულად მიმოქცევადი სხეულები მისთვისაც მისაღები იყო.

ნოვიკოვმა მუხრუჭების ახსნა ბრძანა. ხომალდი უკვე აბასა და ეას გავლენის არეალში ექცეოდა. ყველა, გარდა მონაცვლისა, საძილე კაბინებში დაიქსაქსა. მოწიწებული დარიგება ეს სულაც არ იყო, ალექსი ამას ბრძანებდა და არც არავინ ახირებულა. თანაც რიგიანი გამოძინება და ჯანით აღვსება უჯერო არ იქნებოდა.

მართვის თვალში ნოვიკოვი, აირი და ჯონ მორისიღა დარჩნენ. აირის აზრით, სირანი ისევე უნდა ყოფილიყო აბასა და ეასაგან დაშორებული, როგორც დედამიწა მზისაგან, რადგან სწორედ ეს მანძილი იყო ორგანულობის გასაბრჯნელად ხელსაყრელი.

ერთხანს მათში უწყვეტი დუმილი ჩამოვარდა, მაგრამ შემდგომ აირიმ აღტაცებით მოუწოდა ორთავეს და ტელესკოპს ეკრანი ჩაურთო. მან პირველი ცთომილი აღმოაჩინა: თითქმის იუპიტერისტოლა ვეება აეროსფერო მყოვრად მოიწევდა. უმალ დადგინდა მისი ბრუნვის სიხშირე. გამოვლინდა ამიაკის, აზოტისა და წყალბადის მაღალი შემცველობა, წყალი კი არსად ჩანდა! მაგრამ ერთი მაინც მოუდევარი იყო: ორ მზეს ძალუძდა პლანეტების საზრდოობაც და მათი მფარველობაც.

მოეფარათ თუ არა თვალთაგან ეს გოლიათი, გამოტყვრა მორიგი, მომცროც, რომელიც მოქარვისფრო კბოდოვანი უდაბნოებით მოფენილი და უატმოსფერო აღმოჩნდა. მყის მესამე ციური სხეულიც აღმოცენდა. ის დედამიწის მსგავსად ცისფერი ჯანღით იბურებოდა, მაგრამ მასთან შედარებით ბევრად მორჩილი მოჩანდა.

შემზარავიც და დამბანგველიც იყო მათთვის ამ ქვეყნიერების ჭვირობა, ქვეყნიერებისა, სადაც ადამიანთა მსგავსნი უფლობდნენ და სიცოცხლის მიმდევრობით კულტურაც წარმოქმნილიყო.

გამალებით მიემართებოდა დედამიწელთა ხომალდი სირანისაკენ. ისინი უკვე იმდენად მიუახლოვდნენ მას, რომ მრავალი წვრილმანიც გაირჩეოდა: ღრუბლები, ლაჟვარდი ზღვა, უშველებელი კონტინენტი ეკვატორთან, რომლის მოხაზულობა ავსტრალიისას წააგავდა. ნათლად ელვარებდნენ პოლარული სარქველები, ნაზად კრთოდა ორთავე მზის სხივთნარევით მონისლული ზედეთი.

მეყსეულად ეკრანზე მცირე, მოელვარე სხეული ამოცურდა.

“სირანს მთვარეც გააჩნია?” შეცბა აირი.

თანდათან ის ისე აბზინდა, რომ დაცვითი სანათურების ჩაძირვა განურინებელი იქმნებოდა. ეს იყო ბირთვი; მისი ზედაპირის წყობა ჯეროვნად ვერ გაირკვა, მაგრამ უფსკერო კრატერები, რომლებითაც დედამიწის თანამავალი დაწინწკლულიყო, მასზე არ შეიმჩნეოდა. ალაგ-ალაგ ის ბუნდოვან ჩრდილს სტყორცნიდა.

“ეს ხომ ხელოვნური...” მორისმა ვერ დაასრულა: ხომალდი მძლავრმა ჯახანმა შესძრა და სამივე ძირს დაენარცხა. ელექტროგანათება უეცრად გამოირთო და დროებითი განათების მკრთალი ნარინჯი შუქი აციალდა.

“შეხედეთ, ენერგომაჩვენებელი საწყისზეა!” შეიცხადა ჯონ მორისმა.

ალისფერი ისარი ნულოვან ზღვარს არ სცილდებოდა. მაგრამ ეს ხომ დაუშვებელი იყო! წამოზიდვაზე მათ უჩვეულო ზეწოლა შეიგრძნეს. გრძნობას პირველი ნოვიკოვი მოვიდა და ძლივს წაიდუდუნა: “სკაფანდრები მოიმარჯვეთ! მე სხვებს გამოვაფხიზლებ!”

საგანგაშო სიგნალი გამკივანად აბგერდა ყველა ოთახში, მსწრაფლ ამოქმედდა ავტომაღვიძარა. ხომალდზე დაუსრულებლივ გაისმოდა: “საგანგაშო საფეხური პირველი!

გარეიმოსეთ სკაფანდრები, ყველანი მართვის პულტთან! ბრძანებს ნოვიკოვი, ბრძანებს ნოვიკოვი!”

“რა ხდება, მეტეორს ხომ არ ვეკვეთეთ?” უკვირდათ ერთიერთმანეთზე.

მაგრამ ალექსს მხოლოდ ამის დადგენა შეეძლო: “ჩვენ ელვის სისწრაფით მთელი ენერგია გამოგვეცალა, ძრავა გაუვარგისდა და ელექტრომომარაგებაც მოშლილობას განიცდის, მხოლოდ აგრეგატები ფუნქციონირებს ბატარეებით. **გლოასტერი**, როგორც ჩანს, უძრავადაა”.

“გავჩერდით?” უნდოდ იკითხა ლუტოლსკიმ. “ამძრავი რომც მწყობრიდან იყოს გამოსული, აჩქარების კანონის თანახმად მაინც უნდა განვაგრძობდეთ ფრენას”.

“ეტყობა, ეს კანონი აქ არ მოქმედებს”, მწყრალად გამოეპასუხა მორისი. “მას შემდგომ, რაც მე და აირიმ ამ ნალევა მთვარეს მოვკარით თვალი, ხომალდი მოსხლეტით შეყენდა. ვფიქრობ, ეს ხელოვნური თანამგზავრია”.

მორისის შემდგომი სიტყვები გაოცების შეძახილმა შთანთქა, რაც საბორტო განათების უეცარ ასხივებას მოჰყვა. ისრები კვლავ ატოკდნენ, მაგრამ ხომალდი ჯერაც არ ემორჩილებოდა შინაგან მართვას. წევა უმდაბლესი იყო, არც კი ეკილოკავებოდა კომპიუტერის მონაცემებს.

“ხელმართვა, ჯონ!” გასძახა მორისს ნოვიკოვმა.

მან თავის დაკვრით ავტომატიკა გათიშა და მართვის ბერკეტს წაევლო. “აილაგმა”, შენიშნა მან მალევე, “მაგრამ გარეგანი უკუქმედება მაინც ჭარბია. ენერგია ექვსწილად მეტი იხარჯება”.

აირი ტელესკოპს მოსწყდა. “მანგი კვლავ უბრუნდება თვალთახედვის არეს, მხოლოდ უფრო დიდია”.

კაფიეტი იყო გიგანტური, ძლიერ მოლაპლაპე სატელიტის მოახლოვება. ის შურდულივით მოიწევდა. “გატარნვას ხომ არ გვიპირებენ?” დაფრთხა რადესკუ. “უნდა გავერიდოთ, თორემ ვერ გადავრჩებით!”

ლუტოლსკიმ ვერცხლისფრად მნათ სფეროს ერთგვარი ცვლილება შეატყო. “იქ რაღაც აღმა იწევს. ბურის სახე აქვს. იქნებ რამეზე მიგვანიშნებენ”.

მაგრამ არავითარი ნიშანი ეს არ ყოფილა. მოჩვენებითი ბურუსი თავბრუდამსხმელად მოისწრაფვოდა. ეს იყო ჰაერბურთისებრ მჭვირი გარსები...

“ისინი გამოგვეგებნენ, ისინი თავიანთ მოსასხამებში!” აღმოხდა მაქსს.

ხომალდთან ბირთვი ქულა-ქულა დაიფლითა და უგრძნეულად ფარფარა ნაქსებად გარდაისახა...

ეკრანზე გამოსახულება ჩამობნელდა. ჩანდა, ტელეკამერას მანტია გადაკვროდა.

“დასწყევლოს ღმერთმა! იმ თავიანთ კრულ საკუხებში გვახვევენ”, გულარჯლობდა ნოვიკოვი. “ჯონ, ვიხევთ! იქნებ გამოვაღწიოთ!”

მორისი უაღრესი მღელვარებისაგან აყირმიზდა. ის უარშიოდ აბრუნებდა საჭეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

შუქის ანაზდეულ კვლავგაქრობაზე მოულოდნელმა გაჭრიალებამ ყურთასმენა წარიტაცა და ძლიერ გამკივანი ტონი თითქოს სანიადაგოდ აწკრიალებულიყო.

“ჩაფხუტები დაიბურეთ, საშურად!” შენათრთოლი ხმით განკარგა ნოვიკოვმა. მაგრამ თვითეულამდე ამან ვერ მიატანა. უშით დაემხო ეკიპაჟის შვიდივე წევრი, ხმაურის მიწყდომაზე ხომალდი ერთხელაც აიტანა მზარავმა ჭრინვამ და ნოვიკოვმა ესღა გაიაზრა: სხივები, დამათრობელი სხივები... და მასაც ცნობა მიეხადა.

პირველად პროფესორი ფრანცი მოსულიერდა, იქნებ იმიტომ, რომ ნოვიკოვის მითითებამდე დახურა მუზარადის ვიზირი. ყველაფერი დაუსაკლისად მოქმედებდა, უძრახველი იყო ჰაერის სინოტივეც, წნევაც და რადიოაქტიურობაც. ჭერიდან დინჯად იფანტებოდა უნათლესი შარავანდი, მაგრამ ძრავის ისარი კვლავაც საწყისამდე იყო ჩაქინდრული.

ფრანცი მოსაგრეთ მიუბრუნდა, ვიზირები გადაუხსნა და ნესტოებთან ყოველს საყნოსველი წამლის მილაკი მიუშვირა. მოწყლული არავინ იყო, ათიოდ წუთში მან ყველა მათგანი წამოაყენა.

“შევისვენოთ”, სულის მოთქმა ისურვა ნოვიკოვმა. “მგონი, ჩამოვრინდით”.

“ჩამოგვაფრინეს”, კაპასად ჩაურთო მორისმა, რომელიც ვერა და ვერ ურიგდებოდა მიწიერი ტექნიკის ესოდენ საკდემელ გადაძლევას.

“სანათური ხომ არ ამეშვა?” მიმართა აირიმ ნოვიკოვს.

ალექსიმ მოიფიქრა და გადაჭრით მიუგო: “არა, ჯერ ტელესკოპით მიმოვიცქიროთ! ვინ იცის, სად გვიყვეს თავი”.

“რამდენადაც ვხვდები, რომელიღაც ერთობ დამტევნელ ანგარში ვართ მოქცეული. გარეთ სრული უკუნი სუფევს”.

“ჩართე გარეგანი განათება”, ურჩია მას ნოვიკოვმა. “წინა სარკმელიც ახსენი”.

დედამიწელთა თვალი მრგვალ მოდიდო დოლაბს მიეპყრო. პირველი, რაც მათ იხილეს, უცხო მასალით ამოყვანილი ჟანტიანი კედლები იყო.

უკანა ხედზე ფილიგრანისებურად აღიმართებოდა საქსელო კონსტრუქციები.

ხორციელი არავინ ჩანდა.

კამარის რკალისებური მოყვანილობა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ისინი გიგანტური ჩაჩქანის ქვეშ მოემწყვდიათ. გარშემო ურღვევი მყუდროება იდგა, გარემიკროფონები უმცირეს გახმაურებასაც არ აღიქვამდნენ.

“რას უნდა ველოდოთ, ხომ ხედავთ, რომ არავინ გვეპატიჟება!” ხათრიჯამად წარმოთქვა კომისარმა და გასასვლელისკენ გაქანდა.

სანამ მას ნოვიკოვი “სდექ, მობრუნდით!” გასძახებდა, ლუტოლსკი ელდანაცემი დამუხლისთავდა. ის ამაზრზენმა წკარუნმა დაბანგა.

მათ გონმიხდილი კომისარი უკანვე შემოიყვანეს და მცირე ხანში კვლავ მოასულიერეს.

ლუტოლსკი გაოგნებული ჩაეკითხა გარშემომდგართ: “რა მოხდა? ვინ მკრა ხელი ასე უტიფრად?!”

მომხდარმა ნოვიკოვი დააფიქრა. “როგორც ვატყობ, გარეთ გაღწევას გვიშლიან. თვით ხომალდზეც მათი თვალმდეგობის ქვეშ ვართ. მცირედი განძრევაც სათვალავშია”.

ეხლა უკვე არავინ იყო მათ შორის, ვისაც სირანელთა არსებობაში ეჭვი შესდიოდა.

“ეს ნაკლებად სალმიანი დახვედრა ლოს ჩამობრძანების მეტყველია”, განჭვრიტა ლუტოლსკიმ. “ჯერ კიდევ საკითხავია, რა სახით გააცნო მან ‘თვისებს’ დედამიწა და რაოდენ იწამეს მისი მონათხრობი. მე თუ მკითხავთ, სირანელები ჩვენ მხოლოდ გაგვირბიან. ამიტომაც შეიპყრობდნენ **გლოასტერსაც**. მათ არც ჩვენი შემუსვრა გაუძნელდებათ, თუ მოისურვეს”.

ალექსმა თავი ძალუმად მიმოაქნია. “შემუსვრა? არა, არამცა და არამც არ იქნება, მათ ხომ საამისო საფუძველი არანაირი არ გააჩნიათ. სირანი, როგორც ამას ლო გვატყობინებს, ზნეკეთილთა და წარჩინებულთა საბინადროა. და რად მოგვეკიდებიან თვალბედითად?

ალბათ უბრალოდ ფრთხილობენ, არა ჩვენს – ჩვენი ვირუსებისა და ბაქტერიების წინაშე. მაშინ ჩვენი დაკავება ჟამეულია და ადვილად მისახვდომელიც.

ლო რომ უხიფათოდ გამობრუნდა, ეს ჩემთვისაც გასაგებია. მას კი უნდა სცოდნოდა, რომ დანატოვარ ბარათს ჩვენ უთუოდ მივაგნებდით და სირანისკენაც გამოვემართებოდით".

რადესკუმ გამზიარებლად თავი დაუკრა. "მაგრამ ეს რა დარანში შეგვლალეს?" უკვირდა მას. "იქნებ სირანის თანამგზავრზე ვართ, რომელიც გარესადგურად გამოიყენება. ზოგი, შესაძლოა, აქაც სახლობდეს, თუნდაც მიწისქვეშეთებში".

"და მათთვის ისევე მარტივი იქნება აქ მონაპოვარი ნედლეულის სირანზე გადაზიდვა, როგორც ლაბადებით ჩვენი ჩამოსკუპება იყო", დასძინა ლუტოლსკიმ.

"თქვენი ფანტაზია პირდაპირ ღვივის", გაბასრა ის მორისმა. "ჯერ კი ამასღა ვუწყით: სირანელებმა ჩვენც და ჩვენს ხომალდსაც უვაეობოდ ამოსდეს აღვირი. **გლოასტერი** ვერ მანევრირებს, ჩვენ კი გარეთ ცხვირიც ვერ გაგვიყვია, რაც თავადვე იწვნიეთ. ამ წამს ლოსთან თუ ლოს გარეშე მახეში ვართ გაბმული. – ან იქნებ ეს შენ სხვარიგად გესახება?" გამომწვევად ჰკითხა მან ნოვიკოვს.

ალქსიმ ყალყზე შემდგარი მეგობრის დაყუდნება სცადა. "მახე? სულაც არა. შევხედოთ ამას როგორც დროებით განმხოლოებას, როგორც კარანტინს! და ამასვე უნდა შეეწყოს ყველა ჩვენი ნაბიჯიც".

"ლო გვეახლება", წარმოთქვა მაქსმა. "ის მეტყველებს ჩვენ ენაზე, ჩვენ ადათ-წესშიც გარკვეულია".

"ლოს წინამძღოლობის გარეშე სირანელები ჩვენ ბევრს ვერაფერს შეგვასმენენ", დაუმოწმა რადესკუმ.

"თუ ის აქამდე ჯანმრთელია ან თუ საერთოდ გაგვაკარეს", ურწმუნობდა ლუტოლსკი.

"ლო ცოცხალია", გამოედავა მაქსი. "სირანიდან დედამიწაზე თუ ჩამოაღწია, უკან რატომ ვერ დაბრუნდებოდა? მის ბარათში ხომ გარკვევით გამოიყოფა მრავალკეცი სინათლის სიჩქარე. სავსებით ვეთანხმები ალექსს: კარანტინი!"

"და ასე ცუდმავლად რა ხანი ვიცადოთ?" უქნარობით ბეზარს მოსულიყო მორისი. "რაც შეგვემთხვა, მხოლოდ მტრული განწყობის ამსახველია. **გლოასტერს** კი სირანელები არაფერს ავნებენ, ჩვენ მათ დიდად გამოვადგებით, მაგრამ არა მოსაგრეებად, - ყმებად და უუფლებო მონებად".

ისინი საკმაოდაც წალაპარაკდებოდნენ, ნოვიკოვის დროული მითითება რომ არა: "შეეწყვეთ ამას როგორც კარანტინს, ეს ბრძანებაა!"

კარი მეექვსე
ცისფერცთომილელი მოციქულები

როცა ტანდუს მოახსენეს, ორვარსკვლავიან სისტემაში დედამიწიდან მომავალი მფრინავი სხეული იჭრებაო, მან ეს ჯერ სრულ ქიმერად იგულა. კოსმოსური ხომალდი და ზედაც მისთვის საძულველი ცისფერი ცთომილიდან! თუ ეს სიმართლე იყო, ის, რაც ფლორის დასს ბრალად შეერაცხა, ეხლა უკვე ყველა მის ცოდვას გამოიხსნიდა.

მაგრამ არა! მათი სალუქიანობისა და ნამუსდაცულობის შესახებ ლოს მტკიცებას ეს ჯერ სულაც არ ქმნიდა თავისდათავადს. იქნებ ისინი კვლავაც მტრობდნენ და არბევდნენ ერთმანეთს, იქნებ სწორედ დამპყრობლებად მოიწევდნენ.

ტანდუმ უკუაგდო ეს აზრი, ამზომ ტექნიკურ განდიდებას მხოლოდ შეხორცძვალებული, ურისხველი არსებანი თუ მიაღწევდნენ. მაგრამ ცისფერპლანეტელბი ჯერაც არ ფლობდნენ მთიებთა ძალებს. და რომ ეხლა სირანს მოიჩქაროდნენ, ვინღა იყო მათი ზრახვის ამომცნობი?

მან ფიცხლავ წამოიბურა მოსასხამი და სირანის თანამავლისკენ გაემართა.

მწვანე ელდის მეყიდან სირანის თანამგზავრი, ტოპური, დიდად დასცილდა ცთომილს და მის საორბიტო მანძილმაც მით უფრო იმატა. იმ ბედნავსობას ის უზიანოდ განერიდა: დედამიწის მთვარისებრ ისიც უატმოსფერო იყო და ლაბორატორიები, სამრეწველო ქარხნები თუ სამყო ნაგეგობანი ზედეთის ქვეშ განიწყობოდა.

ცდის დაწყებამდე ტოპურზე დასაქმებულნი მაღალმა საბჭომ სირანზე გადაიყვანა. მამაკაცთა გადაგების შემდეგ სირანელები კვლავ დაუბრუნდნენ უკაცურ თანამგზავრს და სამეტეორო სადგურის ამოქმედებასთან ერთად მადნეულის მოპოვებაც განაახლეს.

ტანდუს გამოჩენამ სხვებთან ერთად ტოპურელი ასტრონომებიც გააოცა. კალო დროდადრო სტუმრობდა ტოპურის მაღაროებში, საიდანაც სირანს ქარსი და დიდი ოდენობის ქარწბი მიეწოდებოდა. მაგრამ ტანდუ? დღემდის აქ საზოგადოებრივი სტრუქტურის თავმდეგი არასოდეს ბრძანებულა.

რა იყო მისი ჩამობრძანების მიზეზი? იქნებ ტოპურელთა შფოთიერი სულისკვეთება, რომელიც ფლორის სარიდო მისწრაფებებს ჰგავდა. აქ გარესამყაროსაგან განაკიდებით მყოფობდნენ და მშობლიური პლანეტისადმი სიყვარულიც ნაკლებ უღვივოდათ. ლოსწინა დაც, ის ილა, რომლემაც დედამიწა მოინახულა, მათივე რიგებიდან იყო.

მაგრამ ტანდუს ამ დათა ქარცეცხლში გატარება არც განუზრახავს. მცირეოდენმა, ვერცხლოვანმა წერტილმა აიძულა ის ლაბადაწამოსხმულს გონწამღები აბი მიეღო.

“ცისფერი ცთომილიდანაა?” მოჭრით იკითხა მან, როცა უფროსმა ჯერეულმა მისი ტელესკოპი ხომალდისკენ მიმართა.

“შეუცდომლად!”

“და რა ხანია, რაც თვალს აყოლებთ?”

“ასე გარკვევით მხოლოდ რამოდენიმე დღე. სხეული გასაოცარი მალიადობით მოძრაობს, თითქმის სინათლის სიჩქარით. გუშინღამიდან ამუხრუჭებენ”.

ტანდუმ დამცინავად ჩაიღიმა. “სინათლის სიჩქარესაც რომ ვერ ავითარებენ! ეს რა მაგვიანობაა!”

“დიაღაც ეს არის საბუთი მათი ცისფერცთომილელობისა. ამას იმ ვინმე ლოს მონაცემებიც ნათელყოფს”.

“ხმა ჩაიწყვიტე!” წასძახა მას ტანდუმ.

ვერცხლოვანი წერტილი ნება-ნებაზე, მაგრამ მედგრად მოემართებოდა აბასა და ეასაკენ. ხომ არ აღიჭურვებოდა ის სირანელთათვის საზარო ნაწილაკებით? ან ეგებ ისინი მართლაც სათნო და თვინიერი ქმნილებები იყვნენ, როგორც ამას ლო აღწერდა.

დედამიწელთა ხომალდს ტანდუმ ხანიერ ადევნა თვალი. სირანს გაბრუნებული ის ყველასაგან განაპირდა და განცდილზე ფიქრს მიეცა. არც თუ იოლი იყო ქედმაღალი, შეუდრეკელი ბანოვნისათვის თავი დამარცხებულად ეცნო. დამინდდა თუ არა, გადაწყვიტა, რენდას ხლებოდა.

მარმარსახიანმა სინანულით შენიშნა, რომ რენდას ქანცი გამოლეოდა. ტანდუ შეჭოჭმანდა.

გლანდურამ მის მოკითხვაზე მცირედღა შეუმაღლა თავს და ხელით მიანიშნა, დაბრძანებულიყო.

სავარძელში მყუდროდ მოთავსებულს დრო საკმაო ჰქონდა რენდას თლილი თითებისათვის ეცქირა, რომლებიც დინჯად და უსიცოცხლოდ ეწყო მაგიდაზე. მას უკვე დასტყობოდა სიბერის მომიხაკისფრო ლაქები, ნაკეცებიც მკვეთრად გაკვეთილიყო და მხოლოდ იშვიათი, მოსალტული ფრჩხილები თუ მეტყველებდნენ ოდინდელ სინატიფეზე.

ტანდუმ თავისი ლითონისებრ ჟღერადი ხმა ოდნავ შეარბილა და პირველმა გაიღო სიტყვა: “თუ დაღლილი ხარ, უმჯობესია დაგეხსნა”.

“რაკი მეახელი, საგულისხმო საწუხარი აგჩენია. გისმენ”.

ტანდუ უჩინრად აიშოლტა. გლანდურა მოეპყრო მას როგორც მორჭმულ ხელისუფალს, როგორც სირანული საზოგადოებისა და მისი მშვიდობიანობის უზენაეს მეციხოვნეს. მაგრამ ტოპურზე ხილულმა მას მოწეული ფორიაქის მიუხვდომელი გრძნობა აღუძრა. მას ვერ განესაჯა, რა იყო ეს: სირანზე ურვა და ღწვა თუ ჭმუნვა გავლენის მომდგარ გამოცლაზე? ისე უგლარჯიც არ იყო, ხომალდის წარმომავლობა რომ შეშლოდა. მისთვის არც ლოს უავადობა წარმოადგენდა საიდუმლოს. მაგრამ ამის გამხელა განა ყირაზე არ დააყენებდა სირანელი დების მრწამსსა და მოსაობას? მან ეს აზრი გონებიდან გარისხა და გლანდურას უშფოთველი მზერა მიაცეცა. “ეს-ეს არის, გარესადგურიდან მოვბრუნდი”, განუცხადა თავდაჭერით, რაზეც რენდამ თავის დახრით მიუგო: “ვუწყი და კარგადაც წარმომიდგენია, რაც გეფიქრება”.

“რა უნდა მეფიქრებოდეს?” შეკრთა ტანდუ.

“ხომალდი, რომელსაც ტოპურელებმა მოუდარაჯეს, ცისფერპლანეტელების ხომალდია. ჩვენ ხელმეორედ მოგვიწევს ფლორისა და მისი დასის განკითხვა. ნაშუადღევს ლოს მოხსენება გამოვითხოვე და ერთხელაც წავიკითხე. ვფიქრობ, მას რომ დამთხვეულობა შევწამეთ, შეუნდობელი დაუხედაობა იყო. შენც ასე არ მიიჩნევ?”

ტანდუ გულისყურის მოსაკრებად წამიერად დაყურსდა. ვის უნდა ემცნო რენდასთვის უცხოელთა გამოცხადება? მსგავსს ხომ საზოგადოებრივი წესრიგის თვალმდეგი პირველი მოახსენებდა გლანდურას. მაგრამ რენდა, როგორც ჩანდა, სხვა, უფრო სანდო წყაროებსაც მიმართავდა.

“შენ ეს მხოლოდ გაუწყეს, მე კი ხომალდს თავადაც ვუქცირე”, მოზომვით ესატყვისებოდა ტანდუ გლანდურას, “ის უეჭველად ცისფერი ცთომილიდან მოიწევს”.

“სწორედ ცისფერი ცთომილიდან”, ცქაფად შეაწყვეტინა რენდამ. “ეს უთუოდ ცისფერპლანეტელები მოექანებიან თავიანთი ძლიერ მოუქნელი სახსრებით. მათ ხომ წლობით უნდა ემგზავრათ, ჩვენამდე რომ ჩამოეღწიათ – ეს რა საშურველი გულოვნებაა! მე მათი მართლაც მეხარბება. ლითონის გარსში, ანტიგრავიტაციის შეუცნობლად ამ მანძილის გამოვლა თითქმის წარმოუდგენელია!”

“და მათ ჩვენ ჩამოხმელეთება უნდა ვადროვოთ? მოიგონე ილას მოხსენება! იქნებ საჭურველი აქვთ თან და დაპყრობას გვიქადიან. არავინ იცის, რა მოუთხრო მათ ლომ. ჩემი სირანელობაც კი არ გამითქვამსო, რომ ირწმუნება, ეს არაფრისმეტყველია.

რენდა, ისმინე ჩემი მუდარა: ნუ დაუშვებ სირანის გაუკაცურებას!

განა სასიკეთოა ლოს გააზატება? ეს სულმოუთქმელად გამოგვაცლის ჩვენი ცნობიერების დედაბურჯს – ეასადმი მორჩილებას. დები გადარწმუნდებიან იმაში, რომ სირანელი დედები ეამ გვიხსნა და შეგვიბრალა, რომ მანვე გვიწყალობა თვითგამრავლების უნარიც, გამრავლებისა იმ საძულველი განაყოფიერების გარეშე.

ფლორის გარშემო მისი დასი კვლავ გაცხოველდება და იმ უსახურებზე, სახიჩარ ძეებზე კითხვებს რა გამოლევს...”

“ნუთუ ეს შებრალება ერთადერთია, რაც ჩვენ ამის უნარს გგვრის?” კვლავ ჩამოერთვა ტანდუს სიტყვა.

მას უეცრად თვალები წამოეკარკლა. “როგორ, შენ, სირანის გლანდურას, ეჭვი შეგდის?”

“არა, ტანდუ, ჩემის ღრმა რწმენით, ეს საქმე ბევრად სამძიმოა, ვიდრე თითოეულ ჩვენთაგანს ესახება. უცილოა, რომ იმ ფიასკოს შემდგომ მართებული იყო სვედაცარულ ქალთა დაიმედება და თვითგანაყოფიერების ზეგარდმოებაში დარწმუნება... მაგრამ ისიც ხომ საჩინოა, თუ რა განსაცდელი გვადგას **მწვანე ელდის მეყიდან**. და დღეს, როცა ვაჟები კვლავ იშობიან, განაღა ახალი დროების მომსწრენი არ ვართ? მათი მოვლენა ეას შეწყალებას უფრო აყენებს ჩრდილს, ვიდრე იმ სათნოდ მოტაატე ბაკმულ წერტილს”.

ტანდუ მდუმარებდა, შემდეგ ყელი მოიღერა და რენდას შეუდრეკლად შესცქირა. “და მაინც, გავერიდოთ მათ. ნუ შევარყევთ საუკუნოვანი ყაიდის ძირმაგრობას, ნუ გადავცდებით ჩვეულ შარაგზას – ერთი-ორი სართვანელი ჩვენთვის რა დაბრკოლებაა. მხოლოდ გადათქვი, მხოლოდ ბრძანე მათი დახოცვა და მზად ვარ მუხლიც მოგიყარო.

უსაფრთხოება უპირველესი მოთხოვნაა! უმფარველე სირანელ დათა სიმყუდროვესა და უშიშროებას, ნუ უბიძგებ მათ საზარელი შუღლისაკენ! რენდა, დამეც დასტური, მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ამჯერად და მას იქით, თუ მომთხოვ, პანსიონის მარტოობასაც დავუბრუნდები”.

“მარტოობას, რომელშიც ლო არაერთი წელი ვამყოფეთ?” ამაში მოულოდნელად რენდასთვის უჩვეულო ირონიული ქვეტონი გამოიკვეთა.

გლანდურამ ცქვიტად წამოიქროლა და ტანდუს ხელი გაუშვირა. “გასაღები!”

“გასაღები?” ტანდუმ ანგარიშმიუცემლად უკუიწია.

“დიახ, სახელმწიფო არქივისა. თვითონვე ჩავალ და გავარკვევ, რაც უძღოდა წინ **მწვანე ელდის მეყს**. მე უკვე შემერყა რწმენა ისტორიული გადმოცემების პირუთვნელობაში. მიბოძე!” მბრძანებლურად აჟღერდა მისი ხმა.

ტანდუ მცირედ დაყოვნდა, მაგრამ გასაღები მაინც გაუწოდა დასასრულს. გლანდურა ცახცახით წასწვდა მას თავისი უძალღონო, მჭკნარი ხელით და მღელვარედ მიუგო: “ლოს საჩქარო მოგვრას გიბრძანებ. სორანდა როგორც მაღალი საბჭოს წევრი გარესადგურს გაემართოს და ლოც თან წაიყვანოს”.

ტანდუმ საუბრის განახლება სცადა, მაგრამ რენდას გამომეტყველების უსულგულობამ მას ამის სურვილი გაუქრო. გაკვეთილად ჩანდა ამ ნებიერ არსში აღმონაცენი გულისნადები. რენდას ღირსეულად ერგო მაღალი საბჭოს მესაჭეობა.

მარმარსახიანის გასვლის შემდგომ ის ხანგრძლივ არც კი შერხეულა, ხელში კვლავაც გასაღები ჰქონდა ჩაბღუჯული. სახელმწიფო არქივს ძველთაგან არც ერთი გლანდურა მისდგომია. რენდა ამას მხოლოდ ჭეშმარიტების გამოსავლენად სჩადიოდა. სხვას ხომ ეს ნაბიჯი ვერავის გადაედგმებოდა.

მაღალი საბჭოს უშველებელი სამყოფელი დაუსრულებელ კურკურს აეტანა: არც ერთს გამოუთქვამს, მაგრამ ყოველისთვის ცნობილი იყო, რომ გლანდურამ ტანდუს სახელმწიფო არქივის გასაღები გამოსთხოვა. მაგრამ რა გზით გამოატანა ამ ცნობამ? გლანდურას ბიუროდან ტანდუ თავდაჭერით გამოვიდა და არც ვისმე გამოლაპარაკებია. იქნებ ბიჯი ააჩქარა ანაც თავი გადახარა ჩვეულებრივზე უფროსად. თუმც ეს მღელვარების არად მისაჩნევი, თითქმის უჩინარი ნიშანი იყო, მაგრამ არა მათთვის, ვინც მაღალ საბჭოში უხსოვარი დროიდან მოღვაწეობდნენ. მათ ესეც იკმარეს მომხდარის შესაცნობად: აქ ძვირი, გაუგონარი რამ შექმნილიყო და საქმეც წაღმა არ ტრიალებდა.

როცა რენდამ სორანდა თავისთან იხმო და პლანერი მისი ადგილსამყოფლის გზას დაადგა – იქვე მკვიდრობდა ფლორი – ფორიაქმა და ენაობამ მით უფრო იმძაფრა. ფლორი რენდას შემწეობით დარჩა სირანგლადურში, თუმცაღა არა თავისუფალ მოღვაწედ.

მცირე ხანში პლანერი უკანვე გამობრუნდა, საიდანაც სამი სირანელი გადმოქვეითდა და ფეხმარდად სადარბაზო ბჭეში გაუჩინარდა.

ეს ფლორი, კალო და სორანდა იყვნენ.

დანაფიქრმა მორიგემ ვიდეოფონით ტანდუს მიმართა, მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგის თვალმდეგი მას არც გამოხმაურებია. ამაზე ეჯიბმა ნანახის სრული გაიდუმალება ბრძანა.

მითქმა-მოთქმა გრანდიოზულ ნაგებობაში თანისთანად მიწყდა. სითვინიერე, წესი და რიგი – ეს ოდინდელი ერთბგეროვნება იყო, სირანელთათვის ახლო და ნაცად-ნაცნობი, რომელსაც უყოყმანოდ დაენდობოდი. და ჩურჩულიც მინელდა.

“ცისფერპლანეტელები მოიწევენ”, მშვიდად წარმოთქვა რენდამ.

მის წინ ფლორი და სორანდა ისხდნენ, სმენად ქცეულნი. სორანდა სასიამოვნოდ განცვიფრებული შეხვდა გლანდურას ნაბრძანებს, მისთვის ფლორი მიეგვარათ. ეხლა კი რენდას განაცხადმა ის შეათრთოლა.

ფლორი აღტყინებული ზეაიჭრა. “ცისფერპლანეტელები? ეს ხომ ლოს მონაყოლის გულმართლობაა!”

რენდამ მას თავი დაუკრა და დაბრძანება სთხოვა. “ტანდუსგან უკვე მივიღე არქივის გასაღები, ძლივს გამოვძალე. ნუ ვაცლით დაფრენას, მტვრად ვაქციოთო, ამიხირდა. მას იმ ილას გადმოცემის სწამს და ყველა ცისფერცთომილელში მოძულეს ხედავს. საპირისპირო მას ვერ დავუმტკიცე, მაგრამ მოთხოვნაც უარვყავი და ლოს გათავისუფლებაც ვუბრძანე.

სორანდა, შენ ლოსთან ერთად დედამიწელების დახვედრა მოგიწევს გარესადგურზე. ცხადია, ყველა გამაფრთხილებელი ღონისძიების გათვალისწინებით. ხოლო შენ”, მიექცა ის ფლორის, “კალოსა და ჩემთან ძველ სარდაფს მოინახულებ. შევიტყო მსურს, რა მითითებები შემოგვრჩა მამაკაცთაგან. ისიც შესასმენია, რაოდენ იყო მათი დიდგულობა ჩვენი გადასხვაგვარების გამომწვევი”.

სორანდა მათ გამოესალმა და კარი გაიხურა.

ფლორი თვალდანამული დუმდა. მისი დასის ნაღვაწს უქმად არ ჩაუვლია, მათი ბორგვა უნიადაგო არ ყოფილა. ეს საყოველჟამოდ დაუდებდა ზღვარს ეას შენდობაზე ნაყალბევ მითს, სამარადისოდ გაარღვევდა იმ შეუწყნარებელ უძრაობას, რომლის განმტკიცებასაც ტანდუ და მისი მიმდებნი ასე გააფთრებით ესწრაფვოდნენ.

რენდამ კალოსა და ფლორის თანხლებით უდაბლეს სართულამდე ჩააღწია, სადაც დიდძალ დასაბამით ნაწერს ეყრებოდა თავი. ეს პლანეტის არქივი იყო.

სამარისებურ მდუმარებაში მალი ნაბიჯის ბრაგუნი გაისმა.

შუქი, რომელიც მათ თავს დაელვარებდა, მომღიმარი და აბას სხივებივით მცხინვარე იყო. სიცივისაგან გაკავკავებულმა გლანდურამ წამოსასხამი უფრო მჭიდროდ შემოიმოსა.

ცოტაც და მათ წინ გაფერიანებული ლითონის კარი ატოტინდა. შეაღო თუ არა ის რენდამ, მათ იქაც იგივე შუქი ეკვეთათ: ერთ-ერთი ღილაკის ხლებაზე ფრიფინით შემოდინდა თბილი ჰაერის უჩინარი ღვარი. დიდზე დიდ დარბაზში მრავალხნიან გადმოცემათა ყაფაზი იყო გამართული. ამის გარდა, ორიოდე სავარძელი და მორკალული მაგიდაც განეწყოთ.

თანმყოლთა დასხდომისთანავე რენდა საარქივო ყაფაზს ჩაუყვა. უმალაც მიაგნო, რასაც ეძებდა: თხელტანიან მოპირისფრო ცნობარს.

მისთვის სასურველი მასალა სრულიად საიდუმლოთა რიგში უნდა მონახულიყო.

ამგვარ ჩანაწერებს რენდა ჯერ არასოდეს მიჰკარებია. მას არც ის მოეხსენებოდა, მოიმოქმედა თუ არა ეს რომელიმე წინამორბედმა. ეგების რენდა პირველი იყო, ვინც ფარული უჯრის გამოღებას არ მოერიდა. ეს გლანდურას მხოლოდ საგანგებო ვითარებაში ხელეწიფებოდა. და ცისფერპლანეტელთა მოწეული სტუმრობაც განა საგანგებო ვითარება არ იყო!

რენდას სუნთქვა დაეხშო; რა მოელოდა მას მალულ უჯრაში?

კედლის შუა ალაგას თვალდათვალ გამოიყოფოდა მომცრო ოქროცურვილი ოვალი. როგორც კი რენდამ ამ ელიფსში ორი ღრმული მონახა, თითიდან სამშვენისი მოიხსნა – მისი ძალაუფლების ხილული სიმბოლო, რომელიც კედლიდან გამოშვერილი მოქანდული ოვალივით ოქროსფერ ნაპერწკლებად იყრებოდა. მის სალუქო სიბრტყეზე წარწერით “სირანის მაღალი საბჭო” აბასა და ეას საცთომილო სისტემა აისახებოდა.

რენდამ კალოსა და ფლორის მოუხმო, სასალუქო ფრთხილად მოაქცია დიდსა და საჩვენებელ თითებშუა და სათუთი ბრუნვით ისე შეაცურა ქვედა ფოსოში, რომ მასზე ამოფუღრული ნიშნები ძლივს მოსასინჯ მაღლობთათვის მოერგო.

ოვალმა გაიწკარუნა და მრუმედ შეფეროვნდა, მხოლოდ რენდას სამკაული ბრწყინავდა უწინდებურად.

გლანდურამ შვებით ამოისუნთქა და მოფრთხილებით გამოსწია ის ქვედა ღრმულიდან. არაფერი გარდაქმნილა, სუსტი წკრიალიღა გაისმა.

რენდამ ტანის აყრით ზედა ღრმულამდე აიწვდინა ხელი და მცირედ გახმიანებაზე მეყსეულად გამსჭვალავი მტრედისფერი სხივი გამოკრთა.

“ეა”, შიშნეულად შეჰკივლა მან და პირზე ხელი აიფარა.

მაგრამ გამოსხივება სწრაფად ჩაცხრა და ნახევარბირთვის განზე გადაძვრით ფარული ყუთი თავისით გამოიღო. მასში სულ რამდენიმე აუკინძავი ფურცელი აღმოჩნდა, რომლებიც გადახსნილ საქაღალდეში თითქოს გაჩქარებით ჩაეწყოთ. რენდამ აგზნებით გაიწვდინა ხელი, საკვირველების მოლოდინში. მაგრამ რა ნიში უნდა ეყო ამ უვნებ საქაღალდეს, ის ხომ თითქმის არაფრით გამოირჩევოდა მის მაგიდაზე დღენიადაგ ალიარვებულ სათაბახეთაგან. მას ძველებური, ხავერდოვანი ყდაღა ეუცხოვა, რომლისგანაც მრავალსაუკუნოვანი წარსულის დაუსადარი სურნელება მიმოიფრქვევოდა.

რენდა ერთ-ერთ მაგიდას შემოუჯდა. მას ფლორიმ და კალომაც წაჰხედეს.

“რა ძევს შიგ?” ჩაეკითხა მას კალო.

პირველი რამდენიმე გვერდის ჩათვალიერებაზე რენდას მხრები აეწურა. “აქ კატასტროფისწინარე ჯანყზეა მოთხრობილი. მაგრამ ამაზე მე არაფერი მსმენია”.

მის მხლებელთაც სახეზე უზომო გაოცება აესახათ. აჯანყება, ამბოხი? მათთვის მისაწვდომ არც ერთ წყაროში მსგავსი არაფერი იყო შემონახული. ორთავე ცნობისმოყვარედ აედევნა მოხსენების სტრიქონებს, როდესაც რენდა ფერნაცვალ ფურცლებზე კითხვას შეუდგა.

მალე გლანდურას იმედი გადაეწურა. ის, რაც მას წინ ეწყო, აუკინძავი თაბახებიღა გამოდგა, შესაძლოა სამსჯავროს განაჩენიდან ამონაკრეფი. და ასე მათ რაობაზე ერთიანი წარმოდგენა ვერც შეიქმნებოდა. საუბარი ერთხანს ვინმე ოლა ტრინგს შეეხებოდა, შემდეგ კუალკალის შეთქმულებას. ორივე მამაკაცის სახელი იყო.

რენდას თავისი მდგომარეობით უზღვავ საიდუმლოებაზე მიუწვდებოდა ხელი, მაგრამ მსგავსს არსად გადაჰყრია.

“ეს რომელიღაც პატაკის ცალკეული კარები ჩანს. ასე ნაკეც-ნაკეცად ის ჩემთვის ჩაუხვდომელია”, ჭმუნავდა რენდა.

კალომ ფურცლები აიღო და კიდეები საგულდაგულოდ მოუსინჯა. “აქ სარეგისტრაციო ნიშნისმაგვარი რამ აღიბეჭდება. მაგრამ წვრილნაწერია”.

რენდამ უბიდან საკითხავი მადიდა ამოიღო, რომელიც მას ერთთავად თან ჰქონდა.

“ნუსხაში ჩაიცქირე”, მიმართა მან ფლორის, “იქნებ წააწყდე ამ ნიშანს. მოხსენება უთუმცაოდ ბევრს მოასწავებს, სხვაგვარად რატომ განაცალკევებდნენ”.

ფლორის კალოც მიედევნა. რენდამაც კითხვა განაგრძო. ის უფრო და უფრო უღრმავდებოდა საარაკო გადმოცემის არსს. გაირკვა, რომ ეს რომელიმე ოლა ტრინგის საგანკითხვო აქტის ნარკვევი ყოფილა. ოლა ტრინგი დაცვით სიტყვაში გამოსვლის მედროშეს, კუალკალს, იმოწმებდა. არაერთი ამოღებული გვერდის შემდგომ შენიშნავდნენ, რომ **მწვანე ელდის მეყამდე** სამიოდე ათწლეულით ადრე მაღალ საბჭოს მეამბოხენი მისწყდომიან. შფოთი საჭურვლით ჩაუხშვიათ.

საჭურვლით! რენდას ფიქრადაც არასოდეს მოსვლია, რომ სირანალებს შეეძლოთ იარაღი მიემართათ ერთმანეთის წინააღმდეგ. მისთვის მხოლოდ სანადირო აკაზმულობა იყო ცნობილი. ხომ არ ერწყმოდა ამას ის მძიმე ხვედრიც?

ფლორიმ რენდას მტვერმოდებული სააქტო კრებული გაუწოდა: კვლევითი საბჭოს წევრ ოლა ტრინგის განსჯა”.

“ბოლო ნაკლოვანია”, განმარტა კალომ, “აღარც პირველი გვერდები მოიპოვება უკლისად. იქნებ ის გვერდებია, ფარულ უჯრაში რომ აღმოვაჩინეთ”.

ფლორიმ გარეკანზე ჩამწკრივებული რიცხვები ამოიკითხა. “ოქმი კატასტროფამდე ოთხიდან ხუთ წლამდეა შედგენილი”, დაათარიღა მან ხელნაწერი. “აჯანყებამდე ოცდაათი წლის წინ. და რაკიღა ბრალეული მის მოთავესაც იმოწმებს, იმხანად ის უკვე დროული იქნებოდა”.

რენდამ გამზიარებლად თავი დააქნია. “ჩვენ ეს ყოველივე აღმა უნდა წავიმძღვაროთ. გული მითქვამს, რომ ამ ნაწერს უკვე **მწვანე ელდის მეყამდე** დაჰყოფდნენ. ასე ხომ ის, რასაც თქვენ მიაკვლიეთ, აზრს სრულიად არ არის მოკლებული, მაგრამ იმჟამინდელ მოვლენებს მხოლოდ ცალმხრივად წარმოგვიჩენს”.

რენდას საწერ მაგიდაზე დაკაბადონებული ოქმი დაედოთ: “კვლევითი საბჭოს წევრ ოლა ტრინგის განსჯა **დიდი ცდის** უარყოფის გამო”.

თვით წინათქმა გამაცბუნებელი ჩანდა. სახელმწიფო სირანულ ენაზე მოიხსენიებოდა, რომ განსასჯელი კუალკალი ოცდასამი წლის წინანდელი ამბოხის მონაწილე ყოფილა. დღეს უკვე სიკვდილმისჯილ კუალკალს მაღალი საბჭოსთვის არზა წარუდგენია, სირანიდან გახიზვნის შესახებ. უარით გაწბილებულს კი ხელისუფლების დამხობა განუზრახავს...

სირანიდან აყრა? რენდას გული აუძგერდა, "ნახევარი ასწლეულის წინათ ჰიპნოძილქუშის აღმოჩენასთან ერთად დადგინდა, რომ ამით საფრენ მოსასხამსა და მიმმართველ მოწყობილობასთან ერთად ტოპურამდე მიიღწეოდა და სხვა გაცილებით უფრო დიდი კოსმოსური მანძილებიც გადაილახებოდა. კუალკალს, თავისი დროის ფრიად მოცად გულოვან მამაკაცს, ტოპურზე სირანის საყრდენი კვანძის აგება დაევალა. მაგრამ მან ბოროტად გამოიყენა მაღალი საბჭოს ნდობა და ტოპურიდან მიუგნებლად გაუჩინარდა. ამბობდნენ, სირანზე მობრუნებული გამა ღრუბელში მოჰყვა და დაიღუპაო.

მაგრამ ათი წლის შემდეგ კუალკალი კვლავ გამოტყვრა და უპირისწყლოდ მოითხოვა მაღალი საბჭოს შეყრა. ჯერაც არ მიცემულა დავიწყებას, როგორ აცხადებდა ის თავს სირანის მომავალ მხსნელად".

რენდა ისევ შეყოვნდა. "ჯერაც არ მიცემულა დავიწყებას..." მაშ, არსებულა მრავალი რამ, რაც **მწვანე ელდის მეყიდან** გაიდუმალდა და იქნებ სამუდამოდაც.

გლანდურამ წვენი მოსვა.

"კუალკალის მოწოდებით, სირანელები უახლოესი მზის სისტემის მესამე ცთომილზე უნდა გადავანებულიყვნენ. თითქოს დედამიწა, ასე უწოდებდა მას კუალკალი, გამორჩეული სამკვიდრო იყო მათთვის: იგივე ჰაერი, ბევრად ანკარა წყალი, მდიდარი ფაუნა, ორბიტალური წყობიერება და არავითარი სიფრთხილე ეას სიმცხუნვარის წინაშე. იქ, მისი აღთქმისამებრ, უწყვეტლივ დაიდგომებოდა ზედეთზე, აბასებრი მთიების ნარნარ სხივთა გარემოცვაში. თანაც სირანელებს უზრუნველადაც შეეძლოთ ეცხოვრათ, ჯაფას სხვანი, დედამიწელები გასწევდნენ.

ადვილად წარმოსადგენია, რა კორიანტელსაც ააყენებდა ეს აღმოჩენა. რამდენიმე წლის მოშორებით ვითარდებოდნენ მსგავსი არსებები, დიდად უფრო ხელსაყრელი ჰავის გარემოცვაში! კუალკალს იქ წელიწადი დაუყვია. ცისფერცთომილელებს ის ბრყვილ და დაბალი კულტურის მატარებელ ქმნილებებად აღწერს. მისი მტკიცებით, დედამიწაზე ყოველდღიური საქონლის წარმოება ბატონობდა. მეტიც, თავიანთი ცთომილი მათ სამყაროს შუაგულში მოქცეულ წრიულ სიბრტყედ წარმოედგინათ.

ცისფერპლანეტელთა დაურვება-დამონება მარტივი საქმე არისო, განავრცობდა კუალკალი. და მან მრავლად მოიტანა დედამიწელთა მიამიტობისა და უგულისხმობის მაგალითები.

მაღალმა საბჭომ კუალკალის ნაამბობი ისმინა და ცისფერი ცთომილის მომკვლევი რაზმი შექმნა. გადასხლების საკითხი ღიად რჩებოდა. კუალკალმა კი ფარულად მიმყოლნი შემოიმრავლა და დედამიწის დასპყრობად მზადებას შეუდგა.

მაღალი საბჭოს მიერ წარვლენილი ხუთივე მისიონერი რვა სირანულ წელიწადში გამობრუნდა. კუალკალის მონაყოლი დიდწილად დამოწმდა. მსტოვართ ჰაერის, ნიადაგისა და საზრდოს დასურათებული გამოკვლევებიც წარმოადგინეს და დედამიწელთა ადათ-წესიც გააშუქეს. დადასტურდა, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებად წოდებული ომებიც სიმართლე ყოფილა.

მაგრამ ცისფერპლანეტელთა არაგონივრულ არსებებად მიჩნევა არ ეგების, – დაასკვნიდნენ მისიონრები, – ადვილად შესაძლებელია მათი ინტელექტის ელვისებური აღმავლობა.

მაღალ საბჭოში დიდი ცილობა შეიქნა. როგორ დაიშვებოდა სხვათა ჯაბნაზე აგებული კეთილდღეობა? უმრავლესობამ მიუღებლად ჩათვალა დედამიწელთათვის მშობლიურ მიწა-წყალზე უღლის დადგმა.

კუალკალი გაჯავრდა. ის მიმდევრებთან ერთად მაღალ საბჭოს თავს დააცხრა და მისი დამორჩილება სცადა. მეამბოხეებს იარაღიც აუსხამთ და არც მის გამოყენებას მორიდებიან!"

ეს მხოლოდ წიანთქმად უძღოდა ოქმს ოლა ტრინგის დაკითხვაზე. იმჟამად ის ასაკის გამო დაუსჯელი დარჩა. და ეხლა, როცა ნაქები სწავლულნი **დიდი ცდის** სამზადისში იყვნენ, ოლა ტრინგი ერთხელაც გავიდა თავს და კუალკალის წამოწყება აიტაცა.

მას ურიცხვი თანამოაზრე გამოუჩნდა. მაღალი საბჭოც იძულებული გახდა გადახიზვნის საკითხი სამსჯავროზე გაეტანა. მაგრამ კეთილგონიერებამ იმარჯვა. ხოლო თავქეიფა ოლა ტრინგმა მაღალი საბჭოს დასაფრთხობად იერიშის მიტანა დააპირა დედამიწაზე. ის დროულად შეიპყრეს და მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს.

წინაპრებს დაუძრახავთ სირანიდან გადასახლების და ცისფერპლანეტელთა დაპყრობის მცდელობა, – თავხელდაყრდნობით ფიქრობდა გლანდურა. – სირანელებმა დედამიწის დარბევას **დიდი ცდის** ტვირთვა არჩიეს და თავიანთ შავსვიანობას საკუთარი ძალებითვე დაეჭიდნენ, შედეგად კი მამრთა გადაგება მოიმკეს!

და ამჯერად კოსმოსური უჩინიდან სირანს ის მნათი წერტილი მოიზლაზნებოდა, წერტილი, რომელზედაც სირანელებს ვერაფერი ეთქმოდათ დაბეჯითებით. კუალკალის გადმოცემით, დედამიწა ლითონით შემოგარსულ რაინდთა და გაუსაქმისებელი ელექტროენერგიის პლანეტა იყო. და მერე ილასა და ლოს მოხსენებები! ამის კვალობაზე კაცობრიობა იმ ცისფერ ცთომილზე საკვირველი სისწრაფით ვითარდებოდა; იქნებ ისინი უკვე თვით სირანელების მიმართაც დაწინაურდნენ. ან იქნებ სწორედ ამასვე ემსხვერპლნენ: იყო კი მათი ტექნიკის სწრაფმავლობა მართვადი და მყარი ხელისადმი დაქვემდებარებული?

ფლორის და კალოს შემოსვლაზე მათ შეეტყობოდათ, რომ შეფასების მოლოდინში იყვნენ გლანდურასგან. რენდამ ამოიოხრა. ადვილი როდი იყო გლანდურობა! "ფლორი, როგორ თვლი, ეს ყველაფერი წარსულის კუთვნილებაა, რაც ჩვენ ოდნავაც არ უნდა გვრჯიდეს? განა წინაპრებმა მას შესაფერისი ადგილი მიაკუთვნეს – არქივი?"

ფლორი შეღონდა. "არა, რენდა, კუალკალსა და ოლა ტრინგზე არც მე და არც რომელიმე ჩემს თანამდგომს არაფერი შეგვიტყვია. მაგრამ ვაჟთა გაჩენის გამოვლენამ თვალნათლივ გამოკვეთა, რომ სირანი კვლავ უბრუნდებოდა ორი სქესის ხანას. ჩვენც ამაში გაწაფული ცისფერპლანეტელების მოხმობა გადავწყვიტეთ. აქეთკენ სირანელებს რომ უწინამც მიგვიმართავს მზერა, ეს მხოლოდ შენთან ერთად გავიგე".

"მაგრამ რამ გამოიწვია ამის გასაიდუმლოება?" ვერ გარკვეულიყო კალო. მისთვის, ვისაც სირანელთა სამოსითა და სანოვაგით უზრუნველყოფაზე უნდა ეურვა, ვისი ფხიზელი აზრიც სათემოობასა და მკაფიოობას შეჰგუებოდა, მძიმე იყო მთელი ამ მიჩუმათების შესმენა. "რა ნახეს ამაში საშიში? იქნებ ორით მეტი სირანელი სწვევოდა დედამიწას, საყოველთაო გადაბარგებას ხომ ეს მაინც ვერ წარმოშობდა, ზედაც ცნობები მასზე ერთმანეთის გამომრიცხავი იყო".

"მესმის შენი", მიუგო მას რენდამ. "და შენიც, ფლორი. თქვენ კარგად გაგეგებათ, რომ **მწვანე ელდის მეყიდან** თავიდათავი საღვაწი უსაფრთხოების შთაგონება იყო. ამიტომაც შეიკონა არაკი ეას შებრალებაზე.

სირანელები, მიუხედავად გაუსაძლისი საარსებო პირობებისა, ცთუნებას არ აჰყოლიან და არჩევანში არ შემცდარან. მხოლოდ ძალმომრეობა თუ იქნებოდა დედამიწელებთან თანამყოფობის წინამძღვარი – და სირანელი ამას ვერ შეიფერებდა.

საოხარია, რომ გარდა იმ **დიდი ცდისა**, ხსნა არსაიდან ჩანდა. ის, როგორც ვიხილეთ, გაბმულმა უდარობამ წარმოშვა და არა მამაკაცთა გულზვავობამ. ჩვენ ბრალად ვერავის დავდებთ მის შედეგებს. ვერავის!"

ორივე დადუმებულიყო. "ეს ბევრ რასმე ჰქმნის საცილობელს, რაც უწინ ქარაფივით შეურყეველი გვეგულებოდა", აბაასდა ფლორი. "მაგრამ ეს გულსაც მიფონებს. ეხლა უკვე მოუდევარია, რომ ჩვენი აწმყო ცდის შედეგიღაა და მისი სასურველი კუთხით შემოქცევასაც გაერთმევა თავი. ცისფერპლანეტელების ჩამობრძანება საქმეს მხოლოდ წინ წააგდებს".

რენდამ მასრასებრ ნივთთა წყვილი წაიწყო წინ. ეს მაგნეტიზებული ზოლი უკანა კუთხეში მიეკუნჭათ. "გახმოვანება უნდა ვცადოთ, იქნებ გამოსახულებაც შემორჩენილია".

ისტორიულ მუზეუმში ძლივს მოხერხდა ოდინდელი პროექტორის გამონახვა, რომლის გამართვაც მეტად სამძიმო გამოდგა. პირველივე კადრისა თუ ბგერების გამოცემაზე რენდამ ორივე აფსკი მსწრაფლ გადასცა კალოს შემწეებს.

ჯერ არც ერთს, არც კალოსა და არც მის ასისტენტებს, მასზე აღბეჭდილი სურათები არასოდეს უხილავთ... და ეხლა ყველანი თვალხმიერად შესცქეროდნენ აგიზგიზებულ ნაგებობებს, გამურულ პირისახეებსა და დგამით თავშედგმულ მაზიდებს. მათ შორის თვალისმომჭრელი გამოსხივებით დაძრწოდნენ პლანირებული მობილები. მძღოლები შენიღბულიყვნენ. ძარაზე ტვირთიც გამოჩნდა: სირანელთა ცხედრები, ერთმანეთზე მრავალ შრედ დაწყობილი, დარუმბებული, თითქოს ვითარსი.

გამოისახა მეორე სცენაც, სირანის სიღრმეში: მწკრივად გაწყობილი ქვეშაგები, მათზე გაწურთხული უილაჯო, დავრდომილი სირანელები. იგივე დაზღმურდული სახეები, მაგრამ სულდგმა მათ ჯერაც შეეტყობათ, ისინი ჯერაც იძვრიან, წამოწევას ცდილობენ და ვედრებით უპყრობენ ხელებს მათ რიგებს ჩამოყოლილ თავპირშენიღბულ ზემდეგთ.

და უტყუარი იყო: ის მოქენედ ხელებაშვერილნი მამაკაცები იყვნენ!

გამოსახულება კვლავ გარდაისახა. გამოჩნდა სირანგლადურის საუნივერსიტეტო პალატი, რომლის ფიცარნაგზეც სახეწამოკვერებული, მაგრამ წელში ჯერ კიდევ გამართული მამაკაცი შემდგარა. მის ფანქარს გამალებით გამოჰყავს დაფაზე სირანული ნიშნები.

მაცქერალნი კი მხოლოდ მანდილოსნები!

ეს სანახაობები ბაწარაღებით მისდევდა ერთიმეორეს. ნანგრევ-ნამზღვლევები, მამაკაცთა ნეშთები და მამაკაცები საავადმყოფო ეტლებში, რომლებიც სირანელ დედებს ჭკუას არიგებდნენ და ცოდნასაც უზიარებდნენ. აქამდე ხომ ისინი არაფერს საქმიანობდენ, გარდა კერაზე ურვა-მზრუნველობისა.

პირველი აფსკი მიილია. რენდა უკვე მისავათებულიყო, მაგრამ მეორე ნახევრის გაცნობაც ინება. კალომ მოსაგრეებს მიანიშნა, განაგრძეთო და ფლორიმაც მორიგი ფირი მოიმარჯვა.

ბგერები ჯერ დამაფრთხობლად გაისმა, მაგრამ მათ ხაფად შეუწყვეს სმენა თითქმის მონოტონურად აყოლებულ კომენტარს.

ეკრანი უწინდებურად მამაკაცებს ეთმობოდათ. კვლავ გამოჩნდა ძველი სასწავლებლის აუდიტორიები, მისი სამეცნიერო-კვლევითი სათავსები, მინის სინჯარები და მიკროსკოპები. და შემდგომ: უჯრედების ამსახველი სურათი, ქრომოსომები. მცნევარი

ვითომური უსინანულობით გადმოსცემს: “გაირკვა, რომ ეას მომეტებულად მძლავრმა გამოსხივებამ მამაკაცები მომაკვდინებლად დაასნებოვნა. მათ მუტაციური ლეიკემია გამოუვლინდათ.

სირანელ მამრთა ამოწყდომა განურინებელია”.

რენდა შედრკა, სახეზე მას კითხვა აესახა. მაგრამ გლანდურას წამსვე მიუგეს: “რახანაც მამაკაცები ხუთიოდე წელიწადში საბოლოოდ განისვენებენ და ვერც მოჯანიერდებიან, სირანზე უკანასკნელი ყრმა ცხრა თვეში იშვება. თუ ვაჟი აღმოჩნდა, სულმოუთქმელად განუტევებს სულს, ასული უმემკვიდროდ გადაეგება. სამი თაობა და სირანის მპყორბლებად ეას განრიდებული ცხოველები გახდებიან. სირანელები კი, ჩვენი ცთომილის უზესთაესი სულიერნი, საუკუნოდ აღიგვებიან, თავიანთ წარსულსა და მონაპოვართან ერთად”.

უეცრად სახეები აღმოცენდნენ. სირანელები მოსასაუბრებლად თავმოყრილიყვნენ. არელია, მაღალი საბჭოს პირველი გლანდურა, მიმცხრალი სახით მშფოთვარედ მიმართავდა დამსწრე დებსა და სწავლულებს. მიმართვა ერთი კითხვისაგან შედგებოდა: “როგორ ვიხსნათ თავი?”

მამაკაცთაგან უხუცესი, მას სხვებისგან გამორჩევით პირი ფარჩხატი წვერ-ულვაშით გადაპენტოდა, წამოდგა და კრძალვით წარმოთქვა: “ხსნა მიიღწევა, მაგრამ ვეჭვობ, განმეცხადება თუ არა”.

“ბრძანე!” გადაჭრით მოსთხოვა მას არელიამ.

და ჭარმაგი ბერიკაციც თხრობას შეუდგა: “საშველი ერთადერთია. ის მძიმედ მისაღებ პირობას ეფუძნება, მაგრამ თუ არაფერი ვიღონეთ, სირანელთა მოდგმა ერთიანად აღმოიფხვრება. ეს განუხრელია. თქმა არ უნდა, ამგვარი მუტაციური დარღვევისას სპონტანური რემისია სავსებით მოსალოდნელია, მაგრამ არა უადრეს რამდენიმე ასეული წლისა. ამიტომაც სადღეისოდ ესღა გვრჩება: ჩვენი ყოფა, ჩვენი კულტურა და ნაამაგარი მშვენიერთა სქესს ვუბოძოთ, სრულად და უნაცვალგებოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ სხეულში ჩვენ რედუქციული გაყოფა უნდა შევაფერხოთ, რაც პართენოგენეზს დაამკვიდრებდა. ხანიერ სირანელი დედები მხოლოდ ასულებს შესძენენ ჩვენს ცთომილს. თუ ეს გენეტიკური ჩარევა ოდესმე გაუმოქმედდა, შესაძლოა მათ კვლავ განუახლდეთ მეიოზი და ჯანმრთელ ძეთა შობადობაც აღორძინდეს. მაგრამ აქამდე შორი მანძილია გასავლელი და ერთობაც გაჭირდება მისი დაძლევა”.

რენდა მაჯაში წასწვდა ფლორის, რომელიც ისე შეპყრობილიყო ხილულით, რომ შესიტყვების უნარიც წარტაცოდა.

“ასეც იქნება”, გადაწყვიტა არელიამ. “ძირისძირამდე გადაშენებას სჯობს დედებს დაგვეთმოს სარბიელი. მაგრამ”, გახმახაფდა ის, “ამის საიდუმლოდ შენახვა მოგვიხდება. ჩვენ რამე უნდა ვიღონოთ იმედაყრილ ქალთა რწმენით განსაწყობად”. არელია გაჩუმდა.

“იმაში ხომ არ დაგვერწმუნებინა, რომ თვითგამრავლება მათ ეამ უწყალობა”, ურჩია მას იმავე სწავლულმა. “ჩემთავად, არც იმის დატანებას ვიუკადრისებდი, თითქოს ეამ მამაკაცებს ჩვენი საძრახისი შეცოდების გამო საკადრისი მოგვიზღო, მანდილოსნები კი შეიწყალა, რაკიღა განზე იდგნენ...”

ეკრანი წამიერად ჩამობნელდა და ცივად დასძინეს, რომ მამაკაცებმა შესძლეს შესაფერი მუტაგენური ნივთიერების მოპოვება, რომელიც ყოველი ტრაპეზობის წინ უნდა მიეღო თვითეულ დას.

მოსხლეტით ორი უჯრედიც ასახეს: ერთი წამლობამდე და ერთიც წამლობის შემდეგ. გასაჩინოებული იყო, რომ ქიმიურმა ჩარევამ მეიოზი აღკვეთა. და ეს კვერცხუჯრედი

ორმოცდათექვსმეტი ქრომოსომით საზეიმოდ განასხეულებდა სვიანი, თუმც უმამრო, მერმისის დამაიმედებელ საწინდარს...

გამოსახულება მუცელქმნილი სირანელის ამსახველ სურათად გარდახორციელდა. სამშობიარო დარბაზში პირსაფრიანი მამაკაცები დაუცხრომლობენ. გაისმა ნაზი, მაამებლად სუსტი ხმა და უსუარს ხელში იტაცებენ. ის ასულია!

გარეთ მოზღვავებულ დათა დალხენილი გროვა, სიცოცხლის შემხარე სახეები, ზეცისკენ ატოტინებული ხელები და საჰიმნო გოგმანი...

მაღალი საბჭოს პირმაღზე სანდომიანი, ტანანაცქვეტი ქალი გადმოდგა. პირქუში სახე, წვრილბაგიანი პირი და მბრძანებლური მანერები. ეს არელიაა, რომელიც სირანელთა მყობადსა და მათ სამომავლო ჭვრეტას განსაზღვრავს: "ეამ მოგვიტევა, არ გაგვწირა. ჩვენ თავადვე ვაწარმოებთ სიცოცხლეს, პირველი უმამო სირანელი უკვე მოვლენილია. ძველი სამყარო და მამაკაცები ჩვენ არ გვჭირდებიან! შორს იმ უკეთურთაგან, ვინც ეაზე ხელი აღმართა! სირანი ამიერიდან ჩვენი საუფლოა".

კედლებზე შუქი კვლავ აზოზინდა. სამნივ თავჩაქინდრულნი ისხდნენ.

პირველად რენდამ შემზირა დანარჩენთ: "აგერაც ეს დიდი საიდუმლო", ჩაილაპარაკა მან. ეს ხომ თავდადებული შებმა ყოფილა მოტანებულ აღსასრულთან და არავითარი 'შეწყალება'. სირანელებმა გადავძლიეთ ის, მაგრამ რის ფასად! მამაკაცთა უმართლო ძრახვით, ეას გაკერპებითა და არქაულ ხანებში გადანაცვლებით.

მამაკაცებს თავზეხელაღებით უღვაწიათ ჩვენს გამოსახსნელად. და ჩვენთვის, სამწუხაროდ, სახელიც კი უცნობია იმ გონმოქნილი ბერისა, რომელმაც პართენოგენეზთან ერთად ჩვენი გაგულოვნების ხერხიც მოიფიქრა. გაიხსენეთ იმ ნაჩრობის ზარდამცემი სურათები, მამაკაცთა გულოვანი ცოდვილობა ჩვენთვის ცოდნისა და გამოცდილების გადმოსაცემად. მე მწამს, რომ არელია გზამოჭრილობამ აიძულა სირანელ დებში ზენაარსობის შეგრძნება აღეგზნო, თორემ გაუქარვებელ უსასოობას რა ძალა გადალახავდა".

"ვაჟთა გაჩენის გამომჟღავნებამ", შეეპასუხა ფლორი, "დასი ჩვენი წარსულის გამოსაკვლევად ააგულიანა. გვსურდა შეგვეცნო, შეიგუებდა თუ არა სირანი ადრინდელ ყოფას, როგორც ეს ცისფერ ცთომილზე იყო. ეას შეწყალება უეჭველად არავის მიგვაჩნდა და თვითგანაყოფიერებას გამოსხივებით გამოწვეულ დარღვევად ვრაცხდით. მამაკაცთა ის გენეტიკური მანიპულაციები ჩვენთვის, რასაკვირველია, უცნობი იყო..."

"დედამიწა, ისევ და ისევ ეს დედამიწა", იმეორებდა კალო. "უკვე მეც კი მესმის, რაოდენ სულწარმტაცია მასზე მწირობის განზრახვა, მამანთა ყოფის ზვერვა! და რომ ყველაფერი ვერ წარიხოცა. მოგონებანი თქმულებებად და ექიათებად იქცევა, ხან სწამთ მათი, ხანაც ეპოტინებიან ზოგ წარმოდგენას..."

"მაგრამ რა გზას დავადგეთ?" დაეკითხა ფლორი ფიქრებში გართულ გლანდურას. "დებიც ხომ არ გაგვერკვია სინამდვილეში? ან ხომ არ ფიქრობ, რომ ტანდუ ამაში უკვე გარკვეულია?"

"არა, მისთვის ეს ხელმიუწვდომელი იყო", დანამდვილებით განუცხადა გლანდურამ. "თანაც ცისფერპლანეტელთა შემუსვრასაც არ მომთხოვდა ასე დაჟინებით. ტანდუ ხომ მეტად გამსჯელი და კეთილგონიერია. მას ეას შეწყალება და მამაკაცთა პირბნელობა კვლავაც რომ არ ეგონოს უცდომელი, წინ არც აღგვიდგებოდა". რენდა მცირედ შეყოვნდა. "ამის გამოც ეს აღმოჩენა ჯერ ღრმადაა განსახილველი".

“ცისფერპლანეტელთა მეოხებით?” რენდას ფიქრს სწვდა ფლორი.

“დიახ, ეს ვიგულისხმე. მათ უკვე ტოპურს მოატანეს. და მოიჩქარიან იმად, რომ ლოს მოხსენება პირუთვნელია, რომ ის დანატოვარი ბარათიც ამოკითხულა. დედამიწელები ჩვენ კეთილისმყოფლებად უნდა მივიღოთ. იქნებ სნეულ ძეთა მოკეთებაში შეგვეწიონ და პართენოგენეზის უკუსაგდები გზაც გაგვიკვალონ”.

რენდა გონგის ზარმა შეაკრთო. “ტანდუ მობრუნდა, ლოს და სორანდას თანხლებით”, მოახსენეს მას. “ისინი თქვენს შემდგომ მითითებებს მოელიან”.

“მეახლონ. მათაც უნდა მოვახსენოთ სიმართლე ჩვენს ნაძალადევ აწმყოზე”.

კარი მეშვიდე
დარბაზობა ხომალდზე

სირანზე მათი ჩამოფრენიდან მეოთხე დღე იდგა. ყოველგავრი ცდა შუქნიშნებითა თუ აკუსტიკური სიგნალებით გულისყური მიეპყროთ წარუმატებლად დასრულდა. ადამიანისმაგვარ სხეულს, რომელიც მათ ტიხარს მიუახლოვეს, გრავიტაციული დარტყმა ეძგერა და ძირს დაანარცხა. – მათ დაუშრომლად მეთვალყურეობდნენ. ეს კი უსასრულო ლოდინის მომასწავებელი იყო. დედამიწელებს ისღა ანუგეშებდათ, რომ მათ დარბაზობას ამ საცთომილეთში შეუმცდარად აღიქვამდნენ.

როცა ზარმლის შემდეგ ისინი ფინჯან ყავას მისხდომოდნენ, რადესკუ – ის რიგისობდა – ერთბაშად გახმამყივარდა: “ყურადღება! რაღაც იცვლება! ცვილისფერი შუქი ციალებს ხომალდის შორიახლოს. ღმერთო, ანგარი ცისკროვნდება!..”

ყველანი საგუშაგო სანათურს მიაცეცდნენ. ანგარის კედლები თანდათან მთლიანად გასხივოსნდა და მოპირდაპირე სიბრტყის სპეტად აქათქათებაზე გარემიკროფონიდან მცირედი ბგეროვნება შემოისმა, ნაზი და საამური.

ანაზდეულად მათ წინ ფილაქანს ფილა მოსწყდა და ხომალდის სარკმელს დაუპირდაპირდა. მასზე ორი ადამიანის მსგავსი არსება შემდგარიყო, ტანასვეტილი და მოსხივცისკარე. მათ მჭიდროდ მომდგარი შარვალ-ხალათი ემოსათ.

“ლო!” შესძახა მაქს ფრიდლენდერმა.

ის მუდამ იმედოვნებდა ლოს მოძიებას. ამიტომაც ჩაერთო ნოვიკოვის ექსპედიციაში. მისი როგორც ბიოლოგის შემოერთება სავსებით მისაღები იყო, მაგრამ მედიკოსები ამას გადაჭრით უარყოფდნენ. მაქსს ქედი მაინც არ მოუხრია. და საბოლოოდ მისმა შეუპოვრობამ ისინიც გადაარწმუნა.

ამ მიღწევიდან მაქსს უკვე არაფერი ეჯავრებოდა, გარდა იმისა, რომ იქნებ ლო ვერ განესხვავებინა სხვა სირანელებისგან. მაგრამ ეხლა, როცა მაქსი მას ასეთ უცაბედ გარემოში, იმ უჩვეულო შარავანდის ქვეშ მდგომს უცქერდა, მისი შეუცნობლობის შიში უეცრად განაცარმტვერდა. ეს ხომ ლო იყო, თავად ლო!

მან მაქსის წამოძახილზე მხედველობა დაძაბა და სანათურში მის ამოცნობას შეეცადა.

ლოს თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და სარკმლისკენ ხელი გაიწვდინა. “მაქს, შენ?” წაილაპარაკა გაურკვევლად. “შენც აქ ხარ?” მერე კი თანმხლებს მიუბრუნდა და დედამიწელებმა პირველად მოისმინეს ჟღერადი, უხვხმოვანი სირანული ენა.

მეორე ლამაზმანსაც პირი გრძნობამორეული მოუჩანდა. მან ლოს მხარზე ხელი გადასდო და წამქეზებლად ხომალდზე ანიშნა.

ლოს თვალები აუფოფინდა, ნაბიჯი წინ გადადგა და თავდახრით გამართულ ინტერლინგვაზე წარმოთქვა: “მოგესალმებით სირანის მაღალი საბჭოს სახელით. დახვედრამდე ჩვენ ხომალდის შემოწმებამ მოგვიწია, რომელიც მხოლოდ შესაძლო ბაქტერიებისა და ვირუსების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩემი სათოლმაჩოდ შემზადებაც მყის ვერ იქნებოდა, რისთვისაც გთხოვთ შეგვინდოთ.

ჩემი მხლებელი მაღალ საბჭოს წარმოადგენს. თქვენ ის დაგეხმარებათ.

რაბი, რომელშიც თქვენი ხომალდია მოქცეული, თქვენთვის სასურველ ჰაერს შეიცავს, არც სირანული განირჩევა მიწიერისაგან.

ამჟამად თქვენ იმყოფებით სირანის თანამგზავრ ტოპურზე; ეს ჩვენი გარესადგურია. მაგრამ ამას ხომ თქვენ უამისოდაც დაადგენდით”.

ნოვიკოვმა სული მოითქვა. ის მწვანე ღილაკს მიეკარა და ტიხრიც მძიმედ აფრიფინდა. როგორც კი ტრაპი ჩაეშვა, მაქსი ქროლვით გაქანდა ლოსკენ და აცრემლებული გადაეჭდო მას.

სორანდა მათ ღიმილით შესცქეროდა. მისთვის გასაგები ჩანდა ამ შეყრის სიდიადე.

სირანელმა ხელის გაშვერით რაღაც წაუღიღინა ნოვიკოვს თავის მელოდიურ ენაზე და ჟესტით მიუთითა – გზა ამითავაზეთო.

ყველა განალიგა ამ სორანდასა და ლო ფრიდლენდერის მსგავსებამ. მათ დედამიწელი გედქალები მოაგონდათ, რომელთა ფოტოებს ალექსი ჩანაწერბთან და საგვარეულო ნუსხებთან ერთად უსათუთეს მასალად ინახავდა.

ისინი კვლავაც თავდავიწყებით ეკონებოდნენ ერთმანეთს. მაქსს დავიწყებოდა, რომ ხუთ უსასრულო წელიწადს განევლო, რაც მან უკანასკნელად იამა მისი თმის წარმოუთქმელი სურნელება, წარუხოცელი პირველი მთხვევის დღიდანვე იმ მტვერ-ბუქიან ავტოფანტასტაში. მაქსი მცირეოდენაც არ იძვროდა: კვლავ არ გამომტაცოს თავი, როგორც მაშინ დრეზდენშიო, შიშობდა ის.

ლო პირველი მოგონიერდა. “ჩემს გადაკარგვაზე რა იფიქრე?” გამსჭვალავად თვალი მიაპყრო მან მაქსს. “ბარათს რომ მიაგენი, ხომ არ გაგულისებულხარ?..”

“თქვენ მოგინახავთ ჩემი უსტარი”, დასძინა მან ხმიანად.

“ოღონდაც, მაგრამ თქმულებების მიმოხილვამდე და ისარნებთან შენი აფრენით ფარილმოდებული ფოთლების აღმოჩენამდე სარწმუნოდ ის არავის მიგვიჩნევია. ჩვენი ექსპედიციაც ამანვე აღაკაზმინა სწავლულთა საბჭოს...

მაგრამ რატომ არაფერს მიმხელდი? შენს მოყვასებზე”.

ლომ თვალები დალურსა. როდესაც ის ასე ნაუცბადევად გაათავისუფლეს და ცისფერპლანეტელები მოიწევენო, მოახსენეს, მასში ტანდუს მორევის გრძნობამ იფეთქა. და ლომ ისიც შეიგრძნო, რომ მისი იწამეს, რომ მას მინდობოდნენ.

“მე ეს შენს მოსაგრეთაც უნდა მოვუთხრო – ყველასათვის საგულისხმოა”, შეესიტყვა ის და მასთან ერთად ტრაპს აუყვა.

მაქსმა და ლომ **გლოასტერში** შემოაბიჯეს. ყველანი გრძნობდნენ, რაოდენ განსაცხრომელი იყო მათთვის ეს წუთები. სახეზე მათ გარემოუცველი ნეტარება დასთამაშებდათ. სორანდა კი ამან დააფიქრა და თავის წკრიალა ენაზე ლოს გამოესიტყვა.

“სორანდას ჩემი უცნაური შესახედაობა ამჭვუნვარებს”, გაეცინა მას. “მისთვის ეს ჩაუხვდომელია. ის ვერც იმას სწვდება, რომ მე აქ შინ ვგრძნობ თავს, მაქსთან, თქვენთან. და

მაინც, მე მაინც სირანელი ვარ. მაგრამ თქვენ თანაცთომილელადაც უნდა მიგულოთ, თქვენი მეგობარ მაქს ფრიდლენდერის თანამეცხედრედ".

მოლხენილი კილოს მიუხედავად, მის სიტყვებში ერთგვარი გულდახშულობაც შეიგრძნობოდა – შიში იმისა, რომ ძალზე დიდი იყო მასზე დამყარებული იმედები. მაგრამ ლო ლაღად განეწყო და ცისფერპლანეტელებთან პირველი გასაუბრების თარგმნას შეუდგა.

მოთათბირეთა კითხვები ხშირად წინაუკმო და უთავგზური იყო. ლოც ცნობისმოყვარეთ მოთმინებისკენ მოუწოდებდა. "გლანდურას ნებართვით მე საარქივო მასალა და ცნობითი აფსკებიც უნდა გითარგმნოთ. ამას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ბოლოს თქვენთვის ზოგი რამ უკეთ გასაგები უნდა გახდეს".

შთაბეჭდილებებით გათანგული სორანდა მალე გამოეთხოვა დედამიწელებს. ლომ კი დაისამდე დარჩენა გადაწყვიტა.

"ეს ვოლდემარ ლუტოლსკია, დედამიწელი კომისარი", უხსნიდა მას მაქსი. "მან მიაკვლია შენს ავთრათს. პროფესორმა ფრანცმა, მას რომ ეხლა ამოუჯდა, მისივე შეწევნით გამოაბა თავი სირანულ დამწერლობას. პროფესორი ფრანცი რა წარსადგენია, შენ ხომ უკვე დააწიე მას ერთი ყოფა..."

ისინი მასლაათს მიეცნენ. მაქსს ჩაეცინა და ლოც გულიანად აკისკისდა, როცა ლუტოლსკი დონია ლოლიტას ხსენებაზე ანიღნიღებულ სენიორ ლოპესს ჰბაძავდა.

ნოვიკოვს შეხსენება მოუხდა, რომ ძილის დროსაც მოეწია. ლო დამყოლად წამოდგა, მოსასხამი წამოიკუხა და იქ მყოფთ სირანულად გამოემშვიდობა. მაქსს ესმოდა მისი.

აირიმ ქმარს მხარზე მოუცაცუნა. "წამოდექ, ალექს, გამოფხიზლდი! დედამიწიდან რადიოტელეგრამაა!"

ნოვიკოვმა თვალები მოიფშვნიტა. "რადიოტელეგრამა?"

"დიახ, მოლნარმა გამოგზავნა, მაგრამ უკვე მეორესავე თვეს. ისე გაუთვლიათ, რომ ჩამოფრენიდან პირველ კვირას ჩამოეღწია".

"რადიოზღუდე მოიხსნა?"

"როგორც ჩანს. მორისმა ლოსთვის ინდივიდუალური სახმობის გადაცემაც შემოგვთავაზა".

"ეს სულაც არ იქნებოდა ურიგო", მიესალმა ალექსი, უკვე ავაზანში მიმავალი. "მაგრამ რას იწერებიან?"

"ჯერ მოწესრიგდი და კაიუტკომპანიაში მიბრძანდი! ყველას სურს ამის მოსმენა".

თუმც ყველამ იცოდა, რომ ეს ორიოდე პწკარი არაერთი წლის წინათ იყო ნაწერი, **გლოასტერზე** მაინც სალაღობო განწყობა სუფევდა. მოლნარს ფარსაგად განეჭვრიტა, ვითარ მოალხენდა მათ დედამიწიდან მიწვდილი სალამი.

"სირანზე მყოფ ყველა დედამიწელს!" წერდა მოლნარი. "ამ სალამს გიძღვნით, როცა თქვენ ჯერ კიდევ სამნახევარი სინათლის წელიწადი გაშორებთ სირანთან. თქვენ ის დაფრენისთანავე წამოგეწევათ. ჩვენი მოკითხვა სხარტია: გისურვებთ დიდ წარმატებებს! ოთხწელნახევარში თქვენი პასუხი ჩვენამდე ჩამოატანს. ჩვენ თქვენს გვერდით ვართ და მოგელით.

მოლნარი"

ნოვიკოვი ამ თავაზს საჩქაროდ გამოეხმაურა.

ლაღობა დედამიწელებში ჯერაც არ დამცხრალა, გონგმა რომ გაიხმიანა. ეს სირანელთა ვიზიტის მაუწყებელი იყო.

გარეთ კვლავ დღესავით ინათლა და მათ წინ ლო და სორანდა ამოზეზევდნენ.

სირანელ დებს გულსადაგი მიღება გაემართათ.

სორანდა ალექსს მიუახლოვდა და დედამიწელთა გასაოცრად, ინტერლინგვაზე მოუხადა სალამი: "დღე მშვიდობისა, ძმაო!" შემდეგ კი აირისაც: "დღე კარგად ყოფნისა, დაო!" ამაზე მას მორცხვად ჩაეღიმა და ლოს სტუმრებთან გამოსაუბრება სთხოვა.

ლომ შემცბარ სახეებს თვალი შეავლო. "დიახ, სორანდა ჩემთან ინტერლინგვას შესწავლას დაეწაფა. მას თქვენთან უშუალო საუბრის დიდი სურვილი აქვს. და ის ამ ნატვრას უმალაც აიხდენს.

მაგრამ ჩვენი სალხინო სულისკვეთების მიზეზი მხოლოდ ეს არ არის. რენდამ თქვენთვის საიდუმლო დოკუმენტაციის გადაცემა გადაწყვიტა. გუშინ ღამით მის ინტერლინგვაზე გადმოტანაში თვალები ამომიღამდა". ლომ ნოვიკოვს მთელი ოზმა თაბახი გაუწოდა და განუვრცო: "აქ შვიდი პირია. ჩვენ ცნობითი ფირები და ანტიკური კინოპროექტორიც მოგვანდეს. თქვენც თვალნათლივ იხილავთ იმ სისაზარლეს".

ალექსმა შვიდივე ასლი ჩამოარიგა. დედამიწელები მოწყვეტით მიუსხდნენ მაგიდას და გატაცებით კითხვას მიეცნენ. მრავალჟამიერ გადმოცემაში ისინი მათთვის უცხო კუალკალისა და ოლა ტრინგის უგბილობაშიც გაერკვნენ, რომლებიც ცისფერპლანეტელთა დამონების ძალისმიერი მცდელობის გამო სიკვდილით დასჯილან.

მათ რომ კითხვა ჩაამთავრეს, თავდაკარგულნი ლოს მიაცქერდნენ.

"ჩვენი გლანდურა იმისკენაა მიდრეკილი, რომ თქვენ არაფერი გამოგაპაროთ", ამცნო მათ ლომ. "როგორც გადმოცემიდან ჩანს, ეს უკანასკნელი რვა ასწლეული სირანელთათვის მხოლოდ უკუღმა სიარული იყო. თქვენ უკვე თვით გამოჩენით დაიოკეთ ეს რვასაუკუნოვანი უკუსვლა. თქვენი განვითარების ელვისებურობა აქ განცვიფრებას იწვევს. დღემდე ვერავის ვაწამეთ ამის ალალმართლობა. და დღესაც მრავლად მონახავთ, ვისთვისაც თქვენი ჩამობრძანება ნაკლებადაა საწადი.

რვაასი წელი მამაკაცთა ხსენებაც კი იკრძალებოდა. და ამ რამდენიმე ათეული წლის წინ მათ კვლავ იჩინეს თავი! ადვილად მისახვედრია კარისქალთა აქოთქოთება. რა უნდა ეღონათ? ამის მიჩუმათება უმარტივესი და საკმაოდ უსაფრთხო ილეთი იყო.

ვაჟთა შობადობის განახლებაში არაფერი იყო სანუგეშო. მათი უმეტესი ნაწილი შეზღუდულ სიცოცხლისუნარიანობასა და უკურნებელ სიხეიბრეს ავლენდა. მხოლოდ ჩვენი დასი ჩახვდა ამ მოვლენის მნიშვნელობას, ისიც არა სრულიად და ამის გამო ჩვენ მოღალატეებადაც გამოგვაცხადეს.

დროა კინოსურათი წარმოგიდგინოთ, ასე უკეთ მიხვდებით, რა უმძიმეს გზაგასაყარზე აღმოჩნდა ჩვენი მაღალი საბჭო – მოსალოდნელი მძვინვარების განსარინებლად ტანდუმ, საზოგადოებრივი წესრიგის თვალმდეგმა, თქვენი განადგურების წინადადებაც კი წამოაყენა".

ფირის ხილვით ჟრუანტელდავლილ დედამიწელებს ლოს მონაყოლმა კიდევ ერთი საწუხარი აუჩინათ. დიდად სათუო იყო, მოეკიდებოდა თუ არა სირანელთა უმეტესობა ამას ისევე გულისხმიერად, როგორც პროფესორი ფრანცი ან მაქს ფრიდლენდერი. დედამიწელ მკვლევართათვის ეს მეორე სქესის აღორძინებას ნიშნავდა, მაშინ როდესაც სირანელი დებისთვის – მთელი საწუთროს პირქვე დამხობას".

"რა საკითხველია!" დაუდასტურა მას ლომ. "სორანდას მაღალი საბჭოს სხდომაზე ორი დედამიწელის მიწვევა ერწმუნა. მეც შემეძლება დასწრება: მე უკვე აღმადგინეს აყრილ

უფლებებში". ამაზე ის მცირედ წამოიჭეხა. "გლანდურამ მოუხსნა ჩვენს დასს ბუნტარობის ბრალდება".

ნოვიკოვსა და მის თანაცთომილელთ გული მოეოხათ და მოხარულად ჩამოართვეს ლოს ხელი.

"მე არ ვისურვებდი მხოლოდ მამაკაცების შერჩევას", სიტყვა ითხოვა სორანდამ. "სჯობს ორივე სქესი წარმოადგინოთ".

საფრენი მოსასხამით თქვენ, ცისფერცთომილელნი, ვერ იფრენთ. იქნებ ხომალდზე ხმელეთმავალი ან კოსმოსური პლანერი მოგეპოვებათ. თვით ხომალდი კი, სანამ სირანზე მისი დასაშვები აგარა გამოიძახება, აქ უნდა დარჩეს.

დაბოლოს: გლანდურა თქვენ დედამიწის ამსახველ ნახაზს გიგზავნით, საიდუმლო არქივიდან. იქნებ დაგაინტერესოთ. მასზე მინაწერის კვალად ის კუალკალის მიერაა შედგენილი".

ყველას სულმა წასძლია. ისინი გარს შემოეკვრნენ ალექსს, რომელმაც ნახაზი მაგიდაზე განფინა.

"ეს უდავოდ დედამიწაა", დაასკვნა აირიმ. "ეს ხომ ჩრდილოეთი და სამხრეთ ამერიკაა, აგერ ევროპის მოხაზულობაც. ეს წერტილები ალბათ ქალაქების აღმნიშვნელია: რომი, პარიზი, მადრიდი..."

"გასაოცარი ის არის, რომ ნახაზი რვაასი წლის წინათ შეუდგენიათ. და ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია ეს მოდარაჯება. თურმე რა გულდასმით გვიგებდნენ თვალს!" სახტად დარჩენილიყო ჯონ მორისი.

"სწორუპოვარი სუვენირია!" მოიწონა ნოვიკოვმა. "ჩვენ ამას მოლნარს მივართმევთ. თქვენს გლანდურას კი საპასუხოდ სირანელთა მიწიერ წილობაზე შეგროვილ მასალას გადავცემთ".

"მიწიერ წილობაზე?" გაუკვირდა სორანდას. "საოცარია".

"მაგრამ მაღალ საბჭოში ვის წარავლენთ?" დააჩქარა ლომ სტუმრობის ბოლო.

ერთხმად გადაწყდა, რომ სირანზე გარდა აირი კუოლაინენისა, ერთადერთი მანდილოსნისა **გლოასტერზე**, ნოვიკოვი მიევლინათ. პირმშვენიერი აირი თმის სიქარცითა და საუცხოო ჰაეროვნებით პირწავარდნილი სირანელი იყო. ამასთან, ტანოვანი, შავთვალწარბა ალექსი. დედამიწელთა წარმოდგენაში ისინი გულწამტან წყვილად ისახებოდნენ.

სორანდამ და ლომ, რომელმაც რადესკუსაგან ინდივიდუალური სახმობი მიიღო, დატოვეს გლოასტერი, მაგრამ წინა დღისაგან განსხვავებით ანგარი გაჩირაღდნებული დარჩა.

ყველა გულშეჯერებული ჩანდა, მხოლოდ მაქსს შემოსწოლოდა კაეშანი. მას ლოსთან განშორება უმძიმდა. ჯერ ხომ უსასრულოდ ბევრი რამ იყო მოსათხრობი და განა მხოლოდ მოსათხრობი?..

ალექსის თვალს ძილი დიდხანს არ მოსვლია. ის ხან ერთი კედლისკენ ობრუნებდა პირს, ხან მეორისკენ, მაგრამ სიმშვიდე ვერსად ჰპოვა. თავბრუდასხმულს თვალწინ ლო და სორანდა ეხატებოდნენ, ერთმანეთის მსგავსნი და მაინც სხვადასხვაგვარნი.

ალექსმა ერთხელაც გაივლო ფიქრად ლოს მონაყოლი, უთავბოლოდ და მიმობნევით: ლოს განკითხვა, გულის გადამლევი მარტოობა გარიყულობაში და უეცარი შემობრუნება. ლოს თვით რენდასგან მინდობია საიდუმლო აფსკები...

აირიმ გააზმორა. “მეც ვერ ვიძინებ”, ჩაესმა ალექსს. “დღეს ნამეტნავი განვიცადეთ. მაგრამ სირანზე ჩავალთ და ვინ იცის, იქნებ მართლაც შევძლოთ წაქომაგება”.

“დედამიწიდან ამაში ვერავინ გამოგვესარჩლება”, ჭმუნავდა ალექსი. “ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენსავე ძალებს დავეყრდნოთ. გლოასტერის ეკიპაჟი მკაცრადაა შეწყობილი და ეს იმედისმომცემია, მაგრამ მაინც მეტად დავბრკოლდებით”.

“დაბრკოლება ის იქნებოდა, სირანელები რომ მეთოთხმეტე საუკუნეში თავს დაგვსხმოდნენ”, გულისნადებს მოსწყვიტა ის აირიმ.

“ზემიწიერ არსთა შემოსევა იმ ეპოქაში! ეს ხომ მძულვარებისა და ქიშპობის ეპოქა იყო”.

“მაგრამ მას უმართლობასა და ძალომომრეობასთან ჭიდილის ხანაც შეიძლება ეწოდოს: ვოტ ტილერი დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთი – ჟაკერია... ნეტამც სად დაფრინდა ის კუალკალი?”

“არის კი ეს ასე მნიშვნელოვანი? ყველგან ერთი და იგივე სურათი გადაეშლებოდა. მთელი საკაცობრიო უკუნით იყო მოცული”.

“როგორ თუ უკუნით?” განრისხდა აირი. “განა პრაღაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ან აცტეკების სატახტო ქალაქის, ტენოხტიტლანის, იჩხიბი აღნაგები უკუნია? ანაც ელინური თუ რომაული არქიტექტურა სათაკილოდ მიიჩნევა?”

“არამც და არამც, მაგრამ კუალკალისთვის ჩვენ მაინც უმეცარი და გულღრძო არსებები ვიყავით, რომლებსაც ის ხაფად მოიყვანდა მორჩილებაში”.

“და რომ შემოგვსეოდნენ? სირანულ ცივილიზაციასთან ჩვენი შერწყმა უსისხლო და უტკივარი ვერ იქნებოდა”.

ალექსი ელდანაცამეი წამოქანდა. “ამას ნურც გაიფიქრებ! ზნეკეთილი არსებანი ნაძრახად ყოფნას ვერც იკადრებდნენ. **დიდი ცდაც** წინ ედოთ სირანელებს და მის იავარმქმნელ ბოლოს არავინ მოელოდა.

და რომ მათ ოლა ტრინგის აუგიან ზრახვას გრავიტაციულ ძალებთან შებმა არჩიეს, შეუცვლელი სვლა იყო...”

“ალექს, მიიღე აბი, თორემ საცაა ირიჟრაჟებს. დილით მარჯვედ და გულმარდად უნდა გამოიყურებოდე”.

ის ოხვრით მიჰყვა აირის რჩევას და ტუმბაში საწამლე მილიც გამონახა.

აბი სწრაფად გალღვა და საამო სიგრილე მოიტოვა ენაზე. ნაზად ანარნარდნენ ნაირფერა დამაცხრომელი სალტეები...

ნივიკოვმა, როგორც იქნა, წასთვლიმა.

კარი მერვე
საქალწულეთი

ნასაუზმევს მათი ბაასი გონგის ზარმა გაწყვიტა. ლო ინდივიდუალური სახმობით მიღებას ითხოვდა. “აირისა და ალექსის შემზადება მევალება”, იუწყებოდა ის.

ლოს გულითადად მიესალმნენ. კაიუტკომპანიაში მაგიდაზე რომ დილის ლუკმას მოჰკრა თვალი, ლომ ცხვირი ყნოსვით აბზიკა და ხმამაღლა გაიფიქრა: “ყავისა და ახალგამომცხვარი ფუნთუშას რა სურნელი ტრიალებს!”

დედამიწელები იცინოდნენ. “ასე ჩვენი მზარეული-ავტომატი გვანებივრებს”, გაეპასუხა მაქსი. “შენ მადა ხომ არ აგშლია? დრეზდენში ეს შენი საკვირაო საუზმე იყო. დაგვეწვიე, ნუ გერიდება!”

ლოს ბევრი პატიჟი არ დასჭირვებია. “ჩემთვის ეს სირანზე დაბრუნების პირველივე დღიდან სანუკვარი შეიქნა”, გულახდილად მიუგო მან, როცა აირიმ ფინჯანი მდუღარე ყავით აუპირთავა და კომისარმა ფუნთუშასთან ერთად ნაღებიც უთავაზა. “მე მხოლოდ ეხლა თუ მოვიპოვებ სულიერ წონასწორობას...”

“როგორც ფრაუ ფრიდლენდერი თუ სირანელი ლო?” გაიოხუნჯა რადესკუმ.

“რა თქმა უნდა, როგორც ფრაუ ფრიდლენდერი”, აიმრიზა მაქსი.

“როგორც ორთავე”, შეეცილა მას ლო. “მე სირანსა და დედამიწას შუა დაკიდული ბონდი ვარ. და ასეთადვე წარვსდგები მაღალი საბჭოს წინაშე”.

ნოვიკოვმა საათს დახედა. “გზად გამრთვის დრომაც მოატანა. ხმელეთმავალი დაღმა დავაქანოთ თუ ხომალდიდანვე ავფრინდეთ?”

“ხომალდიდან უმჯობესია. ანგარი უნდა გაიღოს, მაგრამ ის კვლავ გაივსება ჰაერით. სკაფანდრის გარემოსვა ნურავის გამორჩება”.

“და თქვენ, ფრაუ ლო?” გაეკითხა მას ალექსი.

“მე ჩემი თან მაქვს”, ჩაიცინა ლომ და ხალთიდან ვერცხლოვანი გოსპანი ამოიღო.

“შენი საფრენი წამოსასხამი!” წამოიძახა მაქსმა.

ყველას მოუნდა მისი წამოსხმა, მაგრამ ნოვიკოვმა სამზადისი დააჩქარა. მან სკაფანდრი გარეიმოსა და ლოს მიმართა: “გავემართოთ. თქვენ კი შიში ნუ აგიტანთ, ჩვენ დღესვე დავბრუნდებით”.

ხმელეთმავლიდან კვლავ გამოჩნდნენ ცისიერი მთიებნი, სირანის ორივე ვარსკვლავიც – აბა და ეა. ტოპურისაგან სირანს სამასი ათასი კილომეტრიღა აშორებდა. როდესაც დღის არეალში გადაინაცვლეს, ქვეშ მისი სალტესებრი მოყვანილობა გამოიკვეთა. სპეტი ღრუბლები სათუთ პირბადედ აჰფარებოდნენ ზედეთის ნაკვთებს; ბრჭყვინავდა ოკეანეს ლიცლიცა ზედაპირი.

“აქ ხომ წყალი ბევრად მეტია, ვიდრე დედამიწაზე!” შეცბა აირი.

“სირანს ერთადერთი კონტინენტი აქვს, რომლის ორი მესამედი ნაწილი ეკვატორის ჩრდილოეთით მდებარეობს, სამხრეთით მდებარე ნაწილი კი ევრაზიის ტოლია”, განუმარტა ლომ.

თვალსაწიერზე სხივების გამოჩენამ აირი აღაგზნო. ატმოსფეროში შეღწევა სიმხურვალეს წარმოქმნისო, დარდობდა ის.

“ჩვენ სამგზის შემოვუფრენთ სირანს და სანამ ატმოსფერომდე მივაღწევთ, ანტიგრავიტაციული ვუალი მოგვიცავს”, აყუდნებდა მას ლო.

მართლაცდა: მესამე შემოფრენაზე მათ უკვე ნაცნობი ბუროვანი წარმონაქმნი გარშემოერტყათ.

ხმელეთმავალში ბინდი ჩამოწვა. და ოდნავ მოგვიანებით მათ მსუბუქი ჯახანი შეიგრძნეს, რაც სირანზე დაფრენის მეტყველი იყო.

როცა ხომალდს გარესაფარველი მოსცილდა, აირის უბედითად თვალი დაეწუხა. ეას კაშკაშმა ალექსსაც აუჭრელა თვალი. მათ თვალსაფრები გაიკეთეს.

დედამიწელებმა სკაფანდრები განიმოსეს. ლოს რჩევით აირი შარვლის ნაცვლად გრძელი მოშავფრო ქვედატანით შეიმოსა. ეს უფრო გამოკვეთდა მისა და ალექსის სხვაობას, რომელსაც ტანთ ბაცი პერანგი და თალხი ჩაშვებული შარვალი ეცვა.

მრეში საქაღალდით ხელში ნოვიკოვმა პირველმა შედგა ფეხი სირანულ მიწაზე, რის ღირსიც დედამიწელთაგან დღემდე არც ერთი ყოფილა.

“თქვენს ლოდინში თვალები დამაწყდა”, ღიმილით უსაყვედურა მათ სორანდამ. “ყველაფერი რიგზეა, თქვენ მოუთმენლად მოგელიან და ვფიქრობ, დიდი კეთილმოსურნეობითაც. გლანდურამ გუშინვე გაავრცელა გადმოცემა კუალკალსა და ოლა ტრინგზე; როგორც თქვენ იტყოდით, პრესითა და ტელევიზიით”. მან ეს ცნებები გულადად წარმოთქვა ინტერლინგვაზე.

სორანდას მიღმა ოცამდე ლარივით აყაყული სირანელი ჩამწკრივებულიყო, ერთნაირად შემოსილი.

“ეს თქვენი დამფრენი გუნდია”, მიუთითეს მათზე ნოვიკოვს.

ალექსმა პირი სალიანად მიიღრიცა სირანელებისკენ და... გაშეთდა. აქამდე ის ლოსა და სორანდას მსგავსებით იყო აღტაცებული. ეხლა კი მის წინ ოცი ლო თუ სორანდა ასვეტილიყო. თუმცაღა ერთი ნაკლებ კენარი მოჩანდა მეორეზე, ერთიც უფრო მაყვალთვალება ან ბაგეწვრილი, მაგრამ ერთმანეთს მაინც განურჩევლად ჰგავდნენ.

სირანელებმა კდემით მოიხადეს სალამი. მათ მომლოდინედ ეჭირათ თავი, მაგრამ არა თვალბედითად.

აირიმ ხელი ჩასჭიდა ალექსს. “რაოდენ შემაძრწუნებელი ყოფილა ეს ფირუზოვანი გამოსხივება!” წასჩურჩულა მას.

“მაგრამ აბა ხომ ჩვენი ცხრათვალა მზესავით სალბუნებელ, ოქროსფერ სხივებს აფრქვევს”, ამშვიდებდა მას ალექსი.

სორანდა მათ იქვე მდგარ გარსშემოდენილ მობილამდე გაუძღვა. “ჩაბრძანდით, უნდა გავემგზავროთ”.

ისინი მოხერხებულად მოთავსდნენ. სორანდა საჭეს მიდგა და მოკვერცხილი აერობუსი ლივლივით მოსწყვიტა მოედანს. მათ წინ პლასტიკური მასის ლაპლაპა გზატკეცილი გადაიფინა, რომელიც კორტოხს იქით თვალშეუდგამ შორეთში იკარგებოდა.

“რა უდევს ამას საფუძვლად?” იძიებდა აირი ლოსგან.

“მხოლოდ ანტიგრავიტაცია. ის ჯერ დაღმა და შემდეგ წინისკენ მიიმართება. მარტივი რამ არის”.

“მარტივი თქვენთვის, ჩვენთვის ეს მიუწვდომელია”, გამოედავა ნოვიკოვი.

“ამას თქვენც მალე დაეუფლებით”, ინტერლინგვაზე დამახინჯებული მეტყველებით ჩაერთო სორანდა.

აირი და ალექსი ძლიერ აღაფრთოვანა სირანელი დის ამთვისებლობამ, რაზეც ის კისკისით მიბრუნდა მათკენ. ეს იყო გულმხურვალე, სულის სიღრმიდან მომდინარე სიცილი, რომელიც სხვებსაც გადაედოთ.

გადაექანა თუ არა აერობუსი წინამდებარე ბოლცომს, მათ ქალაქის ხედიც გადაეხსნათ. შარის კიდეთა მასწორ ცად აზიდულიყვნენ ფრთისებრფოთლოვანი, სისხლოვან-მტევნებიანი მცენარეები. ამ ფოთოლმწვანე და ტანმიხაკ ხეთა პირიქით შნოიანად განფენილიყო ზურმუხტისფერ ნარგავთა სივრცეები, თვალუწვდენლად გაბაწრულიყვნენ

ჩადასებრი აწოწვილი მცენარეები. შფოთიერად დაქარქარებდნენ სირანის ფრთოსანნი, ზოგმა გვერდითაც ჩაიფარფარა, მაგრამ აერობირთვის სისწრაფე შეუძლებელს ქმნიდა მათ გარჩევას.

ლოს დედამიწელების ცნობისმოყვარეობა არ გამოპარვია. “ჩვენთან აქ არაფერია უნახავი. მფრინავი ჯარბები ან ლეშიყლაპია მცენარეები სირანზე თქვენ არსად შემოგეყრებათ. აქაური ფლორაც და ფაუნაც ძალიან ჰგავს დედამიწისას, მხოლოდ ნაკლებად ნაირსახოვანია. ეს რომ ასე არ იყოს, მე თქვენთან ხანგრძლივ ვერც დამედგომებოდა.

მაგრამ აგერაც ჩვენი დედაქალაქი, მაღალი საბჭოს სამკვიდრო”.

“და რას უწოდებთ მას?”

“ამის თარგმნა ძნელია”, ნანობდა ლო. “სახელწოდებები ძვირად თუ გადაიტანება სხვა ენაზე. ის მეტად რომანტიკულადაა დასახელებული – სირანგლადური ჰქვია, რაც ინტერლნგვაზე სირანის მბზინვარე ჯავარად წარმოითქმის”.

“სირანგლადური! რა ლამაზად ჟღერს!” მოიხიბლა აირი.

მათ ქვეშ კვლავ მოხდენილად მიიგვარლებოდა მზისფრად ელვარე შარაგზა, ორივე მხრიდან თვალშეუვლებლად გაჰქროდნენ ფაფუკ სიმწვანეში ჩაყურსული ციდა-მტკაველა ნაგებობანი.

“ეს გარეუბნებია. აქ ინჟინრები და ტექნიკოსები ცხოვრობენ და ნიადაგქვეშა ქარხნებში თვითწარმოებას ზედამხედველობენ”, აუწყა ლომ ციფერცთომილელთ.

აერომობილი შეუმჩნევლად ვრცლად გაშლილი შუაგის თავში მოექცა, რომელიც ყვავილოსანი ჩირგვების რიგით ორად განიწილებოდა. ირგვლივ, სნატად მოკირწყლულ თემშარებზე, ისე ქროდა უზღვავი პლანერი, რომ აირის კითხვა აღმოხდა: “შეჯახებები აქ ხშირია?”

ლოს პირზე ღიმი აუთამაშდა. “თითოეული ხომალდი თავის მაგნიტურ კვალს მისდევს. სირანზე მე არასოდეს გამკრავს აერობუსი, როგორც ეს დრეზდენში შემემთხვა”.

ნოვიკოვს კი ის აღონებდა, რომ ისინი უჩინრად მოუყვებოდნენ დინების შუაგულს. მათ არავინ უგდებდა გზას. დედამიწაზე ხომ ესოდენ დიდმნიშვნელოვანი სტუმრობისას ყველა მობილი ჩამოდგებოდა გზიდან.

როცა მათ მოსხლეტით მარცხნივ გაუხვიეს, ნათლად გაირკვა მაგნიტური მართვისა და ანტიგრავიტაციული ძრავის საიმედოობა. ამ გადახრით მათ ათეულობით პლანერს უყელეს გზა, მაგრამ ისინი მცირედღა დახანდნენ და კვლავინდებურად განგრძეს ქროლა.

მათი მანქანა ჯომარდად მიუახლოვდა თეთრ, ტანანატყორცნ სრას, რომლის მკაცრად დანაწევრებული წინამოდან გულხალვათად იმზირებოდნენ განიერი დოლაბები. მათ ალაყაფის კარსაც გააღწიეს.

“ეს მაღალი საბჭოა, წარღვნამდელი ნაგებობა, როგორც ხედავთ”, ამცნო მათ ლომ.

სორანდას დახმარებით აირი და ნოვიკოვი დაქვეითდნენ. წალკოტად გაშენებული მიდამო შვიდფრად მბრჭყვინავი, წარმტაცი სარაჯით იყო გამშვენებული.

აირი მოხიბლული მიაცქერდა ნებიერად მცმუკავ შადრევანს, მაგრამ ლომ ის დააშურა. “ნუ დავყოვნდებით, დავაგვიანებთ”.

ყველაფერმა ისე ფიცხლავ ჩაიქროლა, რომ მათ ვერც აღექვათ, როგორ უძღვებოდნენ დარბაზიდან დარბაზამდე, როგორ შედგნენ მოძრავ კიბეზე და ჩასვლისას საშველად გამოწვდილ ხელებს წაეტანნენ...

მათ ვესტიბიულისებრ თვალს მიაღწიეს. გვერდითი სარკმლებიდან აბასა და ეას მცხინვარე სინათლე ატანდა, მოპირდაპირე ბჭესთან კი ორი ნარინჯად მორთული სირანელი მორიგეობდა, რომელთაც სტუმრებისკენ არც გაუხედავთ. მათი უთანაგრძნობო მზერა წინისაკენ იყო მიმართული.

მხარმარცხნივ, კედლის გაყოლებაზე, რბილი მერხები და რამოდენიმე მომცრო მაგიდა განეწყოთ. მარჯვენა კედელში სასმისებითა და ახლად მომზადებული კერძებით სავსე თახჩა იყო დატანებული.

ორკეცი ბჭის თავზე გამოყოფილი ელექტროთეჯირი გაბმით გამოსახავდა დედამიწელთათვის უცხო სხვადასხვაგვარ ნიშნებს. შუათანა სიმბოლოს აჭიაფრებაზე გონგს დაჰკრეს და ორკარედი მაშინვე გაიღო. კუშტი ეჯიბნი წამზე ღიმილით გაეგებნენ გარმიანელთ და უშურველად პალატში შეუძღვნენ.

თაღოვან დარბაზში მოუთვლელი სავარძლით მოგარებული ლუმბასებრი მაგიდა იდგა. შუბლა კედელზე კი მშობლიური ცთომილეთის ლითონის ანასახი ბრწყინავდა და დიდრონი კრეტსაბმელები გვერდზე იყო გადაზიდული, სხივთა ცხოველ ჭავლს რომ შარა გახსნოდა.

სხდომას ასამდე სირანელი ესწრებოდა. ყველა პირისახე, გულწამტანი და ერთმანეთის მსგავსი, დედამიწელებისკენ მიბრუნდა.

ისინი გაცეცდნენ, გაცილებით, ვიდრე აეროველზე ოცი თვალმცეცხლია დის ხილვისას. მაგრამ რაც უფრო უცქერდა ალექსი უსულიანთ, მით უფრო მზეურდებოდა მათი განმასხვავებელი ნაკვთები.

სორანდა სამივე თანმხლებთან ერთად გზიურ გაემართა მეწამულად მოსილი ლერწამტანიანისკენ. მას მხარმარჯვნივ მწვანეში გამოკანკლული და ედგა, ზურგს უკან კი – ქარვისფრად შემოსილი, რომლის ცვილოვანი სახეც მსწრაფლალ ხვდა ალექსს თვალში.

“მეწამულად მოკაზმული გლანდურაა, მწვანედ – კალო, ხოლო ქარცად – ტანდუ. სირანის ხოჯანი ბრძანდებიან”, გაარკვია ისინი ლომ.

გლანდურამ მობრძანებულთ გულთბილი სალამი მიუძღვნა, რაზეც აირიმ მას ხელები მოხვია და დედამიწელთა დასაბამითი წესისამებრ ორივე ღაწვზე ეამბორა.

რენდას ჯერ ფერი გაუკრთა, მაგრამ შემდეგ თვითონაც დაყვავებით ჩაიკრა დედამიწელი. ლოყებშეფაკლებული აირი რომ განზე გადგა, გლანდურას ნოვიკოვი ემთხვია ხელზე.

“კეთილი იყო შენი მობრძანებაც, ძმაო!” მიეგულთბილნენ მასაც.

დარბაზი აჟიჟინდა. ყველასათვის მოულოდნელად ტანდუ წინ გამოქანდა და დედამიწელს სირანულად შეჰყვირა. “უკან, უგბილო!” უთოლმაჩა მათ ლომ. “შენ კი, დიაცო, უმდაბლესი ცხოველივით მამრთაგან განაყოფიერებაზე დამოკიდებულო, ჩვენს გლანდურას კოცნა-ხვევნასაც ჰკადრებ!

ეს რა უსახურობაა!”

შეიქნა ამაზრზენი ღრიანცელი. გლანდურამ ფოთვით შეუტია თავგასულ ტანდუს. მისი ხმა ეხლა შეუვალი და სუსხიანი იყო.

ტანდუ უთქმელად გაბრუნდა. და სხვებიც დაამინდნენ.

ლო შფოთიანი ყალიდის გამო მხოლოდ აზრობრივად განაგრძობდა თარგმნას. “გლანდურამ ტანდუ მოიარშია და განდიდების მოყვარულობა უსაყვედურა. მას ვაჟებისადმი ავგულ განწყობასთან ერთად თქვენი შემუსვრის მოთხოვნაც ედება ბრალად. უმრავლესობა, როგორც ვატყობ, განუდგა მას, შეძახილები უაღრესად მწყრალი იყო. და ეხლა გლანდურას წინადადებას ეყრება კენჭი”.

სანამ ლო თხრობას დაასრულებდა, აბასა და ეას სახეების ქვეშ მცირე უჯრედები აციმციმდა. ეს კენჭისყრის შედეგები იყო, რომლის კვალადაც ტანდუს მხოლოდ ხუთი მიმხრობოდა.

“ძველი წარმოდგენები ჯერაც უაღრესობს”, გადაულაპარაკა ლომ ალექსს, “მაგრამ უმეტესი ნაწილი მაინც ჩვენს მხარესაა”.

ტანდუს დათხოვნისთანავე მისი ძალაუფლება სორანდას გადაეცა. არავინ გაძალიანებულა.

ტანდუმ, მაღალი საბჭოს რიგით წევრამდე დამდაბლებულმა, უსიტყვოდ დატოვა თავისი მოფარდაგებული სავარძელი. დაფეთიანებულს ისე მიხდოდა ფერი, რომ აირი უნებლიედ ალექსს სწვდა.

“სტუმრები ნუ გვიწყენენ ამ უმსგავსო შეხლა-შემოხლას”, პატიება ითხოვა რენდამ. “მაგრამ რა უნდა მეღონა, ტანდუს უსაქციელობას სხვაგვარად ვერაფრით დაიოკებდი. თქვენ კი ამას არაკეთილგანწყობის ნიშნად ნუ მიიღებთ.

მე თქვენ უკვე მიგაწოდეთ აფსკი და მოხსენება, რომლებითაც ჩვენი ამჟამინდელობის სახე განისაზღვრება.

ვაჟთა შობადობის სიმცირე და მათი გაუქარვებელი ავადმყოფობა ჩვენ დიდად გვრჯის. თუ ეს **მწვანე ელდის მეყიდანაა** გამომდინარე, იქნებ სირანელ დედებს თვითგამრავლების უნარი წაგვერთვას. ამის ნიშნები უკვე სახეზეა. თუმც მათი ოდენობა, ვისაც ნაყოფის თვითჩასახვა შეუწყდა, სადღეისოდ უმნიშვნელოა, მაგრამ დღითიდღე აღმავლობს. ლოს უწყებით, თქვენ სწორედ სიცოცხლის მეცნიერებაში დაწინაურდით, ერთ-ერთი თქვენთაგანი ამ დარგის მეცნიერიც კი არის.

და მე ყველა დის სახელით მოგმართავთ: მოგვეცით მხარი, გვაპოვნინეთ ეას შეუწყალებლობისა და ჩვენი უკუღმართი სვე-ბედის დამთრგუნველი სახსარი, მიგვანიშნეთ ბუნებრივი თანაარსებობისაკენ გაწვდილ კვლაზე, რომელიც ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებას აგვიღორძინებს!”

პალატი აბორგდა. რენდამ სულ რამდენიმე სიტყვით წარხოცა მრავალსაუკუნოვანი ცრურწმენა. არავისთვის იყო უცნობი ლოს გადმოცემა, ოლა ტრინგის ჩანაწერები თუ ვაჟთა აღმოცენება, მაგრამ ეს მაინც თავზარდამცემი გამოდგა. მათ ისიც მიიყურისძირავეს, რომ თურმე ის ერეტიკოსი მამაკაცები ყოფილან, ვინც ისინი პართენოგენეზს ღირსჰყო.

შიშს თვით მაღალ საბჭოში ვერ მალავდნენ. როგორ აღიქვამდნენ ამას სხვანი?

ალექს ნოვიკოვმა ზეზე წამოიწია და მოწიწებით თავი დახარა. “თქვენო აღმატებულებავ, ფრაუ რენდა, სირანის მაღალო საბჭოვ! მე თავს სვიანად ვრაცხ სიტყვით მოგმართოთ.

დედამიწელ ადამიანთა სირანზე მოვლენის მიზეზი თქვენი თანაცთომილელის მსხემობა იყო ჩვენთან. ჩვენს ცთომილზე დახიზვნის უწინდელ მცდელობათა შესახებ ჩვენ მხოლოდ ხომალდზე შევიტყვეთ. მაგრამ თქმულებებიდან ძველთაგან ვიცნობდით გედქალებს და ფრაუ ლოს უცნაურ გაუჩინარებაზე ჩვენ მათი შთამომავლობის ძიებას მოვყევით. კუალკალზე არაფერი გვსმენია, გადმოცემებში მხოლოდ უბადლო მშვენების ქალები მოიხსენიებიან ლაბადანებით – დები, რომლებიც **მწვანე ელდის მეყიდან** ჟამით-ჟამად მწირობდნენ დედამიწაზე. შემდგომ კი გაირკვა, რომ ჩვენი ცთომილის რვა მილიარდი მოსახლე”, – აქ დარბაზს გაოგნების ზვირთმა გადაურბინა, ტანდუც განლიგებულიყო – “მართლაც მოიცავდა სირანული წარმომავლობის არსთა მცირეოდენ ჯგუფს. მათზე ჩვენ ბიოგრაფიული ცნობები შევკრიბეთ და თან წამოვიმძღვარეთ”. მან გლანდურას ყდაში ჩასმული წიგნი გადასცა.

რენდამ ის გულისყურით და დიდი შინაგანი მღელვარებით დაათვალიერა. როცა ფოტოსურათებს შეავლო თვალი, ძლივსღა შეიკავა უცაბედობის შეძახილი. ფოტოებიდან მას სირანელთა სახეები შემოსცქეროდნენ.

“ეს რა საკვირველებაა! აღტყინდა ლო. “იმხანად მე სულაც არ ვყოფილვარ ერთადერთი!”

“მაგრამ შენს გარდა თავისი სირანული გვარტომობა არც ერთს ჰქონდა შეცნობილი”, მიუგო აირიმ. “გამოკვლევამდე მათ ეჭვიც არასოდეს შესვლიათ იმაში, რომ დედამიწელები იყვნენ”.

გლანდურამ სტუმრებს მგზნებარედ შესწირა მადლობა და ჩანაწერების საშური გავრცელება ბრძანა. “ლო ჩვენს მთარგმნელობით მოთხოვნილებებს მარტოკა ვერ გასწვდება”, შენიშნა მან სხდომის დამლევს. “საჩქაროდ უნდა შემუშავდეს თუნდაც უმარტივესი სათოლმაჩო მოწყობილობა”.

ნოვიკოვმა გლანდურას შემწეობა აღუთქვა. ამას ის იონ რადესკუს არწმუნებდა; ლოსა და ლუტოლსკის თანადგომით სათოლმაჩო კომპიუტერი უმალ უნდა აგებულიყო.

“როდესაც სირანზე ჩამოაღწევთ, თითოეულს გაგეცნობით”, გამოსალმებისას მიმართა რენდამ აირისა და ალექსს, “მეტადრე მაქს ფრიდლენდერის გაცნობა მწადია”.

ჯონ მორისი **გლოასტერის** მართვის პულტთან გულდაგულ დასცქეროდა მოწყობილობას. გვერდით ვოლდემარ ლუტოლსკი სირანთან საკომუნიკაციო ქსელს აზომიერებდა.

ეკრანზე ხმელეთმავლის გაწერტილებით მოლოდინის მძიმე საათები დაუდგათ გარესადგურზე მყოფთ.Gგონგის გახმიანებამ მათ აუწყა, რომ ანგარი კვლავ დაიგმანა და ჰაერით გაივსო. ასე დედამიწელებს უსაფრთხოდ შეეძლოთ ხომალდის დატოვება და გარესადგურზე მიმოხედვა.

ისინი ლოსა და სორანდას მორიგი პირწყლიანი ტყუპისცალის წინამძღოლობით გზას გაუდგნენ. გზად მათ მოუთვლელი ტალანი და სათავსი მოინახულეს, სადაც უცხო მოწყობილობები და სხვა უჩვეულო ნივთები იყო გამწკრივებული. თანმხლებს ისინი, სამწუხაროდ, ვერ გამოელაპარაკებოდნენ.

ბოლოს დედამიწელები რომელიღაც მჭვირი გუმბათის ქვეშ მოექცნენ, საიდანაც კოსმოსურ ბნელეთში მიმობნეულ ეტლთა ციაგი მოჩანდა. ეს ობსერვატორია იყო. სირანელმა მეტეოროლოგმა მათ დაბრძანება შესთავაზა და უეცრად გუმბათის გამომსახველ დისკოზე **გლოასტერის** ხმელეთმავალი გამოჩნდა. აბასა და ეას ნაირფერი სხივებით გარშემომდგარი, ის სირანის თეთრად მობუგრული ზედეთისკენ მიილტვოდა. ხმელეთმავალს გარკვევით მიეგებოდა თვალი. მკაფიოდ ჩანდა, როგორ შემოეკვრა მას ხელოვნური ჯანღის საბურველი. ხომალდი ერთხანს შეჩერდა და შემდეგ კვლავ ნარნარით მიესაფრა ღრუბელთა ლეგიონებს.

სირანელმა ღიმილით მართვის ბერკეტს მოავლო ხელი. ღრუბლების გამჭოლ თვალწარმტაცი ლანდშაფტები, გარემოუცველი ზურმუხტოვანი ტრამალები განიფინა; გუმბათოვან ნაგებობათა მოგარებით მოლეგო მრავალწახნაგა სხეულმა ამოყვინთა.

ისინი გაჩქურებულნი უჭვრეტდნენ ხომალდის დაშვებას. მოყომრალო შარვალ-ხალათებით გამოკოპწიავებულმა დებმა საფარველი განზე გადააცურეს. ხომალდიდან ლოსა და სორანდას თანხლებით ნოვიკოვმა და აირიმ გადმოალაჯეს. წამისყოფით მათ პლანერი მიუახლოვდათ და ოთხნივ ლაღად ჩასხდნენ.

რაც შემდგომ ხდებოდა, ამის გადმოცემა ან არ ენებათ ანაც არ ძალუძდათ. მაგრამ დედამიწელებმა უკვე უწყოდნენ, რომ ხმელეთმავალმა სირანს ჩააღწია და სირანელთა ცთომილზე პირველი ნაბიჯი შეიდგა.

გლოასტერზე მობრუნებულთ თავიანთი გამძღოლი სერზე მიიწვიეს. მან ცისფერპლანეტელთა საზრდოს თავიდან უნდოდ მოუსინჯა გემო, მაგრამ მალე თავლაღად ჩაიგემრიელა პირი.

მაქმსა დედამიწაზე შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარმოდგენა განიზრახა. დასაწყისში მზის სისტემაში მიმოქცევადი დედამიწის სფერო აისახებოდა, რასაც უმთავრეს კლიმატურ არეთა გამოსახვა მოჰყვა. სურათის კუდში პლანეტის უმშვენიერეს ქალაქთა პეიზაჟები მოიცემოდა.

სირანელი ჯერ დიდ გულისხმიერებას იჩენდა, მაგრამ ერთად შეყრილ სხვადასხვა რასელთა ხილვამ ის შეატოკა და ცახცახით თვალები დაწუხა. მაქსს ეს არ გამორჩენია. მან მყისვე საამო გალობა ააჟღერა. სირანელმაც დამატკბობელ ჰანგებს ყური ათხოვა, თვალები გააჭყიტა და ჩამობნელებული ეკრანის დანახვაზე გულიანად გადაიკისკისა.

“მას რომ ჩვენი სახის ადამიანთა ნაირგვაროვნება დააფრთხობდა, ადვილად მისახვედრი უნდა ყოფილიყო”, წასძახა მაქსმა თავს გამოთხოვების შემდგომ.

დედამიწელები იმის განბჭობას მოჰყვნენ, თუ რას განიცდიდნენ აირი და ალექსი სირანელ დათა გარემოცვაში. ამ დროს კაიუტას ლოს ინდივიდუალური სახმობის წკრიალი მოედო: “აქ ლოა, ვუხმობ **გლოასტერის** მთავარ პილოტს, გთხოვთ ბრძანოთ!”

“მაქს, შენი ლო გამობრძმედილი რადისტია”, გაიღიმა მორისმა და სირანს გამოეხმაურა: “აქ მორისია, თქვენი გვესმის, ბრძანეთ!”

“ხვალ საბორტო დროით ცამეტ საათზე აირი თვითმავლით ტოპურს გაბრუნდება. გთხოვთ, ზეგ განთიადზე **გლოასტერი** სასტარტოდ მოამზადოთ.

კეთილი მგზავრობა, დასასრული!”

აირი არ შეფერხებულა, ის დროულად ეახლა მოუთმენლობით შეპყრობილ თანაცთომილელთ. სირანზე განცდილის თხრობა ისეოდენ შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ძილი არავის გახსენებია.

“უკვე ხომ ნაშუაღამევია!” ხმა აღიმაღლა რადესკუმ. “ცისკარზე სამზადისს უნდა შევუდგეთ, თქვენ კი არც წამოწვებით, კაცმა აღვირი რომ წაგიყაროთ. ეს რა უებრო ჯანაოზი გვმოწყალეობს, ლინგვისტი რომ მიგერეკებით დასაძინებლად!”

ასე გაილია ეს მოლოდინით აღსავსე დღე.

ხომალდი ელვის სისწრაფით ეძგერა სირანის ატმოსფეროს ზედა შრეებს.

“მათ საბურველი უნდა შემოგვაგებონ”, თქმაღა მოასწრო აირიმ და წამზე ხომალდისკენ ბუგრის მორუხო ღრუბლები დაიძრა. ისინი ქროლვით მოახლოვდნენ და **გლოასტერი** ერთიანად დაბურეს.

“ძრავები გათიშეთ”, განაცხადა აირიმ და ჯონ მორისიც მკვირცხლად მიჰყვა მის მითითებას.

გლოასტერი კვლავ სხვის ძალას დანებდა, მაგრამ ამჯერად არავინ იყო საფრთხის მომლოდინე. ჯონ მორისს კი ამ მისნურ ნართში უქომაგოდ გაბლარდნვამ მაინც მოჰგვარა ერთგვარი უსიამობა.

ხომალდი დონედ, მაგრამ ერთთავად ეშვებოდა სირანის ზედაპირზე. **გლოასტერი** ისე მოხდენილად მინელნელებდა დაღმა, რომ მოძრაობა მათ არც განუცდიათ.

“მოედნამდე ასიოდე მეტრია!” ამცნო ეკიპაჟს აირიმ. მაგრამ, სიდაბლის მიუხედავად, ვერაფერი გაირჩეოდა, ვერცხლოვან ბორს მხოლოდ დიფუზური სინათლე ატანადა. რამდენიმე წამში შესაგრძნობმა ბიძგმა დაფრენა მოასწავა.

“თვალსაფარ სათვალეებს მიმართეთ, თორემ თვალისჩინი წაგერთმევათ”, დაარიგა აირიმ სხვები.

მისი გაფრთხილებისამებრ სირანული დღის მცხუნვარება ანჩხლად შემოიჭრა მართვის თვალში. ისინი ერთ მოდიდო აეროდრომზე დაშვებულიყვნენ და მათ ირგვლივ დიდძალ საზოგადოებას მოეყარა თავი, იქვე იდგნენ ნოვიკოვი, ლო და მწვანე გალატუნიკიანი სირანელიც.

გლანდურამ ცისფერპლანეტელებს ერთ მოვლილ მტილში მდებარე ნაგებობა უბოძა. ზეცად აწვდილ უძველეს ხეთა ჩერო მჩხველტად აცხავებდა მარჩბივ მზეთა სხივებს, რომლებსაც დედამიწელები იმთავითვე უნდა შესწყობოდნენ.

მცირე ხანში სტუმრები ახალ კერაში დაავანეს.

ქვეშ ცისფერ-მწვანე, ხშირი მოლი იშლებოდა, მაღლიდან კი ფრთებშესხმულ დედამიწელებს ჩადას შიმელათა ჩრდილი დასთამაშებდათ. ისინი თავზე მოჟღურტულე ზარაყისებრ და უჩვეულოდ ბილან ფრთოსანთ შეჰფრფინავდნენ.

გზად უამრავ სირანელს შეეყარნენ. მათ უსალმოდ, ზოგან კი ამრეზილადაც ეჭირათ თავი. მძულვარებასა და მტრულ განწყობას დედამიწელები არსად გადაყრილან, მაგრამ ტრიუმფალური სვლაც ეს ნამდვილად არ იყო.

ზოგ მათგანს სხვაგვარად წარმოედგინა უცხო ცივილიზაციასთან პირველი შეხვედრა. მეტწილად რადესკუ და მორისი გამოხატავდნენ თავიანთ გაწბილებას.

“სირანელები ჯერ თავიანთ თავში უნდა გაერკვნენ”, აყუდნებდა მათ მაქსი. “სნეულ ვაჟთა და მამაკაცთა აღმოცენება, აღმავალი სტერილურობა, გენეტიკური ჩარევის შესახებ ცნობა და ეა-კულტის გაქარწყლება – ყველაფერმა ამან თუ არა უფრო, ისევე დიდად გააბუცა სირანელები, როგორც იმ შორეული ცისფერი ცთომილიდან ორი ურთიერთსაპირისპირო სქესის არსებათა ჩამობრძანებამ. და ამას დრო სჭირდება”.

“შენ როგორ თვლი?” ჩაეკითხა ლოს პროფესორი ფრანცი. “სირანელი დედები უკანვე არ მოითხოვენ თავიანთ ვაჟებს? მათ ხომ ძალით წარტაცეს თითქოსდა უსახური და უკურნებლად დასნებოვნებული მრავალი წული”.

ლო ფიქრმა წაიღო. “მე მესმის თქვენი”, გაეპასუხა ის შემდეგ. “მაგრამ სირანული გრძნობათა სამყარო მნიშვნელოვნად განსხვავდება მიწიერისაგან. **მწვანე ელდის მეყიდან** ბალღთა ერთობლივმა აღზრდამ ძლიერ გარდასახა უწინდელი ურთიერთობანი.

რაც სირანზე კვლავ იშობიან ვაჟები, არც ერთი სირანელისთვის მოუხსენებიათ მისი წულის სიგონჯე. მათ მკვდრადშობილებად აცხადებდნენ და სირანელ დედებსაც არასოდეს გამოუთქვამთ მათი ხილვის სურვილი. ეს არც დღესაა მიღებული.

მაგრამ თუ მოვაჯანიერეთ მამაკაცები და ჩვეული ჩასახვა აღდგა, კვლავ იმძლავრებს დედაშვილური სიყვარული, როგორც ეს, ჩემი და ჩემი დასის ვარაუდით, **მწვანე ელდის მეყამდე** იყო. და მე ამის ერთობ მეიმედება”.

“გლანდურა დამეკითხა”, თქვა ნოვიკოვმა, “შესაძლოდ გვესახება თუ არა კვერცხუჯრედთა რედუქციული გაყოფის მიღწევა და მამაკაცთა სასქესო უჯრედების ამოქმედება. ჩვენ დედამიწაზე უკვე რა ხანია ჩვენს გენეტიკურ კოდს მივაკვლიეთ;

ასწლეულია, რაც წარმატებით ვეწევით მემკვიდრეობით დაავადებათა ამოძირკვას. და რად ვერ ვცდით სირანელთა გენეტიკური კოდის მიგნებასაც?”

“საკმარისია კი საამისოდ ჩვენი საექსპედიციო აღჭურვილობა?” გაფანტა აირიმ ალექსის გულდაჯერებულობა.

მაქსმა რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკა პროფესსორ ფრანცს და ლოს უარმყოფლად თავი გაუქნია. “მაგრამ იქნებ ეს არც არიც თანაწარუხდომელი. ჩვენ ისღა უნდა დავადგინოთ, ცვლის თუ არა მუტაციები ამინომჟავის მიმდევრობას ისევე, როგორც ეს ჩვენს სხეულში ხორციელდება. და ეს... მაგრამ არა, ეს მხოლოდ უმიზნო მოსაზრებებია!” მაქსი გაცქნავდა. ის მიდმოების დიდი მორიდალი იყო. “წინაპირველად, ჩვენ ანალიტიკური მასალა უნდა მოვიპოვოთ. მიზანშეუწონელი არ იქნებოდა შემორჩენილი ცხოველებითა და მცენარეებით წამოგვეწყო”.

“ან იქნებ სულ სხვა მიმართულებით გვეღვაწა”, შეეპასუხა ნოვიკოვი. “მე დედამიწიდან დახმარებას ვგულისხმობ”.

“რომელიც ჩვენამდე მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ ჩამოაღწევს?” საქმიანად გამოედავა მორისი, მაგრამ ეს ირონიითაც ცხოვლად იყო გაჯერებული. “ასე ჩვენ შორს ვერ წავალთ. მე ფრიადაც მაჭმუნებს, რომ ჩვენზე ამოდენა იმედებია დამყარებული. ჩვენ კი არაფერი მოგვეხსენება გარდა იმისა, რომ მეიოზი მუტაციურად დაირღვა და მამრნი იმ ბევურვათ გამოსხივებას ემსხვერპლნენ. და რაკი ასეა, ნუ ვუგებთ მათ ჰაეროვან კოშკებსაც!”

“დედამიწასთან რომ შეგვეძლოს მოთათბირება!” ნაღვლობდა მაქსი. ჩვენს აქ ყოფნაზე უკვე გავგზავნეთ ცნობა და ეს არც შემდგომში უნდა შეწყდეს... მაგრამ, ლო, როგორღა იყო, შენ რომ დრეზდენიდან გამოგიხმეს?”

“ტახიონოტრანსკრიპტორით. ეს შედარებით მარტივი აგებულების მოწყობილობაა. ტახიონოტრანსკრიპტორი პირობითი სიგნალების სისტემასაა დამყარებული. როცა მას გარკვეული მოდულაციის ტახიონოიმპულსი ატანს, მასზე ერთიდან ცხრამდე ნიშანი იწყებს ციმციმს. სიხშირე იმზომ ვიწროდ შეირჩევა, რომ მხოლოდ მიმღებს მიეწოდოს იმპულსი. მაგრამ დედამიწაზე ეს მოჭარბებული ღირსება იყო: თქვენთან ხომ ტახიონოტრანსკრიპტორი არ მოეპოვებათ”.

“ტახიონები. შედარებით მარტივი აგებულების მოწყობილობა!” მორისს სიცილი მოერია. “ჩვენი ფიზიკოსები ამაზე ოდიდან აზრობენ და დღესაც ვერ ეთქმით დანამდვილებით, არსებობს თუ არა ის ტახიონები საერთოდ”.

ლო შეჭოჭმანდა, მაგრამ როდესაც ყველას მწვავე ცნობისმოყვარეობა შეატყო და ნოვიკოვმა შესთხოვა: “ნუ გვაღონებ, მოგვითხარი ყოველივე, რასაც ამ მითიურ ნაწილაკებზე უწყი!” – მან ამოოხვრით მოხარა ქედი. “შეგახსენებთ, რომ მე არც ფიზიკოსი და აღარც ინჟინერი გახლავართ. მარტოოდენ საპანსიონო სახელმძღვანელოთა სიბრძნეს თუ გადმოგცემთ!”

“მოჰყევ, ხომ ხედავ მოთმინება გვიწყდება”, აზავთდა მორისი.

ლო ჯერ გაირინდა და მერე მოშურნედ თხრობას შეუდგა: “ტახიონები ელემენტარული კოსმოსური ნაწილაკებია, ნეიტრონებისებრ მრავალმხრივი, მაგრამ წარმოუთქმელი სისწრაფით გავრცელებადი. ისინი უთავბოლოდ დაძრწიან სამყაროში, ყველა სხეულის გარღვევითა და უჩინრად. მხოლოდ ალაგ-ალაგ ხერხდება მათი ნატერფალის გამოვლენა.

ჯერ კიდევ **მწვანე ელდის მეყამდე** მიიჩნიეს, რომ ტახიონები ფოტონების ანტი-სამყაროს შეადგენდა. პირიქით რომ ვთქვათ, ჩვენი ფოტონები ანტი-სამყაროში ტახიონებს წარმოადგენენ და მათი სიმშვიდის მდგომარეობა სინათლის სიჩქარეს უტოლდება.

ჩვენს სამყაროში შემოსევისას ტახიონებზე მატერიის სხვა სახეობებთან კონტაქტი არანაირად არ ზემოქმედებს, ისინი ელექტრომუხტს მოკლებულია. თქვენთან მე რომელიღაც გამოცემაში გავეცანი, რომ ნეიტრონებისთვისაც მსგავსი რამ არის დამახასიათებელი. სახეზე ნეიტრონებია თუ ანტი-ნეიტრონები, ამას მხოლოდ მათი სპინის გეზი ნათელყოფს. მისი სიდიდე ჯერ გაურკვეველია. იგივე ხდება ტახიონებთან მიმართებაშიც.

თუ ისინი ფოტონების ანტი-სამყაროდ წარმოგვიდგება, შესაძლოა მათი ერთიან სავიბრაციო სიბრტყეზე თავმოყრა და მართვად სხივთკონად გამოყენება, როგორც ლაზერული სხივებისა. ეს სირანელმა სწავლულებმა რვაასი წლის უწინ აღმოაჩინეს. დღეს ჩვენ უკვე არ ვფლობთ ამის თეორიულ საფუძვლებს, მაგრამ შემონახულ იარაღთა წარმოებასა და ურიოში ნახშირბადისაგან კრისტალური მესერის მეოხებით ტახიონოსხივების შეკონვას კვლავ განვაგრძობთ. და ეს არის ციფრული კოდით აღკაზმული აპარატი, რომელიც საინფორმაციო იმპულსებს მიუწვდომელი სიცქვიტით მიმოგზავნის სამყაროში”.

“ბოლომდე ამის ჩახვდომა ძნელია”, აღიარა ჯონ მორისმა. “მაგრამ ეს ხომ თვალსაჩინოა: თქვენი ტახიონოტრანსკრიპტორი გამოსადეგია და შენც მისივე გამოყენებით მოგიხმეს დედამიწიდან”.

“სირანიდან რომ ეს ტახიონოტრანსკრიპტორები ჩვენთან გაიგზავნოს?” სჯიდა ლუტოლსკი.

“და ამ სამსახურს ჩვენი სირანელი დები გაგვიწევენ!” აღმაფრენით დასძინა რადესკუმ. “თუ გავაწყვეთ, ეს ხომ საარაკო იქნება. მაგრამ ჯერთავად ის სათოლმაჩო კომპიუტერია ასაგები, მათაც რომ ლოს მსგავსად არ მოუწიოთ ინტერლინგვას შესწავლამ”.

გულოვან სირანელთა დედამიწაზე წარვლენა? ნოვიკოვი დანაფიქრი ბოლთას სცემდა. ის ლოს პირისპირ შეჩერდა. “რა დრო გასტანა შენმა გაფრენამ სირანიდან დედამიწაზე?”

“თქვენი დროით სამნახევარი წელი”, არ დაახანა ლომ. “ფრენის სიჩქარე ერთი მესამედით აღემატებოდა სინათლისას. მე კი უწყვეტლივ ჰიპნოგრილძილში ვიყავი”.

“ესეც ვერაფერი გამოსავალია”, იმედი გადაეწურა ნოვიკოვს. “სანამ სირანელი მცნევარნი დედამიწას მიაღწევენ, ჩვენც მოვიტოვებთ მანძილის მეოთხედს...”

“გამოდის, ხსნა მხოლოდ თავსა და სირანელ მეცნიერთა თანადგომაში უნდა ვეძიოთ”, დაასკვნა მორისმა. “დედამიწიდან მოწყალების მოლოდინში დროც უქმად ჩაივლის”.

“ეს ასეც არის!” დაჰყვა მის რჩევას ნოვიკოვი. “მაგრამ ჩვენ ეს კარგად უნდა მოვიფიქროთ, სირანზე ხომ მხოლოდ ერთი წელი დაგვეყოფა.

ზოგი რამ მე უკვე დავსახე:

მაქს ფრიდლენდერი და პროფესორი ფრანცი ბიოლოგიურ და გენეტიკურ გამოკვლევებს წარმართავენ. გზები რომ არ დაექსაქსოთ, ლოც მათ განეკუთვნება.

მეორე გუნდი ჯონ მორისის, აირისა და ჩემგან უნდა შედგეს, რომელსაც ჯონი უწინამძღვრებს. ჩვენი ამოცანა ანტიგრავიტაცია და ზესინათლებრივი სიჩქარე იქნება. აირი ასტრონომიულ მიღწევებსაც გაეცნობა.

ხოლო მესამე ჯგუფი უმოკლეს ვადაში ტრანსლატორს შეიმუშავებს. ლოს მეოხება აქაც უსათუოა”.

ლო ფიქრმორეული მდუმარებდა. “იქნებ ბიომატრიქსიან ანალოგიურ გამომთვლელს მივენდოთ. და ეს იოლადაც გაეწყობა, თუ **გლოასტერზე** ინტერლინგვას ლექსიკონი მოიძიება”.

“დიახ, ის თან გვაქვს”, ბრძანა რადესკუმ. “მე ისღა მაწუხებს, რომ დედამიწა მიუწვდომელია...”

საძილედ ყველა დაავლებული დაიფანტა. სარკმლები ფართოდ დაეღოთ. ფოთოლთა შრიალი დამაცხრომლად ჩაესმოდათ მისავათებულ სტუმრებს. შორიდან კი დროდადრო ძილმორეული ფრინველის მტკბარი გალობაც მოისმოდა. შუქსხივების ბრწყინვას სანათურებზე ჩამოშვებული ჰაერგამტარი ნაქსი ამკრთალებდა. არც უცხო ხმიანობა, არც დიდქალაქური შფოთი აფრთხობდა დედამიწელთა გულისძილს, რომელთაც თავიანთ ცთომილთან ოთხნახევარი სინათლის წელი აშორებდათ...

ლომ ლუტოლსკისა და რადესკუს საკვანძო სამრეწველო ადგილებზე წაძღოლა შესთავაზა. ამას ორივე აღტაცებით შეხვდა, მათ ხომ პირველად მოუხდებოდათ სირანულ გარემოში საქმიანობა. მაგრამ ალექსი მხოლოდ ჭოჭმანით დაყაბულდა ლოს: ის ფრთხობდა, რომ სირანული საკვები მაწყინარი გამოდგებოდა მის ქვეშევრდომთათვის. ამაზე ლომ მას შეახსენა, რომ მიწიერი სანოვაგე მისთვის მცირედაც არ ყოფილა მავნებელი.

მალე მათ სირანის აკადემიის სწავლულთა კერას მიაღწიეს, რომელიც გარეგანად წაკვეთილ კონუსს წააგავდა. ზევით ტელესკოპი თავსდებოდა აბასა და ეას სათვალთვალოდ, ძირს კი საწარმოები და ცნობათა ცენტრალური ბიურო იყო განყწობილი, საიდანაც სირანის სხვა მომცრო საწარმოებთან და კვლევით დაწესებულებეთან ნიადაგი კავშირი ჰქონდათ გაბმული.

კალომ დედამიწელებს გულითადად მიუძღვნა სალამი თავის საუფლოში და სასტუმრო ფლიგელში აუძღვა.

ცხოველმყოფელმა შხაპმა უზომოდ აღატყინა ლუტოლსკი და რადესკუ. ლომ ისინი მოპყრობის წესებს აზიარა, მჩქმეტ ნაკადთან სურნელოვანი ნივთიერებებისა და მცენარეული ექსტრაქტების გაჯერებაც შეასწავლა. მისი ხარისხი ფსიქიკურ თუ ფიზიკურ დაღლილობაზეა დამოკიდებულიო, – განავრცობდა ის.

მათ პირველ სირანულ ზარმელსაც გაუღეს გემო. რადესკუს გამორჩევით ჟალი გამჭვირი კუბურები ესიამტკბილა, რომლებიც ენაზე სასიამო სიგრილით ლღვებოდა. მათ მოქარვისფრო ცილოვანი სითხეც ასვეს. ცილა სირანზე სინთეზურად მზადდებოდა, მაგრამ ეს სასმელი ბამბასებისაგან მიიღებოდა. ლოს თქმით, ბამბასი მთის ვაცის მგვანი ცხოველი იყო, რომელიც მსგავსად სირანელებისა პართენოგენეზურად მრავლდებოდა. ესეც უთუოდ შეგნებული ზემოქმედების ნაყოფი იყო, ამსახად მათი მოშენება უფრო სარფიანი იქმნებოდა. საკლავად ბამასების მომრავლება ადრითგანვე აღიკვეთებოდა. საამისოდ არც მგალობელი და ნაირფერადი ფრინველები ემეტებოდათ. მაგრამ კერძები სირანზე ერთფეროვანი მაინც არ იყო.

ნასამხრალზე კვლავ ტრანსლატორებზე განაახლეს ბჭობა.

“მიკროფონიანი მიკროგამომთვლელი საუკეთესო ხერხია”, სჯიდა რადესკუ. “მთავარია გადმოცემის სიმკვეთრე და არა სიტყვათა რაოდენობა”.

“ჯერ ორ ათასამდე სიტყვით შემოვიფარგლოთ”, მხარი მისცა მას ლომ. “მაგრამ ტექნიკური და საბუნებისმეტყველო განსაზღვრებათა გადმოსაცემად ამას რიცხვები და სხვა მათემატიკური სიმბოლოებიც უნდა დავურთოთ”.

კომპიუტერი, რომელიც მათ გადაეცათ, საგრძნობლად არ ესატყვისებოდა ცისფერცთომილურს. მატრიქსის სახით ბიოლოგიური ელემენტები იყო გამოყენებული – ნევრონებისმაგვარი უჯრედოვანი სტრუქტურები, რომლებსაც არა ცხოველები, არამედ

მაღალგანვითარებული მცენარეები წარმოშობდნენ. მის გამოყენებით ელემენტების დედამიწელთათვის წარმოუდგენელი მინიატიურირებაც მიიღწეოდა.

სანამ რადესკუ ინტერლინგვას ლექსიკონიდან წვითა და დაგვით ორ ათას სიტყვას შეარჩევდა, ლო და ლუტოლსკი საწარმოო-ტექნიკურ მხარეს მიექცნენ.

ლუტოლსკი ღრმად ნიადაგის ქვეშ მრავალთმრავალი სანიმუშოდ კლიმატიზებული საამქროს ხილვამ შეაცბუნა. უდიდეს, ნათლად გასხივოსნებულ სადგომებში მხოლოდ თითო-ოროლა სირანელი საქმიანობდა.

მისთვის აქ ყველაფერი გაუგებარი იყო. მაგრამ ზოგი ხელსაწყო მიწიერს ჰგავდა. აგერ მას თვალში ხვდა ელექტრონული მიკროსკოპის ერთი რომელიღაც სახეობა, აქ კი ის ჩანახისებრი კონსტრუქცია ულტრაცენტრიფუგის მსგავსი რამ იქნებოდა.

რას გახდებოდა ლო? შეუძლებელი აღმოჩნდა სირანული ცნებების მკაფიოდ და გასაგონად გადმოტანა. რა უნდა ეღონა ლუტოლსკის სიტყვებით "ანტიგრავიტრონული იექტორი" ან "ენერგოსტაბილური პლაზმონი"?

მაგრამ ამაში ის სწრაფად გაერკვა: სირანზე ენერგიას ცთომილის სიღრმიდან ეზიდებოდნენ.

ლუტოლსკი დაღმა გუმბათებს დააცქირეს და ერთ-ერთი სარქველი მყისიერად განზე გადააცურეს: გარკვევით გამოჩნდა სირანის თხიერ, მხურვალე შუაგულამდე ჩაწვდენილი ბაგირები. ეს დედამიწაზეც იყო მიღებული, მაგრამ არა ძირეულ წყაროდ ენერგეტიკული მოთხოვნილებების დაკამყოფილებისა. "სითბური ენერგიის ელექტრობად გარდაქმნა", სხარტად აუხსნა ლომ. ტექნიკოსები აქ მხოლოდ მეთვალყურეობდნენ, ფიზიკურ შრომას არაფერი მოითხოვდა. მაგრამ ტრანსლატორის აგება უამისოდ ვერ იქნებოდა.

ბიოლოგიური მატრიქსელემენტების მონტაჟი დიდ შეხებით თავდადებას საჭიროებდა და თან სტერილურობის მკაცრი დაცვით უნდა წარმართულიყო.

ლუტოლსკი სირანელების მოცადობამ და წყობიერებამ მეტად მოალხინა. ისინი ხან კისკისებდნენ, ხან ლოს გადაუჩურჩულებდნენ სირანულად და ხანაც კომისარს შეათვალიერებდნენ ფარულად. უკვე ორიოდ დღეში ისინი ლუტოლსკისთანაც შეკავშირდნენ. ის გრძნობდა, რომ ტექნიკოსებისთვის ეს დანაკისრი მძიმე და საუცხოო იყო, იქნებ იმიტომ, რომ სირანულთან ერთად მათ ცისფერპლანეტელთა საკმაოდ მოუქნელი მექნიზმებითაც უწევდათ სარგებლობა. ლუტოლსკისთან სირანელი დების შეწყობამ ისე წასწია საქმე წინ, რომ შვიდიოდე დღეში შვიდი ტრანსლატორისთვის მხოლოდ სიტყვიერი მარაგი იყო დასართავი. საწარმოო-ტექნიკური მხარეც ამით დასრულდა და რადესკუს ჯერიც დადგა. მანაც ნაბრძანები სასწრაფოდ შეასრულა. და ლოს აწ ისღა დარჩენოდა, ინტერლინგვას სიტყვებისთვის სირანული შეესატყვისებინა.

"ინტერლინგვაზე ეს ტრანსლატორები თქვენი და სირანულზე ჩემი ხმით უნდა ამეტყველდნენ", საზეიმოდ განუცხადა მან რადესკუს. "და ამას დილიდანვე უნდა მოვყვეთ!"

"ეს მართებულად არის ჩვენი ხვედრი; სირანული ასოებით პირველი ტექსტი ინტერლინგვაზე შენ მიერაა შედგენილი, რომელიც მე ამოვიკითხე ლუტოლსკის შემწეობით", ენამარჯვობდა რადესკუ.

"როცა ბარათს ვწერდი, მწამდა, რომ უცილოდ მოიძიებოდა ვინმე საზრიანი, ვინც მას ამოუცნობად არ დაეხსნებოდა", ღიმილით უპასუხა ლომ. "მაგრამ სირანზე რომ ორ ასეთ ექსპერტთან ერთად მალე ტრანსლატორს შევქმნიდი, ამას ვინ იფიქრებდა".

"თავის დროზე ამას ვერც ჩვენ წარმოვიდგენდით დუნაის დელტაში", დასძინა ლუტოლსკიმ.

მატრიქსზე ხმის ჩაწერა დიდხანს გრძელდებოდა. რადესკუ არაერთგზის შეფერხდა მაცხოველებელი შხაპის მისაღებად. ხელსაყრელი იყო მათი მოვალეობების გამიჯნულობა, რადესკუს თავისთვის მიწიერი ნაწილი გადაჰქონდა მატრიქსზე, ლოს კი მისგან განკერძოებით სირანული.

არც ლუტოლსკი ცუდმავლობდა. მას ტრანსლატორი კომფორტულად მოსაპყრობი უნდა შეექმნა და სირანელთა დახმარებით ამას ხაფადაც გაართვა თავი.

მესამე დღის მწუხრის ჟამს საქმე მთლიანად დასრულდა.

“და ამას იქით?” იკითხა რადესკუმ სერობისას.

“ამას იქით?” შეღონდა ლუტოლსკი. “ჩვენ ჩვენი აღვასრლეთ, სხვა სირანელების საურავია. მომდევნო სამ დღეში პირველი შვიდი ტრანსლატორი მზად იქნებაო, აღგვითქვეს”.

ყველა მომლოდინედ განეწყო. განვლო თუ არა სამმა დღემ, აღთქმისამებრ, ცისფერპლანეტელებს სირანელი ტექნიკოსები ესტუმრნენ და მათ შვიდი მართკუთხა, თეთროვანი კოთხო განუწყვეს წინ.

მოწყობილობის ერთ გვერდზე ლითონის ნატიფი ნაქსი ბრჭყვინავდა ვერცხლოვნად. ეს სამეტყველო მხარე იყო. მეორე გვერდიდან კი დენსადენი მილაკი გამოიყოფოდა, რომელიც ყურმილისა და ლარინგოფონის უმსუბუქეს ნაერთს ქმნიდა.

“საყურისები ერთმანეთის დაუბრკოლებლობას უზრუნველყოფს და რამდენიმე თანამოსაუბრესთან ერთდროულად გაიბმება საუბარი”, გააშუქა ლომ.

მოწყობილობები უმალვე გამოსცადეს. სირანელებმა ტრანსლატორები დედამიწელებს გადასცეს და მათ პირისპირ დასხდნენ. მალე გაცხოველებული ბაასიც გაიბა. შესაქცევარი იყო, სირანელთა ბაგეთაგან რომ რადესკუს მქუხარე ხმა მოისმოდა. მაგრამ ცისფერპლანეტელებისაკენ მიმართულ ყოველ კითხვასაც ხომ ლო ეხმაურებოდა.

რენდამ ამ ჯერზე ყველა ცისფერცთომილელი მიიწვია მაღალი საბჭოს სხდომაზე, რომელსაც სირანელთაგან მხოლოდ თავად, კალო, სორანდა და ფლორი დაესწრებოდნენ. ამ სიმცირეს უფრო ნაყოფიერი უნდა შეექმნა ურთიერთობა.

ლუმბასებრ მაგიდას ლაღად შემომსხდართ ნედლი ხილის გამონაწური უთავაზეს.

რენდამ თავდაპირველად დედამიწელები მოიკითხა და სირანული ბუნებით მათი გატაცებაც გამოიწვლილა. შემდგომ კი მათ ოლა ტრინგისა და კატასტროფის შესახებ ჩანაწერებზე ჰკითხა აზრი.

ნოვიკოვმა, ვისაც ეს მაქს ფრიდლენდერსა და პროფესორ ფრანცთან დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი, მოსქო სათაბახე მოიმარჯვა. “უწინარეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ გამოცხადებული მაღალი ნდობისათვის”, წარმოთქვა მან. “გვერწმუნეთ, ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ესოდენ დიდ პატივს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ნაბოძები მასალის განხილვის შედეგად ასეთი კითხვა წარმოგვეშვა: განელდა თუ არა მამრთა გადაგებიდან რადიოაქტიური გამოსხივება, გამოიღო თუ არა ცდამ რამეგვარი, თუნდაც მცირე, თუნდაც უმნიშვნელო ნაყოფი?”

რენდას სახეზე განცვიფრება აეხატა. “თუ თქვენ სირანის ორბიტაზე **დიდი ცდის** ზეგავლენას გულისხმობთ, დადებითად უნდა გიპასუხოთ”, მიუგო მან ნოვიკოვს

კალოსთან გასაუბრების შემდეგ. “ჩვენ ვარსკვლავთა სასურველი დაგვერდიგვერდება ზედმიწევნით ვერ იქნა გათვლილი, მაგრამ უწინდელთან შედარებით სირანის ჰავა საგრძნობლად გაზომიერდა. ქარტეხილებმა და ზღვის იავარმქმნელმა მოქცევებმა მკვეთრად იკლო. ტოპურის გარესადგურად გაშენებამ კი ბევრად სრულჰყო ჩვენი გამაფრთხილებელი სისტემა. მაგრამ ელექტროსადგურები და ინდუსტრიული საწარმოები დღესაც მიწისქვეშეთებადაა განლაგებული. და გაღებულ მსხვერპლთან შედარებით ეს ხომ არაფერია!” რენდამ მდუმარედ თავი დახარა.

ნოვიკოვს გული მოულბო გლანდურას აზვირთებულმა პირმა. ის მცირე ხანს გაცვრენილი იჯდა სხვათა შემცქერი, შემდეგ განაგრძო: “დედამიწაზეც შეიმჩნევა, რომ ვაჟთა სიკვდილიანობა ასულებისას აღემატება, რომ ქალები უფრო მაღალ ასაკს აღწევენ. იქნებ ეს ერთიანი ბიოლოგიური კანონია მთელს სამყაროში?”

პროფესორმა ფრანცმა ხელი ასწია. გლანდურას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ღრმად პატივცემული დოსტაქარი სიტყვას ითხოვდა. ის ამ საკვირველების შესაცნობად ლოს დაეკითხა, რაზეც ოდნავ გაიღიმა და დედამიწელს გულმარდად თავი დაუკრა.

“მსურს შევიტყო, თუ რა არის ცნობილი სირანის კატასტროფამდელ მამაკაცთა კანის შესახებ”, იკითხა მან. “ესადაგება თუ არა მისი კონსისტენცია ქალთა კანისას? სწორედ კანი გახლდათ პირველი თავსატეხი, რომელსაც ფრაუ ლოს ოპერირებისას წავაწყდი”.

“მე მედიკოსი გახლავართ და ნება მიბოძეთ მოგახსენოთ”, გამოეპასუხა მას ფლორი. “**მწვანე ელდის მეყიდან** სხვაობა მათ შორის არავითარი იქნებოდა. სხვაგვარად კუალკალი ხომ ჰიპნოგრილძილს ვერ მიეცემოდა. მაგრამ მას აქეთ მამაკაცის კანი ძლიერ წახდა. მისი ყველა ჯირკვალი, რომლის გამონაჟონი ინფიცირებას აფერხებდა, დაკორძდა. სისხლში შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებათა წარმოქმნაც შეწყდა. და ეხლაც იგივე შეინიშნება. ეს ხომ უსაზარლესი ბედნავსობაა! შეღერებას თითქმის ვერც ერთი ვაჟი განიცდის. პირველი თაობიდან, რომლითაც ორმოცდაათი წლის წინათ მამაკაცთა შობადობა განახლდა, აქამდე მხოლოდ ოთხმა მოაღწია”.

“და ბოლოს შობილნი?”

ფლორი გაწითლდა. “ამაში მე არა ვარ ჩახედული. თქვენ იცით, ტანდუმ...”

პროფესორ ფრანცს დიდად ეჩოთირა თავისი კითხვა. გზნებით თავდაკარგულს გამორჩენოდა, რომ ფლორი “შეთქმულებას” თავქალობდა და ეს წლები განაპირებული იყო. ამ დაუხედაობის გამოსასყიდად ფრანცმა საჩქაროდ მოზიდა სადავე: “როდის მოგვენახულება ვაჟები? და”, – ის წამით შეყოვნდა – “ცხედართა გაკვეთის ნებას თუ დაგვრთავთ? კვლევისთვის ეს აუცილებელია”.

ფრანცი ატყობდა, რომ მისი თხოვნა ყველას მიუღებელი მოეჩვენა. მათ ძრწუნვისაგან სახე შეშლოდათ და ერთმანეთში ხმამაღლა ალაპარაკდნენ. რენდამ აზავთებული კოლეგები დააცხრო. “ჩვენთან განსვენებულთა ხელშეუხებლობა ოდითვე ზნედაა დადებული, მაგრამ თუ ამას საჭიროება მოითხოვს...”

ამრიგად, სირანზე არც არსებულა გვამის გაკვეთის წესი, გაიფიქრა პროფესორმა ფრანცმა, და როგორ უნდა გამორკვეულიყო, მამაკაცთა სხეულში რომელმა ორგანომ რა ცვლილება განიცადა?

“გვერდი ვერ აექცევა სირანული ფაუნის გამოკვლევასაც”, მოითხოვდა მაქსი. “ნუთუ თქვენთან მიწისქვეშა მოახოებში არავითარი ცხოველი არ ბინადრობს? იქ ხომ ეას სხივები ვერ ჩაატანდა. დედამიწაზეც ზედაპირის ქვეშ მრავალი ძუძუმწოვარა ცხოველი მკვიდრობს, თუნდაც მუდოები და ბრუცები”.

ფლორი კალოსა და რენდას მღელვარედ გამოესიტყვა. “დიახ, ჩვენც გვყავს მსგავსი ძუძუმწოვრები. მაგრამ ისინი ზედმეტად მფრთხალნი არიან და იშვიათად თუ მოგხვდებათ თვალში. ჩვენ არასოდეს განგვიგულვებია მათი შესწავლა. ეს მიწისქვეშა ცხოველები ქერქის ზედა შრეში სამიოდე მეტრის სიღრმეზე ბუდობენ და სხვდასხვა სახის ფესვებითა და მატლებით საზრდოობენ. **მწვანე ელდის მეყმა** ისინი სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადახვეწა. ნიადაგი იქ უფრო ფხვიერია და ჩიბის გათხრაც უფრო ადვილი. ჩვენ მათ პენდურებს ვუწოდებთ. დღესდღეობით მე ისინი არც კი მინახავს”.

ამ პენდურებს შესაძლებელი უნდა შეექმნა პირველად ყოფაზე მრავალმეტყველი ცნობების მოპოვება. მაქსსაც აღეძრა ამის იმედი, მაგრამ სირანელების უეცარმა აქოთქოთებამ ის ერთგვარად გააცბუნა. მაქსი კითხვის თვალით მიუბრუნდა ლოს.

“პენდურები ყველასათვის ბილწი ქმნილებებია მათი მოგრძო, უბალნო რიკის გამო”, განუმარტა ლომ უჩუმრად. “და რომ აცხადებ, იქნებ ისინი მყოფობის რაგვარობამ გამოიხსნაო ეას რისხვისაგან, საკმაო საბაბია საენაოდ. ეს ისეთივეა, თქვენი კაცობრიობის ბედიღბალი რომ ყურბელებზე იყოს დამოკიდებული, რომლებიც შენ ერთთავად გძაგდა”.

მაქსს ჩაეღიმა. მას ესიამა, რომ ლოს ეს წვრილმანიც ახსოვდა.

პროფესორმა ფრანცმა ფლორის სტერილურ დათა ერთობლივი გამოკვლევა სთხოვა. იქნებ მათი სტერილურობა სწორედ საუკუნეთა მანძილზე განუხორციელებად მეიოზს ერწყმოდა.

ხანგრძლივი თათბირობის შემდეგ თანხმობა ამაზეც მიღწეულ იქნა.

სირანის მაღალი საბჭოს დასტურით დედამიწელები ორად გაიყვნენ: ბიოლოგიურ ჯგუფად, რომელიც პროფესორი ფრანცის, მაქს ფრიდლენდერის, ვოლდემარ ლუტოლსკისა და ლოსგან შედგებოდა, და ტექნიკურ-ფიზიკალურ ჯგუფად, რომელიც ალექს ნოვიკოვის, ჯონ მორისის, აირი კუოლაინენისა და იონ რადესკუსაგან ჩამოყალიბდებოდა. მეორე ჯგუფს უმთავრესად ანტიგრავიტაცია, კატასტროფამდელი სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება და ტახიონოტრანსკრიპტორი უნდა მოეცვა.

გლანდურამ დარბაზობის დამლევს შენდობა ითხოვა. “ყოველივე ამის ერთპიროვნული გადაწყვეტა მე არც ხელმეწიფება და არც მსურს. საამისოდ მაღალი საბჭოს სხდომაა მოსაწვევი, რა დრომდეც თქვენ სირანულ სადაგს შეგეძლებათ გაეცნოთ”.

სადაგი სირანზე! საიდან უნდა შესდგომოდნენ ამ თავშესაქცევ მოგზაურობას? სირანის თბოელექტროსადგურები ლუტოლსკის უკვე შემოევლო და თანაცთომილელთათვის ამაზე ვრცლადაც მოეთხრო. მაქსის თხოვნა რომელიმე ისეთ პანსიონს სწვევოდნენ, როგორშიც ლო აღიზარდა, არავის შეუქმნია საცილო. აირიმ და პროფესორმა ფრანცმა კი იმ ბამბასებისა და გასაოცარი მცენარეების ხილვა გადაწყვიტეს.

მაგრამ უმთავრეს ყოვლისა: როგორ ცხოვრობდნენ სირანელები, როგორი იყო შინაგანად მათი მადესებრი სახლები და რას წარმოადგენდა ის სირანული “ოჯახი”, რომელზედაც მათ სულ მცირე რამ მოეხსენებოდათ.

“მიკროპლანერობუსი”, როგორც ეს ლომ ენამახვილად გადმოთარგმნა, ქროლვით მიიწევდა სირანგლადურის ქუჩებში. ისინი ჯერ ერთ რომელიმე სავანეს მოინახულებდნენ, შემდგომ კი საბავშვო ბაღს და სამხრეთის ზღვასაც, რომელიც ორასიოდე კილომეტრის სიშორეზე მდებარეობდა. იქ მათ ბამბასები და სატრანსლატორო ბიომატრიქსის მცენარეები უნდა ეხილათ.

“სად ინებებდით შეჩერებას?” იკითხა კალომ რამოდენიმე წუთში.

“რას ბრძანებთ”, გაოცდა მაქსი, “ასე ვინიცობაზე ხომ ვერ დავფრინდებით?..”

“რატომაც არა!” ღიმილით შეეპასუხა ლო. “დედამიწაზეც ხომ ისევე მოიქცეოდით: დღე მშვიდობისა, ფრაუ მიულერ, ეს ჩვენი უცხოცთომილელი სტუმრები არიან! გთხოვთ თქვენს სამყოფელში შეგვაცქიროთ. მთელი სირანგლადურისთვის ცნობილია, რომ დღეს თქვენ სამწიროდ ხართ გამოსული”.

“და თუ ეს ასეა”, კმაყოფილებით შენიშნა რადესკუმ, “რად ვაყოვნებთ? ვგონებ, ის სამკვიდრებელი არაფრითაა ურიგო”. მან მახლობელ საქცევთან ანაყრდენი ნაგებობისკენ გაიშვირა თითი, რომლის პირმაღებიდან ნაირფერადად მოთინათინე მზის ქოლგები მოჩანდა.

მიკროპლანერობუსი მოხდენილი რწევით შეაყენეს. ყველა გადმოვიდა და კალოს მიმდევრობით შესასვლელს მიაშურეს. მინისებრი რხევადი კარები თვითშეიღო, რაზედაც დედამიწელებს წარბიც არ შეურხევიათ. მაგრამ ტალანში მიმავალთ გაოგნებით აუცეცდათ თვალები. მათ წინ წარმტაცი ხილნარი გადაშლილიყო, სირანული შალდაყით და ჩირგვებით, რომელთაც თავს ციცქნა ფრთოსანნი დაჰქარქარებდნენ. წრიული დარბაზის ბოლოს – სირანელ არქიტექტორები, როგორც ჩანდა, ირგვლივ ფორმებს ანიჭებდნენ უპირატესობას – ოთხი სწორკუთხა, ფართო ღიობი გამოჩნდა.

აღმამზიდებია, გაიფიქრა ლუტოლსკიმ, მაგრამ როცა მიადგნენ მათ, იგრძნო, რომ მოტყუებულიყო. შიგ არაფერი აღმოჩნდა, რაც საწეველასთვის ანაც პატერნოსტერისთვის იქნებოდა ნიშანდობლივი. ეს იყო მხოლოდ მართკუთხა, ღრუ ქანქანა.

კალოს მითითებით დედამიწელებმა ჯანგულოვნად შეაბიჯეს მათთვის უცხო მოწყობილობის ხახაში. კალომ გვერდზე თითი ახლო ვიწრო თამასას და ისინი საყრდენ ფილასთან ერთად აღმა აშურდულდნენ. შეჩერებისას არავითარი ბიძგი ან უამური შეგრძნება არ შეინიშნებოდა! გასასვლელი მართკუთხედის მიღმა მომღიმარი სახის თმაშევერცხლილი სირანელი იდგა. მან სტუმრებს გამობრძანება სთხოვა.

“ანტიგრავიტაციული ფილებია, როგორც ტოპურის ანგარში”, განმარტა ლომ.

ლოს თანხლების გამო მათ ტრანსლატორები არ წამოუღიათ. და ლომაც არ დაახანა მათთვის დამხვდურის წარდგენა: “ეს სარო გახლავთ, დამსახურებულ დედაბერთა წრის მოღვაწე”.

ვანი სისადავითა და მიზანშეწყობილობით გამოირჩეოდა. სავარძლები მიმზიდველად იყო ჭერ-კედლის ფერებს შეხამებული, ფარდაგები და ყვავილოსანი მცენარეები მით უფრო აღრმავებდა ოთახთა სიმყუდროვეს. არსად ჩანდა წიგნის ყაფაზები.

სარო არ მალავდა თავის ცნობისმოყვარეობას, მეტადრე მას აირი იზიდავდა. “აქ ჩემს ქალიშვილთან და ტოლთან ერთად ვცხოვრობ”, წარმოთქვა მან სირანულად. “მაგრამ ჩვენთან ეს იშვიათობაა: პანსიონიდან გამოსულნი საკუთარ გზას ადგებიან და თანადასთან განაგრძობენ ცხოვრებას”.

“არის თუ არა ეს ტრფიალისა და მიჯნურობის მსგავსი?” ჰკითხა მას მაქსმა.

ლომ დიდხანს ისაუბრა, სანამ სარო ძირეულად ჩასწვდებოდა მის კითხვას. “დიახ”, იყო პასუხი, “მაგრამ ტრფობა თქვენთან სხვა გრძნობებიდანაა გამომდინარე, როგორც ეს ლოსგან შევიტყვე. სირანზე უკვე პირველი გლანდურას დროიდან თანაცხოვრობდნენ ოჯახებად. ეს არის ასულთა, დედათა და დიდედათა თანაარსებობა, რომელთათვის საზოგადოებრივი გადასახადებიც ერთიანია...”

ლომ შემცბარი თანამგზავრები გაარკვია, რომ ფულადი სახსრები არც სირანზე მოიპოვებოდა, არამედ მის ნაცლვად საზოგადოებრივ ჩეკთამაგვარი ერთეულები იყო

შემოღებული. ეს **მწვანე ელდის მეყამდეც** ყოფილა დამკვიდრებული, პირველადი მოხმარების ნაწარმთან მიმართებაში.

“ეს ყველაფერი გასაგებია”, მიუგო მას მაქსმა, “მაგრამ წიგნებს რომ ვერსად ვამჩნევთ?”

“სირანზე მათი პირად მფლობელობაში შენახვა არ არის მიღებული. და არა მხოლოდ წიგნებისა, აქ არც სხვა წერილობითი ჩანაწერები გააჩნია ვისმე. სირანზე ხომ სპეციალური ლიტერატურაღა ჰპოვებს განვითარებას. მწერლობა აქ თითქოს წარხოცილია საზოგადოებრივი ცნობიერებიდან, ეასა და მის შეწყალებაზე შექმნილ ჰიმნებს თუ არ ჩავთვლით”.

“და რა ზომებს მიმართავთ, თუ სირანისკენ ქარაშოტი მოისწრაფვის?” პრაგმატულად განწყობილიყო ლუტოლსკი.

“ამ დროს ყველა მოსახლე თავის მეორად საბინადროს აფარებს თავს. ანტიგრავიტაციული ფილებით ეს წამიერად ხორციელდება. ჩვენი სამკვიდრო მიწისქვეშეთები პიროვნული გემოვნებითაა მოწყობილი. მაგრამ იქ ჩვენ მხოლოდ ორიოდ დღის დაყოფა გვიხდება”.

კალომ თავის ქრონომეტრს დასცქირა. ნოვიკოვი მას უმალვე მიუხვდა და წამოდგა.

ალექსმა მოსაგონრად ფერადი სურათი გაუწოდა საროს, რომელიც მას სტუმრობისას გადაეღო. სირანზე ეს დიდი სიახლე იყო, აქ მხოლოდ შავ-თეთრ ფოტოს იცნობდნენ.

სარომ ნოვიკოვს მადლობა გადაუხადა და სტუმრებს გულთბილად დაემშვიდობა.

“კიდევ სხვა სახლი?” მაგრამ ეს თავაზიანობის ლიტონი კითხვაღა იყო, რადგან პანსიონში მათ უკვე მოელოდნენ.

“პირწავარდნილი პატარა ლოლიტები!” უთხრა რადესკუმ პროფესორ ფრანცს, როცა ისინი მიჯრით გამწკრივებული ასობით მალხაზი სირანელის გარემოცვაში მოექცნენ. ისინი ისევე ლირფად და გულოვნად ონავრობდნენ, როგორც დედამიწელი ნორჩები წაიონბაზებდნენ მსგავსი სეირისას. საქმე კი ის იყო, რომ ამ ცისფერპლანეტელი სტუმრების მობრძანებით სწავლა შეწყდა.

მასწავლებლებიც მათ საზეიმოდ შეეგებნენ და ზევით აუძღვნენ. პანსიონის შემოვლაზე ყველა საკონფერენციო დარბაზში მოზღვავდა და ცნობისმოყვარეობა აქაც შეუნიღბავი იყო.

ალექსს ეს სულისკვეთება კეთილად ენიშნა. “მაღალი საბჭოს განცხადებებს ისინი ნაკლებად დაუფეთებიათ, ვიდრე ვშიშობდი”, გაენდო ის აირის.

“ეს იმ გამრჯელობის ნაყოფია, რომლითაც ჩვენ მაღალი საბჭოს უმეტესობა გვეპყრობა”, გამოეპასუხა აირი. “ტანდუს მიუხედავად...”, დაურთო მან ნათქვამს.

ამ სასწავლებელს ასულნი რვა წლისანი ჰბარდებოდნენ და ათი წელი განისწავლებოდნენ. ამ დროის მანძილზე ყალიბდებოდა თითოეული სირანელის ზნე და გონება. წელიწადში ორჯერ იმართებოდა “საოჯახო დღე”, აღსასზრდელებს შეეძლოთ შინ გამგზავრება. მაგრამ მეტწილად ისინი პანსიონში დარჩენას არჩევდნენ, სადაც ურდავ თამაშობასთან ერთად გამუდმებით მოსალხენი ლაშქრობებიც ეწყობოდა.

საროს მონაყოლი რასტი გამოდგა: დედაშვილური ურთიერთობები აქ უცდომლად უდგარი იყო. სირანზე პიროვნება უფრო საზოგადოების კუთვნილებად განიხილებოდა.

“ჩემთვის უკვე თვალსაჩინოა ტანდუს პასუხისმგებლობა”, ფიქრიანად ბჭობდა ნოვიკოვი, როცა მათ სამხრეთის ზღვისკენ აეღოთ გეზი. “და მასაც სირანელთა უსაფრთხო ყოფა ეას გარეშე ვერ წარმოედგინა. უკვე ისიც გასაგებია, თუ რატომ ესწრაფვოდა ის ჩვენს მოსპობას”.

მოხერხებულ ბუნგალოებში ღამის გათევის შემდეგ ისინი სამხრეთის ზღვის სანაპიროზე სამეურნეო საწარმოს ეწვივნენ.

დედამიწელები უკვე მგზავრობისას გადაეყარნენ ბამბასთა არვებს. მათ შეჩერება ითხოვეს.

ბამბასები საკვირველად მიმდობნი აღმოჩდნენ. ისინი ალერსიან მოთათუნებაზეც უშფოთველად განაგრძობდნენ ბალახის კორტნას. მათი ვითარსად ხშირბეწვიანი სამოსელი უფაქიზეს ყალამქრად შეიგრძნობოდა. თვალ-ყურით მიწიერ ნერბებს ემსგავსებოდნენ, ჯიქნითა და ესპანურათი კი ვაცებს.

ირგვლივ შესაქცევად ცმუკავდნენ მათი ნაშიერები, მაღალი ნახტომებისას იწიხლებოდნენ და ლომგულად ახლიდნენ ერთმანეთს თავს. ბოლუქი ხუთასამდე ბამბასს ითვლიდა.

ანაზდად, თითქოს გრძნეული ძალით ხმობილნი, ისინი თეთრი მოდაბლო სადგომისკენ მიბრუნდნენ და თვალშეუსწრებად მიაწყდნენ მას. “კვების დროა”, უთარგმანა კალომ დედამიწელებს.

“მაგრამ ჩვენ ხომ ნიშანი არავითარი გვსმენია”, კვირობდა ლუტოლსკი.

კალოს ჩაეცინა. “ბამბასებს ელქაჯი წინამძღვრობს, რომელიც საყელოზე მოდულატორს ატარებს. ის ულტრაბგერებით გამოსხივებულ სიგნალებს სმენადად გარდასახავს. ჩვენ ვერიდებით გარემოს ბგერითი ტალღებით დაბინძურებას”.

როდესაც ლომ ეს სირანულიდან გადმოთარგმნა, დედამიწელებმა დიდმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. “ეს საბორტო დღიურშია ჩასატანი”, მიიჩნია რადესკუმ. “ჩვენს გარემოს დამცველთათვის!”

“მაგრამ არც ჩვენთანაა ყურდამვსები კიჟინა”, შეეცილა მაქსი.

“თავიდათავი თვით იდეაა: გარემოს ბგერითი ტალღებით დაუბინძურებლობა! ეს ხომ საერთოკოსმოსური სადარდებელია”.

“ბატონი ბრძანდები!” მისი დამინდება სცადა ნოვიკოვმა. “ამას საგანგებოდ აღვბეჭდავ საბორტო წიგნში”.

“აქაც მიმოვიხედოთ”, მოისურვა კალომ. გზატკეცილიდან მარჯვნივ გასაოცარი კონსტრუქცია მოძრაობდა – რვა თვალზე შემდგარი მონსტრი, რომელიც მაღლიდან უშველებელ მართკუთხედად გამოიყურებოდა.

“ეს სირანული ერქვანია”, ახსნა ლომ. მათ რომ გაცბუნება შეატყო, დაატანა: “გაფაციცებით გეჭიროთ თვალი, უნდა ამუშავდეს”.

კალო გუთანს მიმდგარ სამ სირანელს გამოესაუბრა. მათ თავი დაუკრეს და მარჯვედ პლატფორმაზე აცოცდნენ.

“ანტიგრავიტაცია შესაძლოს ქმნის ნიადაგის ნაკვთის შესაბამის ამოშვერასა და სათესლე მარცვლის მოფანტვის შემდეგ მის ხელახალ ჩაწიაღებასაც. თავად იხილეთ!” მიმართავდა დედამიწელებს ლო. უჩინარმა ძალამ უჩქამოდ ამოზიდა გოლიათური ოთხკუთხედი და წვრილი დიუზებიდან ნელი ქშუტუნით მარცვლები გადმოიფრქვა ალმაცერად. მოლივლივე ორხოვა კვლავ უხმოდ დაეშვა.

“ასე ვიმკით ჭირნახულსაც და ასევე ვაპოხიერებთ ნიადაგს”, მოახსენა კალომ ჯერაც გაჩქურებულ ცისფერცთომილელთ.

ეს განმალიგებელი სანახაობა იყო. არავითარი ბდღვირი, არავითარი გუგუნი, რომელსაც მიწიერი ელექტროგუთნები გამოსცემდა – სანდო და მიმზიდველი იყო სირანელთა სამიწათმოქმედო ტექნიკა.

“და ენერგია, როგორ აწვდით მას აპარატს?” იკითხა ჯონ მორისმა.

“ის დისკოსებრი მოწყობილობა ლაზერული იმპულსების მიმღებია, რომელსაც აგრეგატი ასხივებს ცენტრალური სადგურიდან. ამსახად მოწოდებული ენერგია ისე მოხერხებულად გროვდება, რომ ხანმოკლე დამუხტვა მრავალი დღის სამყოფია”.

მორისი, განცდილით გაოგნებული, მგზავრობის განგრძობისას განთვისდა და თავი მოზავთებულ აზრებს მიანდო.

მათ აქაც სალმიანად დახვდნენ. დედამიწელებმა, როგორც კი ბამბასის რძე და წყალმცენარეებით მოყრილი შოთი იგემეს, ზღვის პირს მიაშურეს.

წყალს საუცხოო კამკამი გაჰქონდა, ის არც თუ გრილი და მარილის ნაკლებად შემცველი იყო. პეროვანი დიადემით შემკული ღადონი ფიანდაზად იშლებოდნენ ქვიშნარებზე და ამის შემყურე დედამიწელებმა აქ მწუხრამდე დაყოფა დააპირეს. მაგრამ კალომ დაბეჯითებით მოითხოვა გამგზავრება.

“დროა, ადგილობრივი ფერმაც მოვინახულოთ, თორემ დასაღამოხანდება და სირანგლადურს ნათლივ ვერ ჩავაღწევთ”.

მათ მახვრალად წამოიწიეს. “ვსასოებ, სავალი დიდი არ არის. ფორთხვისაგან მე ერთიანად გამომელია არაქათი”, დრტვინავდა მაქსი.

“ჩვენ ხომ უკვე ფერმაზევე ვიმყოფებით”, იღიმოდა ლო.

“როგორ?”

“ის იქვეა მოთავსებული, სადაც ჩვენ ეხლა ჩავეშვით”.

დედამიწელები გაშეთდნენ. ყველა ლოს მიაცეცდა და განმარტება სთხოვა, მაგრამ მან მხოლოდ შესძახა: “განზე გადექით, უნდა გამიჯნონ!”

ლამიდან ერთგვარი ნაშენი ამოტივტივდა, რომელიც ძველებურ მიწიერ ხომალდთა საკვამურების მსგავსი იყო. ექვსივე მილი წყლისკენ მიიმართებოდა. გაისმა ხმაური, თითქოს გონგს დაჰკრესო. “ეს გამაფრთხილებელი ნიშანია, ჩვენ გრავიტატორების მიღმა უნდა დავდგეთ”, არიგებდა მათ ლო.

ამ დროს პლანერით სირანელიც მოვიდა, რომელიც კალომ დედამიწელებს მთავარინჟინრად წარუდგინა. ის მორიგი საოცრების განსამარტავად იყო მოვლენილი. “წყალი ეხლა უკუიწევა და სადღეისოდ მოწეულ ალგებსაც მოვიმკით”, შეიტყვეს მისგან. “მთელი ეს პროდუქცია თვითწარმოებადია”.

ასეც მოხდა: წყალი მძიმედ უკუიქცა, პერის იალქანი მნიშვნელოვნად გასპეტდა და უფროც გამკვრივდა. თითქოს სამხრეთის ზღვა გრავიტატორებს ებმისო, მაგრამ ისინი თვალდათვალ ჯაბნიდნენ მას.

მცირედი ხანი და ზღვის ფსკერიც გამოჩნდა. ვრცლად გაშლილი ძრო ცისფერ-მწვანე წყალმცენარეებით იყო მოფენილი, რომლებიც დიდი გამჭვირი ზარდახჩებიდან დაძაგრულ ლარებს მიუყვებოდა. წყლის ამოცლაზე ალგები ხასის ალმებად აფარფარდნენ, თავიანთ მინის საბუდრებს მოსწყდნენ და მაღლა ღაღანით ალივლივდნენ. მათდამი მინაქცევმა ანტიგრავიტატორებმა ისინი უკლისად შთანთქა თავის ღრულებში.

ასე დასრულდა მკაც ზღვის უკუწევითა და შთანმთქმელი ტექნიკის გამოყენებით.

და საათიც კი არ გალეულა, ამომშრალებულ ძირს რომ მხოლოდ მოგლუვებული მჭვირი ყუთები შემორჩა. მაგრამ ყოველ მათგანში ჩითილი ჩარჩენილიყო.

“დააკვირდით, ის კვლავ საწყის ლუმბარში კალაპოტდება!”

და ზღვა ბორგვით დაიძრა, უჯეროდ ატორტმანებული. ნაპირს ღვთის რისხვად მომწყდარმა წყალმა აირის უკან დაახევინა. მაგრამ ისღა იყო მან ფერმა დატბორა, რომ პერი კვლავ ნაზად და ალერსიანად განიფინა მთელს ლამზე...

კარი მეცხრე
სნეულ ტუსაღთა ქალაქი

მაღალმა საბჭომ ცისფერპლანეტელთა ყველა შეხედულება გაიზიარა. პროფესორი ფრანცი, ბიოლოგიური დასის თავი, დაჟინებით მოითხოვდა დანაკისრის საშურ აღსრულებას. მას **გლოასტერის** მოძრავი სამედიცინო აღჭურვილობის სირანგლადურში გადმოზიდვა სურდა, მათ შორის მიკროსკოპებისა და სადასტაქრო ხელსაწყოებისა.

“მგზავრობამ რომ ფათერაკს გადაგვყაროს, ხომ უპოვარნი დავრჩებით”, ჩიოდა მაქს ფრიდლენდერი. “შესაძლოა საქმე ერთი მცირეფასეული იარაღის გაუვარგისებითაც წახდეს”.

მათი ცილობა სორანდასა და მისი რამდენიმე თანმყოლის შემოჭრამ დაარღვია. მათ ლოს სირანულად მიმართეს და მანაც ალექსი იხმო თავისთან.

ნოვიკოვმა მასთან გასაუბრების შემდეგ თანაცთომილელთა ყურადღება ითხოვა. “ქარაშოტია მოსალოდნელი”, გამოაცხადა მან. “ტოპურელ მეტეოროლოგებს ეაზე გაუგონრად დიდი ენერგიის ამონთხევა შეუნიშნავთ. თავად ჩვენთვის ეს ნაკლებაა საწუხარი, თქვენ ხომ ყველანი იცნობთ სირანის მიწისქვეშეთებს, მაგრამ ჩვენი ხომალდი! **გლოასტერი** რომ გამოსხივების არმურში მოექცეს და ამან მისი აქტივირება რომ გამოიწვიოს, ეს ხომ...”

ზედმეტი იყო განგრძობა, ყველას გარკვევით ესმოდა, თუ რა უქადდა მათ მოტანებული ნიკრისის ქარები.

“ტოპურის ის სანაქებო ბეტონურა ეხლა დიდად წაგვადგებოდა!” ამოივიშა ჯონ მორისმა.

“ნუ ენამახვილობ, ჯონ!” ასე შეურვებული დედამიწელებს თავიანთი მეთაური ჯერ არ ეხილათ. “კალო უკვე შეუდგა სახელდახელო ანგარის გათხრას და ჩვენ რომ სკაფანდრები გარეგვემოსა, არაფრით იქნებოდა ურიგო”.

“რა მოსატანია!” წაიდუდუნა ლუტოლსკიმ.

“ნუთუ შენ ეს არ გესმის?” მრისხანებდა ნოვიკოვი. “კალო მხოლოდ მოხალისეებს ეყრდნობა. ტანდუ გადამდგარია, მაგრამ საკმარისად მოიძიებიან სირანელები, რომლებიც ამ ქარტეხილს ჩვენს წინააღმდეგ მომართულ წყრომად შერაცხავენ. ტანდუც არაფერს საქმიანობს, გარდა ამის ქადაგებისა. და არა მხოლოდ **გლოასტერი**, მაღალ საბჭოსთან ჩვენი თანამშრომლობაც საფრთხეშია”.

ისინი გარეთ გაიჭრნენ და მზერის მაღლა აშვერაზე იჩქითად შედრკნენ: ზესკნელი თვალისმომჭრელი გოგირდოვანი სიქარცით აღვსილიყო, აბას სათნო სხივები ძლივსღა ატანდნენ დაბლა მოწოწიალე ბუგრის ღრუბლებს. ბურუსი უჯიათად ეკვრებოდა დედამიწელთა სამოსელს, ის ქუფრი, გაცვეთილი ბაირაღივით სდევდა მათ სილუეტებს.

გრიგალი მძვინვარებდა და ავგულად შხუოდა.

გლოასტერი უამრავ სირანელ დას გარემოეცვა. მათი სპეციალური სამოსი არქაული მყვინთავებისას წააგავდა. მუხლუხა მობილმა დედამიწელთა კოსმოსური ხომალდი დამრეც სიბრტყეს მიაყენა, სადაც ის უფსკერო ხაროში უნდა ჩაეშვათ.

უგრძნეულად ყოველივე ბუქმა მოიცვა და საწევარიც პირქვე დაამხო. შეიქნა მრავალხმოვანი ყიჟინა, აირსაწინაღო ნიღბებით ჩახშობილი. გვარლები გაალმასებით ხტოდნენ და საკვირველი იყო, რომ მისი ბოლონი არავის ხლებია.

მიდამო გრგვინვამ შეარყია. ზარდაცემულ დედამიწელთა თვალწინ კვლაწმინდად გაუხილავდა მათი ხომალდი, ის უსუნთქებლივ მიწამ დაბურა და ქარით მონაბერი კენჭებისა და ხის ნაკოდლების ქვეშ მოექცა.

გლოასტერის ტიტანური სხეული თითქოს საბრალოდ გმინავდა. მის პიტალო გარსზე შკვალის უკვე პირველმა წაწვდომამ ნოვიკოვს გული აუძგერა. მას ვერ განესაჯა, რა ჰპოვა ამ ღადირის ქვეშ მისმა ხომალდმა: ხსნა თუ აღსასრული. კალო ხელში სწვდა ალექსს. ბურიდან ლომაც იჩინა თავი და ნოვიკოვამდე ხმამ მოატანა: “უმთავრესი უკვე მოგვარდა. თუმც გაუმტარი ფენილი ვერ დავაგეთ, მაგრამ **გლოასტერი** საკმაოდაა ჩაღრმავებული. გამა სხივებითა და ნეიტრონების მორევით ის ვერ იქნება აქტივირებული. კალოს თქმით, გარიჟრაჟზევე შეგვეძლება მისი განტვირთვა. სირანელებმა უნდა იხილონ, რომ **გლოასტერი** უვნებელი და გამართულია. ეს უცილოდ საჭიროებს წარმოჩენას”.

ნოვიკოვს გონება დაჰფანტვოდა. ისინი უკანასკნელნი აღმოჩნდენ, ვინც მიწისქვეშა დასაყუდარს შეეხიზნენ. ალექსი, თავისი მოუხეშავი სკაფანდრი რომ განიმოსა, სხვებისაკენ გაქანდა და თავადაც მიაპყრო თვალი მაღლა გაჩაღებულ საზაროებას.

“ხომ შეიცანი, ასე რატომ მიზიდავდა თქვენი დარიანი ცთომილი”, ჩასჩურჩულა ლომ მაქსს. “ჩვენ ეს არაერთგზის დაგვსხმია თავს, ამ დროს ყველაფერი დაღმა მიიწევს და სირანის სიღრმეში იყურსება. უწინ კი ქარაშოტები უფრო ხშირად გვსტუმრობდნენ”.

“დედამიწაზეც როდი დარობს მარადის”, გამოედავა მას მაქსი. “შენ არ განგიცდია, როგორ აწყდება ნაპირს გაცეცხლებული ქარბორბალა, როგორ ტოვებს ის ათასობით ადამიანს უმიწაწყლოდ და ცისანაბრად. მხოლოდ სრულყოფილი გამაფრთხილებელი სისტემა გვიფარავს უფრო საოხარი შედეგებისაგან”.

ნოვიკოვი ალმოდებული უყურებდა დამარბეველი ძალის შმაგობას. ის ბოლომდე ეხლაღა გამოერკვა, რომ **გლოასტერს** დიდი განსაცდელი დასდგომოდა და დედამიწაზე დაბრუნებაც სათუო შექმნილიყო. “და რომ ქარიშხალმა ჩვენი ხომალდი წარიტაცოს, შეძლებს მის აქტივირებას?” შეღონებით იკითხა მან.

“ნუ ჯავრობ, ალექს”, დარდს უქარვებდა მას ლო. “ნამსხვრევთა კორტოხს ჩვენ პლასტიკური მასაც დავატანეთ და ნარევი სრულიად უჟვენია. ჩვენი მოხალისე მწენი მართლაც რომ გაუგონარ მოშურნეობას იჩენდნენ”.

ამაზე ნოვიკოვს ფოლადისმილებიანი დები გაახსენდა, რომლებიც მაშინ მეხანძრეთა რაზმად მიიჩნია. პლასტომფრქვევები – ყოვლად უძრახველი და მისანდო მიღწევა!

კალომ თავისი თლილი თითები ალექსს შეახო და ნაზად რაღაც უთხრა. მაგრამ ტრანსლატორის ამეტყველებაზე რადესკუს ხმამ ნოვიკოვი შეატოკა: “ნუ ჭმუნავ, ძმაო, შენ უთენებლივ იხილავ შენს ხომალდს”.

გარესადგურელთა ვარაუდისამებრ ავდარმა მოკლე ხანს გასტანა. არმური უკვე დღისეულ ჩადგა, ბორიც დაიქსაქსა და აბამ კვლავ გაასხივოსნა სირანის ზედაპირი. მიწისზედა ნაგებობათა ულითონობის გამო რადიოაქტიურობასაც მყისვე უნდა ეკლო.

რაც ნოვიკოვს წარმოუდგენლად მიაჩნდა, მოხდა: მკვიდრად შენადნობი შრე დანაკუწდა და შეკუმშულმა ჰაერმა ნამუსრი გადაფანტა. ხომალდს ზედ დეზაქტივირებული სითხე

მოასხეს, რის შემდგომაც მძლე პლანერებმა ის ნება-ნება ამოზიდეს და საგანგებოდ აგებულ ანგარში განათავსეს.

სირანგლადური გასაოცარი სიმარდით დაუბრუნდა ჩვეულ რიტმს. მაგრამ სირანელებს კვლავაც უნდა განეგრძოთ წინანდებური მზადყოფნა. მხოლოდ **მწვანე ელდის მეყიდან** მიიღწეოდა მსგავსი სტიქიონებისგან თავის დახსნა, მანამ კი ეს საფრთხე ნიადაგ უჩინო და ანაზდეული იყო. სწავლულ მამაკაცთა მიზანსაც ეს წარმოადგენდა! – მიზანს სავსებით უწყინარს, მაგრამ სალომგულოსა და სარიდალს. ნუთუ სხვაგანაც უხდებოდათ ასე მშობლიური ცთომილის წიაღში თრთოლა? მხოლოდ იმიტომ, რომ განრიდებოდნენ წყალს, სინათლესა და უჩინარ გამოსხივებას, რამაც ოდესღაც მათი წარმომავლობა განაპირობა!

ალექსი ამაზე ფიქრს წაეღო, როცა მოჯარებულ სირანელთა მჩხრეკელ სახეებს უღირღიტებდა. მათი მოქუჩების მიზეზი კი ერთი იყო: მათ იმის ხილვა სწყუროდათ, რომ ეამ ვერა ავნო რა იმ იდუმალებით მოსილ ცისფერპლანეტელებს.

ეხლა უკვა არაფერი დარჩა, რაც ბიოლოგიური ჯგუფის გამგზავრებას კვლავ გადაავადებდა. და პროფესორი ფრანციც ჩრდილოეთის გზას გაუდგა. მგზავრობა “ანტიგრავიტრონებით” – როგორც ლუტოლსკიმ თავიანთ მობილს უწოდა – მალი და სიამის მომგვრელი იყო. თვალწინ დაუსრულებლივ იშლებოდა ახალი, მარადმოსაგონარი ხედები.

უჩვეულო აქ არაფერი იყო, არც კრისტალურ ხეთა სამყარო და არც ლითონის ფრთოსანი ქმნილებანი. არსად მოჩანდა პროტოპლაზმური ბინულები ან ხვიარა ლეშიქანქლია მცენარეები. მხოლოდ მაღნარები და ბეგობები, ვაკობები და ნაკადულები ცვლიდნენ ერთმანეთს.

სირანელთა მაძიებელი თვალები გამუდმებით სდევდათ მათ თან. ერთ-ერთ დაბაში შესვენებისას დედამიწელებთან მავად მორთული დები მოზღვავდნენ. მათაც ტრანსლატორები მოსინჯეს და სამასლაათოდ განეწყვნენ.

განა ცისფერპლანეტელებმა მართლაც იმ ლითონის სასდუნით ჩამოაღწიეს, საფრენი მოსასხამების გარეშე? და მათი კანი ესოდენ მოწყვლადი ყოფილა?

ირგვლივ განცვიფრება დასადგურებულიყო. “შენ კი მანდ წელიწადიც დაგიყვია!’ დაჰკითხეს ლო.

ის ფლორის შემწეობით ახლებურ გადმოცემათა თხრობას მოჰყვა. გაჩქარებული საუბრის გამო ტრანსლატორებს მხოლოდ ნაკვეც-ნაკვეცად გადმოჰქონდა მათი მონაყოლი, მაგრამ დედამიწელთათვის ხომ ეს არც იყო განკუთვნილი.

მომდევნო შეხვედრებიც მსგავსად წარიმართა. ცისფერპლანეტელ სტუმრებს ყველგან გულითადად, მაგრამ თავშეკავებით ეპყრობოდნენ. და მგზავრობაც დღითიდღე უფრო გამამხნევებელი იქმნებოდა.

წიწვოვანი ტყით ბურვილმა მთაგრეხილმა და ჰავის სიგრილემ ხანგრძლივი მსხემობის ბოლო მოასწავა.

და აგერ ისიც, ჩრდილოეთის ზღვა! მათ ქედი რომ გადაკვეთეს, წინ მოლივლივე და ეას სხივზე აციალებული წყლის უკიდეგანოდ გაშლილი სივრცე გადაეფინათ. თვალსაწიერზე მცირედ გაშორიშორებული ორივ ვარსკვლავი დაკიდულიყო. ცისფერცთომილელნი განცხრომით შესცქეროდნენ ამ დამატკბობელ წარმოდგენას, რომელიც არც სირანელთათვის იყო ყოველდღიური. ზეცა ამ ქარვისფერ-ფირუზოვანი ციალით მხოლოდ ერთხელ იკაზმებოდა წლიურად, ეს იშვიათი კონსტელაცია იყო.

ამაში დიაღაც შეიგრძნობოდა ზემიწიერი მშვენიერება. წყლის ზედაპირს ჯერ აბა წაეტანა თავისი ყვითელ-ყირმიზი მაქმანით. მოუთვლელი ღადო დაუშრომლად უკუჰფენდა თვალსაამო, ჯავარიან სხივებს, რომლებიც ცისკროვან შარად განიფინნენ ნაპირამდე.

მაგრამ მცირეოდენ ხანში ამას ეას ზურმუხტოვანი სხივებიც გადაეჭდო. ზღვა თითქოს გამჭვირვალდა მათი შეყრის ადგილას და შიგნიშიგან გაელვარდა.

აბა ნარნარად ჩაიყურსა. ეას შთანტქმა კი გააზიზებულ ზღვას ნაკლებად ეშურებოდა. მისი ბაკმი აალებული ნავჭურჭელივით მოჩანდა ჩამობნელებულ ცისკიდურზე.

ფლორის ჯერ ეუცნაურა, რომ ცისფერპლანეტელები ასე შეეპყროთ აბასა და ეას გადაწვერვას. "დღეს ჩვენთან უჩვეულო დარია", დაარღვია მან მდუმარება. "წელიწადის ამ დროს აქ გაბმული დელგმები და კოხშინშხალი უფლობს".

მათ ფიქრიანად მოიტოვეს მწირობის ბოლო მონაკვეთიც და ერთ გიგანტურ ნაგებობას მიადგნენ: კარიბჭე თვითშეიღო. შიგ რამდენიმე თეთრად მოსილი, პირქუში სირანელი გამოჩნდა.

პროფესორი ფრანცი დაღონებულიყო. როგორ მიიღებდნენ მათ დღემდე გასაიდუმლოებულ ვაჟთა კლინიკაში? მოაღწევდა კი ჩრდილოეთის ზღვამდეც სირანგლადურში მიღწეული გარდატეხები? ან რას უქადდა მათ ხვალინდელი დღე? მაგრამ ფრანცი ფლორისა და მის მედეგობას მინდობოდა. ლოც და მისი ნაიარევიც არანაკლებ უსახავდა მას წარმატების იმედს. ეს იმის მეტყველი იყო, რომ დედამიწელს ძალუძდა სირანელის გამოხსნა მისი უმწეობის ჟამს.

ზღვის პირას ამ პირველ ღამეს დედამიწელებმა უშფოთველად გამოიძინეს და სისხამ დილაზე სირანულად ისაუზმეს. აქ მათი საბინადრო თითქმის კეთილმოუწყობი იყო; ნაგებობა მიწიერი წარმოდგენებითაც "კლინიკური სახისა" ჩანდა, როგორც ეს ფრანცმა შენიშნა.

დედამიწელებს სხდომათა დარბაზში გაუძღვნენ, სადაც ოცამდე სირანელი შეყრილიყო მათ მოლოდინში. ერთი ქურუხა მედიკოსი – მას მკერდს მკურნალის ოქროცურვილი ნიშანი უმშვენებდა – წამოდგა და შემობრძანებულთ სალამი მიუძღვნა.

"მე ალონდა გახლავართ, დაწესებულების მესვეური", წარუდგა ის უცხოცთომილელთ. მოგესალმებით ვაჟთა კლინიკაში!

ფლორიმ ჩვენ უკვე გუშინ გამართულ კონსილიუმზე გვამცნო, რომ თქვენმა სტუმრობამ ბევრ რასმე უცვალა სირანზე სახე. მაღალი საბჭოს მოხსენებებს ჩვენც გავეცანით, მაგრამ უშუალო შთაბეჭდილებას ხომ ეს ვერ შეედრება.

მოხარულნი ვართ, რომ გზის სიშორემ არ დაგაფრთხოთ და ჩვენ სნეულთა მონახულება გადაწყვიტეთ".

ალონდამ კოლეგებიც წარუდგინა დედამიწელებს, რომელთა სამკერდე ნიშნების ფერი დარგისა და პასუხისმგებლობის კვალად განისაზღვრებოდა.

"ეს ვაჟებისთვის დაწესებული ერთ-ერთი სამკურნალოა, რომლის ტევადობა ხუთასამდე ადგილით შემოიფარგლება", საუბარი იწყო ალონდამ კლინიკის სიდიადესა და მის ამოცანებზე. "დღესდღეობით პაციენტთა რიცხვი ოთხასს აღემატება. მათგან ყველაზე უმცროსი ექვსიოდე თვისაა, უხუცესი კი ორმოცდარვა წლის.

როგორც უწყით, პირველი ვაჟი ორმოცდაათი მიმოქცევის წინათ იშვა და იქიდანვე მოკიდებული ეს დღემდე საიდუმლოდ ინახებოდა. ჩვენი საქმიანობა ამით დიდად დაბრკოლდა, რასაც ფლორიც დაგიდასტურებთ.

დღეს სირანზე უკვე ორი ათასი მამაკაცი ცხოვრობს. უკანასკნელ ათწლეულს მათი ოდენობა გაორკეცდა, მაგრამ არა შობადობის ზრდის გამო, – შემცირდა მოკვდავობა და ჩვენ ამას სირანული მედიცინის მოკრძალებულ დამსახურებად მივიჩნევთ.

კლინიკა განგებ არის ზღვის პირას განლაგებული. ზღვა და მისი მასულდგმულებელი ზეგავლენა უფრო ნაყოფიერს ჰქმნიდა წამლობას. მამაკაცთა მაღალი სიკვდილიანობა ხომ სასიცოცხლო ფუნქციათა ქრობით, სისხლის შემადგენელ ნაწილთა დაშლით არის გამოწვეული და არა რომელიმე ინფექციური დაავადებით. სწორედ ეს არის, რაც მათ უკურნებლად აძაბუნებს!

ჩვენ ყველაზე ასაკოვან მამაკაცს ვმფარველობთ. მან გულადად გადალახა გადამწყვეტი ხნოვანება, ოცი წელი და ამჟამად ორმოცდარვა წლისაა.

სამშობიარო სახლიდან ჩვენთან მხოლოდ ექვსი თვის შესრულებისას გადმოჰყავთ ჩვილები. რახანაც სირანზე მშობიარობის ნარკოზული გაუტკივარება წარმოებს, არც ერთ სირანელს შეუტყვია, რომ ძე მოუვლინა სირანს. მათ მკვდარშობილებად აცხადებდნენ.

ალონდა დადუმდა და გულმჭმუნვარედ გაიღიმა. გამონაკლისიც ხომ არაერთი იყო. ბოლო ჟამს ხელშესახებად მომრავლდნენ დედები, რომლებიც გაუტკივარებას უარყოფდნენ და თვითხილვა სურდათ ამ საკვირველების: სირანელის შობისა!

ალონდამაც ეს განიზრახა. კოლეგები გაკვირდნენ. მაგრამ მას არავინ შეცილებია და მოხდა სასწაული – ალონდას შვილი ვაჟი გამოდგა! მოგვიანებით ის ვაჟთა კლინიკაში გაამწესეს და შვილზე მზრუნველობის ნებაც დართეს. მაგრამ მას არავისთვის უნდა გაეთქვა თავისი დედობა.

დადგა უმძიმესი ჟამი. ყოველგვარი მცდელობა და თავდადება ამაო იყო. ის საბოლოოდ დაუძლურდა და ათი წლისამ ღვთივ განისვენა. იმედაყრილი ალონდა კი ფლორის დასს მიემხრო. როცა ლო, ჰიპნოგრილძილში ჩაძირული, დედამიწისკენ მიისწრაფვოდა, ის ფლორის უახლოეს მესაიდუმლედ იქცა. ალონდა ერთადერთი იყო დასელთაგან, ვინც ვაჟთა სამკურნალოში მოღვაწეობდა.

მის მდუმარებაში გარკვევით შეიგრძნობოდა დაუძლეველი ვარამი და დედამიწელებიც დადუმებულიყვნენ თანალმობით...

“გთხოვთ მომიტევოთ”, ცოცხლად განაგრძო ალონდამ. “ჩვენ აქ ყველანი ფლორის მიმდევრები ვართ და თვალსაჩინოა, რაოდენ ვდღესასწაულობთ თქვენი სტუმრობით. ეხლა კი გთხოვთ დედამიწის ყოფისეულ ურთიერთობებზეც მოგვითხროთ”.

ეს მაქს ფრიდლენდერმა ითავა. მან სირანელ მედიკოსებს ცხოვლად წარმოუსახა ადამიანის ევოლუცია, სელექციის, მუტაციისა და ადაპტაციის ნაირფეროვნება. განუმარტავი არც ის დარჩენილა, რომ დედამიწელის თანამედროვე სახე მისი თანაარსებობის სოციალურობით იყო პირობადებული, რომ ამით მოიპოვა მან ენის შემოქმედებისა და აზრის წერილობითი გადმოცემის უნარი. მაქსმა სუნთქვაშეკრულ მსმენელებს სოციალურ მემკვიდრეობაზეც მოუთხრო და მიწურულს გენეტიკურ მხარესაც შეეხო.

“დედამიწაზე ორი სქესი ვითარდება, როგორც უწინ სირანზე. თქვენგან განსხვავებით ჩვენ ნაცვლად ორმოცდათექვსმეტისა ორმოცდაექვსი ქრომოსომი მოგვეპოვება ყოველ უჯრედში. რედუქციული გაყოფისას მდედრობითი და მამრობითი ჩანასახის უჯრედები მხოლოდ ოცდასამ ქრომოსომს შეიცავს, თქვენთან კი ეს რიცხვი ოცდარვას უნდა შეადგენდეს. სქესი ამგვარად განისაზღვრება: ქალის ყველა უჯრედში ოცდამესამე

ქრომოსომული წყვილი ორი ჩ-ქრომოსომად წოდებული ნაწილაკისაგან შედგება, ხოლო მამაკაცისა – ჩ- და ნ-ქრომოსომისაგან. რედუქციული გაყოფისას მდედრის სხეულში წარმოიშვება კვერცხუჯრედები, რომლებიც ჩ-ქრომოსომს აუცილებლად მოიცავენ, მამრის სხეულში კი ორი სხვადასხვა სახის სასქესო უჯრედი. და მათი თანხვედრის მიხედვით განსხვავდება მამრობითი ან მდედრობითი ემბრიონის ჩასახვა".

სირანელებს სიტყვაც არ გამორჩენიათ. ალონდა დამსწრეთა ნებართვით ამას ხელმეორედ მოჰყვა: სურდა შეეტყო, რაოდენ გაითავისა ყოველივე.

"თქვენ დედამიწაზე დიდ გენეტიკურ ცოდნას დაუფლებიხართ", წარმოთქვა მან შემდგომ. "იქნებ ჩვენ შევძლოთ მისი სასიკეთოდ გამოყენება.

რვა საუკუნის წინათ ეას დამაქცევარმა გამოსხივებამ გამოიწვია ის, რასაც თქვენ 'მუტაციას' უწოდებთ. და მსხვერპლად ჩვენ სირანელი მამაკაცის გაღებამ მოგვიწია. იმავე დროს აღმოცენებული პართენოგენეზი რომ გენეტიკური ჩარევის შედეგი იყო, ეს ეხლაღა გვამცნეს, ამან ყველანი შეგვძრა...

მწვანე ელდის მეყამდე სირანული თანაცხოვრება თქვენსას ემსგავსებოდა, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ჩვენი განვითარება ეას ზემოქმედებით უფრო მაღალი მუტაციური მაჩვენებლით გამოირჩეოდა. გაუსუსურებულ ნაყოფთა და მკვდრადშობილთა გაერთიორების გამო სირანი ამჟამად ხუთიოდე მილიონ მკვიდრს ითვლის. არც ის არის უმნიშვნელო, რომ სირანელ დედებს სამიდან ოთხამდე კვერცხუჯრედი გაგვაჩნია.

გენეტიკური ჩარევის წყალობით დღეს ჩვენი ქრომოსომების რიცხვი ორმოცდათექვსმეტია. მამაკაცთა სასქესო უჯრედები ჰაპლოიდურია, მაგრამ უმოქმედო. ჯერხანად ჩვენ უძლურნი ვართ ამის დასაძლევად".

"თქვენი გამრავლების ვეგეტატიურობას ჩვენ უკვე ლოს დედამიწაზე ყოფნისას მივაკვლიეთ", შეეპასუხა მას პროფესორი ფრანცი, "მაგრამ თქვენ ბრძანებთ, ვაჟებს სრული ქრომოსომული კომპლექტის ნახევარი გააჩნიათო. მაშინ ხომ მათი სასქესო ჯირკვლები მარტოოდენ ფუნქციონალურად ყოფილა მიმტკნარებული და არა გენეტიკურად მუტირებული. და საერთოდ, აქვთ თუ არა მათ სქესობრივი სხვადასხვაობა წარმოდგენილი?"

"ჩვენთვის ეს ჯერ გაურკვეველია", დაფიქრებით მიუგო მას ალონდამ. "ამას თვით ქალებიც არ განვიცდით. მაგრამ თუ თქვენ ფსიქიკურ გადახრებს გულისმობთ, მერწმუნეთ, გონებამძიმე არსებები ისინი არამცა და არამც არ გახლავთ. ჩვენ მათი განსწავლაც და მოღვაწეთა რიგებში ჩაბმაც გვაკისრია".

"მაგრამ, ამასთანავე, მამაკაცები სამუდამოდ იყვნენ განაპირებულნი", განაგრძო ფლორიმ. "მათ გონებრივადაც ასაქმებდნენ და ფიზიკურადაც – აქ მრავალი ელექტროლაბორატორია თუ ანტიგრავიტრონულ მოწყობილობათა საწარმოა განლაგებული, – მაგრამ ამის გამხელა იკრძალებოდა! ზოგ მათგანს ესმის კიდეც თავისი ხვედრი და მხოლოდ ჩვენდამი ნდობა ამყოფებს ასე მორჩილად".

"ისინი თქვენს დასს თუ იცნობენ?" შეაწყვეტინა მას ლუტოლსკიმ.

"არც ერთი! მათ არც ის მოსდით აზრად, რომ აქ მხოლოდ ჯანის მოსაკრებად არ იმყოფებიან. იქნებ იარს, ჩვენს ბერიკაცს, ოდესმე უფიქირა ამაზე, მაგრამ ჩვენთვის არასოდეს გაუმხელია.

თანაც პაციენტთა უმეტესობა ყმაწვილკაცობაა და თანამშრომლობისკენ ვერც ვუბიძგებდით."

მაქსს ერთი კითხვაც გასჩენოდა: "რამდენად არის გამოკვლეული ახლახან წარმომდგარი უშვილობა? ხომ არ არის ეს მეიოზისაკენ შებრუნება?"

ალონდამ თავი გააქნია, ჩვენში ეს თვალთახედვა არ წარმოქმნილაო. “მამაკაცთა სასქესო უჯრედები რომ სასურველად ქმედითი გამომდგარიყო, ჩვენ სასოს ასე არ წარვიკვეთდით. მაგრამ აქამდე წარმოებული ყველა გამოკვლევის თანახმად, ეს სწორედ რომ ასე არ გახლავთ”.

ამ პირველი საქმიანი მუსაიფის შედეგად ერთი რამ აშკარა იყო: ვაჟებმა ძლიერ შეარყიეს რვასაუკუნოვანი ჭვრეტის ძირი და კვლავ გაიწკრიალა უწინდელი ყოფის ზარმაც.

მაგრამ შეუქცევადად ახლოვდებოდა სირანელთა გადაგების ახალი საფრთხე. მისი წარმომშობი მამაკაცთა იმპოტენცია და დათა უმემკვიდრობა იყო. მამაკაცები, მიუხედავად ყოველგვარი სირთულისა, უნდა მომძლავრებულიყვნენ, მათ უნდა შესძენოდათ განაყოფიერების უნარი. სხვარიგად რვაასი პართენოგენეზური წელიწადი მხოლოდ გადავადებად დარჩებოდა კარს მომდგარი აღსასრულისა.

ისინი სულშეგუბებით მოელოდნენ სირანელ მამაკაცთან პირველ გაბაასებას. ლოს, ვისაც თავისი სილაღით სხვათა გაგულოვნება სჩვევოდა, ეხლა თვითონვე იდგა თავდაკარგული. არც მას ეხილა ოდესმე თანაცთომილელი მამაკაცი, გარდა საარქივო აფსკზე აღბეჭდილისა...

მან ისე უჩუმრად შემოაბიჯა, რომ ვერც კი ვინმე შენიშნავდა, თუ რომ არა მისი თანმხლები ალონდას ხმამაღალი წარმონათქვამი: “ეს ცისფერპლანეტელები არიან, იარ. მე მოგითხრობდი შენ მათზე”.

ეს იყო ყოვლად უგვანი და ულაზათო მამაკაცი, ლოსა თუ სორანდას მამრობით თანაარსებად ძნელად წარმოსადგენი. ტანაყრილი, მაგრამ უჩვეულოდ ჯანდაკი, ის თავწაზნექილი ახლომხედველივით მისჩერებოდა დედამიწელებს. უწვერულვაშო პირი და ნახევრად გამელოტებული თავი თვალნათლივ მეტყველებდა მის სნეულებაზე.

სირანელი მოზომილი ნაბიჯით მაგიდას მიადგა და იქვე მდგარი ტრანსლატორის მიმართულებით წაილაპარაკა: “მე იარი ვარ”.

როცა მას პროფესორი ფრანცი დედამიწელ მოძმეთა სახელით მიესალმა, მან ტრანსლატორის პირისპირ დაიკავა ადგილი. ჩანდა, ალონდას ის უკვე გაეწაფა ამ მოწყობილობის მოპყრობაში.

მისი თალხი თვალები გამომცდელად შესცქეროდნენ თითოეულ გადამთიელს. სახის ყოველ ნაკვთს სრული ყინულოვანი სიდინჯე და უშფოთველობა მოჰფენოდა.

“ბრძანეთ, რის შეტყობაც გენებათ!’ ალაპარაკდა ის უეცრად. “ვიცი, რომ თქვენ შორეულ მთიებს წარმოადგენთ. მაგრამ რა არის თქვენი ჩამობრძანების მიზანი?”

ლუტოლსკი ნიშანდობლივ მოუყვა მას ექსპედიციის სამივლინებო მიზეზებზე. ლოსა და მაქსის თავგადასავალმა ის მეტად მიიზიდა.

“და რომ ჩვენი ყოფა ყოველთვის ასეთი არ ყოფილა, თქვენ ამაში მხოლოდ სირანზე გარკვეულხართ. განა ასე არ არის?” ალექსის პასუხმა ის დააფიქრა. “მაშინ თქვენ ხომ სულაც არ ყოფილხართ ჩვენს დასახმარებლად მოვლენილნი”.

“მაგრამ ჩვენ, როგორც კი სირანის გასაჭირი შევიტყვეთ, იმთავითვე გიერთგულეთ და უკვე ერთად ვეძიებთ გამოსავალს. ამაში თქვენი თანადგომაც გარდაუვალია. თქვენ ხომ მამაკაცთა უპირველეს მოდგმას განეკუთვნებით, თან სხვებზე ჯანიანიც და ნაცადიც ბრძანდებით”.

“ეს ალონდასა და მის მოსაგრეთა მიღწევაა. ისინი დაუცხრომლად იკვლევენ ჩემს სისხლს და განუწყვეტლივ აწარმოებენ მის გადასხმებს. მე მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული რაციონით ვიკვებები, ბუნებაშიც ვერ გამივლია რიგიანად – მაგრამ მე ვსულდგმულობ და ამას სწორედ მათ უნდა ვუმადლოდე”.

“თქვენ ხომ განსწავლულიც ხართ და კლინიკაშიც მოღვაწეობთ”.

იარს გაეღიმა. “ცხადია, და მათგან მე ამის გამოც ძალზე ვარ დავალებული. მაგრამ ერთთავად ერთსა და იმავეს მიმეორებენ: დაზოგე თავი, არავითარი სეირნობა, გამოსხივება გაგთანგავს.

წარმოებაში მე არასოდეს მიმუშავია, მე”, – მკაფიო გამოთქმის შერჩევამ ის მცირედ შეაფერხა, – “განმსახიერებელი ვარ”.

“იარი დიდი ხელოვანია”, დასძინა ფლორიმ. “სახვით ხელოვნებაში მას ბადალი არ ჰყავს, დროდადრო წერასაც აძლევს თავს”.

“იარ, ამ ბოლო ხანს ხომ არ მომჯობინდით? და ეას მომეტებული გამოსხივებისას რას განიცდით?” ჰკითხა მას ფრანცმა.

“უნიათოდ ვხდები”, მიუგო იარმა. “ისე კი, ჯანზე ვარ მოსული. მაგრამ აქ სხვა, უფრო საგულისხმო რამ აკისრიათ, ვიდრე ცალკეული ჩვენთაგანის გამოკეთება. განა საქმე ის არ არის, რომ სირანზე ახალი სქესი წარმოქმნან?” მისი კითხვიდან ნათლად გამოკრთოდა ჟინიანი სასოება.

მაქსმა ვარაუდი დაუმოწმა, მაგრამ მძიმედ დასაძლევ სირთულეებზეც მოახსენა. “უძალღონობას, ატმოსფეროს ჭარბად იონიზირების მიმართ მგრძნობიარობასა და უჟამურ მოკვდავობას ჩვენ უმალ გავუსწორდებით. მაგრამ იმპოტენციის დაძლევის გზები ჯერაც დაუსახველია. თუ ის გენკოდის სახეცვლას უკავშირდება, შესაძლოა ოპერირებაც გახდეს საჭირო. სხვაგვარად ჰორმონალური და ფერმენტატული ურთიერთკავშირი ვერასგზით გამოიკვლევა. და ხარ თუ არა მზად საამისოდ თავი მოგვანდო?”

“თუ ეს აუცილებელია, რაღა თქმა უნდა”, უპასუხა მან, შეფიქრიანებულმა.

ვიზიტისაგან დედამიწელებს არსებითად არაფერი შემატებიათ. თავდაპირველად ისინი საბავშვო ბაღს, სასწავლებელსა და საამქროს ეწვივნენ: სტუმართა გულისყურს ხანგრძლივი მოცალეობის სიხშირე და კვების მკაცრი განაწესი იპყრობდა. მიწიერთაგან ეს დაწესებულებები თითქმის არაფრით განირჩეოდა.

სხვაგვარი იყო კლინიკური განყოფილება. წამოკარკლული თვალები ვნებათუქონლად შემოსცქეროდნენ დედამიწელებს. ზოგს ყბები ჩასცვენოდა და გამტიერებულიყო, ზოგსაც ლიმფური ჯირკვლები წამოჰკვერებოდა ყელზე და კანქვეშა სისხლდენით სხეული გალურჯებოდა.

წარმოუთქმელი იყო მათდამი მოამაგეთა დიდსულოვნება.

უმძიმესად დასნებოვნებულთა სარეცლებთან დედამიწელთათვის უცხო მოწყობილობები განეწყოთ, რომელთა გამჭვირი მილები უძლურთა სხეულს ერწყმოდა. “ეს სისხლის გადასხმისა და სამყოვარჟამო დიალიზის მექანიზმია”, მის დანიშნულებაში გაარკვია ლომ დედამიწელები.

შეინიშნებოდა ორგანიზმის დაცვითი უნარის საყოველთაო მოდუნება. მსუბუქი დაშავების დროსაც კი სისხლში შეუცნობელი ნაწილაკები იწყებდა გავრცელებას, რომლებიც, ალონდას გადმოცემით, “სიცოცხლის მზიდველებს” დევნიდა და თრგუნავდა.

პროფესორი ფრანცი და მაქს ფრიდლენდერი “სირან-ლეიკემიაზე” ალაპარაკდნენ. ეს პათოლოგიური ცვლილებები მათ მიკროორგანიზმებით ინფიცირების დიდ საფრთხეს უქმნიდათ. ვაგლახად, სირანული მედიცინა აქ ძლიერ უკუმრჩომობდა. კანის სხვაგვარი კონსისტენცია მათ მრავალი, დედამიწელთათვის მომაკვდინებელი გარეგანი ზემოქმედებისაგან იცავდა. სირანზე არც ბაქტერიებისა და ვირუსების სამყარო იყო ისე ნაირფეროვანი, როგორც დედამიწაზე, **მწვანე ელდის მეყს** მათი მხოლოდ რამდენიმე სახეობა გადაურჩა. მაგრამ საფრთხილო არც ეს იყო. სირანელმა ბიოქიმიკოსებმა უკვე გასულ საუკუნეებში აღმოაჩინეს “ნეიტროტრანსენცუმი” – ადვილად წარმოებადი ფერმენტი, რომელიც სენის აღმგზნებს ინფიცირებულ უჯრედშივე მუსრავდა. სირანელ დებს ეს ძველთაგან მოყოლებული მუდამ სწყალობდათ, მაგრამ ვაჟებთან ნეიტროტრანსენცუმი ვერას გასწვდა, “სიცოცხლის მზიდველთა” ჯაბნა უმთავრესად მავნე მიკრობთა მოუგერიებლობის შედეგი იყო. და ეს განაპირობებდა იმ გამუდმებულ სიფრთხილეს, რომლის გამოც იარი ასე წუხდა.

ფრანცს უმწეობის გრძნობა დაუფლებოდა. რას გააწყობდა ის **გლოასტერიდან** გადმოზიდული ხელსაწყოებით? სირანული ელექტრომიკროსკოპებიც ხომ ისევე უძრახველი იყო, მაგრამ ნეიტროტრანსენცუმის უმოქმედობასთან ამით ვერაფერს გახდებოდი. კვლავ ეყრებოდნენ წუთისოფელს ვაჟები, კვლავ დაუდეგრად იბრძოდნენ მედიკოსები და ისევ და ისევ აღმავლობდა სასიკვდილოდ განწირულ უსუართა რიცხვი.

ვოლდემარ ლუტოლსკის დაღონება დაეტყო. დაუსრულებელი ორომტრიალით გარემოცულს თავი გაწირულად მოეჩვენა, მისთვის წამიც კი ყველას ეძვირებოდა. ის ბიოლოგიური პრობლემები ხომ უცილობლად თავშესაქცევი რამ იყო, მაგრამ მისი განსწავლულობა ამაში სასკოლო ცოდნას ბევრად არ აღემატებოდა. ამას არც ვინმე საყვედურობდა კომისარს, მაგრამ მას ერთობ უმძიმდა დამქანცველ სხდომებზე განმხოლოებით ჯდომა და უქნარობა.

ერთხელ დასევდიანებულს იარი წაადგა თავს. სირანელ მამაკაცს მრავალთმრავალი კითხვა აღძროდა მიწიერ ადათ-წესსა და იმ უცნაურობაზე, რაც დედამიწელებში ტრფიალად იწოდებოდა. რა იყო ეს სქესობრივი ურთიერთლტოლვა? მას ლოც ისევე განიცდიდა, როგორც ცისფერპლანეტელი ქალები? ლუტოლსკიმ მას ბევრი ვერაფერი შეასმინა, თუმც ისიც კი გაანდო, რომ დედამიწაზე სხვების მსგავსად მასაც მოეპოვებოდა ერთ-ორი მეგობარი ქალი და არც სირანელ უსულიანთ უჭვრეტდა გულცივად.

იმავე საღამოს – იდგა კლინიკაში ყოფნის მეხუთე დღე – ლუტოლსკი თხოვნით ეკვეთა პროფესორ ფრანცს: “გამამგზავრე სირანგლადურში, აქ მაინც ვცუდმავლობ და იარის გამოკითხვებიც მოსვენებას მიკარგავს”.

“ჩვენ სწორედ ეხლა გვჭირდება შენი ხელშეწყობა!” ახირდა ფრანცი. “ის ციცქნა ძუძუმწოვარნი, პენდურებს რომ უწოდებენ, საცაა გამოჩნდებიან და მათზე ნადირობას შენ უნდა უთავკაცო”.

“იმედია, ‘როგორც კრიმინალისტი’ ამას უჭირველად გავართმევ თავს”, გულშეჯერებით დათანხმდა ის.

“ვოლდემარ, ეს ნამეტნავად საპასუხისმგებლო დანაკისრია”, შეუერთდა მათ მაქსი. “თუ ჩვენ პენდურები ვიხელთეთ, მათი მოშენებაც მოხერხდება და მაშინ საწად ჰორმონებსაც დავაზღვავებთ...”

“კმარა, მაქს, ეს ჩემთვისაც ნათელია. მართალია, ეს დღეები უმოწყალოდ გამრიყეთ, მაგრამ მთლად ტოპურს ამოფარებული ნუ გეგულებით”.

ლომ ელდანაკრავი სახე მიიღო. “თურმე რატომ გაუცინრობ! მაგრამ სირანზე ხომ ვერც ერთი დედამიწელი ვერ იქნება ზედმეტი და მაბეზარი. შენ კი გაგიმხელ, რომ ეს დავალება განუზომლად სასეიროა და მრავალ საამო განცდასაც გიმზადებს”.

“მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ იმ პენდურების მონადირება? და იმასაც ხომ ვერ მეტყოდით, სად და ვისთან ერთად უნდა ვსდიო მაგ თქვენ საფრთხულებს?”

ეს მხოლოდ ლუტოსლკის საწუხარი როდი იყო. ალონდაც და ფრანციც შეზრუნებულიყვნენ. “ხომ არ გვეცადა ბუნაგებიდან მათი აირით გამოდევნა”, შენიშნა მაქსმა როგორც ბიოლოგმა. “საამისოდ მათ ჩიბეთა აღნაგობაა შესასწავლი”.

“შენს გვერდით სამი გამოცდილი სირანელი იქნება”, მიმართა ალონდამ ლუტოლსკის. “ერთ-ერთი მათგანი, ზიბელა, ამ ექვსი თვის წინ ჩრდილოეთის ნახევარკუნძულზე პენდურებს უთვალთვალებდა, დანარჩენი ორი კი ჩვენი ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები არიან. საბედნიეროდ, ჩვენ აქ უზადოდ გამართული მაღალი გამავლობის მობილიც მოგვენახება, რომელიც საბინადრო საბმურითაც არის აღჭურვილი. მან თქვენ ამინდის სწრაფი ცვალებადობისაგან უნდა დაგიფაროთ”.

“პენდურა-აქციის” თადარიგმა სამ დღეს გასტანა. მზად იყო აირი, საღარავები და საჭერი ყაფაზები; მხოლოდ შეეყრებოდნენ კი ისინი პენდურებს და თუ შეეყრებოდნენ – როდის, ამის წინასწარმჭვრეტი ვერავინ იყო, თვით ზიბელაც კი.

იწურებოდა მგზავრობის მეორე დღე. ზიბელასა და ლუტოლსკის სწრაფმავალს უკან აჩრდილივით მეორე ატმასნოდა, რომელსაც ორი ტექნიკოსი, ქიტა და რაგიტა, მართავდნენ. საბმური, რომელიც მათ უშველებელ კუდად სდევდათ, სირანელთა საძილედ იყო განკუთვნილი, ლუტოლსკი ღამეს მართვის პულტთან ათევდა.

კომისარმა მალე ერთხელაც იხილა ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროები. მაგრამ ამჯერად აქ მზეთა ჩასვენების ცქერით ვერ განცხრებოდი. მოშავბნელებული ცის ჩადრიდან ალაგ-ალაგ თუ გამოკრთებოდა მწვანე ან ოქროსფერი შუქსხივი. მსუსხავი ქარი ბორგნეულად ქროდა მეჩხერ ზღვისპირა მცენარეთა თავზე. უწინდელი სალმიანობისაგან ჩრდილოეთის ზღვას არაფერი შემორჩენოდა, მაგრამ აქ ეს ცრიატი დღეც ზეციური ხიბლისა იყო ცისფერცთომილელის მზერისათვის. მოქუფრული ცარგვლის ქვეშ მძიმე პლანერებით ლივლივი კი ერთიორად ჰმატებდა ხიბლს სწორუპოვრად დიად ხედებს.

თავიდან ზიბელას ენაძვირად ეჭირა თავი, მხოლოდ ზოგიერთხელ თუ გამოხედავდა მას ფარულად. მაგრამ ნასამხრევს, როცა ლუტოლსკიმ მათ მისთვის ჩვეული სურათოვნებით ელფებზე უამბო, ის გაცილებით მოუბარი გახდა. პირველი, რის გამორკვევაც მან მოისურვა, ლოს ბარათის ამოკითხვა იყო.

“ჩვენ მაშინაც ზღვისპირზე ვიმყოფებოდით, დუნაის დელტაში”, წამოიწყო ლუტოლსკიმ... ის მოუთხრობდა მათ დედამიწაზე, ვარხვებსა და ორცხოველა არსებებზე, რომელთაც მან შესაშურად წაჰბაძა.

“და ეხლა თქვენ უკვე ჩვენს გვერდით ხართ და ჟამთა სიავის გარდასახვაში გვესარჩლებით. მწამს, რომ ჩვენთანაც დაბრუნდება ის ნანატრი დროება”, უთხრა მას ზიბელამ დასასრულს და გულათრთოლებით თავისი ხელი მისას გადასდო.

ვოლდემარს თავგზა აებნა. დედამიწელი გრძნობდა, რომ ის ზიბელა მისთვის სულერთი არ იყო.

მესამე დღეს შეცისკრებულზე ზიბელამ თავისი პლანერი გააჩერა და ტექნიკოსებსაც ანიშნა გაჩერებულიყვნენ.

მათ ერთი მომცრო ბოლცომი აათავეს და ჩრდილოეთის ნახევარკუნძულად წოდებული მიწა-წყალი შეათვალიერეს. ის უსასრულო ჩირგვნარით იყო მოფენილი.

“ჩვენ აქ მოვკარით პენდურებს თვალი. სჯობს ბანაკიც აქვე დავცეთ. მოფარებული ადგილია და საჭვრეტადაც უკეთესს ვერსად მივაგნებთ”.

“წინ წაწევა რომ გვეცადა, პენდურებს დავაფრთხობდით”, დაეთანხმა მას რაგიტა.

მათ მისაბმელი განათვისეს და პლანერებს ამოასაფრეს. წარმოიქმნა შუა საუკუნეების ვაგენბურგი. ამის ხსენებაზე ლუტოლსკის წამსვე მოსთხოვეს განემარტა, თუ რა იგულისხმა მან შუა საუკუნეებსა და ვაგენბურგში. რადესკუს ტრანსლატორი მსგავს ცნებებს სულაც არ მოიცავდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო – მან თვინიერად თავი დახარა.

ლუტოლსკი ეხლაღა იტყობდა, რა უპოვარი ნაბიჯი გადაუდგამს, როცა თავი სამი ცნობისმოყვარე სირანელით გარემოიცვა.

ისინი ბაწარაღებით მიიწევდნენ “ერიკას” ბარდთა ოკეანეში, წინ ზიბელა მიგოგმანებდა. გარდა ნიავქრის ქშენისა და ზვირთცემის შორეული გრგვინვისა, არსაიდან მოისმოდა სხვა ხმიანობა.

ზიბელა ერთბაშად შეჩერდა. ლუტოლსკიმ მიზეზის გამოკითხვა დააპირა, მაგრამ სირანელმა დუმილის ნიშნად ხელი აღაპყრო. წამისყოფით რბილი სტვენისებრი ბგერები შემოისმა. “პენდურებია”, განსაჯა ზიბელამ. “ეს მათი გუშაგები იყვნენ. ჩანს, ჩვენი მოახლოება იგრძნეს. შორი გზით შემოვლა და ქარის საპირისპიროდ სიარული მოგვიწევს”.

ლუტოლსკიმ გამგონად თავი დააქნია. მას ადრეც სმენია ეს ტონები, ტიროლის ალპებში. მაგრამ მიწიერი ზაზუნების სტვენა უფრო ზავთიანი და გამკივანი იყო.

სირანელები კვლავინდებურად მიქევქევებდნენ, მას კი ფეხები ამტეხიარებოდა. უეცრად ზიბელა კვლავ შეჩერდა და წინამდებარე ბორცვისაკენ ხელი უსიტყველად გაიშვირა: ეს იყო მცირე, გრემა ოთხფეხი მოგრძო და უბალნო ბოლოთი. ისინი შფოთიერად დაძრწოდნენ, ხან თვალშეუსწრებად გაუჩინარდებოდნენ და ხან კიდევ ელვისებურად გამოტყვრებოდნენ.

ულეველი საძრომით დასახიჩრებული ბექი პენდურების მჭიდრო საბუდარი გამოდგა. ზოგი ჩიბე ძირს იყო მიმართული, ზოგიც ზედაპირის მასწორ გაშენებული. მათ ყოველ სოროსთან თითო ნაირფერადი ბაირაღი ჩაასვეს, მომდევნო დღეს რომ კვლავ მიგნებოდნენ მონახულებულ ბუნაგებს. ასე ისიც უნდა გამომჟღავნებულიყო, გათხრიდნენ თუ არა პენდურები ახალ ომახოებს. ამას იქით კი მათ თავიანთ “ვაგენბურგს” მიაშურეს.

ლუტოლსკი სერზე მიპატიჟებას არ მიჰყოლია, ის გამობრუნებისთანავე დაავლებული მიწვა.

პენდურების ბექობი ამოუცნობად დაისერა. გაირკვა, რომ ხვრელთა სიღრმე ნავარაუდევზე ნაკლები იყო.

საფერდე რანდამ მსწრაფლ გამოააშკარავა რამდენიმე აღნაგი. ძროზე სათუთად შემოკრული ბუდეები განთავსებულიყო, საიდანაც აღმა ოთხიდან ხუთამდე არხი მიიწევდა, სხვა ხვრელები კი გალებს იყო შეერთებული.

და არა მხოლოდ ეს ღადირი – პენდურებს სხვა ბოლცომებიც ასევე გამოეღრღნათ.

“პენდურა-აქციის” დასრულებისთანავე ისინი ალონდას კლინიკისაკენ გაუდგნენ გზას. ლუტოლსკი, დამაშვრალი, მაგრამ კმაყოფილებით აღსავსე, კვლავ ზიბელას ამოჯდომოდა. უკან პენდურები და მათ საკვებად განკუთვნილი მცენარეები იყო მოთავსებული, რომელთა ნეკერი მათ გასაოცარ მადას ჰგვრიდა. მაგრამ მსგავსად დედამიწის ბიგების, მათი კოსმოსური თვისტომებისა, ისინიც უფრო ლარვებსა და ჭიაყელებს ეტანობოდნენ.

ლუტოლსკი გვერდით განფენილ მოქურუხებულ ლანდშაფტს გასცქეროდა. ფიქრად კი ზიბელა მოსვლოდა. მას ესახებოდა, თითქოს ამ სირანელს ოდითგანვე იცნობდა და მოტანებულ გაყრაზე ფიქრი ფორიაქით იპყრობდა მთელს მის არსებას.

მალე ის მსუბუქმა ჯახანმა გამოაფხიზლა, პლანერი იდგა და ზიბელა მას შუბლზე ხელს უცაცუნებდა. “კლინიკაში ვიმყოფებით. ჩვენ ჩვენი უკვე აღვასრულეთ”.

ლუტოლსკიმ გახევებული ფეხები ჩოლფოთად გადმოდგა პლანერიდან. “ამდენ პენდურას ჩვენგან არავინ მოელის. თავად იხილავ მათ გაოცებას!” წაილაპარაკა მან ომახიანად და კარიბჭისაკენ გაქანდა.

მაგრამ მისკენ გზიურ ალონდას ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამოსწია. სირანელი მას გამოეცნაურა და ბარათი გაუწოდა.

ლუტოლსკი შეცბა. ნეტამც რა იყო? მან მოუთმენლად გადაავლო ნაწერს თვალი. პროფესორი ფრანცი იტყობინებოდა, რომ ყველა, მათ შორის ალონდაც და იარიც, სირანგლადურს გაემგზავრა. “არ გვეგონა, რომ ეგზომ დაყოვნდებოდით”, სრულდებოდა ფრანცის მონაწერი. “რა წამსაც მობრუნდებით, მოგვყევით”.

“რამე ხომ არ შეემთხვათ?” ჰკითხა ზიბელამ უსასოო დედამიწელს, რომელსაც ის უცებ დადევნებოდა.

“აბრაგანი ამოუკრავთ, სირანგლადურს გაბრუნებულან. მე კი უნდა მივეწიო, მაგრამ როგორ?” უეცრად ის მთვარესავით გაიბადრა. “ერთად ხომ არ გვემგზავრა?”

ზიბელამ ჯერ ურწმუნოდ გამოიხედა. “სირანგლადურში? შენი ნებაა! თანაც იქ ჯერ არასოდეს ვყოფილვარ”.

ლუტოლსკიმ ინდივიდულაური სახმობით ნოვიკოვთან დაკავშირება სცადა. “მაღალ საბჭოშია”, გამოეხმაურა მას აირი. “სხვები? უკვე მეორე დღეა, რაც გამობრუნდნენ. შენ პენდურები თუ მოინადირე? მოხარული ვარ, მხოლოდ ნუ დააგვიანებ, მხლებლის შერჩევა კი შენზევეა დამოკიდებული”.

ლუტოლსკი ალონდას მონაცვლეს ეახლა და განზრახვის შესახებ მოახსენა. სირანელს თვალებში ორჭოფობამ გაუელვა, მაგრამ მაშინვე განუცხადა თანხმობა, რის შემდგომაც პირი იბრუნა და გაკიდეგანდა.

ლუტოსლკიმ გაბუცებით გააყოლა მას თვალი. უცნაური ვინმეა, სჯიდა ის თავისთვის. არც მოუკითხავს და არც პენდურებზე დაუძრავს სიტყვა! ყველა როდი ყოფილა ზიბელასავით ცნობისმოყვარე, გაივლო მან აზრად და თავისი ოთახი მოიძია.

მას არც კი მოჰკიდებოდა ძილი, ფეხის ჩუმი ხმა რომ შემოესმა. წამზე კარებში ვიღაც გამოჩნდა.

სანამ ის თავის განცვიფრებას გამოთქვამდა, თავზე ზიბელა წამოადგა და დაყვავებით წასჩურჩულა: “არაფერია, მეგობრები რომ გაგერიდნენ, მე ხომ გვერდით ვარ. ჩვენ მუდამდღე ერთად ვიქნებით, როგორც მაქსი და ლო. აღარც სირანგლადურში ჩამოგცილდები”.

ვოლდემარმა ის უთქმელად გულში ჩაიკონა...

ამჯერად თვალმახვილ კომისარს გამორჩენოდა, რომ დილით მათ კარის ღრულიდან ვიღაც უჭვრეტდა. ეს რაგიტა იყო.

რაგიტა განრისხებული ჭერს შემზეროდა. ეხლა კი მართლაც დადგა ის საზაროება, რომელსაც ის მუდამ შიშობდა. მას ზიბელა გაუსხლტდა, გაუსხლტდა სანიადაგოდ! რაგიტასთვის მის სიტურფით ალაღებულ თანადაში ტრფობის დაუსადარი სიამე იყო განსხეულებული. მან ზედმიწევნით აზიარა ზიბელა სირანული მიჯნურობის საიდუმლოებებს.

რაგიტამ ხელები დამუჭა. ის ხომ ვიღაც ცისფერცთომილელზე – თანაც მამაკაცზე! – გასცვალეს.

იმ ლუტოლსკის უკვე პენდურებზე ნადირობისას ეტყობოდა, რა გრძნობითაც გამსჭვალულიყო ზიბელასადმი. და ეს რაგიტასთვისაც მგზავრობის პირველსავე დღეს აშკარა იყო. ის მხოლოდ იმას ვერ ჩამხვდარიყო, თუ როგორ მონუსხა მან ზიბელა.

რაგიტას აჟრჟუნებდა იმის წარმოსახვა, რომ ზიბელას ცისიერ სხეულს ის საძულველი არსი ეკვრებოდა, რომ მისი მარჯნის ბაგენიც მის საამბოროდ იყო განწირული... რაგიტას სამარადჟამოდ წარტაცეს მისი სათაყვანები არსება. და ამაზე შესაზარი ვერაფერი იქნებოდა სირანელისთვის.

მას საკადრისი უნდა მიეზღო! ტანდუ სამართლიანად განიკითხავდა ამ ავსულობას და დედამიწელ მკრეხელს შესაფერის მსჯავრსაც დასდება. ეს ხომ შეუნიღბავი ძალმომრეობა იყო!

რაგიტას უეცრად თვალებზე ცრემლი მოადგა და გულამოსკვნით აქვითინდა. როცა კვლავ მოიკრიბა გულისყური, ოთახი გააჩირაღდნა, ჩანაფიქრს ხორცი შეასხა და ნაწერი თავისთან შემოხმობილ ლეგ-ლურჯად მოსილ შათირს გადასცა. შემდეგ კი აბი მიიღო და გულისძილში ჩაიძირა.

ნაშუაღამევს რაგიტა დამფრთხალი ზეწამოიჭრა, მას ეგონა, თითქოს ზმანებას შეჰყურებდა. მის წინ გაბრწყინებული თვალებით ზიბელა იდგა. “შენ ეს პირველმა უნდა შეიტყო: მე ცისფერპლანეტელთან თანაცხოვრება გადავწყვიტე! ჩვენ, სირანელებს, აღარაფერი გაგვეგება ტრფიალზე. მე ვიყავი მასთან, უკვე შევიცანი, რაც არის მამაკაცი!”

გამძვინვარებული რაგიტა ის-ის იყო წამოიქროლებდა, ზიბელას რომ ამ ნატიფად მოღერებულ ყელში სწვდომოდა და მისი ანათრთოლი ხმა ძირშივე ჩაეწყვიტა. კინაღამც დაახალა: მცნევარი უკვე წარვგზავნე ტანდუსთან, ნახავ, როგორ უნდა ანებებდე სხეულს ბილწ ცისფერპლანეტელს! მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია.

ზიბელა დამუხლისთავდა და მზად იყო რაგიტას გადაჭდობოდა. “შენ ხომ არაფერს ამბობ, ძვირფასო! როგორ დავიჯერო, ჩემთან ერთად შენც რომ არა ხარ მოლხენილი!

შენ იყავი, ვინც ქალის სხეულის სიდიადე მამცნო, მან კი მისი განუყრელი დანამატის მნიშვნელობაშიც გამარკვია. მხოლოდ ურთიერთშერწყმაში, მხოლოდ ქალ-ვაჟურ ტრფობაშია ჭეშმარიტი ნეტარება! რა უბადრუკნი ვყოფილვართ მთელი ეს რვა საუკუნე, მაგრამ ცისფერპლანეტელი მოძმენი ჩვენ ბედის ამარა არ დაგვტოვებენ”.

რაგიტა კვლავაც ჯავრიანად დუმდა.

ზიბელას თანდათან თვალები აეხილა. “რამ გაგაფოთა, რას მემართლები? განა არ თანამიგრძნობ?.. მესმის, ყველაფერი გასაგებია!”

და კვლავ უსიცოცხლო გამომეტყველება. უსიცოცხლო და გულხენეში. ზიბელა აცახცახებული წამოიმართა.

თავჩაქინდრულმა კარი უხმოდ გაიხურა...

ამ ხნის მანძილზე სირანგლადურში მყოფ ტექნიკურ-ფიზიკალურ ჯგუფს უსაქმურობას ვერ დასწამებდი. ის ორად გაყოფილიყო: ნოვიკოვი და მორისი დღენიადაგ კალოსთან თანამშრომლობდნენ, მას ხომ საერთო წარმოებაზე მეთვალყურეობასთან ერთად ტექნიკისა და მეცნიერების თვალმდეგობაც ევალებოდა.

ანტიგრავიტრონი იყო ის ჯადოსნური ლექსი, რომელიც ასე დაჟინებით ერეკებოდა ორივე დედამიწელს ურდავი საწარმოსა და ცენტრალური ბიბლიოთეკისაკენ. იქ ისინი სირანულ და თანამედროვე მიწიერ ტექნიკას შორის ეძიებდნენ პარალელებს წინარეკატასტროფულ გადმოცემებში.

მაგრამ ეს უქმი მცდელობა გამოდგა. მსგავსი თანხვედრის ხანა ვერც მორისმა, ვერც ნოვიკოვმა გამოავლინა. არ მოიპოვებოდა არც სირანელი ნიუტონი, არც გალილეი თუ აინშტაინი. იყვნენ სხვანი, ნაწერები გავსებული იყო მრავალთმრავალი უცხო სახელითა და დედამიწელთათვის უსაზმნო თეორიებით.

რადესკუს ჩარევა ხშირად ხდებოდა განურინებელი.

როგორ უნდა გაეგოთ მორისსა და ნოვიკოვს “ტაროსა ეფექტი” ან “ოსტარადის ვიბრაციის პრინციპი”, რომელზედაც ისღა გაირკვა, რომ ის ერთგვარად მაქსველის საველე თეორიას ჰგავდა.

მორისს მცირედაც არ ეტყობოდა იმედგაცრუება. “დროს ნუ ვფლანგავთ! იდეებში თუ ვერაფერს გავწვდით, ანტიგრავიტრონების წარმოებასა და მათ პლანერებში გამოყენებას მაინც ხომ უნდა ვუყოთ გულისხმა”.

ისინი ფიცხლავ დაეუფლნენ სირანული პლანერის კონსტრუქციას, ანტიგრავიტატორსაც მარჯვედ ანაწევრებდნენ და კვლავ აწყობდნენ, რის შემდგომაც პლანერი უწინდელ გამართულობასაც კი ავლენდა.

“საკმარისია თუნდაც ერთი ძრავი და ჩვენი ჩანაწერები წავიმძღვაროთ დედამიწაზე, რომ ყოველივეს ნათელი მოეფინოს”, შენიშნავდა ნოვიკოვი. “ჩვენთვის ეს იმიტომ არის ჩაუწვდომელი, რომ ჩვენს რიგებს ფიზიკოსი აკლია. იქნებ იქ სულაც კოსმოსური ხომალდისთვისაც მოხერხდეს ანტიგრავიტაციული ძრავის აგება”.

მორისი დიდად იყო მოწადინებული “ელფური წამოსასხამით” გაენავარდა, მაგრამ გლანდურა მას ამის ნებას ჯიუტად არ რთავდა. ჯერ დედამიწელებს მოსასხამიანი ფრენის ყველა მხარე უნდა შეესწავლათ.

მაგრამ რისთვის უნდა მიეყოთ მათ ხელი, როცა ტრანსლატორს მხოლოდ მსგავსი განმარტებები გადმოჰქონდა: “თუ გამზიდი სიდიდე პლიმა ნაწილაკების შეგუებით იმდენად იზრდება, რომ ეს შეჭიდულობის ბზარს აპირობებს, რა დროსაც გარეგანი ენერგოსფეროები ერთიან კვანძად იყრებიან, მხოლოდ მაშინ დაიშვება დაგუბებული

სხივის ამ ღრუში შეჭრა და სასეკვენცო სექტორში მატერიალურის უარყოფითი ინდუქციის მიღწევა".

იყო თუ არა "ერთიან-კვანძად-შეყრა" დირაკის გრავიტაციულ კოლაფსზე დამოკიდებული, როგორც ეს ნოვიკოვს წარმოედგინა, არსებობდა თუ არა შავი მინიხვრელები ან ჰქონდა თუ არა ადგილი მიკროსფეროში მატერიის აბერაციულ ნაწილობრივ შესქელებას? – მაგრამ ეს მხოლოდ უშედეგო მიდმოება იყო.

გლანდურას მტკიცებით, სირანელებსა და ცისფერპლანეტელებს შორის საერთო სამეცნიერო ენის გამონახვა გამოცდილებათა ხანგრძლივ გაცვლას საჭიროებდა. მაგრამ ნოვიკოვი მაინც სასოებდა ერთობლივი საქმიანობის სწრაფად და წარმატებით დასრულებას.

ლო მაქსის გვერდით იწვა. ბიოლოგის სულთქმაზე შიგრძნობოდა, რომ მას ჯერ არ მისძინებოდა.

"მაქს, რით ხარ დამწუხრებული?"

მაქსი მძიმედ წამოიზიდა და ლოსკენ გადაიზნიქა. "რაც შენს სირანს გავეცანი, უფრო მიყვარხარ, ვიდრე ოდესმე. მე სულ ახლითა და ახლით ვიმსჭვალები შენდამი. და ეს არა ჰგავს, მცირედაც არ ჰგავს გრძნობას, შენი ავტოფანტასტაში ხილვისას რომ დამეუფლა, არც იმჟამინდელ განცდას, როცა კილიმანჯაროზე ტელესკოპში ცქერით თვალები მაწყდებოდა. მაშინ მე ტოლიმან ა-სა და ბ-ს ვეძიებდი. ეხლა კი კვლავ მოგიპოვე შენ და უწინდელზე მხურვალედ შეგტრფი. მაგრამ ჩვენს სნეულთა შემცქერნი ჩვენ ვერსოდეს მოვილხენთ..."

ლო გულაჩვილებით მიეკვრა მას. "მეც ვარ ამაზე სჯით გულშემუსვრილი. მაგრამ მოზარდები ჩვენი იმედი არიან. სირანს კვლავ უნდა დაუბრუნდეს წინანდებური მშვენება, უნდა განახლდეს მამაკაცსა და ქალს შორის თანამყოფობა!"

"განახლდება კიდეც", დარდი მოუფონა მას მაქსმა. "და პენდურები ამას დააშურებენ.

რატომაც არ უნდა ემსგავსებოდეს სირანული თანაარსებობა მიწიერს, როდესაც ყველა ძუძუმწოვრის, ხანაც კი ყველა არსების განვითარება ერთნაირია? მე გული მითხრობს, რომ თვითეულს, ვისაც პართენოგენეზის უნარი დაეშრიტა, უკვე აღუდგა რედუქციული გაყოფა. მათ სისხლში უკვე წარმოქმნილია ჰორმონი, რომელსაც ჩვენ მდედრ პენდურებში უნდა მივაკვლიოთ. და მეიოზი მალე საყოველთაოდ აღდგება.

მა და პროფესორი ფრანცი ვიმედოვნებთ, რომ მამრი პენდურების სასქესო ჰორმონით იმპოტენციასაც დავძლევთ; ცხოველთა ჰორმონები დედამიწაზეც გამოიყენება საწამლოდ. და თუ ნეიტროტრანსენცუმის მოქმედება მამაკაცებზეც გავრცელდა, სირანელთა კეთილდღეობას წინ ვერაფერი აღუდგება. მხოლოდ ორი-სამი საუკუნე დათა სხვადასხვა სახეს მოუწევს თანაცხოვრება, ჩვეულებრივს და პართენოგენეზურს".

"შეუძლებელია, რომ გენებზე ზემოქმედებით ქრომოსომთა რიცხვი შემცირდეს კვერცხუჯრედებში?"

"დასაშვებია, მაგრამ მამაკაცთა რაოდენობა ხომ უზომოდ მცირეა. შენ კი ნუ ნაღვლობ, ჩვენ აქაც გავკაფავთ გზას. თაობათა ხელოვნურ გამრავლებას უნდა ერიდოთ! ახალი პირველჩენილი ტრფიალებისა და პირუთვნელობის ყრმად უნდა იშვას". – და თან ხმადაბლა დასძინა: "რაოდენ დასაღონარია, რომ ჩვენი ის ვერ იქნება..."

"ამას ნუ იქმნი საოხრად, ჩვენს ერთსულოვნებას ეს ვერაფერს დააკლებს. ჩვენსავით რამდენს არ აქვს ეს მადლი ნაწყალობევი."

მაქსი იღიმოდა. “მაგრამ რით იქნებოდა ურიგო, ორი ვარსკვლაველი არსების შერწყმას რომ სულდგმული სიმბოლოც...”

“მე გახლავარ ეს სიმბოლო”, გააწყვეტინა ლომ. “მე დედამიწაზე დავბრუნდები, ჩემი სამკვიდრო იქ არის, შენს გვერდით!”

პროფესორმა ფრანცმა გლანდურას არზა გადასცა. ის რენდასგან ვაჟთა განთვისების შეწყვეტსასა და მათ საერთო გაერთიანებებში აღზრდას ითხოვდა. ასე სირანელები უმალ და უმტკივნეულოდ შეიწყნარებდნენ ძეთა არსებობას. მათ არ უნდა გამოცლოდნენ საკუთარი შვილები იმის გამო, რომ ისინი ვაჟები იყვნენ.

როდესაც პროფესორი ფრანცი, რენდას დასტურით გულმიცემული, შინისაკენ მიემართებოდა, ფლორი უკვე მის მოლოდინში იყო. ფრანცს ეამა კოლეგის სტუმრობა, რომელსაც ის სირანის უბადლო ჯანაოზად მიიჩნევდა.

დედამიწელმა დოსტაქარმა ღიმილით გაუწვდინა ფლორის ხელი. სირანელმა საპასუხოდ გაკვრითღა, შეუბედავად გაუღიმა და კდემით მობრძანების მიზეზი მოახსენა: “ყური მოვკარი, რომ პართენოგენეზისუუნაროთა საოპერაციოდ ემზადებით. მე ერთ-ერთი მათგანი ვარ და ჩემს მზადყოფნას ნუ ითუებთ”. ის აგზნებული გაჩუმდა. ფრანცმა კოლეგა მდუმარედ ჩაიკრა. გრძნობააშლილი ის ძლივს იოკებდა შთაბეჭდილებას. ამ უნაზესი კანის ხელუხლებლობაზე უარი უკვე იყო ძალზე საგულისხმო. “გაკვეთა სრულიად უსაშიშროა”, ენა გაიგნო მან ჯერეთ.

ფლორი სარკმელს მიდგა და გარეთ გაიხედა, სადაც მრავალი სირანელი დაიარებოდა, თავისთვის ან თანმხლებთან, ბავშვი კი აღარც ერთს ახლდა. “დარწმუნებული ვარ, თქვენ არაერთი სხვა მოხალისეც გამოგიჩნდებათ”, წაილუღლუღა მან და ფრანცს შეხედა. “მაგონდება ლოს ნაამბობი დედამიწაზე და ვხვდები, რარიგ სანუკვარია შვილებსა და მამაკაცებთან ერთ ჭერქვეშ ყოფნა. მაგრამ ჩვენთანაც ხომ უნდა დადგეს ეს ჟამი...”

ფლორის მზადყოფნას ყველა გრძნობამორევით მიესალმა. მედიკოსები მეორე დღესვე შეიკრიბნენ და ქირურგიული ჩარევის განბჭობას შეუდგნენ.

ფრანცმა კიდევ ერთხელ მოივლო აზრად ის პირველი ღირსსახსოვარი გაკვეთა, რომლის აქეთაც არც თუ მცირე დრო გარდასულიყო. მაგრამ ამ საკვირველებიდან მას არაფერი ჰქონდა მივიწყებული. “საბორტო აღჭურვილობა ლაზერულ სკალპელსაც მოიცავს”, გულს იოხებდა ფრანცი. “მაგრამ დრეზდენში სანაქებოდ შეწყობილ გუნდს ვმესვეურობდი, აქ კი მხოლოდ ლოსა და მაქსს უნდა დავეყრდნო. ჩვენ ანესთეზისტსაც ვსაჭიროებთ...”

ამასობაში ალონდა ლოსკენ გაიჭრა და სირანულად რაღაც განუცხადა. ლო გაოგნდა. უჩვეულოდ აღტყინებული ალონდა კი მოუხედავად გაეცალა საკონსულტაციო დარბაზს.

“ამას ალონდა ითავებს”, მიმართა ლომ დედამიწელებს. “აღატყინა კი ის თავის ვაჟზე მომწყდარმა მოგონებებმა”.

ფლორი მას მაშინვე აედევნა. საპაექრო განწყობა სხვებსაც დაჰკარგვოდა და ყველა მდუმარედ გასასვლელისკენ გაემართა.

ლუტოლსკის ხმობას დედამიწელები გულმარიხად შეხვდნენ. ალექსი, ჩრდილოეთის ზღვიდან მობრუნებულთა შორის ლუტოლსკი რომ ესაკლისა, მოქურუშდა. ის იცნობდა ვოლდემარის ახირებულობას და შიშობდა, რომ მისი ნებაზე მიშვება უსაფრთხო ვერ იქნებოდა. მაგრამ ლუტოლსკი ხომ მხოლოდ ორიოდ დღით წარავლინეს და მისი ინდივიდუალური სახმობი უძრახველად მუშაობდა...

ვოლდემარი უკვე სირანგლადურს მოეზიდებოდა თავის ფუფუნა მატყიერ ფრახტს.

კარი მეათე
იდუმალი ჯვრისწერა

“აწ დამეხსენ, ნუ მაფერხებ წერილის ახედ-დახედვაში!” კარისკენ მეუფურად გაშვერილი ხელით ტანდუმ რუხად შემოსილი და დაითხოვა, რომელიც მას მდაბლად თავის დაკვრით გამოესალმა და მოსხლეტით გაეყარა.

მარმარსახიანი აწრიალებულიყო. ნეტავ რა წამალი უნდა დაედო მას დაძგერებული უჟმურობისთვის? დიდი ფიქრი არ უნდოდა, რომ მისკენ ამ დღეებში მილეთი ხალხის რწმენა იქნებოდა მომართული, მათ შორის იმ რაგიტასიც, საშური უსტარი რომ გამოგზავნა. ერთი, რას იწერებოდა: ცისფერპლანეტელმა მამაკაცმა ლუტოლსკიმ უამრავი პენდურა მოსთვალა და უკვე სირანგლადურში გადაჰყავსო. ტანდუ შეთრდოლდა, ეგონა, საქმე პენდურების მონახულებაზე მიდგებოდა. მაგრამ შემდეგ წერილს აზრი ეცვალა: ამ ცისფერპლანეტელის თანმხლები და ჩრდილოეთის ზღვის კლინიკაში ბოლო დღეს დაფიონზე მისი ოთახიდან ნამალევად გამოვიდაო. ამიტომ შეუცდომელია – დაასკვნიდა მომწერი, - რომ ისინი იმყოფებოდნენ ერთმანეთთან ინტიმურ კავშირში, როგორც ის ლო და ცისფერპლანეტელი მაქსი.

ეს რა ლირფი სირანელები იყვნენ, მას რომ მსგავსს ამცნობდნენ და მასზე ამოდენა იმედებს ამყარებდნენ? იქნებ თაბუნი შემოესხა და რენდას შესაპყრობად მაღალ საბჭოზე იერიში მიეტანა? ნუთუ ამას მართლაც მოელოდნენ მისგან? საერთოდ, რის მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ სირანელი დები ტანდუსგან? რომ ის დროგადასულ ათამთამებულ სტრუქტურებსა და მონოსქესობრიობას ფეხს მოუმაგრებდა, რომ მათ მშვიდობას არავის შეაცილებდა, რომ სირანისა და მის დიათა სამყაროს თავზე ეას მცხინვარებას უკვდავყოფდა?

მაგრამ ვაჟთა გაჩენა ხომ უკვე ეჭვმიუტანელი სიცხადე იყო. ეს ნახევარი ასწლეული მკაცრად მიჩქმალული რჩებოდა, დედამიწიდან დესპანთა მოვლენამ კი მას წამზე ასწყვიტა იდუმალების საფარველი. ამას არავითარი ვაივაგლახი, არავითარი ნაბათის ცემა არ მოჰყოლია, არც არავინ ჩამუხლულა ლოცვად ეას ხატის წინაშე.

ტანდუ გაშეთებული ოთახის შუა ალაგას გაჩერდა. ნუთუ ის მართლაც უკუმრჩომობდა და ჯაბანთა წინამძღოლი იყო? ნუთუ ის ყველასგან მოძულებულ და ყველას მიერ გათელილ მოძღვრებას ქადაგებდა? ამან ისეთივე ზარით დაბალთა მისი ნათელი გონება, როგორც პენდურების რიკთა ფუთფუთის გასურათებამ.

რაღას ჩემობდა ეს წინამასწარა, არამკითხე კლინიკელი? განაღა ლოს, როდესაც ის თავის ცისფერპლანეტელ მეგობართან გამოჩნდა, გაალმასებული სირანელები ჩასაქოლად ემგერნენ? ტანდუს იმთავითვე სურდა ეს და სწამდა, რომ ასეც მოხდებოდა, მაგრამ... ნაცვლად ამისა მხოლოდ მჩხრეკელი ჭვირობა, ურისხველი ჩურჩულ-კურკური, იქნებ

ერთგვარი შურიც კი. და ის ალონდა, ვისაც მან საკუთარ შვილზე მზრუნველობის გამხელა აუკრძალა? ტანდუს სარწმუნო წყაროებიდან მოეხსენებოდა, რომ ამ მედიკოსს, სანამ მისი ვაჟი გარდაიცვლებოდა, პირი არ გაუტეხია. და რომ შემდგომში ალონდა ფლორის მხარდამჭერად ქცეულა – როგორც ამჯერად ირკვევოდა, – ტანდუსთვის ამაში არაფერი იყო საიასაღო, ის ამას ადვილად ხვდებოდა.

მიხვედრა! ოღონდაც ეს! საზოგადოებრივი სტრუქტურის ყოფილი უფროსი ქვეცნობიერად უნდა მიხვედრილიყო თავისი გეზის სიმცდარეს. განა ის ერთთავად იმად არ იღწვოდა, რომ არაფერი დარჩენილიყო შეუცნობელი, რომ სიტყვა მუდამ თვალუხვავობას დასთმობოდა? ლოს განკითხვისას ის ამ ავალას არ გადასცდენია, მხოლოდ წარმოსახვის გამრუდებულმა უნარმა შეაცდინა. ის ვერ გაერკვა როგორც ჯერ არს, რომ თითოეული დის მოხსენება სინამდვილის ამსახველ ცნობებს შეიცავდა. ევოლუციის ტემპები იმ ცისფერ ცთომილზე ბევრად სწრაფი და ინტენსიური ჩანდა. მიწიერი ყოფა უფრო ჭრომახი და უფრო ნაირშროვანი ყოფილა, ვიდრე ამას მისი ხედვა დაიტევდა.

ტანდუმ დოსტაქანი ყინულცივი წოწოქურათი ააპირთავა და მერხზე ჩამოჯდა. მარმარსახიანი წვენს დაეწაფა. უეცრად ღაწვები მცირედ წამოუწითლდა და ავარდნილი გულიც ურჩად აუფრიალდა. შემდეგ გაეღიმა. ის ჯერაც მაღალი საბჭოს რიგებში იდგა, ჯერაც არ იყო განაპირებული მოღვაწეთა წრიდან. და ამის მოფრთხილება, აი, რა იყო ეხლა თავიდათავი! არა, ის არ უნდა ხლებოდა გლანდურას, არ უნდა გაენდო მისთვის ნამცეცა ზიბელას აშიკობა და აღარც განსჯა მოეთხოვა. თანაც სულაც არ იყო ნებადაურთველი დედამიწელთან შერწყმა. არ არსებობდა მსგავსის აღმკვეთი აქტი და დღეიდან არც არასოდეს იარსებებდა, რაც ტანდუს უკვე ჩინებულად შეესმინა.

გუშინდელთა წინამძღვარი? ტანდუ ფუძისეულს ჩაეძია. გარდასულის მოპოტინებას ახლისკენ შემობრუნება სჯობდა, გულდასმით და ფხიზლად. ეს ხომ ისედაც მისი ნირი იყო. და უკვე ნაკლებ ენება იმას აღდგომოდა წინ, რაც ცისფერპლანეტელთა მოსვლით აგორდა, დაღათუ ზოგი რამ თვალში არც არასოდეს მოსვლოდა.

ზიბელამ და ლუტოლსკიმ სირანგლადურს ჩამოაღწიეს. მათ ციცქნებმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. სირანელები ლანქერად მოედინებოდნენ დედამიწელთა სამყოფელთან ახლად წამოზიდული ოთხფეხთა სადგომისაკენ, სადაც თოქმად დაძახვრული ვეება ყაფაზები განეთავსებინათ.

ხამ არსთა უჩვეულო ცმუკვა-წრიალი, თათების, კიდურებისა და რიკების ფუფუნი; ფეთიანი და შიშნეული წიკვინი – ამრიგად წარუდგნენ მათ პენდურები. სამ გალიაში დაუდეგრად ხტოდნენ შფოთიერი, აფორიაქებული ცხოველები. მათი ქარვისფერ-მრეში ბუსუსი ერთიმეორეს გაყოლებული გრემა ზოლებით იყო გამშვენებული. ჩაწერწეტებით მაცქერალთ არ გამოპარვიათ არც ვიბრისებიანი წამახვილებული დინგი და თაგვის მოგრძო და უბალნო კუდი.

“ძილგუდასა და ოქროს ზაზუნას ნაჯვარი გეგონება, მხოლოდ მათთან შედარებით დევგმირული მოყვანილობისაა”, განსაზღვრა მაქსმა.

ადამიანთათვის პენდურები სასიამოვნოდ გამოიყურებოდნენ, სირანელთა სახეებზე კი ცნობისმოყვარეობას მძულვარება ჯაბნიდა. უკვე ასწლეულობით არავის მოსდიოდა აზრად ამ ოთხფეხთა არსებობა, მით უფრო, არავის მოსცლია მათ სამზერად.

პენდურებმა მგზავრობა უვნებლად და იშვიათი მოთმინებით აიტანეს. ეს მათი აღნაგობრივი ძალოვნების უტყუარი ნიშანი უნდა ყოფილიყო. მათი სიცქვიტე და

მალიადობა, ძირეულად უცხო გარემოში ცხოველ სქესობრივ ურთიერთობათა შეუფერხებელი განგრძობა დიდად აიმედებდა მაქს ფრიდლენდერს, რომ სირანზე ნამდვილად არსებულა ცხოვრების ისეთი სახეც, რომელსაც უვნებლად დაუხსნია თავი ეას სხივთქარაშოტისაგან.

ზიბელასა და ვოლდემარის მიერ მოპოვებულმა მცენარეებმა და მწერებმა ბიოლოგის გულმხურვალე მოწონება დაიმსახურეს. “ჩინებულია”, ადიდებდა მაქსი ვოლდემარს. “ეს რა ზეგარდმო ბიოლოგიური ქანქარი გბადებია. ასე ხომ ოდნავაც არ გაძნელდებოდა პენდურებისთვის სამყოფი ხორაგის აჩენაც. ყოჩაღ, კომისარო!”

“არა, მაქს, აქ ჩემი ფხა და სარისტა რა მოსატანია, ყველაფერს ზიბელა თაოსნობდა”, გულმართლად მიუგო ლუტოლსკიმ. “იცი, მე შენთან ორიოდ...”. მაგრამ მან უმოწყალოდ ხელები გაასავსავა. “მომიტევე, მოუცლელად ვარ. ხვალვე მაღალ საბჭოს ჩვენი წინადადებები უნდა წარვუდგინოთ”. და მყის გაკიდეგანდა.

ლუტოლსკიმ მას მიმქრალი თვალები გააყოლა და უგუნებოდ თავი ჩაკიდა. საღერღელაშლილს რა ხალისი წაუხდინა მაქსმა, რარიგ ენიაზებოდა ვოლდემარს მასთან ზიბელასა და თავის მიჯნურობაზე გასაუბრება. ანაზდად ის ტყვიანაკრავი მოსწყდა ადგილს. თუ ისინი მომდევნო დღეს წარსდგებოდნენ დეპუტატების წინაშე, მას საჩქაროდ უნდა ეთათბირა ნოვიკოვთან და ზოგი რამ ნათელეყო.

ლუტოლსკიმ ერთგავრი მორიდებით შეჰყო თავი მიწიერი ექსპედიციის თავკაცთან. ნოვიკოვმა ის გულსადაგად მოიკითხა და დაბრძანება სთხოვა.

“თავს არ შეგაწყენ, ალექს, ერთი-ორი სიტყვის სათქმელად გეახელი. მაქსისგან შევიტყვე, რომ ხვალ მაღალ საბჭოში ჩვენს მოსზრებებს მოისმენენ. ვგონებ, რენდაც დაესწრება ამ სხდომას”, წამოიწყო ლუტოლსკიმ.

“რაღა თქმა უნდა, გლანდურა მანდ იქნება”, დაუმოწმა მას ნოვიკოვმა. “მაგრამ რა მოხდა, კლინიკაში რამე ხიფათს რომ არ გადაყრილხარ?”

“არა... სიმართლე გითხრა, ხიფათი კი მეწვია. პროფესორისა და სხვების აბარგებამ დავთრები ამირია. თავადაც იცი, რომ სიმარჯვე ბევრგან გამომიჩენია, მაგრამ რატომღაც დაუძლეველმა ვარამმა ტერფით თხემამდე დამაძაბუნა და ამ დროს ყველასაგან განაკიდებულსა და ბედშავად განმარტოებულს ანაზდეულად ზიბელა გამომეცხადა... ეს იყო... არა, ეს ეხლაც... ერთი სიტყვით, ჩვენ მას შემდეგ ერთად ვცხოვრობთ, როგორც მაქსი და ლო. შენ პირველი ხარ, ვისაც ამ გულისნადებს ვუზიარებ და უწინარეს ყოვლისა, ვისურვებდი, რომ ამას გაგებით მოჰკიდებოდი. ალბათ ეს გლანდურასაც უნდა მოეხსენოს. ჩვენვე ვამცნოთ უმჯობესია, ვიდრე იქნებ იმ ტანდუსგან ეპიტაკოს”.

ალექსი ფიცხლავ ზეწამოიჭრა. ის იმდენად გაასპიტებულიყო, რომ თავიდან ძვირის მიხლაც კი დააპირა. ეგების ლუტოლსკის ნამოქმედარს კვლავ საფათერაკოდ გაემძაფრებინა სირანელებთან ურთიერთობა და ეს ეხლა, რა დროსაც თითქმის ყველაფერი სასიხარულო მოჩანდა! ამაში ხომ ვოლდემარიც ღრმად იყო ჩახედული და განა მას ვერ შეეძლო თავის მოარშიება? ალექსს ენაზე რისხვა მოსდგომოდა, მაგრამ უპასუხოდ შეფიქრიანდა. ხელეწიფებოდა კი მას ვოლდემარის წაძახება? ის ხომ თავის თანამესარეცლესთან, აირისთან, ერთად იყო სირანზე. მაქსსაც დახვდა აქ თავისი ლო. და რატომ მას, როგორც დედამიწელ მწირთა წინამძღვარს, აქამდე არასოდეს მოსვლია აზრად, რომ სავსებით იყო

მოსალოდნელი, რომელიმე დედამიწელ მამაკაცთაგანს მაქსისათვის წაეხედა, თანაც ვის არ მოახრევინებდა ქედს სირანელ ქალთა გულწამტანი ჯავარი.

ლუტოლსკიმ გაჩქურებული ნოვიკოვისთვის თავის შეხსენება სცადა. "ეს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანია, ალექს, და შენ უნდა გამოგვექომაგო, უნდა გადაგვეფარო", შეჰღაღადა მან. "ჩვენ უკვე პენდურების დევნისას დავმეგობრდით, მაგრამ დაახლოვება იმხანად ზერელედაც არ გამივლია გულში. ხოლო შემდეგ ის მე ჩუმად მეწვია. ზიბელა! ნუ იფიქრებ, თითქოს სეირის წყურვილით ყოფილიყო აყუნცულებული. არა! ის გრძნობდა ჩემს მარტოობას. გრძნობდა და განიცდიდა! თუ **გლოასტერზე** მისთვის ადგილი ვერ მოინახა, მე სირანიდან ფეხის მომცვლელი არა ვარ. ვიცი, რომ უშვილოდ გადავეგებით, მაგრამ ჩვენთვის ეს რა დაბრკოლებაა. მე ისღა მრჯის, ვაითუ ზიბელას დებს მისი საქციელი არ ეპრიანოთ! გლანდურას ამიტომაც უნდა ეუწყოს ყოველივე. თუ გვირგვინს სირანულად გვაკურთხებენ, არ გავჯიქდები, თუმც ზარზეიმს ვარჩევდი მყუდრო სერი გაგვემართა. ისე, უწინ სხვაგვარად იყო, ხომალდის მეთაურებს შეეძლოთ ქორწინება ხომალდზევე აღესრულებინათ, წესისამებრ საღმრთო სჯულსა და ქრისტიანულ ზღვაოსნობაზე ფიცის დადებინაც შეეძლოთ."

ნოვიკოვი საბოლოოდ დამშვიდებულიყო. "დიახ! თქვენ თუ ერთად ყოფნა განგიზრახავთ, სასურველია ზიბელა უფრო მჭიდროდ შეკავშირდეს ლოსთან. სხვებს თავადვე მოვეთათბირები. ნურავის მხრივ წინააღმდეგობა ნუ გეფიქრება, ეს არც ჩემი მხრიდან მოგელის, მაგრამ გლანდურას უნდა ვამცნოთო, რომ ამბობ, ეს მოუფიქრებლად ვერ იქნება. ამაში რენდას გარკვევას, ხომ თქმა არ უნდა, გვერდი ვერ აექცევა, ხოლო სირანულად იფსკვნი გვირგვინს თუ არა, ამაზე ვერაფერს მოგახსენებ. ჯერ ლოსთვისაც უცნობია, თუ რა საქორწილო წესჩვეულებები არსებობდა სირანზე. ეს-ეს არის, რაც მას ამაზე ვესაუბრე. მე თუ მკითხავ, უმჯობესი იქნებოდა ასეთი დაწყვილება მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ, თვით სირანელებს შორის შემდგარიყო.

მაშ ასე, შეძლებისდაგვარად არავითარი გახმაურება! ვგონებ, რენდას სურვილიც ეს იქნება. მიუხედავად ამისა, პირდაპირ გეტყვი: ვშიშობ, ამ ნაბიჯმა ბავთად გზა არ გვიყელოს. თავადვე ახსენე ტანდუ. ძნელად განსაჭვრეტია, როგორ მიუდგება ის ამას... მე შევეცდები გლანდურას დარბაზობამდე მოველაპარაკო – და თარჯიმნობას ლო გაგვიწევს".

ალექს ნოვიკოვმა ექსპედიციის დანარჩენი მონაწილენი თავისთან იხმო, რათა მათ ლუტოლსკის სამოქალაქო მდგომარეობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ შეეტყოთ. მოგვიანებით კი ზიბელა და ვოლდემარი ზარმელზე მიიპატიჟა.

ორთავე აყირმიზებული გასცქეროდა წალიკად შემავალთ. ჯონ მორისმა ვოლდემარს ტყუილი ლოდინი უსაყვედურა და შესთავაზა თან წაჰყოლოდა, მაგრამ დედამიწელი ინჟინერი სახტად დარჩა: მან პასუხად თავის ენერგიული გაქნევა იწვნია.

ორიოდ წუთმა ზიბელასა და ვოლდემარისთვის საუკუნე გასტანა. ბოლოს მათ აირი გამოეგებათ, სირანელს გულთბილად ჩაეხვია და კიდევ უფრო ანთებულ ლუტოლსკის ყურში წასჩურჩულა: "შე უნაშურო! ჩრდილო ზღვის მოგზაურობა ხომ მარიფათიანად გაასაქმისე! კაცმა რომ ერთხელ და ისიც წამით დაგტოვოს!"

კდემამოსილთ შიგნით ყველა დაყვავებით მიესალმა. მაქსი უსასრულოდ სთხოვდა ვოლდემარს პატიებას. "ამას წინათ შენთან გასაუბრება რომ ვერ მოვახერხე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რა გვაებია. სწორედ ჩვენ ორს გვაკავშირებს ზოგი რამ, რაც ამას ორმაგად..."

“მშვიდად, მაქს!” შეაწყვეტინა ვოლდემარმა და თავისი სასმისი მისას მიახალა. “დიახ, ჩვენ ერთმანეთს სხვებზე ხანგრძლივ ვიცნობთ. შენ ეხლაც ცხოვლად გეხსომება ჩემი გაბუცებული ილეთი, მაშინ რომ განმიცხადე, თანამეცხედრე გამიუჩინარდაო. და დღეს უკვე დიდი ღვაწლი მიგიძღვის იმაში, ჩემი გულისსწორიც რომ ისეთივე გარეგნობის ყოფილიყო, როგორც ის უსულიანი, ვის მოსაძიებლადაც იმჟამად მთელი ენგიდუნია კიდითკიდე გადავქოთე”.

“რას გულისხმობ?” შემცბარად ჰკითხა მაქსმა.

“ყველაფერი, რაც დამეძგერა, შენი ბარობითაა! ლოს საძიებლად რომ არ მხლებოდი, არავინ იქნებოდა სირანზე **გლოასტერის** წარმომვლენი. ის ეხლა სრულებით სხვა ეკიპაჟით პროქსიმა კენტავრის ირგვლივ ილივლივებდა და დედამიწას გადასცემდა: ინტელიგენტური ყოფის ნიშანწყალი არაფერს ეტყობა...”

მაქსს ზავთიანი სიცილი წასკდა. საღამო მეტად სალაღობო და მოსალხენი შეიქნა. ზიბელა, რომელიც ლოს წამით არ ჩამოსცილებია, გაცეცებული უღირღიტებდა ამ ცისფერპლანეტელთა მისთვის გაუგებარ გაცხოველებას, მათ შორის ვოლდემარისას, მაგრამ ის მაინც ბედქმნილად გრძნობდა თავს და მსწრაფლაც შეიგრძნო, რომ მალე შესძლებდა ამ ბილანი ადამიანების, მათი ნაირფერი და ცოცხალი ცთომილის ჭკუით მიწვდომასაც.

სხდომამდე საათით ადრე რენდა დედამიწელ სტუმარს აუდიენციაზე დაჰყვა. ალექს ნოვიკოვი მხოლოდ რამდენიმე შესავალ წინადადებას წარმოთქვამდა, მერე კი სიტყვა ლოს უნდა განევრცო, რომლისთვისაც სირანელი დების გრძნობები ყოველ დედამიწელზე უკეთ იყო ცნობილი.

გლანდურამ მოაჯენი პირად სამუშაო ოთახში მიიწვია. ის დინჯად იჯდა თავის საკარცხულში და მომსვლელთა ამეტყველებას ელოდა.

ალექსმა ჯილდას დოსტოღრივ დაუმიზნა: “მე ჩემს თანაეტლელებთან ერთად მოუდევრად ჩავთვალე ერთ საგულისხმო შემთხვევაში თქვენი საჩქარო გარკვევა. სირანელმა მანდილოსანმა ზიბელამ ამიერიდან ერთ-ერთ დედამიწელ მამაკაცთან, ვოლდემარ ლუტოლსკისთან, თანაცხოვრება გადაწყვიტა”. ამით ალექსმა თავისი სათქმელი ამოწურა და შემდგომი განმარტებისათვის სიტყვა ლოს დაუთმო.

ზიბელასა და ვოლდემარის თავგადასავლის თხრობისას ნოვიკოვი უწყვეტად უგებდა თვალს რენდას გამომეტყველებას, ცდილობდა მის სახეზე გულძვირობის ნაკეცის ან წვრილ ბაგეთა აღტყინებული შეტოკების მიგნებას, მაგრამ, გარდა ქველი და ლმობიერი მზერისა, არაფერი შეუნიშნავს.

ლოს დადუმებაზე რენდამ ნოვიკოვსკენ მიაქცია თავი და დარბაისლად უთხრა: “ამ ცნობის მოწოდებისთვის უაღრესად მადლობელი ვარ, მაგრამ არ გაგაოცებთ, თუ გეტყვით, რომ ადრევე გამოვიწვლილე მათი ‘ხაბარი’, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თქვენ ეს კილოკავადაც ვერ გეცოდინებოდათ. თქვენ რომ ამის შეტყობისთანავე ჩემს საუწყებლად გამოემართეთ, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს თქვენი და თქვენი მეგობრების თვალუხვავობაში. ეს ყველასათვის თვალსაჩინოს ქმნის თქვენს კეთილისმდომლობასა და ურყევ განზრახვას – სირანზე სირანელების დაუკითხავად არაფერი აწარმოოთ.

ჩვენს ცთომილზე მსგავსიც არაფერი დადებულა წესად, რაც სირანელ ზიბელას იმ ძნელად წარმოსათქმელი სახელის დედამიწელის მიყოლას აღუკვეთდა. ლომ ამას სანაქებოდ უწყის. ტანდუ მას უწინ არა მაქს ფრიდლენდერთან კავშირში, არამედ ფლორის დასთან თანამოღვაწეობასა და დედამიწაზე მცდარად მიჩნეული მოხსენების წარმოდგენაში

ადანაშაულებდა. თუმცაღა”, აქ რენდამ პასუხი ოდნავ დაახანა, “მე იმავე აზრისა ვარ, რაც ჩვენი ცისფერპლანეტელი ყონაღნი: არავითარი საქორწილო ნადიმი, არავითარი ზეიმი და ზარი. ეს ამჯერად, დამეთანხმებით, განუსჯელი ნაბიჯი იქნებოდა. ზიბელას კი დედამიწელთა ჯგუფში გავამწესებთ. უკეთუ მან თქვენთან ერთად მოისურვა დედამიწაზე გამგზავრება, ხელს არავინ შეუშლის, ხოლო თუ მის ქმარს ერჩის გული სირანზე დასარჩენად, ჩვენთვის ეს მხოლოდ სიხარულის მომგვრელია.

და ერთიც უცდომელია. ეს ამბავი არც ტანდუსთვის იქნებოდა ხელმიუწვდომელი, მაგრამ აქამდე არ გამოჩენილა. ჩანს, არც არაფერს მოიმოქმედებს, მომხდარი რომც არ ესალბუნებოდეს. მაღალ საბჭოში თქვენი წინადადების განხილვისას გამომჟღავნდება, როგორია მისი დამოკიდებულება”.

გლანდურამ ზეზე წამოიწია. “და ზიბელას ჩემგან სალამი გადაეცით. მე პატივს ვცემ მის გრძნობებს, პატივს ვცემ სირანისა და დედამიწის ერთსულოვნებას”.

როცა ნოვიკოვი რენდას გამოეთხოვა და მახლობლებისკენ მიიწევდა, აღგზნებული გაენდო თავს: გლანდურას მასზე მომნუსხველი შთაბეჭდილება მოეხდინა. ლაღი და თავისუფალი იყო ის ამ საკითხისადმი მიდგომაში. და თურმე ნოვიკოვის მოლოდინშიც ყოფილა. რაოდენ მოსაწონი გამოდგა მისი სადარბაზოდ ხლების გადაწყვეტილება!

მაღალი საბჭოს სხდომა უყალიდოდ წარიმართა. მაგრამ სირანელთათვის ადვილი მისახვედრი როდი იყო, თუ რატომ სწორედ პენდურებს ანიჭებდნენ ასეთ მნიშვნელობას. რომ არა ლოს დამაჯერებელი მოსაზრებები, სირანელები ამას ვერც ჩახვდებოდნენ. მან ისიც შენიშნა, თუ სირანზე სქესობრივი გამრავლება აღორძინდა, მრავალი ასეული წლის მანძილზე ორი სახის დას მოუწევს სირად არსებობაო, რაც ცხარე ცილობის საგანი გახდა.

კაფიეტი იყო დიელმა: უწულო დიათა მომრავლებისა და პართენოგენეზური შობადობის შემცირებისას სირანელთა გადაგება გარდაუვალი იქმნებოდა, მაგრამ თუ ცისფერპლანეტელთა შემწეობით ვაჟების თვალდათვალ მოკეთება, მათი განაყოფიერებისუნარიან მამრებად მომწიფება აცხადდებოდა, თუ ჯერხანად მცირე ოდენობის ქალთა სტერილურობა განახლებული რედუქციული გაყოფის ნიშანი იყო, სირანელები უთუმცაოდ უნდა სწეოდნენ თავიანთ გულისთქმას.

ამასა და მსგავს მოსაზრებებზე გაბაასების კვალად მაღალმა საბჭომ დედამიწელთა ყველა წინადადება მოიწონა, ერთი თავშეკავებულით. ტანდუს რწმენით, ეს მარცხი მისი უწინდებური უთავგზურობის შედეგი იყო. თუმც მას არც ეხლა სურდა თავი დამხობილად ეცნო. ხმის წინააღმდეგ მიცემას კი მაინც გასალკდევება არჩია.

დადგა დიდად მეტყველი წამი, როდესაც გლანდურამ სამ ჩრდილოკლინიკელ მამაკაცს პარლამენტართა სახელით სალამი მოუხადა. იარისა და ალონდას მიერ შერჩეული ორი ყმაწვილი მცირედ მოხათრებული იდგა აბასა და ეას მოთინათინე ანასახთა ქვეშ, სირანელი დების წინაშე, რომლებმაც მათ იმთავითვე და მუშტრის თვალით დაუწყეს ახედ-დახედვა, მაგრამ რენდას დედობრივმა მიგულთბილებამ ჩრდილოელ სტუმრებს ყამი გაულღოთ.

იარი ერთ-ერთ დასს აზიარეს, რომელსაც სირანელ მამაკაცთა საცხოვრებელ მასივებში დავანება ეკისრებოდა. გლანდურა მაშინათვე ღრმად ჩასწვდა ამ იდეის ხეირიანობას. მაგრამ ასევე ყველა როდი იყო განწყობილი. ტანდუ კი აქაც უსიტყველობდა, რასაც მას რენდა თავისთვის ერთობ უმადლოდა კიდეც. საზოგადოებრივი წესრიგის ყოფილ ზედამხედველს ხომ სწორედ ეხლა შეეძლო იჭვნეულთა მოძღვრად ქცეულიყო.

განხილვის დასრულებისთანავე ინფორმაციის ყოველი მასობრივი საშუალებით, ტელეგადაცემებში, პრესაში და უამრავ შეკრებაზე, საგულდაგულოდ აღინიშნებოდა: თითოეული სირანელი ტოლუფლებიანია, იქნება ეს კლინიკელი ჭაბუკი თუ მაღალი საბჭოს წევრი. ემზადეთ თანაარსებობისათვის!

რენდამ შერეულ ოჯახთა წარმოქმნაც განიგულვა, მაგრამ ნოვიკოვისა და ლუტოლსკის რჩევა ისმინა: სირანელი მამაკაცები ამას ვერ დაძლევენო, ირწმუნებოდნენ ისინი და ასეც იყო. ეს მომავალი თაობების ხვედრი ჩანდა.

პენდურების რიცხვი სირანგლადურში დღითიდღე იზრდებოდა. ლუტოლსკის ფანდი მათი მოხელეთებისა მეტად ვარგისი გამოდგა. მაქსის მითითებით გაშენებულ საცდელ ნაკვეთზე თვალსანახად მატულობდა პაწაწა მობინადრეთა ოდენობა. სამიოდე ყაფაზში მათ დიდხანს ვერ შეავიწროვებდნენ. სორანდას წაქეზებით სირანელმა დებმა მალევე შეიფერეს ოთხფეხთა ჭირისუფლობა – სირანელთათვის მანამდის გაუგონარი საქმიანობა. “უკვე მიმძიმს კიდეც იმის გააზრება, რით იმსახურებდნენ ეს მარილიანი არსებები მრავალჟამიერ ძრახვას”, აღიარებდა სორანდა.

ამ შენიშვნამ მაქსი სოციალურ მემკვიდრეობასა და აღზრდაზე, პირობით რეფლექსებსა და მეორე სასიგნალო სისტემაზე ვრცელი, დაუსრულებელი სიტყვის წარმოსათქმელად ააგულიანა.

“შენ ყველაფერ ამას ისე აყრი საბრალო სორანდას, თითქოს ავტოფანტასტაში ათწლიანი სასწავლებლის შეგირდი იყოს”, გააწყვეტინა მას ლომ. “ეხლა იმაზე მსჯელობა სჯობს, უსწრაფესად როგორ განაკერძოოთ ერთმანეთისაგან მდედრი და მამრი პენდურები ან რა ოდენობით შეარჩიოთ ისინი მოსამრავლებლად. ამაში სორანდა ამჯერად გაცილებით უფროა დაინტერესებული. ქიმიკოსებს თუ მოეთათბირე? და ჩვენს საანალიზო იარაღებს როგორ ეწყობი? ეს არის ხომ ეხლა უმთავრესი. მაგ მხცოვან პავლოვს შარავანდი, მაგრამ ყველაფერი თავის დროზე!”

მაქსი იცინოდა. “მართალს ბრძანებ, როგორც ყოველთვის. ოღონდ მე უკვე ყველაფერს გავეცანი, დავალებებიც შევასრულე, როგორც წესი და რიგია. შედარებით ადვილია მდედრთა ორივე ჰორმონის განცალკევება, ესტროგენისა და ყვითელი სხეულის ჰორმონისა”.

“მამრებთან ეს მით უფრო მარტივია, არა? აქ მართოდენ ერთი ჰორმონია განსართავი”.

“მაგრამ ჩვენ მოკლებულნი ვართ შედარებებს. სირანელთა სისხლშიც, რომელთაც აღუდგათ რედუქციული გაყოფა, უნდა მოიპოვებოდეს ესტროგენი და ყვითელი სხეულის ჰორმონი. თანაც აღარც ვაჟები გვთავაზობენ სასურველ შედარებას. რამდენადაც ირკვევა, ამ მიმართულებით ექსპერიმენტირება მოგვიხდება, თქვენ – სიფრთხილის ყველა ზომის გათვალისწინებით – პენდურას ჰორმონს შეგიშხაპუნებთ გაჯერების სხვადასხვა ხარისხით, შინაგან სეკრეციაზე მისი ზემოქმედების გამოსაკვლევად. ჩვენ ჯერ არც კი ვიცით, განსაკუთრებულ ბიოკატალიზატორზეც მიდგება თუ არა საქმე”.

“ამგვარად იქნება თუ სხვაგვარად, ნაკისრი მოვალეობა ნამუსდაცულად მოსახდელია”, სიტყვა მოუჭრა ლომ. “მე ზოგჯერ მებრალება ჩვენი ყასტიანი პენდურები, რამდენს მოესწრაფება სიცოცხლე, სანამ საკმარისი რაოდენობის ჰორმონებს განვაცალკევებთ”.

“ეს არის ყველა საცდელი ცხოველის ხვედრი”, შეეპასუხა მაქსი. მიუხედავად ჭერის მაღალი ხარისხისა, ჩვენ მაინც ვეცდებით ველური პენდურები სულ ერთიანად არ გაიჟუჟონ”.

“შენ იმაზე თუ დაფიქრებულხარ, რომ თქვენს სირანელ თანამდგომთ სისხლის ხილვაზე გული უწუხთ? თუ ცხოველთა მოკვდინებით დაგიპირებიათ ცდების დაწყება, ისინი პირველსავე დღეს ზურგს გაქცევენ და ვერაფერსაც ვერ გახდებით”, ღიმილით სიტყვა შეუბრუნა ლომ. ეს წვრილმანი, თუნდაც გაკვრით ნახსენები, ვერ უგულებელიყოფოდა. მაქსმა იონ რადესკუსა და აირი კუოლაინენს შეწევნა სთხოვა. მათაც თანხმობა არ დააყოვნეს.

უზღვავი გამოჩნდა დედამიწელთათვის მხარის მიმცემი სირანელი. მათი დასაქმების მოგვარება სორანდას დაევალა. ფლორი კი ამასობაში გაკვეთის თადარიგს იყო შემდგარი. მოგვიანებით ორი მსურველიც გამოცხადდა და ალონდას მიერ გამოცდის შედეგად სხვათა რიგებს განეკუთვნა. პროფესორი ფრანცი არ იშლიდა ქირურგიული ჩარევის **გლოასტერის** საოპერაციო დარბაზში გამართვას, ხოლო წამლობის დამატებითი კურსი სირანელ დასტაქართა განსაგებელი იქნებოდა.

ერთ დღეს პროფესორმა ორივე თავისი ასისტენტი გამოიწვია. ლოსა და მაქსს დროებით ხელი უნდა აეღოთ თავიანთ საპენდურო პროგრამაზე.

მათ საფუძვლიანად გადასინჯეს ჩარევის გეგმა. ფრანცი სამივე გაკვეთის გაბმით წარმოებას მოითხოვდა, რათა ალონდას პაციენტები ერთად და ერთდროულად მოექცია ჰიპნოგრილძილში. ეს წესი ჯგუფური ჰიპნოზისა, სირანელი მედიკოსის განმარტებით, უფრო გამართლებული იყო, ვიდრე ცალკეულთა დაბანგვა. სირანული სანარკოზო ხერხებისადმი ნდობის გასამყარებლად იმის მოგონებაც კმაროდა, რომ მათ ინდივიდუალური საცთომილთშორისო გაფრენები ეფუძნებოდა.

სამზადისის დრო ამოიწურა, დაჰკრა ოპერირების ჟამმაც: ალონდას თანხლებით მცირე ქირურგიულ დარბაზში ფლორი შემოვიდა. ჩრდილო კლინიკის მთავარექმის ნეკისოდენა, ფრანცისთვის უცხო ხელსაწყო ჰქონდა მომარჯვებული. ეს, როგორც გაირკვა, განსაკუთრებული აირით გავსებული მაღვიძარა იყო. ფლორი ძლივსღა ფეთქავდა, კანის ტემპერატურა უკიდურესად დაბალი იყო, ის ოცდაშვიდ გრადუს ცელსიუსს არ აღემატებოდა, მაგრამ, ალონდას რწმუნებით, ეს მხოლოდ უმაღლესი მიჯნა იყო და ჰიპნოგრილძილში ტემპერატურები ნორმით ორიდან ოთხამდე გრადუს ცელსიუსს აღწევდა.

პროფესორი მაინც ბორგავდა. თუმც ლაზერული სკალპელი ადრევე მარჯვედ ეპყრო ხელთ და ხუთი წლის წინანდელი გაკვეთაც კარგად ახსოვდა, მაგრამ: განუმეორებელი იყო ყოველი სხეული, ყოველი რეაგირებდა სხვებისაგან გამორჩევით. მან ძალღონე მოიკრიბა, მისებრ სტერილურად გახვეულ მწეთ, ლოსა და მაქსს, თვალით ანიშნა – მივყოთ ხელიო და ლაზერული დანის ღილაკს თითი შეახო.

თუმცაღა უცაბედი არაფერი მომხდარა, როცა ფლორის ლოლუასებრ გლუვი კანის გარღვევისას ცვარი სისხლიც არ გადმოდენილა, მაგრამ ფრანცი მაინც უჩვეულო გრძნობით იყო შეპყრობილი. სისხლის ქიმიური ანალიზისათვის ამოსაღებად მას აქაც მცირე არტერიის გაკენწვლამ მოუწია და ნამეტნავადაც გაისარჯა ერთიოდე სინჯარის გასალიცლიცებლად.

შემდგომ ყველაფერმა უშფოთველად ჩაიარა. სისხლდენის შეწყვეტაში ხომ საეგებისო ვერაფერი იქნებოდა. თითქმის ოცი წუთის გავლით ფრანცმა შვებით ამოიფშვინა და ქირურგიული პრეპარატი – ეს იყო საკვერცხის ნაწილაკი, რომელიც ერთი კვერცხისაგან შედგებოდა, – ლოს მიერ გაწვდილ მინის პაწაწინა ჭურჭელში ჩაუშვა. ასევე

ხელგამომავლად და მოსხეპილად შეუკრეს პირი მუცლის ნაკოდ არეს და ეს-ეს იყო ფლორი გაიყვანეს, რომ კარში მომღიმარი სახით ალონდა გამოჩნდა. “თქვენი პაციენტი და მადლობას გწირავთ, პროფესორო!” მოახსენა მან ფრანცს.

ფლორი უკვე გამოფხიზლებულიყო და დალხენილი ყვებოდა, არაფერი შემიგრძვნია და არც ეხლა მაწუხებს ნაჭრილობევიო. ამისდა მიუხედავად, ფრანცმა ის სამი დღით სარეცელს მიაჯაჭვა.

ორივე მომდევნო ჩარევაც გაუმწვავებლად შესრულდა. როცა საოპერაციო ტალავრებს ტანთ იხდიდნენ, ფრანცმა შენიშნა: “ამ სამივე ჩარევას ერთად აღებულს იმდენი დროც კი არ დასჭირვებია, რამდენსაც ხშირად თითოს ვანდომებდი ჩემს კლინიკაში, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ჯერაც წინაა: ჰისტოლოგიური გამოკვლევა!”

“და სისხლის ანალიზი”, დასძინა მაქმსა. “მდედრი პენდურების საკვერცხეებიდან ესტროგენის განაკიდება მოახლოვდა; ყვითელი სხეულის ჰორმონის მონაგრება უფრო დიდხანს გასტანს, მისი ხომ მხოლოდ კვალია შემორჩენილი”.

პროფესორი ფრანცი მოსავებულად გამოიყურებოდა, მაგრამ მის დამაშვრალ გამომეტყველებას თვალთა მღივანი, სიღრმიდან გამონაშუქი კიაფი საუცხოო ელფერს სძენდა. “ალექს, შენ, როგორც ჩვენი ექსპედიციის თავი, პირველი ხარ, ვისაც ამას ვატყობინებ: სამივე სირანელს თავიანთ საკვერცხეებში კვერცხუჯრედები გამოუვლინდა ქრომოსომთა ნახევარი ოდენობით! და მაქსის მიერ აღმოჩენილი მდედრი პენდურების ჰორმონი, მიწიერი ესტროგენის მსგავსი, სრულყოფილი გამოდგა. ხვალ ყვითელი სხეულის ჰორმონზეც მოვათავებთ კვლევას. იმედია, ასევე წარმატებულად”. ფრანცმა მძიმედ ამოისუნთქა.

ნოვიკოვს სახეზე კმაყოფილების აჩრდილი მოჰფენოდა. მისთვის აშკარა იყო, თუ რას მოასწავებდა ეს შედეგები. მათ ხომ არაერთგზის უსაუბრიათ ამის შესახებ, არაერთგზის შეურთავთ სასო წარმოდგენასთან და ეხლა, რა ჟამსაც ვარაუდი სინამდვილედ იქცა, ალექსმა იგრძნო მთელი ის პასუხისმგებლობა, რომელიც დედამიწელებს ამ მიღწევით აწვებოდათ მხრებზე.

ამის გაფიქრებაზე ნოვიკოვი ფეხზე აიჭრა და განჯინიდან ორი გასილავებული ფიალა გამოიღო. “ამის აღსანიშნავად სასმისების მიუხლელობა არ ეგების, ჩემო ოტო!” მიაძახა მან ფრანცს.

ის ჯერ გაკვირდა, მერე გულიანად გადაიხითხითა და თავაწყვეტილი რიხიან სიცილს მოჰყვა. ცრემლი რომ მოიშორა, ხარხარისგან დაოსებული ალექსს გაენდო: “მე ჩემი სახელი თითქმის დამვიწყებია, თავიდან ვერც კი მივხვდი, ვის გულისხმობდი. ზოგი მომიხალე, ალექს!”

ნოვიკოვიც ომახიან სიცილს მიეცა და როცა კარის შემოღებაზე განცვიფრებული აირი გამოჩნდა, გულმარიხიანად დაახალა: “იმზეგრძელე, შე ცისფერი პლანეტის ესტროგენელო!”

აირიმ თავი მიაქნ-მოაქნია და უკვე ამრეზილს ფრანცის დანახვაზე თვალები აეხილა. “თუ არ ვცდები, სირანელებს მეიოზი აღმოუჩნდათ, ალბათ შესაბამისი ჰორმონებიც. ხომ სწორად მიგიხვდი, პროფესორო?”

ეს ნამდვილად იყო მოლხენის საბაბი და შეიქნა იმავე მწუხრის ჟამს საზეიმო და მარად მოსაგონარი ღრეობაც.

მაგრამ მეორე დღესვე ნოვიკოვმა ექსპედიციის ყოველი მონაწილე მოიხმო და უმკაცრესი დუმილი სთხოვა. “სანამ მამრ სირანელებს განაყოფიერების უნარს არ შევძენთ და მათ აღნაგობას არ გავასრულადებთ, გადამწყვეტ წარმატებაზე ფიქრიც კი უკადრისია”, არიგებდა ის თანაცთომილელთ.

მაღალი საბჭოს გლანდურა ოქრომკედით ამოქსელილ სამოსში იყო გამოწყობილი: გრძელი, კომახამდის ბოშად ჩაწვდენილი ქვედატანი და სადად ნაცური ქათიბი, რომლის სახელონი ლალისფერი წირებით იყო შემობაფთული. ის სორანდასა და კალოს თანხლებით ფლორის შეეგება.

მომსვლელნიც გულხალვათად იყვნენ განწყობილნი. ნიადაგ სიცოცხლის მოტრფიალე სორანდამ ალისფერი წოწოქურათი გავსებული ჭურჭელი ასწია და თვალები გლანდურას მიაპყრო. “როგორც ეს ჩვენ ცისფერპლანეტელ მოყვასთ სჩვევიათ: იდღეგრძელე! რომ კვლავაც ხანგრძლივ შეგძლებოდეს სირანული სახელმწიფოს ბრძნული წინამძღვრობა!”

რენდამ მას თავის დაკვრით მიუგო: “და რომ ოდნავ სწრაფად ვიქმდე ხოლმე იმას, რაც თქვენ, ახალგაზრდებს, გწადიათ. განა ასე არ არის?”

ფლორიმ, რომელსაც უკვე აღარც შეეტყობოდა, რომ ქირურგიული ჩარევა გამოევლო, ჩაიკისკისა. “გაგიმხელთ, მამაკაცთა სირანულ საზოგადოებასთან შერწყმა თავდაპირველად მეც შეუძლებლად მომეჩვენა, მაგრამ სორანდას თვალთა კრთომამ და ტაშის გრგვინვამ, რომელიც ნოვიკოვის წინადადებას მოჰყვა, წამზე გადამარწმუნა”.

“მე კი მხოლოდ დღეს შევიცვალე აზრი”, თქვა კალომ. “აქამდე სულმუდამ ვღელავდი, მეგონა, დები ამას მტრულად აღიქვამდნენ. დედამიწელებთან თანამოსაგრეობამ ხომ ზოგი ძველი ცრურწმენა და ნაყალბევი მრწამსი მოგვაშლევინა. ამიტომაც მიმძიმდა მათი სადღეისო განწყობის განჭვრეტა”.

“თუნდაც პენდურების ამბავს დააკვირდი”, ჩაურთო ფლორიმ. “ვინ იფიქრებდა, რომ ცხოველთა მოსაშენებლად მაქს ფირდლენდერი საკმარისად აიჩენდა მოხალისეებს? და დღეს, ოთხიოდე თვის შემდეგ? ახლა ზოგ თანასაცხოვრებელში მომცრო გალიებში გამომწყვდეულ პენდურებს შეხვდები და რაც მეტადრე საკვირველია, ამ ზანგელა ბეწვბურთუნების ფარფაშს შიგადაშიგ თუ აკლია დამტკბარ მზირალთა გუნდი. როცა ისინი თავიანთი პირისფერი ცაცებით ჟიჟმატ მარცვალს იტაცებენ და ლაზათიანად ექცევიან მას ანაც როცა პაწაწა ყვრიმლის ჯიბეებს იჭიკნიან და კუნჭულში გერგილიანად სენას აწყობენ, მეც ვნანობ, რომ ისინი ცდებს ეწირებიან”.

“დღეს თანასწორობის ზეიმმა არაქათი გამომაცალა”. რენდამ გასასვლელად წამოიწია. “ძალზე მილუშვილი ვარ და მაინც, სული ჩემი დღესასწაულობს, გული სიამით მევსება. მე ეხლაც თვალწინ მეხატება ათასობით სირანელის სახე, მეტწილად ლაღი და დარდიმანდული, ფიქრწაღებულიც მრავალი – მაგრამ რამდენი გულჩახვეული და გესლიანი გამოხედვაც!

ჩემთვის უკვე გამოიკვეთა: ადამიანებს თვით ჩვენზე უკეთ შეუცნიათ, რომ დასაბამითი გრძნობათა სამყარო არ არის გამკვდარებული, რომ ის მხოლოდ დამზრალია და გალღობას საჭიროებს. ახლებური ჭვრეტის ელვისებურმა გავრცელებამ ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. თქვენ რას უწყით, გაორებულს რარიგ მეთანაღრებოდა გული, სირანელებს რომ მწვანე ელდის მეყზე ვაწვდიდი კადრებს, თუმც იმ სურათებმა არაერთი გააკვირვა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მამაკაცების აღსასრული ასე მზარავი და გულსაკლავი ყოფილა. მაგრამ ამ საზაროების განცდა სირანელ დებს უცილოდ აღუძრავდა მათდამი

სიბრალულს. ამიტომ არაფერი შემშლია, დოკუმენტაციის საეროდ გამოტანამ ბევრ რამეზე იქონია ზეგავლენა და ზოგი რამ მოძრაობაშიც მოიყვანა. დღეიდან უკვე მესმის: დების უმეტესობა თანაგვიგრძნობს და გვმეშვეობს, უფროსად ყოვლისა, კალოს დარგში დასაქმებულნი გვახმარენ ხელს. სხვებთან ჯერ დიდი გვაქვს საურავი, დიდსულოვნად და მოფრთხილებით".

"და რომ ლოს დედამიწაზე მაქსთან ერთად ბედნიერად არ ეცხოვრა, დედამიწელები მყისვე შინისაკენ გაბრუნდებოდნენ: ხომ შეეძლოთ ეფიქრათ, ეს სირანელები გულსავსენი ყოფილან თავიანთი ყოფით და ჩვენ რითღა უნდა შევეწიოთო". სორანდა ფლორის ხელში წასწვდა. "სთქვი, ფლორი, კიდევ რას მიაგნეს, საქმე ხომ კარგად გაეწყობა?"

"ისე მნუკავ", მიუგო ფლორიმ, "თითქოს საიდუმლო მოხსენებებს ვადგენდეთ, მსგავსად შენი წინამორბედისა. ყველაფერი, რასაც ისინი იტყობენ და რაც მათ აღმოუჩენიათ, ყველას თანდასწრებით განიხილება – ალონდა, ლო და მე მათ რიცხვს განვეკუთვნებით. ისინი არც შენ გამოგრიცხავენ და საერთოდ, მე არავისგან მსმენია, რომელიმე ცისფერპლანეტელს ეთქვას: რა გრჯის! არა გესაქმება რა!

დადგინდა, რომ მეორე ჰორმონი, რომელიც მდედრი პენდურების სხეულში გამოიყოფა და დედამიწელების მიერ "ყვითელი სხეულის ჰორმონად" იწოდება, მხოლოდ არაპართენოგენეზურთა სისხლში მოიპოვება... მაქს ფრიდლენდერი ეხლა მის შარდში გამოვლენის ხეხრს იმუშავებს. მოგეხსენებათ, რაოდენ ძნელია სირანელისთვის სისხლის გაღება".

"ეს რა საუცხოო წამოწყებაა!" სიხარულით დაასკვნა სორანდამ.

"შენთვის ამაში ცოტა რამ არის გასახარელი", გამოეპასუხა კალო. "სატესტო მასალის წარმოებასა და შემაჯამებელ სამუშაოებზე მე ვაგებ პასუხს. მაგრამ ყველა ხუთი მილიონი სირანელის – მათ შორის სამოც წელს მიტანებულთა – შემჭიდროებულ ვადებში ტესტირება, ვფიქრობ, საზოგადოებრივი სტრუქტურის ზედამხედველმა უნდა ითავოს და ეს შენა ხარ!"

"ვითავებ კიდეც. ვაჟთა მკურნალობაც ასევე დასრულდეს და..."

"კმარა, თორემ ქარსაც ვერ ამოიღებთ", ყასიდად გაუჯავრდა მათ კარებს მიმდგარი გლანდურა. "ქაცვ-ნარიან და საფათერაკო გზაზე გვაქვს სავალი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნოვიკოვი და მისი თანაეტლელნი საბოლოო გამოსავალსაც მიაკვლევენ. ადამიანთა დახმარების გარეშე ჩვენ ნამდვილად ვერაფრის გამწყობნი ვიყავით".

სატესტო ინდიკატორები ორიოდ დღეში დამზადდა. მანქანები სრული სიმძლავრითა და დღე-ღამის შერწყმით ბრუნავდნენ. მაღალ საბჭოს საჩქაროდ სურდა გაერკვია, სირანელ დედაკაცთა თუ რა ნაწილს აღუდგა რედუქციული გაყოფა. ყოველ დასახლებულ ალაგას მივლენილ იქნა მრავალრიცხოვანი რაზმები ამხსნელობითი ფირებითა და სხვასახი წყაროებით, რათა დებისთვის დასახული აქციის დანიშნულება ბუნდოვანი არ დარჩენილიყო. კიკნა სატესტო ფორმულარების გაცემა და მათი შეგროვება კი მას აქეთ წარგზავნილ დასებს ერწმუნათ.

მაქსი ლაბორატორიის ცისკროვან ნათურას სასინჯს უშვერდა და თან ამბობდა: "პენდურების მამრობითი ჰორომნის პირველი კუბური სანტიმეტრები უკვე ჩვენს ხელთაა. მაგრამ შეუსწავლელია, რაოდენ სიცოცხლისუნარიანია შესაბამისი ხნოვანების ჭაბუკთა და

მამაკაცთა სასქესო უჯრედები, ხოლო გამოავლენენ თუ არა ისინი სქესობრივ ლტოლვას, ეს კი კვლავაც საკითხავია”.

პროფესორი ფრანციც იგივე ვარამით იყო შეპყრობილი. “ხომ არ ფიქრობ, რომ მამაკაცთა ორი სახე არსებობს, მცვედანი და უავადო? მაგრამ რაღა არს ვაჟთა გაჩენა, თუ არა წარმომდგარი გენეტიკური რემისიის ნიშანი? იქნებ აქტიური სპერმიუმების წარმოქმნას მხოლოდ უმნიშვნელო შემაერთებელი ნაწილაკის უკმარისობა აბრკოლებს. და ეს ნაწილაკი, მაქს, აგერ აქ არის!” ამასთან, მან პენდურას ჰორმონიან სასინჯს ხელი მოუთათუნა”. რაც შეეხება სქესობრივ მიდრეკილებას, გთავაზობ ამის თაობაზე იარს გაესაუბრო, თუმცაღა თავადაც მესმის, თათარიახნად ამას თავს ვერ გამოაბამ. რვა ასწლეულია, რაც მსგავსი კითხვები არავის წამოუჭრია, და ამ ვითარებას ნუ მიიყურისძირავებ!”

იარის დაკითხვა განუზომლად მნიშვნელოვანი იყო. კლინიკური ცდების გარეშე მამაკაცთა სასქესო უჯრედების ქმედითობა ვერ დადგინდებოდა, რაკი სქესობრივად მოწიფულთა შორის ტესტირების ვერც ერთ მსურველს გამონახავდი. მაქსი დაუხანებლივ უნდა სწვევოდა იარს. ლო მზად იყო შესაწევნად, მაგრამ ბიოლოგი ამას დაჟინებით უარობდა: “ასე შენ მხოლოდ დააფრთხობ მას. თვით დედამიწაზეც ზოგს კდემა იპყრობს, როცა ის როგორც მამაკაცი მედიკოს ქალს თავის სქსეობრივ გასაჭირზე მოუთხრობს. სჯობს, საჭირო ცნებებში რამდენადმე მაინც გამარკვიო, რადესკუს ორი ათასი სიტყვა ხომ ესოდენ ფაქიზ მხარეებს ნაკლებად მოიცავს”.

მაქს ფრიდლენდერი კლინიკადან მობრუნებულიყო და იარიც წამოეყვანა. სირანელი თავის თანამოსქესეებს თავადვე უნდა მოლაპარაკებოდა ტესტური გამოკვლევების აუცილებლობაზე. მაქსთან საუბარმა მას არაერთი სადარდებელი გაუჩინა.

კვლევით ცენტრში იარი მაღალი საბჭოს თანხმობით იყო გადმობინავებული. დედამიწელთა თანახმად, მისი ეს გრძელვადიანი – ორკვირიანი – მივლინება სამეცნიერო ხასიათის უნდა ყოფილიყო.

თავიდან ის მორცხვობდა და მიუდგომლად ეჭირა თავი, მეტადრე აირისთან მიმართებაში. ეს ცისფერპლანეტელი ქალბატონი და ალექსი რომ ცოლ-ქმარი იყვნენ, ამას ის უმალვე ჩასწვდა. ლოსა და მაქსის ურთიერთკუთვნილებაშიც ბუნდოვანი მისთვის არაფერი იყო. ლომ საკმაო ხანი დაჰყო დედამიწაზე და იმხანადვე გაეცნო მაქსს: მაგრამ ეს ვოლდემარი და ეს ზიბელა, რომელიც მას ქსენონში ფარვანასავით თავს ევლებოდა, რა გრძნებამ გააერთსულა? კვლევით ცენტრში არავინ უყურებდა მათ კავშირს როგორც საკდემელსა და საძრახისს. ზიბელას იარი ჩოთირის გამო ვერაფერს დაეკითხებოდა. ერთის მიწვდომის დამაღი კი ვერ მოეგერიებინა: რატომ სხვა ცისფერპლანეტელნიც, ჯონი, პროფესორი ფრანცი და იონი, სირანელ ან ნოვიკოვის მსგავსად დედამიწელ ქალთან არ თანაცხოვრობდნენ? მას უნდა ნათელეყო ეს საკვირველება!

როდესაც მაქს ფრიდლენდერი იარს სქესობრივ ალღოზე ჩაეკითხა, სირანელი უეცრად შედრკა. მისგან მოითხოვდნენ ისეთი რამის გადმოცემას, რაზედაც კლინიკელ მამაკაცებს გადაკვრაც კი ეგრგინებოდათ ერთმანეთში – ასე მყარად გაბრჯნილიყო უგვანი წარმოდგენები უმოწყალოდ დაბანგულთა გონებაში.

მაგრამ ის, რამაც ეს გარმიანელი სირანელთან მოაბრძანა, სწორედ აქეთკენ იყო მიმართული! მას უნდა დაესურათებინა მაქსისთვის აღტყინებანი, რომელთა რაობა ჯერ

თვითონაც ვერ განესაზღვრა. ეს იყო მხოლოდ ვითომითი, უნდომი და ბრუდამხვევი ზმანებანი.

ბურანში მას მრავალგზის წაჰკიდებია ცხადად განუცდელი, უთავბოლო ვნებანი, მრავალგზის გაკრთომია ძილი მათი მოჯარებით აფორიაქებულს, მაგრამ ცნობიერი ამგვარი განცდები არასოდეს ყოფილა. ეს იყო ოდენ ინსტინქტი, მორყეული და მიმტკნარებული, რომელიც მის გამიამიტებულ, ერთიანად გაბილანებულ გონს ოდნავაც ვერ შეეცნო. მაქსმა სცადა ხატოვნად აღეწერა მისთვის, თუ რა ხორციელ მისწრაფებებს ერწყმოდა ეს დედამიწაზე. თუმც იარმა ბევრი ვერაფერი გააცნობიერა ცისფერპლანეტელის ნაამბობიდან, მასში მაინც აღმოცენებულიყო მანამადე უცხო, ნარნარი გრძნობა სქესობრივი სოლიდარობისა. სულ უფრო და უფრო უფიქრდებოდა ის ისეთ მომნუსხველ გამოთქმებს, როგორიც "ჩვენ, მამაკაცები" და "ქალ-ვაჟის ტრფიალი" იყო...

დღენი ტაატით მიიბაწრებოდნენ. იარი, მიუხედავად განუწყვეტელი ლამობისა, საწადელს ვერ სწეოდა – მთავარი მისთვის მით უფრო მონისლულიყო. დასასრულს სასოწარკვეთილმა მაქს ფრიდლენდერს მიაშურა. "მითხარი, მაქს, რად არ ეტრფის ყველა მამაკაცი აირის?" იკლავადა გლახგული ჟინს. "რად არ ინებეს სხვებმაც შენი და ლუტოლსკის მსგავსად სირანელი მანდილოსნის თანამგზავრობა, რათა, როგორც მიხსნიდი, მისი ტრფიალი შეძლებოდათ?"

მაქსი გაოცდა. ის გრძნობდა, რომ უნებლიე კითხვები ეს ვერ იქნებოდა და წამსვე პარტნიორულ ურთიერთობათა გაშუქებას შეუდგა. "არა, იარ, არავის ანაღვლებს, ალექსს რომ აირი ახლავს ან მე რომ აქ ლოს მივაგენი. ხოლო ვოლდემარი... ეს მოულოდნელი რამ შეგვემთხვა. მაგრამ უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ვოლდემარს ამან სითვინიერე და ზომიერება შემატა. ისინი შეჰფერიან ერთმანეთს", დასძინა მან.

იარი არ ყოინდებოდა. "თუ ოდესმე ქალისა და მამაკაცის შეერთებისგან სირანზეც გაჩნდა ცოცხალი არსი, ჩვენც ხომ უნდა გვესმოდეს, რაში ძევს ამ თქვენს მიერ მიჯნურობად შერაცხული გრძნობის დედააზრი. შენ კი მანუგეშებ, თითქოს ჩემს საზარელ სიზმრებში არაფერი იყოს საშიში და ისინი მამაკაცურ ნიშატს ესადაგებოდეს. მაგრამ როგორ დავიხსნა თავი ამ გვემისაგან, თუ ჩემთვის აღარც ლო, აღარც ზიებლა ან აირი არსებობს?"

"ყველა ეს ტესტი და პენდურებზე ჩატარებული ცდაც ხომ ამისთვის არის გამიზნული. ჩვენ ყოველ სირანელ მამაკაცს თავისი ლო, თავისი ზიბელა უნდა შევძინოთ. სქესობრივი თანამყოფობის ათვისება კი მამა- და დედაკაცებს ერთობლივად მოგიწევთ. შენ შემოქმედი ხარ, იარ, და ნუ მეტყვი, ძველ ნაწარმოებებს არ გავცნობივარო. ნუთუ მათში არაფერია ნახსენები ტრფობის ალსა და ურთიერთლტოლვაზე, სიყვარულსა და ეჭვიანობაზე? ნუთუ სირანელთათვის სქესობრივი ურთიერთობანი ვალის მოხდაღა იყო?"

"**მწვანე ელდის მეყამდე** შექმნილი თითქმის არაფერი შემოგვრჩენია", მიუგო იარმა თავის გაქნევით.

"არაფერი? ეს წარმოუდგენელი ჩანს. სად გაგონილა, არქივებში ძველი ნაწერები არ ინახებოდეს? უცილობლად უნდა ეთხოვოს გლანდურას, რომ საარქივო მასალები შენთვის ხელმისაწვდომი გახადოს. ეს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. უამისოდ ვერც გოგო-ბიჭების ერთად აღზრდა იქნება წარმატებული, მაღალმა საბჭომ რომ საჯაროდ გამოაცხადა".

"მაშ, შენ უწინდებური გამრავლების აღორძინებაში ეჭვი არ შეგდის?" ჰკითხა იარმა ურწმუნოდ.

მაქსი მცირედ შეფერხდა. "თუ მთელს ჩემს გამოცდილებასა და ცდებით მონაგარს გულისყური ავადევნეთ, ეს ასეც არის. ვაჟთა შობადობა ხომ განუხრელად იზრდება, განუხრელად და ყველასათვის თვალსაჩინოდ! რაც თქვენს ცთომილზე ნახევარი

ასწლეულის წინ განხორციელდა, ეს არ არის ლიტონი ფენომენი, ეს უმაგალითო ბიოლოგიური საოცრებაა: ხელახლა ამოქმედდა მამრობითი ქრომოსომის წარმომშობი ძველი კოდი, მართალია, მხოლოდ ორმოცდაათი წლის წინათ და მხოლოდ ცალკეულთა სხეულში. ამისდა კვალად, ათასწლოვანი განვითარების ნაჭდევი თვითეულ თქვენთაგანში საბოლოოდ როდი წარხოცილა! და შენ თავად ხარ ამის დასტური. ჩემსას თუ ისმენ, შენვე უნდა ასახო ეს სირანელი ძმებისთვის, ისე, რომ მათაც შთააგონო ქალ-ვაჟური ტრფიალის ზეციური სიდიადე”.

კარი მეთერთმეტე
წარმატებული წამლობა

ერთ საღამოს იარმა გაბრწყინებული სახით საკლუბო დარბაზში შემოაბიჯა, ალექს ნოვოკივოს დაუმხარდამხარდა და განზე გაიხმო.

ჯერ მას ნოვიკოვი გაცეცებული მიაცქერდა, მაგრამ შემდგომ მომწონად თავი დაუკრა და დანარჩენებს მიმართა: “გთხოვთ, ნუ დაიფანტებით. იარი ერთ აღმოჩენამდე მისულა, რომელიც თქვენთვის ინტერსს მოკლებული არ უნდა იყოს. უთუოდ გეხსომებათ, რომ ბოლო დღეებში ის გლანდურას თანხმობით არქივში იმყოფებოდა და წინარეკატასტროფულ ხელოვნებას, უმთავრესად ლიტერატურას მიმოიხილავდა. და მას ღირსსაცნობი რამ დაუდგენია, რასაც ჩვენი ყურადღებაც სურს მიაპყროს”.

ეს მრავლის მომასწავებლად ჟღერდა.

დედამიწიელებმა ცნობისმოყვარედ გადახედეს ერთმანეთს და დაყურსულნი დასხდნენ. ლო იარს გვერდით მიუჯდა. მისი გაწაფულობა ინტერლინგვაში უკვე ყოვლად სრულქმნილი იყო, მაგრამ სირანელი დის მახლობლად ყოფნა უფრო დააცხრობსო, განსაჯა ლომ.

“ან იქნებ აღატყინოს”, შეეცილა იარი და თვალები ოინბაზურად აუფოფინდა. “მოსხივცისკარე ქალის ნამეტნავი სიახლოვით მამაკაცს ადვილად შეიძლება მხარი მოექცეს”.

მსგავსს მისგან არავინ მოელოდა. გაოგნებულ კომისარს შფოთვისაგან ენა მოეკვნიტა, რადესკუც ხმადაბლა დუდუნებდა: “ეს ხომ შეუძლებელია...”

იარმა კი დინჯად განაგრძო: “ეს გამონათქვამი მე არ მეკუთვნის, ეს საცავში ნაპოვნი პოემიდან, სატრფიალო პოემიდან ნასესხები სიტყვებია. საარქივო მასალებმა ნათელი მოჰფინა მაქსის ნათქვამის სირასტეს. სირანზე მართლაც არსებულა სიყვარულის ტრადიცია და ის უნდა გაღვივდეს! მე კვირის დამლევსვე მოვყვები ზოგიერთი ტექსტის თანამედროვე სირანულზე გადმოტანას. ესეც მორიგი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მოახლოებული გარდატეხის სამზადისში”.

შემდეგ ის წარმოთქვამდა სტრიქონებს თვალად ასულსა და სასომიხდილ ყრმაზე, ერთგულ დაბელგილსა და უგლარჯ საქმროზე, გულხენეშ ძმასა, რომელიც თავგანწირვით იცავს დის ღირსებას, და მთელი ამ ვაგლახის კეთილად დასრულებაზე. ეს თანაბრად შეიცავდა საკვირველებასა და გროტესკულობასაც. ენითა და ფაბულით ლექსი ნაკლებ ორიგინალური მოჩანდა, მაგრამ იარს ამით გრძნობათა ახალი, მანამდე შეუცნობელი სამყარო გადაშლოდა – მშობლიური სირანული და არა მიწიერი, მაქსის მიერ ნაქადაგები!

“და ეს”, ასრულებდა იარი თხრობას, “მხოლოდ დასაწყისია. მე ბევრად მეტს გავეცანი, მათ შორის პროზაულ ნაწარმოებებსაც და სადღეისოდ უკვე გარკვეული ვარ, უკვე ვუწყი, რომ ვნება და ტრფობა, ეჭვიანობა და ეროტიკული ლტოლვა არც ჩვენს აზროვნებასა და ემოციებში ყოფილა მცირემნიშვნელოვანი. ზოგ-ზოგი ჩემი ნარკვევი გლანდურას გამოსაქვეყნებლადაც წარვუდგინე, რათა სირანელებმა შეიგნონ **მწვანე ელდის მეყის** ჭეშმარიტი აზრი, რათა ყოველი დავარწმუნოთ, რომ ამ მეყმა მის წინაპარს უძვირფასესი გრძნობები წარტაცა. ამჟამინდელთ ვერავინ აღგვიკვეთს ვიცოდეთ, რა წყაროებიდან ეზიდებოდნენ იმხანად ძალასა და სულიერ სიმხნევეს”.

ალონდა, პროფესორი ფრანცი და მაქს ფრიდლენდერი სამომავლო საცდელ ღონისძიებებს სახავდნენ. კვლავაც აუცილებელი იქმნებოდა ხანგრძლივი ცდები, რომლებიც, როგორც უწინდელნი, მრავალ თვეს გასტანდა. მათი ხანგრძლივობის შემცირება მედიკოსთა უპირველეს საურავად იყო ქცეული.

გამოვლინდა, რომ ყველა ძედშობილის სისხლში სასქესო ჰორმონი მოიპოვებოდა. რახანაც ეს უდავო იყო: გარეგანი სქესობრივი ნიშნები, თხლად მობალნული თავპირის ჩათვლით, ნათლად მიუთითებდნენ მამრობითობაზე. ბალნის საფარველი ხომ დედამიწელებსაც არაერთსახოვანი ჰქონდათ. მაგრამ რაკიღა საარქივო აფსკებზე გრუზაწვერიანი და ხშირწარბებიანი მამაკაცები აღიბეჭდებოდნენ, ახლანდელი თმანაკლებობა გარკვეული სნეულების ნიშანი უნდა ყოფილიყო და იყო თუ არა სხეულის მიერ წარმოებული ნივთიერება სრულფასოვანი სასქესო ჰორმონი, ეს ვერავის განეცხადებოდა დანამდვილებით.

იქნებ ადგილი ჰქონდა გვედრითი ჯაჭვის უკმარობას ან სისხლში კონცენტრაციისა და ჰორმონების გამოყოფის მეტისმეტ სიმცირეს. არსებობდა უანგარიშო სახის შესაძლებლობანი. როგორც ჩანდა, ნეიტროტრანსენცუმის დაცვითი ფუნქციის არასრულყოფილ განსხეულებას ჰორმონის არასრულყოფილება განაპირობებდა.

მათ სირანელი მამაკაცები გუნდებად დაჰყვეს, რაც ორი ათასი კლინიკელის არსებობისას სულაც არ ყოფილა შრომატევადი და მომქანცველი. ჩამოყალიბდა სამი ასაკობრივი ჯგუფი: ერთი – მძუძებანიდან ექვსი წლის ნინველამდე, ერთი – აქედან მოკიდებული სქესობრივად მოწიფულამდე და ერთიც – ყველა მათგან, ვინც ოც წელს გადაცილებული იყვნენ. ყოველ ჯგუფში ცდები ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სხვადასხვა შეერთებითა და შემადგენლობით ტარდებოდა. ჰორმონისა და ნეიტროტრანსენცუმის დოზირებას საფუძვლად სხეულის წონა დაედო. როგორც გაირკვა, სირანელი დების სისხლში ჰორმონების ოდენობა, ისევე როგორც პენდურების სხეულში, წონას ეფარდებოდა. ეს კი შესაძლოს ქმნიდა სასქესო ჰორმონების უმაღლესი დოზის გამოთვლას. ჰორმონების უნარევო ინექციასთან ერთად ჰორმონისა და ნეიტროტრანსენცუმის არაფარდი ნაერთებისთვისაც უნდა მიემართათ. ათამდე სხვებზე ჯანიანი სირანელი ჯერ მკურნალობის გარეშე დარჩებოდა, საკონტროლო პირთა სახით.

არც ლუტოლსკი და რადესკუ მოცალეობდნენ. ვოლდემარი ზიბელასთან ერთად პენდურებზე ზრუნავდა. მათ ლაბორატორიისთვის ერთი და იმავე წონის ცხოველები უნდა

მიეწოდებინათ, სხვაგვარად ცდების შედეგებს ერთმანეთს ვერ შეადარბდნენ. რადესკუმ საკვერცხეთა ჰორმონების გამოსაკვლევად უსწრაფესი შეჯამების ალგორითმი შეიმუშავა, რაშიც მან კალოს სთხოვა თანადგომა. “ჩვენსა და სირანულ კომპიუტერებს შორის შესამჩნევი სხვაობაა”, მოახსენებდა ის ნოვიკოვს, “და უმალ მათი ათვისება ძნელი იქნება. ბიოელემენტები სასწაულებრივ თვითრეგენერირებას ახდენს და დანახარჯი ელექტროენერგიაც უმცირესია. გარდა ამისა, სირანული კნინბატარეებიანი კომპიუტერი საგრძნობი სიმჩატითა და სიმორჩილით გამოირჩევა. ის ბიოლელემენტები რომ არა, ჩვენი ტრანსლატორების მოცულობაც სამმაგად გაიზრდებოდა”.

ქალთა ტესტირება ყველა რეგიონში დაესრულებინათ. შეუჩერებლივ იგზავნებოდა მონაცემები კომპიუტერულ ცენტრში, უწყვეტად წიკწიკებდა მრიცხველები და პატარა წენგოსფერი ნათურის ყოველი აბრჭყვიალება კიდევ ერთი სირანელის არაპართენოგენეზურობა იყო. სამშობიარო კლინიკებში ვაჟთა დაბადება ამიერიდან საყოველთაოდ გაცხადდებოდა. დედებს კი მანამ გაუგონარი სურვილები გასჩენოდათ: მათ ეწადათ შობის გრძნობიერი განცდა და ახალშობილის ხილვა, ეწადათ შვილის პირველი შეყვირებისთანავე ხელში ატაცება, სულ ერთი იყო, იქნებოდა ეს ქალი თუ ვაჟი. მეანობის ფუძისეული სახეცვლა უნდა მომხდარიყო, უნდა უკუეგდოთ საუკუნოვანი ტრადიციები. მხოლოდ ხანმოკლე ბურანი მშობიარობის გასაუტკივარებლად და ჩვილის დედის მკერდზე დაკონება – ამგვარი იყო ახალი მიმართულება.

პროფესორმა ფრანცმა შეაჯამა: “კომპიუტერული გამოანგარიშებით, 2789 სირანელს რედუქციული გაყოფა აღუდგა. სამას ორმოცდაათამდე შემთხვევა გადამოწმებას საჭირობეს, ხოლო სირანელ ქალთა დიდი უმრავლესობა ჯერ მაინც არაპართენოგენეზურია”.

ზოგმა პირველად დასახელებული რიცხვი ძლიერ მცირედ მიიჩნია, მაგრამ ლო შენიშნავდა: “სავალალოს ამაში მე ვერფერს ვხედავ. მისასალმებელიცაა, რომ ქალთა პართენოგენეზი და მამაკაცთა იმპოტენცია თანაბრად იშლება. დღეისთვის რომ სირანელ მანდილოსანთა მეოთხედს ან მით უმეტეს, ნახევარს ჩვეულებრივი გამრავლების უნარი დაბრუნებოდა, ჩემთვის სწორედ ეს იქნებოდა გასაკვირი. როგორც წესი, ძეთა და ასულთა შობადობაც ხომ თითქმის ერთნაირია. ჩვენ მომსწრენი ვართ სირანელთა ერთიანი გამოჯანმრთელების მსვლელობისა და არა ცალკეულთა სპონტანური გარდაქმნისა. მაგრამ თუ ეს მსვლელობა ვერ დაშურდა, ახლო მერმისს ის არ დასრულდება და არავინ იცის, რა დრო ენდომება ყოველივე ამის შეუქცევად დამკვიდრებას”.

“დროის ფაქტორი ჩვენ საგულდაგულოდ უნდა გავითვალისწინოთ”, დაესიტყვა მას ფლორი, “და მეტისმეტ ოპტიმიზმსაც მოვერიდოთ. ვფიქრობ, ეს უმცირესობა შეუმზადებელი შეხვდება თავის მისიას, თუ მაღალი საბჭო მეცადად არ მოეკიდა იარის წამოწყებას და გოგო-ბიჭების ერთობლივი აღზრდა არ უზრუნველყო. ისინი ხომ ახალი სირანული თაობის შემოქმედნი დადგებიან და რომ ბოლომდე ღირსეულად გასწიონ ეს დანიშნულება, ჩვენ თავიდანვე უნდა შევუსისხლხორცოთ მათ ბუნებრივი წესი, თავიდანვე უნდა ჩავაგონოთ მისი ურიოშობა.

რასაკვირველია, როცა სირანზე მიწიერი არც ერთი ოჯახი არ არსებობს, ეს მძიმე ამოცანაა. საშველიც კი მხოლოდ ეს არის! ბუნებრივი მიჯნურობისგან ჩვენს ცთომილზე ვერასოდეს

იშობა ბავშვი, თუ ყველას ჯეროვნად არ გავწვრთნით ქალ-ვაჟური ტრფიალების ხელოვნებაში”.

ნეიტროტრასენცუმითა და სათესლეთა ჰორმონებით ექსპერიმენტირებამ ბევრს გული გადაულია. პირველ დამაიმედებელ ცნობას წინ კვირაობით ლოდინი უძღოდა. დადგინდა, რომ ნეიტროტრანსენცუმისა და სასქესო ჰორმონის ერთ-ერთი კომბინაცია თავბალნის ზრდასა და წვერ-ულვაშის წამოზრდასაც კი იწვევდა. თვრამეტიდან ოც წლამდე ჭაბუკთ ხმის დაბოხებაც დაეწყოთ და სხვებთან ერთადაც მოჯანიერდნენ.

ეს უთუოდ იყო გრანდიოზული გამარჯვების საწინდარი!

წარმატებას მიაღწიეს ჯგუფში, რომელშიც სასქესო ჰორმონი და ნეიტროტრანსენცუმი თანაბრად გამოიყენებოდა. ამრიგად, გაირკვა, რომ ორივე ნივთიერება ერთიმეორეს ავსებდა, რომ ნეიტროტრანსენცუმის ეფექტურობა სასქესო ჰორმონთან გაჯერების ხარისხზე იყო დამოკიდებული. ეს სავსებით ამართლებდა დედამიწელი ბიოლოგის ნავარაუდევს.

ალონდასთან ორკვირიანი თანამშრომლობის შედეგად პროფესორმა ფრანცმა მთელი სადელი პროცესი ამავე ნიმუშს შეუფერა, შედეგიც გასაოცარი გამოდგა.

წამლობის სასიკეთო ზემოქმედება მეც მივლინდებაო, აღფრთოვანებით მოახსენებდა იარი მაქსს. მისი თმა უფრო ხშირი შექმნილიყო და წარბებსაც თვალნათლივ დასტყობოდა მოკეთების ნიშანკვალი, მაგრამ ამით იარს გული ვერ მოეჯერებინა, ის ახირებით მოითხოვდა მაქსისგან თავისი სასქესო უჯრედების გამოკვლევას. მას სწამდა, რომ იმპოტენცია სრულიად და სანიადაგოდ ჰქონდა გადალახული. და უკვე ეს რწმენაც კმაროდა გადამწყვეტი ძვრის სამხილებლად. გამოკლევამ კი საცნაურჰყო: იარი მართლაც განეკურნათ სქესობრივი უძლურობისაგან. და ეს ორმოცდარვა წლის სირანელი მამაკაცი, თანაცთომილელ ვაჟთა შორის პირმშოთაგანი, თავად გახდა მთავარი მოთანაგე მოვლენისა, რომლის მოსწრება ძვირად თუ სჯეროდა ვისმე.

იარის უჩვეულო ამტანობა ჰქონდა ნაწყალობევი. სხვაგვარად ის, მიუხედავად ყოველგვარი ამაგისა, ესოდენ მაღალ ასაკს ვერასგზით მიაღწევდა. მაგრამ მასთან ერთად სხვებმაც იჩინეს თავი. თვრამეტიდან ოც წლამდე სირანელ ყმაწვილთა მუტაცია და წვერმოფენილი ღაწვ-ნიკაპი უდავოს ქმნიდა მათ სიჯანსაღეს. კალო, როგორც წარმოების ვაზირი, ახალი საფიქრალის წინაშე აღმოჩნდა: მას დიდად უნდა ეურვა საპარსი მოწყობილობის დამზადებაზე, რასაც ძნელად თუ წარმოიდგენდი თუნდაც ნახევარი წლის წინ. დღესაც კი ათასობით სირანელი დისთვის ეს ჩაუხვდომელ დროის მონაბერად ისახებოდა.

ვაჟთა სიკვდილიანობამ ელვისებურად იკლო. ყოველი ჩვილი იმთავითვე ღებულობდა სასქესო ჰორმონსა და ნეიტროტრანსენცუმს. დაკვირვების თანახმად, სიცოცხლის პირველ მეოთხედში მისაღები ჩანდა ამგვარი სალბუნების კვირეული თანმიმდევრობით შემოფარგვლა, ხოლო შემდგომში ჰიპოფიზი უნდა შეგუებოდა თავის მოვალეობას და ჰარმონიც სხეულში თვითონვე წარმოიქმნებოდა. უღონობის დადგომისას წამზე შეეძლოთ თერაპიის განახლება.

ზეიმურად ელავდა აბასა და ეას ანასახი, ზეიმურად გადმოსცქეროდნენ ნოვიკოვს სირანელთა სახეები, როდესაც მან მიღწევებზე საუბარი დაასრულა და მაღალი საბჭოს გლანდურასგან ყოველივე შემდგომის სირანელთათვის მინდობა ითხოვა.

რენდამ თავად წარადგინა იარი თავის ერთ-ერთ თანაშემწედ, რაც სიმბოლურად დროების გამოცვლას გამოხატავდა. წელიწადი, რომელსაც პირველი ძველებურად ჩანასახი სირანელი იშობოდა, მაღალი საბჭოს დადგენილებით ახალი წელთაღრიცხვის **პირველ წლად** გამოცხადდებოდა. ეს კი უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს ორიოდ მომდევნო წლისა. უკვე გაეგდოთ კიდეც ხმა ერთობლივ სასწავლებლებთა გოგო-ბიჭებში აღძრულ მეგობრობაზე. სირანელები თანდათან კვლავ ითვისებდნენ ტრფიალისა და სქესობრივი აღზრდის მივიწყებულ ცნებებს. ამიტომაც ნაკლებ ემუქრებოდა აუსრულებლობა გლანდურას გულისთქმას – ძველებური ადათ-წესის დამკვიდრებას.

ნოვიკოვმა ეკიპაჟის წევრები დედამიწაზე გასაბრუნებლად ააშურა. მათ ეხლაღა აღმოაჩინეს, რომ სირანზე, არც მეტი, არც ნაკლები, ორი წელიწადი დაუყვიათ.

გამგზავრება! სიტყვა, რომელიც ასე ლიტონად გამოითქმის, რომელიც გაგონებს გუდა-ნაბდის აკვრასა და გაჩქარებული წერით გამოლეულ თაბახს, სადაც გამოსათხოვარ სიტყვებთან ერთად აურაცხელი "დიდმნიშვნელოვანი" დანაბარებიცაა მიმონატყორცნი... მაგრამ არა, სხვაგვარი იყო სირანიდან აბარგების სამზადისი! თუმც არავის სწამდა, რომ ეს დამშვიდობება სამუდამო იქნებოდა, თუმც ყოველი სასოებდა მერმისს ხელახალ შეხვედრებს, ძვირფას მეგობართა გაყრა ხომ მაინც ვერ იქნებოდა უმტკივნეულო. თითოეული, ვინც მალე სამშობლოსკენ გზის გასადგომად **გლოასტერზე** ააბიჯებდა, გულისტკივილით ეთხოვებოდა აქ გაელვებულ ნაწილს თავისი ცხოვრებისა.

პროფესორ ფრანცს რამდენიმე გულოვანი დის წაყვანის სურვილმა წამოუარა, მაგრამ მიწიერი ხომალდი ვერც ერთ მათგანს ვერ დაიტევდა. ლოსთან საუბარში მას როგორღაც ეინდან მოსწყდა თავისი უგუნებობის მიზეზი, ლო კი თანაგრძნობის ნაცვლად უეცრად აკისკისდა. ფრანცი განაცვიფრა ამ მოულოდნელობამ, მერე ღიმილით შუბლზე ხელი იკრა და ლოს განუცხადა: "ეს რამ დამაღონა, თქვენ ხომ სულაც არ გესაჭიროებათ ჩვენი 'ლითონის მილი', საფრენი მოსასხამი მასზე სწრაფი და მოხერხებულია".

ესეც მოსაფიქრებელი იყო: წარსძღომოდათ თუ არა სირანელი დები დედამიწაზე, რომ ექსპედიციის მსვლელობა და **გლოასტერის** დაგეგმილი სტარტი შეეტყოთ? მაგრამ ხომ არ დააფეთიანებდა ეს დედამიწელებს, ხომ არ აღუძრავდა მათ ეჭვსა და დაურწმუნებლობას? ნეტავ როგორი იქნებოდა გაერთიანებული ერების წინაშე სირანელ მოციქულთა წარდგომა? ამის განჭვრეტა ვერავის შეეძლო და მაინც...

დედამიწიდან ყოველ ნახევარ წელიწადში მოკლე რადიოტელეგრამა აღწევდა. ამასთან, ადრევე გასაგები იყო, რომ **გლოასტერის** გადამცემი ენერგია საპასუხოდ წვრილმანების გამოკიდებას შეუძლებელს ქმნიდა. ნოვიკოვი ფიქრმორეული დასცქეროდა უკანასკნელ რადიოგრამას. "ვიმედოვნებთ, რომ უკვე თითქმის წელიწადია, რაც დედამიწისაკენ გიჭირავთ გეზი! სიხარულით მოგელით! მოლნარი".

"სამწუხაროა, რომ გაწბილებთ. თანაც რადიოკონტაქტიც ვერ განგვიხორციელებია", ნიღნიღებდა ალექსი.

"რადიოკონტაქტი – ვერა, მაგრამ ტახიონოკონტაქტი?"

ნოვიკოვი წამოიჭრა. "ვინ იყო, რომ ეს თქვა? ლო? და როგორ წარმოგიდგენია?"

"ერთი უახლესი ტახიონოტრანსკრიპტორით, რომელზეც სამეტყველო მოდულაციები მოქმედებს, გლოასტერს აღვჭურავთ, თითოთი – სირანსა და დედამიწას".

ალექსი დუმდა, ის შეფიქრიანებულიყო. შემდეგ ლოს გამომცდელად თვალებში შეხედა. “და ვინ მიიტანს მას დედამიწაზე? შენ ხომ არ...?”

ლოს ღიმილი მოერია. “დიახ, მევე გავფრინდები. შენ კი ნუ წუხხარ: მაქსს მე უკვე თავად მოვესაუბრე და ხომალდზე ხომ ისედაც მხოლოდ ერთი ორსარეცლიანი საძინებელია”.

კარი მეთორმეტე
გამარჯვების დიადემა

შუადღის თაკარა განელებულიყო... თვალადმა ქალმა გრაციოზულად გადმოაბიჯა მოძრავი ბილიკიდან და ესკალატორზე შედგა, რომლითაც დრეზდენის ადმინისტრაციის ამრეცს აუყვა. გზად მიმავალნი მას ცნობისმოყვარედ გაჰყურებდნენ.

ქალი გულდინჯად ვესტიბიულში შექევქევდა და ავტომეკარეს მიმართა: “უსაფრთხოების სამმართველო, მთავარინსპექტორ ვან ააკერენთან, გვერდის ნაგები”.

მწვანე საკონტროლო ნათურა ზამწე აბრწყინდა, შუშის რხევადმა ბჭემ უკუიწია და სამგზავრო აღმამზიდმაც ის ფლიგელის მეოთხე სართულზე ააქანა. აქ მას რამოდენიმე სხვა მომსვლელიც დახვდა. ლამაზმანმა ზარი დააწკარუნა და კარის უხმოდ განზე გასრიალებაზე ის ვან ააკერენის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც საწერი მაგიდის მიღმა მძიმედ წამოიზიდა. “რით შემიძლია...?” იწყო მან, მაგრამ განლიგებულმა თვალებზე ხელი მოისვა და ხმის ამოუღებლივ კვლავ სავარძელშივე ჩაეშვა. მის წინ პირიმზე და თვალტანადი მანდილოსანი – ლო ფრიდლენდერი იდგა. “წარმოუდგენელია..!”

“სულაც არა. მე სწორედ ლო ფრიდლენდერი გახლავართ”, გამოეცნაურა მას ლო, “თანაც პირდაპირ სირანიდან გეახელით. ჩამოფრენისთანავე პროფესორ მოლნარს უნდა ვწვევოდი, მაგრამ თავდაპირველად, როგორც ხედავთ, თქვენს მოსაკითხად გამოვემართე”.

ვან ააკერენი ჯერაც გახევებული იჯდა. შემდეგ ისე უგრძნეულად და მბორგავად წამოიძახა, თითქოს ძილი დაუფრთხესო: “მაგრამ სად გადაიკარგეთ თქვენი გაქრობიდან მთელი ეს ათი წელი”.

“უკვე მოგახსენეთ, მე უშუალოდ სირანიდან გეწვიეთ. აგერ ბარათიც თქვენთვის!” ამასთან, ლო მაგიდასთან მივიდა და ვან ააკერენს წერილი გაუწოდა, რომელსაც მან ფართოდ გახელილი თვალები დაჰკრა. ის, რაც გარეკანიდან ამოიკითხა, უცდომლად მისი მეგობრის, ლუტოლსკის, ხელით იყო წანაწერი: “მთავარინსპექტორ ვან ააკერენს დრეზდენში, თავისი სირანელი თანამშრომლის ვოლდემარ ლუტოლსკისაგან”.

მან უდგრად გაიშვირა ხელი წერილისაკენ. “როდის გადმოგცეს?”

“ოთხი მიწიერი წლის წინ. მაგრამ საფრენ მოსასხამსა და ჰიპნოგრილძილში გზა სირანიდან დედამიწამდე ესოდენ ხანგრძლივი არ არის. მე თქვენი დროით მხოლოდ სამნახევარი წელიწადი ვადექი ამ გზას”.

“მაშ, თქვენ მართლაც ბრძანებულხართ სირანზე?” ვან ააკერენი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

“გადახედეთ”, დაჟინებით მოსთხოვა მას ლომ.

როგორც იქნა, ვან ააკერენმა აზრი მოიკრიბა და საბარათო პარკი გამალებით გახსნა, საიდანაც ოთხი წვრილნაწერი ფურცელი ამოიღო. ის უსუნთქებლივ კითხვას მიეცა.

“თქვენს სერვოში ყავა თუ მოიძიება?” ჩაეკითხა მას ამასობაში მივიწყებული მომსვლელი.

ვან ააკერენი შეტოკდა. “რა ბრძანეთ?”

“ყავითა და ნამცხვრით ხომ ვერ გამიმასპინძლდებოდით, თორემ უკვე თავბრუ მეხვევა”.

“ეს როგორ გამომრჩა! რასაკვირველია, ფრაუ ლო, მყისვე მოგართმევთ! თქვენ ხომ გაცილებით სენსაციური ბრძანდებით, ვიდრე ლუტოლსკის წიგნი, თუმც ისიც.., დიახ, ეხლავე. მე მაინც პროფესორ მოლნარს დავუკავშირდები, თქვენი ჩამობრძანება უნდა ვამცნო. აგერ ღილაკი, მხოლოდ მიეკარეთ და ყავაც...”

მას სრულიად აბნეოდა გზა-კვალი. როცა ლო უკვე პურადად ნათავაზებ ყავას ექცეოდა, დედამიწელს ნაწერი ჩაეკითხა და ცუხცუხით ბოლთას სცემდა. “ენით უთქმელია”, იმეორებდა ის დაუსრულებლივ. “წარმოუდგენელია! მაშინ ნოვიკოვის ეკიპაჟი თქვენს გამოფრენამდე ნახევარი წლით ადრე მოსწყდომია სირანს და თქვენ კი საფრენი მოსასხამით **გლოასტერს** კიდევაც წამოწეულხართ და უკანაც ჩამოგიტოვებიათ. ლუტოლსკის მონაწერი თუ ვირწმუნე, ეს ასეც ყოფილა გათვალისწინებული. ნუთუ, ფრაუ ლო, ნუთუ ასეთი რამ მართლაც შესაძლებელია?”

ლოს სირანზეც ესმოდა, რომ მისი უეცარი გამოცხადება ძლიერ შთამბეჭდავი იქნებოდა, მაგრამ ვან ააკერენის კვირობა მას მაინც მეტად ეუცნაურა. ამის გამოც გადაწყვიტა მკაცრად საქმიანი კილოთი განეგრძო: “თქვენი საათი თუ არის გამართული? ორიოდ წუთში უწყვეტლივ შეგეძლებათ დრეზდენის ადგილობრივი დროით ჩვიდმეტიდან ცხრამეტ საათამდე **გლოასტერსა** და ნოვიკოვთან საუბარი. ჩვენმა ფიზიკოსებმა ჯონ მორისის შეწევნით იმდენად სრულყვეს ტახიონოტრანსკრიპტორი, რომ ენობრივ საკომუნიკაციო საშუალებად აქციეს. თავად იხილეთ!” მან სამოსიდან ზარდახშასებრი მცირე ყუთი ამოიღო და ვან ააკერენს გაუწოდა.

“ეს არის – რა?” დაეკითხა მთავარინსპექტორი.

“ტახიონოტრანსკრიპტორი. ამით უშუალო კავშირი გაგვაჩნია სირანსა და **გლოასტერთან**. და ეს კავშირი, თქვენს მეცნიერთა საკვირველად, სინათლის სიჩქარეს მრავალგზის აღმატებული სისწრაფით ვრცელდება. ეს მოწყობილობა ერთნახევარ მიწიერ წუთსღა ახანებს”.

ვან ააკერენი კვლავაც გაცბუნებული დუმდა, სტუმრის სიტყვები რომ ჩაესმა: “მხოლოდ ოცი წამი. მე უკვე ვრთავ, ინებეთ”. ლომ მთავარინსპექტორს კნინი მოშავფრო სფერო უბოძა, რომელიც წვრილი სადენით ტახიონოტრანსკრიპტორს უერთდებოდა. “ბოშად გეჭიროთ და თავისუფლად ილაპარაკეთ, მიკროფონი ძალზე მგრძნობიარეა”. შემდგომ კი გასაგონად უკუითვალა და აპარატის ლაჟლაჟა წერტილს ოდნავ შეეხო.

ჯერ, გარდა ვან ააკერენის აჩქარებული სუნთქვისა, არაფერი შეინიშნებოდა, მაგრამ უგრძნეულად ნოვიკოვის მჟღერი ხმა ისე გარკვევით და მძაფრად გაისმა, რომ მთავარინსპექტორი უნებლიეთ შემოსასვლელს მიაცქერდა.

“აქ ნოვიკოვია, **გლოასტერზე**. როგორ იმგზავრეთ, ლო?”

“ჩინებულად. ყურმილს მთავარინსპექტორ ვან ააკერენს ვუთმობ, მე ამჟამად მის ბიუროში ვიმყოფები”.

მოუთმენელმა ლოდინმა თითქმის ორ წუთს გასტანა, სანამ მორიგი გლოასტერელის ხმა მოატანდა.

“მთავარინსპექტორო, აქ კომისარი ლუტოლსკია. ჩემი როგორ გესმით?”

“მკაფიოდ, ვოლდემარ, მკაფიოდ”, ჩასძახა მან მინიმიკროფონში. “ეს რა ნიშია, ვერც კი გაიაზრებ! ოთხი სინათლის წელიწადის ერთსა და ორ წუთში გადალახვა!”

ლო მას სახელოში სწვდა და გააფრთხილა: “დროა, შევწყვიტოთ. ეს პირველი ცდაა და ადვილად შესაძლებელია მოწყობილობის გადატვირთვა”.

ის მაშინვე დაემშვიდობა თანაცთომილელთ. კვლავაც დაძაბული ლოდინი, მაგრამ ანაზდად მაქს ფრიდლენდერის ხმამაც მოაღწია: “ლო, მოხარული ვარ შენი მშვიდობით ჩაფრენისა – დასასრული”.

ამაზე ვან ააკერენი წამოქროლდა, სერვოსთან მიიჭრა და ახტაშირათი გალიცლიცებული ორი სამწდეურით გამობრუნდა. “აქ მიუხლელობა არ ივარგებს. ეს ხომ... დიახ, ეს ხომ გაუგონარი რამ არის!”

სასმისებმა იწკრიალეს, ღვინოც შეისვა და გალაღებულ დედამიწელს ლომ იმთავითვე შეახსენა თავისი მოუცლელობა: “სასურველია პროფესორმა მოლნარმა საშურად მიიღოს გლანდურას, სირანის მაღალი საბჭოს მესვეურის, ეპისტოლე. ამ მიმართვის თანახმად, მე, ასე ვთქვათ, სირანის დესპანად ვარ დანიშნული დედამიწაზე. მოლნართან დარბაზობამდე კი შინაც უნდა შევიარო – ფრაუ ფრიდლენდერის მოსანახულებლად”.

“მე რომ ამას თავად ვერ მივხვდი!” სინანულით მიუგო ვან ააკერენმა. “მისი მისამართი ჯერაც უცვლელია, ის კვლავ ელსტერნვეგის თერთმეტში ცხოვრობს. ამ ბოლო დროს ჩვენი შეხვედრები საგრძნობლად გასადაგდა. ის უწინდებურად მობაასე და ახლისმოყვარეა, თითქოს ასაკი არც ემატებაო. ოთხი-ხუთი წლის წინათ ძლივს დავადებინეთ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის დაწესებულებასთან ოჯახურ მეურნეობაზე მზრუნველობის ხელშეკრულება. პენსიონერთა საერთო საცხოვრებელში გადაბინავებისა კი გადაჭრით წინააღმდეგი იყო, მიხსნიდა, სახლ-მტილი უნდა შევინახო, სანამ ორთავეს ბედნიერად მობრუნებულს არ ვიხილავო.

მადროვეთ, სჯობს ჯერ დავურეკო და მცირედ მაინც შევამზადო. ხოლო შემდგომ, თქვენის ნებართვით, ელსტერნვეგზე გზას მე გაგითავაზებთ”.

ფრაუ ფრიდლენდერი მათ წინგარდასთან მომლოდინე დაუხვდათ. ლო განაცვიფრა მის უცვლელობამ, ის ისევე ჯანიანად და მოხდენილად გამოიყურებოდა, როგორც იმ ათი წლის წინანდელ ღირსსახსოვარ დღეს. როცა მოხუცი ბანოვანი ტუსტუსით გამოქანდა მანქანისაკენ, მის ნაკეცებიან, მაგრამ ახალგაზრდული ლაზათის მთოველ პირისახეს სიხარულის ცრემლი ეფრქვევოდა. დედაბერს აღმოხდა მხოლოდ: “შვილო, ოჰ, შვილო, შენ რომ მაქსმა მიგაგნო და რომ კვლავ შინა ხარ!”

ლო ნაზად გამონთავისუფლდა და თვალდანამული სახლს მიაჩერდა. “თან ახალი სირანული ტელეფონი მაქვს”, მიუბრუნდა ის მოხუცს, შინ შევიდეთ და მაქსსაც თავად დაგალაპარაკებ, თუმც მცირე ხნით, მაგრამ გარკვევით”.

მეც ამას წინათ კომისარ ლუტოლსკის ვესაუბრეო, დაამოწმა ვან ააკერენმა. “აპარატი კი უადვილესი მოსაპყრობია”, დარწმუნებით დაურთო მანვე.

ფრაუ ფრიდლენდერი, ტახიონოტრანსკრიპტორის მიკროფონით ნებში, მაქსს თვალცრემლიანი უპყრობდა ყურს, რომელიც სხვა თანაეტლელებთან ერთად მშობლიური ცთომილისკენ მოიწევდა.

“ამიერიდან ლო დედამიწას არასოდეს გაეცლება. შენ კი დარდებს ნუღა აიშლი, მრთელი უნდა დამიხვდე”.

“მე უკვე ისეთ აბებს ვიძენ ჩვენი მედიკოსებისგან, რომ ჩემი სიმხნევე სამარადჟამო მგონია”, აცხრობდა ის მაქსს.

“მოწყობილობა ტრანზისტორზე უფრო მეტ ელექტროენერგიას არ მოითხოვს და ყოველკვირეულად ასევე შეგეძლება მაქსთან სიტყვის მიმოცვლა”, განუმარტა ლომ დასასრულ.

უმალვე ვან ააკერენს უსაფრთხოების სამმართველოდან აუწყეს, ფრაუ ლოს მსოფლიო აკადემიაში მოელიანო. პროფესორ ფრანცს უკვე გამოეგზავნა სტრატოდისკი.

“ამ წამიერი სავალის გამო ანტიგრავიტაციულ ძალებს ხომ არ მოვახმობინებთ”, გაიხუმრა მან. მაგრამ ეს მხოლოდ საფარველი იყო მისი უსაზღვრო მღელვარებისა.

ლომ მას ყოველივე გამოწვლილვით მოუთხრო, ნოვიკოვის წერილობითი მასალაც თან გადასცა და **გლოასტერის** ეკიპაჟსაც გამოასაუბრა. მიღების დამლევს კი, სანამ ის მოლნარს სთხოვდა, დრეზდენში შემდგომშიც ერწმუნათ მისთვის ტახიონოტრანსკრიპტორი, აპარატის ბეწვა ნათურა მეყსეულად აკამკამდა. ამჯერად უკვე ლოც აღიგზნო. “ეს პირველი ზარია სირანიდან”, თრთოლვით ჩაილაპარაკა მან. ტახიონოტრანსკრიპტორი თვითაწყობისთანავე ჩაირთო და ბიუროში მამაკაცის ჟღერადი ხმა გაისმა.

“ეს ხომ რადესკუა!” გაოცდა ვან ააკერენი, მაგრამ ლომ მყისვე უარყო.

“აქ სირანგლადურია! ვთხოვთ ლოს”.

“ლო გისმენთ, მე პროფესორ მოლნართან ვსტუმრობ, მსოფლიო აკადემიაში”.

დაუსრულებელი ორწუთიანი დაყოვნების შემდეგ მოწყობილობა კვლავ ამეტყველდა: “გელაპარაკებათ რენდა, მაღალი საბჭოს გლანდურა. ვუძღვნი სალამს დედამიწას, ცისფერცთომილელ მეცნიერებს! სირანზე ეს-ეს არის დაიწყო პირველი წელი”.

ამის ხსენებაზე ლოს მოულოდნელობის შეძახილი აღმოხდა. მან თანამოსაუბრენი მოკლედ გაარკვია “პირველი წლის” მნიშვნელობაში და სირანსკენ მოუთმენლად კითხვა გაგზავნა: “ძეა თუ ასული? მიიღეთ დედამიწის გულითადი მილოცვა!”

და ხანმოკლე შეფერხება მათთვის კვლავ ბოლოუხილავად გახანიერდა. ამჯერად ლოს ქალის გულწამტანად მტკბარი ხმა გამოეპასუხა, რომელიც დედამიწელთათვის უცხო, საამურად მბგერ ენაზე მეტყველებდა.

მიწურულს მას რატომღაც სიცილი წასკდა და თვისტომს სირანულადვე შეესიტყვა. საუბარიც ამით დასრულდა.

“ეს ქალბატონი გლანდურა გახლავთ”, მიუბრუნდა ლო მთავარინსპექტორ ვან ააკერენსა და პროფესორ მოლნარს. “პირველი ხმა კი თქვენ მართებულად განსაზღვრეთ: მთარგმენლ ავტომატებში ინტერლინგვას ლექსიკა რადესკუს დეკლამირებით არის წარმოდგენილი, – მაგრამ თუ მიხვდით ჩემი კისკისის საბაბს? სირანს მარჩბივად მოევლინა პირველი ქალ-ვაჟი: მაქსი და ლო!”

ვოლფ ვაიტბრეხტი

უმამრო სასუფეველი

გამომცემლობა „გულანი“
თბილისი 1992

რედაქტორი	თ. შავლაძე
მხატვარი	სპ. ცინცაძე
სამხატვრო რედაქტორი	ლ. კალანდაძე
ტექნიკური რედაქტორი	ლ. ხუბაშვილი
კორექტორი	ც. კილტავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.92. ქაღალდის ზომა 84X108 1/32.
საბეჭდი ქაღალდი ოფსეტის. ბეჭდვა ოფსეტური. ნაბეჭდი თაბახი 18. შეკვ. №173. ტირაჟი 5 000

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის №1 სტამბა, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50